


ISSN 0132-6023



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆԱԿԱՐԳԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ
ՆԱԿԱՐԳԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ

ԳԻՆԻՍ

2

1984

თებერვალს ვუმღერით

თებერვალს ვუმღერით, ვუმღერით თებერვალს,
ბრწყინვალე დღეების უსაზღვრო დინებას,
ცისა და ხმელეთის დროშისფრად შეფერვას,
სამშობლოს დიდებას და აღორძინებას!

მუდამ გვეხსომება ელვით დახატული
მლეღვარე თებერვლის დღე განაწამები,
მისთვის დაიღვარა სისხლის ნაკადული,
მისთვის თავდადებით იბრძოდნენ მამები.

შეხედეთ! შეხედეთ მშობლიურ ქვეყანას,
რარიგად უხდება აღისფრად შეფერვა,
ზღვა დროშებს სხივებით მზე ამოეყვანათ,
სალამი, სალამი, სალამი თებერვალს!

აღიო მირცხულავა

სესეი

320

გამომცემის ოცდახუთმეცხე წელი

2

Першая ордена Трудового
Красного Знамени
Республиканская библиотека
УРСР им. К. Ц. Ц.

თეატრული

1984

თბილისი

სამ. კა ცკ-ის გამომცემლობა

ლიბრატორულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-კულტიურული შუამდგომლობა

შ ი ნ ა ა რ ს ი

კოეზიბა და კროზა

3. თამაჲ ზიგილური — შვიდი ხმისა და ტოროლასა-
თჳის. რომანი. დასაწყისი
54. იორამ ჭამებრთელიძე — საღამოს ბაზარი. ნოველა
60. იმარ თურმანაული — ლექსები
62. ლალი ზრებვაძე — დღესასწაული. მოთხრობა
79. დავით მხედველი — ლექსები
83. ნირბა გელაშვილი — „ამბრნი, უმბრნი და არაბ-
ნი...“ მოთხრობა. დასასრული
112. ვახტანგ ხარჩილაძე — ლექსები

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ლვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო ბაქიშვილი
(მთავარი რედაქტორის
შოადგილე)
გურამ გებეჭიძე
გივი გებეჭიძე
გიორგი გუგულია
თეიმურაზ დონიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიჟნინიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცნიშვილი
ნუგზარ შატანიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წარეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი შოხრენელიძე
მეკა ჯოხაძე

ნაკვეთი

116. ლევან ფრუიძე — სახალხო დღესასწაული ბანა-
ხლებული მერმისათვის

წერილები

120. შოთა ნიჟნინიძე — ლიტერატურას ერთეულები
ქმნიან
122. ჯანსუღ ჩაკვიანი — მხატვრული დონეა მთავარი
123. მიხეილ ქვლივიძე — მოდი, ვიკამათოთ
129. რევაზ მიშველაძე — მიწაზე... მიწაზე...
133. პაპი მინდიაშვილი — ზღაპრული
138. ბათუ დანელია — მე მათი მჯობრა
141. გურამ შარაძე — ლალო ზრიგოლია
147. ჯაურ კილაძე — „როგორც ერთი ქვეყანა მთელი“
154. ივლიდა რუსაძე — მრავლობითის იშვიათი ფორ-
მები საშუალო კართულში
158. ბაბუ მხედველი — შიო მღვიმელი, ილია სიხა-
რულიძე

თამაზ ბიბილური

შვიდი ხმისა და ტორელასათვის

რომანი

„სანამ ამოდის და ჩადის მზე, სანამ მოიქცევა და უკუიქცევა ზღვა, სანამ ვალობენ ფრთოსნები და ყვავილები ყვავიან, სანამ იდგებიან მთანი, სანამ ბიქს კლავს გოგოს სურვილი, ხოლო გოგოს სურს სასურველი იყოს, მანამ არ ჩაქრება სიკვდილის რომანტიკა“.

ზონ ოკეისი

თავი პირველი


ს ი ტ შ ვ ე ბ ი

აბრია მახაურს უნდოდა, სიკვდილის წინ, ჭირის ოფლს რომ დაასხამდა, შინაურებიდან ყველა დაეთხოვა და სადგომში მხოლოდ თავისი თვრამეტი წლის შვილიშვილი გიორგი დაერჩინა, მისთვისდა ეცქირა. ამგვარად ჰქონდა ბერიკაცს სიკვდილის დღე წარმოდგენილი, ამგვარად ხედავდა ამქვეყნიდან გაყრას, და ზაფხულის მიწურულს, როცა იგრძნო, ახლა კი ნამდვილად კვდებიო, სიკვდილის შიშზე უფრო იმის შიშმა აიტანა, გიორგი სად არის, ეგრე ხელად ვინ გავგზავნო მთაში, რომ ბიჭი ჩამოიყვანოსო, რათა ყველაფერი იმგვარად მოხდეს, როგორაც ჩემ ფიქრში მრავალჯერ მომხდარაო. მაგრამ გიორგი შორს იყო, მთაში მწყემსებს გაჰყოლოდა და ღონეგამოცლილი მახაური ძლივსლა ბორგავდა ტახტზე.

მახაურს ამქვეყნიდან ის ბიჭილა უყვარდა, თუმცა ეს გულახდილად საკუ-

თარი თავისთვისაც არ უთქვამს. დანარჩენს ყველას, დიდსა თუ პატარას, ერთხელ მაინც მოესწრო იმგვარი რამის თქმა ან გაკეთება, რამაც ბერიკაცს აფიქრებინა, რომ ამქვეყნიდან აღარაფერი დარჩენოდა, უცხო ხალხში ჩავარდნილიყო და რაც უფრო მალე გაეცლებოდა აქაურობას, უფრო მალე გადაეშვებოდა იმ მარადიულობაში, რისკენაც, თავადაც არ უწყის, ისე ისწრაფვის აღამიანი და თანაც ისე, რომ იქ გადასვლის შიში წამითაც არ ცილდება. რა დიდი ამბავი ეს იყო, რა საძნელო საქმე? — თვრამეტი წლის შვილიშვილი გიორგი მდგარიყო იმქვეყნიდან მიმავალი მახაურის წინაშე, როგორც გამართლება ამ კაცის მზისქვეშეთში არსებობისა.

უბრალო იყო ეს ნატვრა, როგორც უბრალო იქნებოდა, ბერიკაცს სიკვდილის წინ ცივი წყალი ან ერთი ჭიქა



საფერავი რომ ეთხოვა, ან ის — აივანზე გამიყვანეთ და ქვეყნიერებას საბოლოოდ გადაეხადეთ. ხო, ამას დიდ აშბად არაფერ ჩათვლიდა, მარტო ერთმანეთს ეტყოდა სოფელი, საწყალ მახაურს სიკვდილის წინ ერთი ჭიჭა საფერავი მოუთხოვია და ქვეყნიერებას ხმის ამოუღებლად და მორჩილად დამშვიდობებიაო.

კაცმა რომ თქვას, რომანშიც მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული არაფერი უნდა ხდებოდესო, — გაიფიქრა ამბის მთხვევლმა — ხსოვნაში შემორჩენილი დიადი წუთებიდან განსაკუთრებული არცერთი არ არის, ყველა თავისი უბრალოებით არის დიადიო.

არც იმ სურათში იყო რაიმე განსაკუთრებული, ერთხელ, მდინარის პირას, ნაწვიმარ ჭალაში რომ ნახა შეთხზული ამბის ავტორმა:

მდინარე აღიდებულებო, დიდ ლოდზე ერთი გახვევებული ბერიკაცი იჯდა (ისევ მახაური!). შორიახლოს, მომცრო ლოდზე, ოციოდე წლის გოგო გარინდელიყო. გოგოს იქით ნაჯაფი დედაკაცი იჯდა. ზედ დედაკაცის ფეხებთან ორი ხარი ძოვდა ნამიან ბალახს. ხარების მოშორებით ჭოკივით აწოწილი, დედაკაცი იდგა და ოციოდე წლის ქალაქელ ბიჭს გვერდიდან არ იშორებდა. კიდევ უფრო იქით, ამ ხნისავე ბიჭი დანით რაღაცას თლიდა. მთელ ამ გარინდულ სურათს, აღიდებულ მდინარეს რომ მისჩერებოდა, მარტო ერთი კაჟკაჟივით ცხვინისკარტა დედაბერი აცოცხლებდა, დანარჩენებში მიდი-მოდოდა, სურათის მთლიანობას ჭრელი ძაფით ბლანდავდა და თან ხმამალა კაკანებდა. ეს იყო და ეს... ის შვიდნი ისხდნენ აღიდებული მდინარის პირას და რაღაცას ელოდნენ — აღიდებულ წყლის ჩაღვლას, მეგზურის გამოჩენას თუ სულაც სასწაულს... ან შეიძლება არაფერსაც არ ელოდნენ, ისხდნენ დალიონი და ძალას იკრებდნენ, რომ კვლავ გზას დასდგომოდნენ.

რით გახდა ეს სურათი დაუვიწყარი, თუმცა არც ერთ მხატვარს არ დაუხა-


ტავს? რად ჩარჩა მესხიერებაში შეთხზული ამბის ავტორს ის გაერყინებდა და მიინც რაღაცის მომლოდინეობა? რამ შეყარა ეს შვიდი ადამიანი აქ, მდინარის პირას? შემთხვევამ თუ აუცილებლობამ? საიდან მოდიოდნენ, სად მიდიოდნენ? წავიდნენ თუ სულ ასე დარჩნენ სამუდამოდ, როგორც ხსოვნაში, როგორც ქვაში გამოთლილი ან ტილოზე დახატულნი?

ვიდრე მახაური მოკვდებოდეს, ამ „შვიდთა თემის“ წევრი უნდა გახდეს. ეს შვიდნი, ქვეყნიერებაზე მომდურებულნი, უნდა დაადგნენ გზას, ისე, რომ ხეირიანად არც კი იცოდნენ, სად მიიან და რა უნდათ, ყველა თავისას იტყვის, ყველა საკუთარ ხმაზე დაიჩივლებს... ტოროლა? ამ შვიდ ხმას ტოროლა ბოლოს შემოუერთდება, ან უფრო სწორად, კი არ შემოუერთდება, გააგრძელებს და დააბოლოვებს შვიდი ხმის ქოროს, უკვე დაშლილს, დაქუცმაცებულს და აქეთ-იქით გაფანტულ ქოროს.

„მდინარის პირას გაკრულ სურათში“ შვიდნი ჩანან, მაგრამ იმ შვიდიდან არც ერთს ერთმანეთი თვალითაც არ უნახავს, თუ არ ჩავთვლით ჭოკივით აწოწილ დიდდას და მის ჰაბუჯ შვილიშვილს. მაგრამ მერე რა, უცნობი ადამიანები უფრო ადვილად ენდობიან ერთმანეთს და პირველ ხანებში ისიც კი ეჩვენებათ, რომ ამგვარი მოულოდნელი შეხვედრით ბედნიერი არიან. ნამდვილი შემოდგომისპირია და შემოდგომას გავს ის სურათიც, მდინარის პირას რაღაცის მომლოდინე შვიდი ადამიანისა.

დასასვენებლად ჩამომსხდარი ფრინველების გუნდი!

მაღე ზამთარი დადგება, აცივდება, ფრინველები თბილი ქვეყნისკენ მიფრინავენ და აქ, მდინარის პირას, მცირე ხნით ჩამოსხდნენ, რათა სული მოითქვან, მერე კი კვლავ გააგრძელონ გზა. დაბრუნდებიან კი ოდესმე ისევ აქ, საიდანაც გაფრინდნენ, საიდანაც დაიწყო ყველაფერი?



მდინარის პირას პირველად აბრია მახაური მოვიდა.

მერე სხვებიც გამოჩნდნენ...

არაფინაც არა მჭირდება, ყველამ თავი დამანებოს — გაიფიქრა მახაურმა, მაგრამ მაინც თვალში მოხვდა გარსოს დედის ბრტყელი, ნაჯაფი ხელები, შავი მოსახვევის ქვემოდან მზირალი დიდრონი, კაცური თვალეები და ჩამოღვენილი ლაწვეები. მახაური ვერ მიხვდა, ბოროტი იყო ეს დედაკაცი თუ კეთილი, მახაურის რწმენით კი, როგორც ადამიანთა დიდი უმრავლესობის რწმენით, ადამიანი ან ბოროტი უნდა ყოფილიყო, ან კეთილი. მიხვედრა კი მართლა მოუნდა და საკუთარ თავზე გაბრაზდა, რადგან ეს უბრალო სურვილი მაინც სიცოცხლესთან დაბრუნების სურვილს გავდა, მახაურმა კი საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ სიკვდილთან შესახვედრად მილიოდა.

გარსოს დედა ქვეყნიერებაზე არავისზე არ ფიქრობდა, გარდა თავისი გარსევანისა და იმ ხარებისა, საკუთარ ოჯახს რომ მოჰპარა და აქეთ წამოიყვანა. აქ ისიც არავინ იცოდა, რად ეძახდნენ ამ რუხად მზირალ დედაკაცს გარსოს დედას. შვილი გარსევანი ყავდა, ქალაქში წასული, სოფლის თქმით — ცნობილი კაცი და ეს ქალიც საბოლოოდ გარსოს დედა გამხდარიყო. თავმჯდომარემ ამ ორი ხარის ჩამორთმევა მაინც დაუპირა. რაკი თავმჯდომარეა, ალბათ მართალიც იყო, მაგრამ ამ დედაკაცს, გარსოს დედას, საკუთარი სიმართლეც ჰქონდა და იმდენად მტკიცე, რომ ერთხელაც არ უფიქრია, ჩემი საკუთარი სიმართლე სხვათა სიმართლის საპირისპირო იქნებოდა. ეს ორი ხარი გარსოს დედას ჰირიდებოდა... სხვა დროსაც ბევრჯერ დასჭირებია... მხოლოდ და მხოლოდ ეს იყო სიმართლე! სხვა სიმართლეს, რომელიც გარსოს დედის ამ სიმართლეს ოდნავ მაინც არ გავდა, დედაკაცი არ ცნობდა, ყველაფერი, რაც ამ სიმართლეს ეწინააღმდეგებოდა, სიმართლე კი არა, წმიდაწყლის სიცრუე იყო. და რაკი ეს მტკი-

ვედ იცოდა, ამ ცისქვეშეთში აღარ მოიძებნებოდა ძალა, რომელსაც ცოცხალი თავით ეს დედაკაცი ამ ხარებს დაუსომობდა.

დიდდას წამოყოლილი ქალაქელი ბიჭი ტყისკენ მზირალ დამფრთხალ გოგოს უყურებდა. ბიჭი თითქოს პირდაპირ კინოს დიდი ეკრანიდან მოსულიყო და ამ ჩამუქებული მდინარის პირას, თავისი ნატიფი იერით, უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილს გავდა. ყველაფრისადმი გულგრილს მართა ერთი სული ჰქონდა, როდის დასრულდებოდა ეს მოსაწყენი მოგზაურობა და კვლავ როდის დაბრუნდებოდა იმ სამყაროში, სადაც უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილს კი არ ემსგავსებოდა, არამედ ყველაფრის მოთავეს, ანუ მთელი ორკესტრის დირიჟორს. ბიჭმა დღემდე ამგვარად გაატარა ცხოვრება და ეს მომქანცველი მგზავრობა ცხოვრების გზიდან აშორებდა. მაგრამ ერთი რამ ერთბაშად მოხდა, რაც ბიჭის დიდდას წამითაც არ გამოჰპარვია: ბიჭი ისე უყურებდა ტყისკენ მზირალ გოგოს, თითქოს საგანგებოდ უთხრეს, მავან დღეს, ადიდებული მდინარის პირას, დღის მიწურულს მიხვალ და ის, ვისი ნახვის სურვილიც ჰქონდა, იქ დაგხვდებოდა. და აჰა, დახვდა! და აქვე ტყეც იყო, რომლის დაბურულეებში დამალვას თითქოს გოგოც ცდილობდა და საითყენაც ბიჭი ისე იტყირებოდა, ისე დაჭერებულად გადაჰქონდა მხერა გოგოდან ტყისკენ, როგორც ბატენის მოსატაცებლად ჩასაფრებულ მგლის ლეკვს.

შვილიშვილის წადილი დიდდას შემცდარად გამოეცნო, და თანაც მაშინვე, როგორც კი ბიჭმა სწორედ ის გაიფიქრა, — მითხრეს, დაგხვდებოდა და აჰა, დამხვდაო. მაშინ ბიჭის ფხიზელმა დიდდამ, დალილობისაგან ძლივს რომ ითქვამდა სულს და ისეთი თვალით იყურებოდა, თითქოს ვინმე რაღაცის წართმევას უპირებოდა, ნაპირზე

თაგავა გიგილური

შვილი ხმისა და ბოროლასათვის




შეყრილ ადამიანებს თავიდან დაუარა და ბიჭსა და გოგოს შორის ჩაღდა. დიდდა მალალი იყო და შვილიშვილის თვალისაგან გოგო ისე დაფარა, როგორც მოზრდილი პლანეტა გადაეფაროს ერთი ბეწო ცთომილს. დიდედას მხოლოდ ერთი ფიჭვი ქონდა, — როგორმე შვილიშვილი იქ აეყვანა, სადაც მიჰყავდა, აეყვანა თავის აღთქმულ მიწაზე, საიდანაც კარგა ხნის წინ თავად წამოვიდა და რის გამოც, დიდედას ღრმა რწმენით, უკულმა დატრიალდა მთელი ცხოვრება. დედაკაცი აქეთ წარსულის გაცოცხლების სურვილს მოჰყავდა. მოდიოდა და ბიჭი კი არა, თითქოს სველ ტილოში გახვეული თოთო ნერგი მოჰქონდა, რათა იქ ჩაერგო, სადაც ამ ნერგის წინაპარი ხეები უკვე გამხმარიყვნენ, ან სულაც აღარ იდგნენ, მაგრამ სადაც ამ ნორჩ ნერგს, დიდედას აზრით, ყველაზე უფრო ეკუთვნოდა გაზრდა. ყველაფერს, რაც ამ მიზნის მიღწევაში ხელს შეუშლიდა, ეს გაკერპებული დედაკაცი დაუფიქრებლად დაამსხვრევდა, და თუკი მაინც ვერ მოერეოდა, ყვირილით აიკლებდა მთელ ქვეყანას, საშველად უხმობდა, და მაინც იმას გააკეთებდა, რისი სურვილიც, უკვე ოცი წელი იყო, ქალაქის ოთხ კედელში გამოკეტილს აფორიაქებდა და ღამეც კი არ აძინებდა; რის გამოც, სწორედ ქალაქში, მეექვსე სართულის ოთხ კედელშია, ძლივს ძილს მიცემულს, მგლები ყმული ჩაენმოდა და კვლავ და კვლავ არ აძინებდა. თუ ამ სურვილს აისრულებდა, — ასე ეგონა დიდედას, — თუ ერთხელ მაინც ისე დაიძინებდა, რომ არარსებულ მგლების ყმუილს ძილი არ დაეფრთხო, დიდდა დაშვიდებული მოკვდებოდა.

გოგო არ იყო უტიფარი. დაჟინებით მზირალი ბიჭის დიდედამ ტყუილად ამოიღო თვალში და მტრადაც ტყუილად მიიჩნია. გოგოს ის კდემაც ქონდა, რაც დიდედებს მუდამ მოსწონთ ხოლმე ამ ხნის გოგონებში, მაგრამ ექვიანმა თვალმა მაინც მიაწერა ის პატარა ურცხვობა, რაც მუდამ დაფა-

რულია, მაგრამ დიდედების თვალს კი არა და არ გამოეპარება: გოგო საინდან-ლაც მოდის, სადაც დიდი რამ მოხდა და შიში აქამდე გამოაყოლა... ამიტომ უფრთხის ბიჭებს, ამიტომ უჭირავს თვალი ტყისკენ. ეს მწიფე გოგო სულ ახლახან ისეთ ადგილას იყო, სადაც ყველაფერი დასრულდა. გოგო განძარცულია! მერე რა, რომ იმ ვილაცამ გზაზე გამოუშვა, ახლა შენ იციო, გოგო მაინც შიშველია! და მუჭი პლანეტა კვლავ გადაეხმო პატარა ცთომილს, დიდედას შვილიშვილს კი ისლა დარჩენოდა, რომ მოთმინებით დალოდებოდა, როდის ინებებდა ვეშაპი ცთომილის გამოშვებას.

ერთი ბეწო, კაჭკაჭმა დედაკაცმა, ცოტა მოგვიანებით რომ მოვიდა, თითქოს მუჯლუგუნით მისწი-მოსწია აღრე მოსულები, მდინარის პირას მოგროვილთა შორის გამოყო თავი და კაკანი გააბა. დედაკაცმა, თავის თავზე, ორისამი სიტყვით უკვე ყველაფრის თქმა მოასწრო, მაგრამ გაჩუმებას მაინც აღარ აპირებდა. კაჭკაჭი კაკანებდა და უკვე ყველამ იცოდა, რომ ისიც იქით მიდიოდა, საითაც დანარჩენები, იმ გზით მიდიოდა, რომლითაც დანარჩენები და იმ სოფელში, რომელშიც სხვები მიდიოდნენ. კაჭკაჭს ოთხი შვილი გაეზარდა და ორი ობოლი დისწული. ამათგან უკვე ბლომად შვილიშვილებიც ჰყოლოდა (ზუსტად არ ვიცი, რამდენნი არიანო); ქმარი კი ახლახანს მოჰკვდომოდა, მაგრამ ვერაფრით დაემტკიცებინა, რომ ის ქმარი მართლა ქმარი იყო, თუმცა მთელი სოფელი კი არა, მთელი ქვეყანა ყოფილა ამისი მოწმე, და რაც უფრო დასაჯერებელია, — ოთხი შვილი და ბლომად შვილიშვილი... მაგრამ საწყალი მიხასი (ასე რქმევია განსვენებულს) და ამ კაჭკაჭის ქორწინება არც ერთ ქალაღზე არა წერებულა, მათი დაქორწინების საბუთი სოფლის პატარა ეკლესიის მღვდელს საიქიოში წაჰყოლია, ეკლესიის დავთარი კი ოციან წლებში დაუწვავთ. დედაბერიც, მაშინ, ცხადია, დე-



დაბერი კი არა, კარგი გოგო იყო, რე-
ვოლუციის მხარეზე დამდგარა და ის
დავთარიც არაფრად უნაღვლია, მაგრამ
თურმე ამქვეყნად ყველაფერი საჭი-
რო ყოფილა. თურმე ძველი არაფერი
უნდა გადაადგო და არაფერი დასწვა,
თუნდაც ის ძველი სოფლის პატარა
ეკლესიის გაცვეთილი დავთარი იყოს.
კაპკაპსაც დასჭირდა ის დავთარი! დას-
ჭირდა დიდი ხნის მერე, რომ ქვეყნიე-
რებისთვის დაემტკიცებინა, ჩემი ოთხი
შვილის მამა და უამრავი შვილიშვილე-
ბის პაპა, საწყალი მიხა, ნამდვილად
ჩემი ქმარი იყო, დაემტკიცებინა, და
როგორც ქვრივის ეკუთვნის, პენსია და-
ენიშნათ. განა არა, ყველაზე სანდო
მოწმე ყავდა, და თანაც ცოცხალი,
ჯვრისწერის მოწმე, მისი კბილა ბაბა-
ლე, მაგრამ ბაბალებს გული ჰქონია სუს-
ტი, როგორც კი სასამართლოს კართან
მიახლოებულან (საქმე სასამართლომდე
მისულა), იქვე ჩაქეცილა და გული წას-
ვლია. ამტყდარა წივილ-კივილი, სახე-
ზე წყალი გადაუსხამთ, მოუბრუნებიათ,
მაგრამ ბაბალებს, პირველი რაც იყო,
ის უთქვამს, ცოცხალი თავით მე იქ
შემსვლელი არა ვარ, ისევ გული გა-
მისხლებო და ამის შემდეგ, საწყალს,
ლოგინიდან თავი ველარ აუღია... ახლა
კაპკაპი მთაში, იმ სოფლისკენ, სადაც
ეს ექვსნი რალაც საქმეზე მიდენილან
(მართლა, ნეტავ რათ მიდიან?), იმიტომ
მიდის, რომ იქ გათხოვილი თავისი დო-
ბილი და ნათლია დუდანა მოქებნოს
(ცოცხალი იქნება, იმას რა ჰირი მოპ-
კლავდა?), სასამართლოში წაიყვანოს
(იმას გული არ წაუყვა) და ის ბედნიერი
დღე გაიხსენონ, მიხას რომ ამოუდგა
გვერდში (მიხას კვალზე იაროს, ვინც
ამ დღეში ჩამაგდო!) სოფლის პატარა
ეკლესიაში. და თუ ასე არ მოხდა, თუ
პენსია არ დაუნიშნეს, კაპკაპიც არ იდა-
რდებს, მაგრამ დამუჭრებულია, საფლა-
ვიდან წამოხტება, მიხასაც გამოიყო-
ლებს და იმ მოსამართლეს შუაღამისას
დაადგება თავზე...

აპა, შვილნი უკვე მოგროვდნენ მდი-
ნარის პირას! ეს ექვსნი და, მეშვიდე კი


ის ბიჭი იქნება, სოფლის ქვემოთ ჩაქ-
როლილი მანქანიდან რომ გადმოხტება.
აპა, ის ოციოდე წლის თმამაქვს.
ლი ბიჭიც. მანქანიდან გადმოხტა! მან-
ქანამ გზა განაგრძო. შოფერს უკან არც
მოუხედავს, თითქოს ასეც უნდა ყო-
ფილიყო, სწორედ იმ ადგილას, გაქა-
ნებული მანქანიდან ბიჭი უნდა გადამ-
ხტარიყო. ის გზა კარგა შორს იყო,
გზიდან ამ მდინარისპირამდე ბილიკი
მოდიოდა და ცხადია, ბიჭის მანქანი-
დან გადმოხტომა არავის დაუნახავს
ექვსთაგან. ვიდრე ბიჭი აქ მოვიდოდა,
ცოტა დამშვიდდა კიდევაც და, ისე
უბრალოდ შემოუერთდა მდინარისპი-
რას შეყრილი თემს, თითქოს მცირე
ხნით საღდაც გადაუხვია და ისევ დაბ-
რუნდაო.

მთაში უწვიმია. მდინარე აღიდებუ-
ლა და გაღმა გასვლას კარგა ხანს ვერც
ერთი ვერ გაბედავს. შვიდივენი იმ სოფ-
ლისკენ მიდიან, რომელიც სახელს უკვე
იიხოვს, რადგან, შვიდი კაცი რომ ერ-
თი სოფლისკენ მიდის, იმ სოფელს სა-
ხელიც უთუოდ უნდა ერქვას.

ჩალაური...
შვილნი ჩალაურისკენ მიდიან...
ამ შვიდმა ერთმანეთისა ჯერ არაფე-
რი იცის, გარდა იმისა, რაც ერთი და-
ნახვით დაინახეს, გარდა იმისა, რისი
თქმაც კაპკაპმა დედაბერმა მოასწრო
და რომ ყველანი ჩალაურისკენ მიდიან.
ამ შვიდთაგან არც ერთი არ არი ჩა-
ლაურში ნამყოფი, თუ არ ჩავთვლით
ქალაქიდან წამოსულ დედაკაცს, მაგრამ
დანამდვილებით, სხვებმა კი არა, იმა-
ნაც აღარ იცის, არის თუ არა კიდევ
ეს ჩალაური, ან ვინც იქ ეგულვებათ,
მართლა იქ დახვდებათ თუ ტყუილად
მიდიან და აღარაფერი დარჩენილა იქი-
დან, რასაც ამათ წარმოადგენაში ჩალა-
ური ერქვა.

ამბავი შვიდი ადამიანისა უკვე მომ-
ხდარა. ახლა ეს შვილნი აქ, ამ მდინა-
რის პირას, მხოლოდ იმიტომღა მოსუ-

თავაზ ბიბილური
შვიდი ხმისა და ტოროლასათვის



ლან, რომ გზას დაადგინენ და საღადაც, ჩალაურში, ეპილოგოლა გათამაშდეს. ეს შვილნი ჩალაურში ეპილოგის საძებნელად თუ ეპილოგთან შესახვედრად მიდიან. შვიდივენი თავის ხმაზე მოსთქვამენ და ეს ხმები ხან ერთმანეთს ერწყმის, ხან აქეთ-იქით ნამსხვრევებივით იფანტება.

— სიკვდილი ფეხებზე მკიდია, სადაც მინდა იქ მოგვკვდები!

— რა გაცინებთ? საცინლად თქვენნი თავი აიგდეთ, მიყვარდა და სიყვარული დაგუმტკიცე!

— ამ ხარებს ცოცხალი თავით არ დაგანებებთ, მოგვკვდები და არ დაგანებებთ!

— მიხა შენი ქმარი არ იყოო... მაშ თქვენია ეს ოთხი შვილი-მეთქი? ეგრე სასაცილოდ დაბერდით-მეთქი!

— თუ ეს ბიჭი მთაში დეარჩინე, ხო კარგი, თუ არა და არ ვიცი...

— დიდდა გაგიქდა! არსებობს კი ეს ჩალაური?

— მომწყინდა გზა-გზა წანწალი... ნეტა ვიცოდე მაინც რა მინდა...

ამბავი მაინც აბრია მახაურით იწყება... მახაური კაცია და თანაც სიკვდილთან შესახვედრად მიდის! განა ბევრი გვეგულება გარშემო, რომ სიკვდილთან შესახვედრად თავისი ფეხით მიდიოდეს, იქ, ზემოთ, ჯერაც უნახავ და გაუგებარ ჩალაურში... მიდიოდეს ისე, რომ არც გზა იცოდეს, არც ბილიკი. ჩალაური კი ჰქვია, მაგრამ არის კი იქ სოფელი, ხალხი, ჯამაათი? დახვდება ჩალაურის გადასწვრივ მწყემსების ბინაზე, თავისი შვილიშვილი, თვრამეტი წლის გიორგი?



განსაკუთრებული მართლა არაფერი მომხდარა. მახაური ცისკრის ვარსკვლავმა გააღვიძა. გაიხედა ღია კარში და ის ერთადერთიდა კრთოდა დასალიერთან. მახაურს აღგომა დაეზარა, თავის სიცოცხლეში პირველად დაეზარა. ლოგინი რაღაც ძალით იზიდავდა, ებ-

ლაუჭებოდა და არ უშვებდა, სწორედ იმ დროს გაიფიქრა, მგონი ვეფხვეფხვეფ... ჰქერზე თვალმიჩერებულნი, უსმენდა ტახტის კრიალს თუ ამ წყვეული ლოგინის ჩურჩულს, რომელიც ჰა და ჰა, საცაა იტყოდა, დღეს, ზაფხულის მიწურვილს, როცა ყურძენი თვალში შედის და შენც ერთი სული გაქვს ვენახში წასვლისა და ფერშეცვლილი მტევნის ხილვისა, უნდა მოკვდეთ. ბარემ ნულარ წახვალ, დამიჯერე, იყავი ჩემთან და ყველაფერი იმგვარად დაასრულე, როგორც შეგფერის, როგორც ცხონებულმა მაიკომ დაასრულა, — მშვიდად და უდრტვინველადო.

მახაური მართლაც მშვიდად უსმენდა იღუმელ ჩურჩულს და ფეხზე ველარ დგებოდა. რიქრაქი კარგა ხანია გაილია, ჩიტებმა გალობა დაასრულეს, მზე ამოვიდა, ვილაც ქალმა (ვილაცამ კი არა, კახბა ზიზილომ) მახაურის რძალს გადმოსძახა, როგორა ხარ, შინ არ მეგონეო, მოიკითხა და მახაურიც იკითხა. ლობეში ვარიასავით ფრთხილად შემოყო თავი (რალა ვარიას, დაბერდა ეგეცა), მიიხედა-მოიხედა და რაკი მახაური ვერ დანახა, გადმოვიდა, კურტუმო მიიქნ-მოიქნია. კაკანი გააბა. რძალმა ქათმები დააბურა, საქონელი ორლობეში გარეკა და ეზოს დაგვა დაიწყო.

მახაური ვერა და ველარ დგებოდა. ერთი სული ქონდა ბოლომდე გაეგო რა სურდა ამ ოფლით დანამულ ლოგინს, რის გამხელას აპირებდა, რათა ბოლოს, როცა ყველაფერი ნათელი გახდებოდა, ისე მოქცეულიყო, როგორც თავად უნდოდა, როგორც თვითონ წარმოედგინა ფიქრში, ფიქრში თუ ცხადში, განსაკუთრებით მას მერე, რაც ამქვეყნიდან მაიკო წავიდა და მახაურმა, მარტო სიკვდილის გარდუვალობა კი არა, აუცილებლობაც იგრძნო.

რძალი ეზოს ჰკვიდა და ცოცხის ხმა ბერიკაცის ტვინს ფხოქნიდა. ცოცხიც თითქოს იმ სიტყვებს გაიძახოდა, რაც მახაურს განთიადისას, სიკვდილის მოლოდინთან ერთად აეკვიატა და რაც

კარგად აღარც ახსოვს, როდის უთხრა რძალმა:

— რატომ არავინ გიყვარს მამამთილო?

უკან მთელი ცხოვრება ოდო, მაგრამ ამ წუთში, მახაურის ფიქრში, იმ მიღმა ცხოვრებიდან ამ სიტყვების გარდა აღარაფერი დარჩენილიყო.

— მართლა არავინ მიყვარდა? მართლა იმგვარად გავლიე ამოდენა წუთისოფელი, რომ ერთიც ვერავინ გავიხსენო, ვისთვისაც ვიცხოვრე და ვისთვისაც სიკვდილი შემეძლო?

ამის გაფიქრებაზე მახაური კვლავ ტახტზე ბორგავდა, კვლავ სულს უფხოვნიადა ეზოდან შემოსული ცოცხის ხმა და ახლა ის სიტყვები ახსენებოდა, რომელიც რძალმა კი არა, ვიღაც მეზობელმა უთხრა, ჯერ კიდევ მაშინ, მახაურს რომ ჰაბუკი ეთქმოდა:

— შენ ლოგინში არ მოჰყვდები...

ხო და ხო, რად უნდა მოგვედო ლოგინში? რა დროს ლოგინია... ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა! ჯერ მახაურს თურმე ისიც კი არ დაუმტკიცებია, რომ ამქვეყნად იცხოვრა, ამოდენა გზა გამოიარა და ამ გზაზე სძულდა კიდევ და უყვარდა კიდევ. უყვარდა! და ახლა, ღმერთის წინაშე წარდგომის წინ, ისიც კი შეუძლია თქვას, რომ იმგვარად უყვარდა, როგორადაც ამ ცისქვეშეთში ბევრს არავის ჰყვარებია. ამან კი უთხრა, რატომ არავინ გიყვარს მამამთილო, ამან, მახაურის გვერდით ამდენი წელი რომ იცხოვრა, დაუჩინა შვილიშვილები, და განსაკუთრებით ის, გიორგი, ვისი უქანასკნელია ხილვის სურვილიც ამ დილით მოეძალა მახაურს.

ბერიკაცი ტახტზე ბორგავდა და ეს ტახტიც ეზიზღებოდა. ეს ძველისძველი ტახტი, რომელზეც ბედნიერი დღეები თუ წლები გაატარა თავის მაიკოსთან ერთად, განზე ორგულივით გამდგარიყო. ამასაც აღარაფერი ესმოდა მახაურისა, მართო ებლაუჭებოდა, ეჭიდებოდა და არსად უშვებდა... მახაურს კი წასვლა მოუნდა, ლოგინზე სიკვდილი

რა სათქმელიარ, იმ მეზობლის დიდი ხნის წინანდელი ნათქვამი სიზმარივით უნდა ამიხდესო, მეზობლისა, დიდი ხნის წინათ რომ უთხრა სიცილით: შენ ლოგინში არ მოჰყვდებიო.

ავისტოს მიწურვილია...

თუ უკვე დაღა სექტემბერი?

— სექტემბერი დაღა, რძალო?

— ამ კაცს საამქვეყნო პირი აღარა აქვს, ნეტა ცოტა ხანსაც გაიტანოს თავი, ვიდრე ქმარ-შვილი მთაშია, ვიდრე იქაური საქმე არ მოთავებულა და ცხვარი ბარისკენ არ დაშვებულა. რა დროაო, რომელი თევია, კითხულობს...

ცოცხი უფრო და უფრო ფხოვნის მახაურის ტვინს... ტვინს კი არა, ხსოვნას, წარსულ დროთა ჩაბნელებულ შრეებს, სადაც მახაური ხელის ცეცებით მიდის და მართო იმის ფიქრსა და რკვევაშიდა — უყვარდა კი მართლა ვინმე, მართალი ხომ არ არი ეს დედაკაცი, თან ეზოს რომ ფხოვნის და თან მეზობლის ჭალს გაუთავებლად ელაპარაკება, სიმართლე ხომ არ უთხრა, საბოლოო და ულაპარაკო სიმართლე?

მახაურს არ უყვარს წარსულ დღეებზე ფიქრი.

მახაურს ეშინია წარსულისა. მართო დღევანდელ დღეზე ფიქრობს და იმ წუთზე ხვალისდელი დღისა, სიკვდილს რომ უნდა შეხედეს. და როცა ფეხზე წამოდგა, როცა ერთხელაც სძლია ლოგინს, იგრძნო, რომ სიკვდილს კი არა, წარსულზე ფიქრს გაექცა.

არა, არაფერი ხდებოდა სიკვდილის წინ ისე, როგორც მახაურს წარმოედგინა. ყველაფერი სულ სხვაგვარად, უკულმართად მიდიოდა და მახაური გრძნობდა, როგორ ემატებოდა ჯანი, როგორ სძლია იმ ჯადო ტახტს, ნელნელა გათავისუფლდა მისგან, ბოლოს კი გაიფიქრა, აჰა, მაინც ავდექი, ვაჯობე, ახლა კი აღარაფერი მიჭირსო, და ხმამაღლა დაიძახა:

— არ მეშინია! რათ უნდა მეშინოდეს?

თავაჯ ზიზილური

ზვირი ხმისა და ბოროლასათვის



იტყვიან ხოლმე, არ ვიცით როდის მოგვკვდებითო. როგორ არ ვიცით? ძალიან კარგადაც ვიცით, მაგრამ საკუთარ თავს არ ვუტყდებით, გულშიც არ გავივლებთ. ფიქრში მუდამ სხვა კვდება, თუნდაც ის სხვა ჩვენი სისხლი და ხორცი იყოს, ჩვენ კი მუდამ ცოცხლები ვრჩებით. წინათაც ვიცოდი და ახლა ხომ ვიცი და ვიცი, ყველაფერი მორჩა, ყველა ხელადა გადაიწურა, ყველა კოკა დაიცალა, წვეთიც აღარ დარჩა ტყუილი იმედისა...

სიკვდილზე სხვა დროსაც უფიქრია მახაურს, მაგრამ გულგარეთ უფიქრია, გულში მაინც რაღაც იმედი ჩარჩენილა და ის იმედი დღემდე მუდამ გამართლებულა. ახლა იმედის ნასახიც აღარ კრთის, იმედი გულგარეთაა, თავისთვის მიყუჟული, ჩაჩუმებული და დატუქსული, შეურაცხყოფილი, მატყუარა იმედი... გულში მხოლოდ აუტღენელი მოლოდინი და დაჭერებაა: დღეს თუ არა ხვალ დილით, ხვალ დილით თუ არა ორ-სამ დღეში მაინც, ულაპარაკოდ მოვა სიკვდილი და მეც, მეტი რა ძალა მექნება, დავენებდებით.

— ჩემი ბიჭი მაინც იყოს აქა — სწორედ მაშინ ჩაილაპარაკა მახაურმა და ეს აზრი ისე მსხნელივით გამოეცხადა, ხელიდან აღარ გაუშვია. „ჩემი ბიჭი“ ის იყო, თვრამეტი წლის გიორგი, მახაურის ფიქრით, სიკვდილის დროს, მის წინ რომ უნდა მდგარიყო. და ეს იმდენად მტკიცე, იმდენად მწყურვალე კაცის ფიქრი იყო, რომ ფიქრად ვეღარ დარჩა და მახაურმა რძალს ხმაამალა გასძახა:

— გიორგი მაინც იყოს აქა!

— აბა საიდან დავიბარო? ან შენი შვილი გამოუშვებს? საცაა ცხვარი დაიძრება...

— შარშან ხო გამოუშვა?

— კარგი ქნა რო გამოუშვა? ცოტა ზარალი ვნახეთ? ათი კვერი ყველი ქიტამ გადამალა, ხუთი — ტუხომ. კალტი კიდევ სხვა იყო...

— მაინც ხო ჩამოვიდა?

— ისევ თავისას ამბობს!

— იმდამესვე ჩამოვიდა...

— თუ ჩამოვიდა, რაო? ~~ჩაიწიდა~~ მქუტი რა ვნახეთ? შენ ტყუილად დაიბნა რე, მეორე დღესვე ფეხზე წამოხტი.

— ხო, აღარ მოგვკვი.

— შენ თუ გიყურეთ...

სწორედ იმ დროს გამოჩნდა მხიარული ნუცა!

რა ხანია არ ენახა, რა ხანია თვალი არ შეეგლო ნუცას გაღიმებული პირისთვის, ეგრე, გაღიმებული რომ შეაბერდა წუთისოფელს, ქვეყნიერებას რომ უღიმოდა, ხუთი შვილი კი ჩადო სამარეში, ორი თავისი ხელთ, სამი — არ იცის სადა. საწყალი ნუცა! ყველასთან უწყინარი, ჭკუამხიარული, თითოთ საჩვენებელი ნუცა! უიმისოდ ან ქორწილი როგორ ჩაივლიდა, ან ქელეხი. განა ვინმე ემატიებოდა? ხუთსაკაციანი სიაც რომ ჩამოეწერათ, იმ სიაში ნუცას ჭაჭანებაც არ იქნებოდა. მაინც სამღურავს ვერ იტყოდა, ვერც ოჯახისას, ვერც წუთისოფლისას, რადგან ნუცა სიის გარედაც იგულისხმებოდა. სია რაში სჭირდებოდა იმას, ვინც ყველაზე ადრე გამოჩნდებოდა, ვინც თავად გახდებოდა მოპატიჟე, ვინც დაჰკვიდა და დააკრიალებდა სახლ-კარს, დარეცხავდა ჯამქურქელს, ჰიშკართან შეხვდებოდა მოსულს და თუ თავშივე არა, როცა დოღგარმონის ხმაზე ერთ ხანობას დარცხვენილი გოგო-ბიჭები ერთმანეთსა ჰკრავდნენ ხელს, არა შენ გადადი, არა შენო, ბოლოს მაინც, ყველა რომ დაიქანცებოდა, ისე გაშლიდა ხელებს, ისე დასჰქექდა, იმგვარი ღიმილით გადაეხსნებოდა პირი, იტყოდით, ამისთანა ბედნიერი დედამიწის ზურგზე არავინ დადისო... ახლაც ბედნიერად მოვიდა, ახლაც გაღიმებული და აპრია მახაურსაც სულში ნათელი ჩაელვარა. თითქოს წარსული გაცოცხლდა, თითქოს სოფელი ისევ ნუცასი გახდა, ნუცას ხმით დასჰქექა და ნუცას ღიმილით გამოიხედა. მაინც შუბლი შეუკრა, მაინც არ გაუღიმა, მაინც ტარაბუცა ნუცა დაარქვა გულში და ის იყო რძალს დაუძახა, რაიმე გამოუტა, ხმელი ხილი უყვარსო, რომ ნუცამ ქვა

აადგო და თავი შეუშვია, რას ამბობთ, რა დროს ეგ არიო, დილას აქეთ მწეგარი ძაღლივით დავდივარო. განა არა, მითხრეს, ჯერ აბრიასთან გადადი, ჯერ იმას უთხარი, მერე სხვებსაც ჩამოუარეო, მაინც, არ იცი ჩემი ამბავი, ხან იქ შევრჩი, ხან აქ, მზე უკვე წამოვიდა და შენამდე ძლივს მოველო. ვინ იცის, უკვე მოკვდა კიდეცო...

— ვინაო? ვინ მოკვდაო?

— ღმერთმა რო არ იცის იმისი თავი და ტანისო! არ იცი, რაც იყო, ახლაც ის არიო, თავი ვაჟკაცი ეგონა, ერთი ბეწო რამეზე კი შეშინდებოდაო. ნეტა სიკვდილს გავახსენდებოდე და სამღურავს ვიტყვიო?

აბრია მახაური მარტო იმას მიხვდა, რომ ვილაცა კვდებოდა.

ამ სიკვდილმა კი მახაურის გულს არაფერი უთხრა.

მახაური თავდაც ელოდა სიკვდილს და სხვისი სიკვდილი იმდენად უბრალო და ბუნებრივი გამოჩნდა, როგორც აი იმ შემკუქნარი ფოთლის ჩამოვარდნა გამოჩნდებოდა, ჰა და ჰა, ძლივსღა რომ თრთოდა მსხლის ტოტზე.

აბა თუ ერთი წუთით ჩამოაჯდეს!

— ჩამოაჯდომისთვისა მცალიაო? არ იცი იმათი ამბავი, სამი წელიწადია დღე-დღეზე ელოდებიან, ეს დალოცვილი აღარ მოკვდა, განა ადვილია ავადმყოფის მოვლა... იცინე, იცინე. შენ რა გენაღვლება, ერთხელაც არა ჰყოფილხარ ავად, მარტო ცხონებული მაიკო ჩამაადნე, ის გაისტუმრე და შენ აქ დამრჩიო...

აბა, ახლავე დაიკარგე აქედანაო!

ერთბაშად არ შემაშინოა!

აბრია მახაური ახლა იმას მიხვდა, რომ ნიკა ჰაბაური კვდებოდა, აბრიას სიყრმის მეგობარი. სამი წელიწადი რომ ლოგინიდან აღარ ამდგარა, სამი წელიწადი რომ ჩამოადნო მოლოდინით ოჯახი, აბა, დაუდგა დრო და ახლაც არ აპირებს წასვლას, ახლაც ეზარება, ეზარება კი არა, ეშინია.

— აიჩემა, მართლა უნდა მოკვდეთ? მართლა აღარ უნდა ვიყო? ვე-

ლარც მწვადი უნდა ვკამო, ველორც ღვინო დავლიოო? ლანძღვა დაგვიწყო! ადგნენ და თავი დაანებეს, მარტოც დაარჩინეს. მე დამიძახა, არ გახსენდებოდა ნუ გეშინია, არსად არ წავალ-მეთქი! არ წაველ... ახლა მე არ დამიწყო? მაშ შენ დედამიწაზე უნდა იარო და მე აღარაო? რა გასაჩინე შენ იყავიო? მეც კარგისები ვუთხარი...

ნეტა რა უთხრა?

— ახლა შენი გულისთვის სიკვდილს გააუქმებენ-მეთქი...

არ შეეცოდა? რატო არ შეეცოდა?

— მაინც შემეცოდა... ნუ გეშინია, მწვადსა და ღვინოს იქ დაგახვედრებენ-მეთქი...

ისიც ერთბაშად დაიჯერებდა!

— დაიჯერა! აბა ერთი ხელადა მამა-წოდებო... მივაწოდე და საწყალმა, ვე-ლარ მოსვა...

ნუცამ ცრემლები გადმოყარა. ეგრე იცოდა, უცებ იცინოდა, უცებ ცრემლებს გადმოყრდა, ხარხარს დაიწყებდა, ახალი ამბავი გაახსენდებოდა და წინასწარ იცინოდა.

— ეს რა მხიარული ყოფილა წუთისოფელიო... — პირველად იმ წუთში გაიფიქრა აბრია მახაურმა და გაიცინა. დიდი ხანია არ გაუცინია, რძალმა უცინარი შეარქვა. სოფელიც ყომრალ და უქმურ მახაურს ეძახდა. თუმცა პირში თქმას ვერც რძალი გაუბედავდა, ვერც სოფელი. ხო, მართლა მხიარული ყოფილა წუთისოფელი! აბრია მახაურს კი გამოჰპარავია, ვერ დაუნახავს, თვალი ჯავრით ჰქონია დაბინდული. აგე, ნიკა ჰაბაური კვდება და მთელი სოფელი იცინის. მთელი სოფელია, მაშ რა, თუ იმისიანებმა არ მოიკლეს თავი, ეს ნუცა რალათ მოიკლავს თავსა. ნუცა კი მთელი სოფელია... ამ უბრალო ჰეშმარიტების მისაგნებად აბრია მახაურს ოთხმოცი წელი უტოცხლია, ოთხმოცჯერ შემოუვლია დედამიწას მზის ირგვლივ, აბრია მახაურზე კი ოთხმოცჯერ კი არა, ათასჯერაც უთქვამთ, უშუბლგა-

თამაზ ზივილი

შვიდი ხმისა და ბორჯოლასათვის

უხსნელი კაცია, წუთისოფელში გულიანად ერთხელაც არ გაუცინიაო.

— აჰა, გავიცინე! — თქვა მახაურმა.

— ძლივს არ გავაცინე! — გაიბადრა მხიარული ნუსცა.

მაგრამ მახაურის სიცილი მაინც არ გავდა მთელი ქვეყნიერების სიცილს... ეს მაინც მახაურისებური სიცილი იყო. მაინც პირქუში და მაინც მსგავსი უფრო მზის ჩასვენებისა, ვიდრე მზის ამოსვლისა. მაგრამ ვიდრე მზე მართლა ჩაესვენებოდეს, მახაურის ცხოვრების ამ მხიარულ დღეს, ბევრი რამ იმგვარი უნდა მოხდეს, რაც შეიძლება სხვათათვის იყოს უმნიშვნელო, მახაურისთვის კი დიდი მნიშვნელობისა და ღრმა აზრის მქონე იქნება.

მაინც რა უნდათ, რაზე გამოგზავნის მახაურთან ეს მხიარული ნუსცა?

— თუ დააწყნარებს, მახაური დააწყნარებსო...

— რა დაწყნარება უნდა, მოკვდება და წავა...

— ღმერთთან გაბრაზებული არ უნდა წავიდეს...

— სანამ იქ მივა, დამშვიდდება...

— ილანძვება, შეშინებულები არიან, კაცო!

— რამ შეაშინათ?

— გაბოროტებული რო წავა, ჩვენც თან წაგვიყვანსო!

ისინი უკვე გზაზე მიდიოდნენ, ქალი წინ მიუძღოდა, მახაური უკან მისდევდა. ორლობებთან ხალხი იდგა, ბერიკაცები და დედაკაცები ჭარბობდნენ და მახაური მიხვდა, რომ ისინიც სიკვდილს ელოდნენ და რომ უკვე მთელმა სოფელმა იცოდა, ნიკა ჭაბაურს ამ ქვეყნიდან გაყრა ეძნელება, ყველა დამჩნომს ლანძვას და ახლა აბრია მახაური დაიბარეს, რომ დააწყნაროს, ჭირის ოფლი მოსწმინდოს და საიქიოში დამშვიდებული გაისტუმროს.

— თუ შეეშინდება, აბრიასი შეეშინდებაო...

— მე რა საფრთხობელა მნახეს?

— სამაჩერა ჰყავ ნაცემიო...

— ახლაც სკემსო?

— იცოცხლე, მოუხდებოდა... მეც არ დამიწყო ლანძვლა?!

— რაღა ახლა დამიბარესო... თუ რობდა მახაური და თან ნიკაც უცოცხლებოდა. უბედურ ნიკას დასაწყნარებლად კი სწორედ მახაური უნდა დაებარებინათ და სხვა არავინ. მახაურის მორიდება მუდამ ჰქონდა სოფელს, თუმცა თავად ყოველთვის უევირდა ეს მორიდება და ცოტა აბრაზებდა კიდევ. მახაურის დაბარება არ იყო გასაკვირი. ეტყობა, ღმერთიც მხიარულ ხასიათზე დამდგარიყო და საწყალი ნიკას ჭირისუფლებისათვის იმ კაცის მოხმობა ჩაეგონებინა, ვინც თვითონ ფიქრობდა სიკვდილზე, ვინც საკუთარ თავს უთხრა: ახლა კი მართლა გვევლებიო და იმანდა შეაშინა, რომ სიკვდილის წინ თავის შვილიშვილს — გიორგის ვერ შეხედავდა. ახლა მახაურს მხოლოდ გიორგი ჭირდებოდა — სიკვდილის დღე თვითონაც დასდგომოდა და ამ დღეს უნდოდა, შინაურებიდან ყველა დაეთხოვა და სადგომში მხოლოდ თავისი გიორგი დაერჩინა, მისთვისა ეცქირა. ხო, ამგვარად ქონდა ბერიკაცს სიკვდილის დღე წარმოდგენილი, ამგვარად ხედავდა ამქვეყნიდან გაყრას და დღესაც, როცა იგრძნო, მართლა გვევლებიო, ისლა აწუხებდა, ეგრე ხელად ვინ გავგზავნო მთაში, რომ ბიჭი ჩამოიყვანოსო, რათა ყველაფერი იმგვარად მოხდეს, როგორაც ჩემს ფიქრში მრავალჯერ მომხდარაო. ახლა კი სხვის დასამშვიდებლად იბარებენ, და მთელი სოფელიც იმის იმედით გამოფენილა გზაზე, აბორგებულ და დაშინებულ ნიკა ჭაბაურს მახაური თუ დაამშვიდებსო. სოფლის გზაზე თითქოს ექიმბაში მოდიოდა, სადღაც ცხრა მთას იქიდან საგანგებოდ, საამდლოდ მოწვეული და საფიქრალი ისლა დარჩენილიყო, გაამართლებდა თუ არა ეს საქვეყნოდ ხმაგავარდნილი ექიმბაში, შესძლებდა თუ არა იმას, რომ თავისი გრძნეული ხელით, სიტყვით თუ შემოხედვით, გაბოროტებულ ნიკა ჭაბაურს ღმერთისთვის მშვიდად მიებარებინა თავისი

სული. მაგრამ მახაური ვერავის ხე-
დავდა. მისთვის სულერთი იყო ვინ
იდგა ჭიშკართან ან სოფლის წყაროს-
თან, ვინ რას ეკითხებოდა და ვინ რას
ურჩევდა. მახაური ნიკა ჭაბაურის და-
საწყნარებლად მიდიოდა, მაგრამ ნიკა
ჭაბაურზე სულაც არა ფიქრობდა, ის
საკუთარ თავზე და იმ გზაზე ფიქრობ-
და, რომელსაც ამ დღეს, თავისი ცხოვ-
რების უკანასკნელ დღეს უნდა დასდ-
გომოდა. მახაური აუცილებლად გზას
უნდა დასდგომოდა, თუნდაც ეს გზა
იქით წასულიყო, საითაც თავად გზას
სურდა, თუნდაც სიკვდილი გზაში წა-
მოსწყოდა... წამოწევია? თუ სიკვდილ-
თან შეხვედრა, სადღაც, გზაზე, მოუ-
ლოდნელად, სწორედ იქ, სადაც თავად
ის ინებებს, ბრძენი სიკვდილი! ახლა
ამ ფიქრმა გაუხსნა მახაურს მოქუფრულ
ღრუბლებს შორის ცის პატარა ნაგლე-
ჯი. მე რად დავუცადო, ისიც შინ, ლო-
განში? ვიწვე და ველოდო? განა გულ-
მაგარაანთ ფეფო ვარ? ან ჩემი ძმობი-
ლი ნიკა, ვისთანაც ახლა მივდივარ!
ავდგები და წავალ... მე თვითონ და-
ვუხვდები გზაზე, ვეტყვი, ფეხებზე მკი-
დინხარ-მეთქი, გავაბრაზებ, რომ თავი-
სი საქმე დროზე ქნას, თავის საქმეში
მართალი იყოს, ყველაფერი დამშვი-
დებული სინდისით აკეთოს, ჩემი არ
შეეშინდეს... რა ვიცი, იქნებ ეგრეც
ხდება, იქნებ ჩვენზე მეტად იმას ეში-
ნია და რაკი ჩვენზე მეტად იმას ეში-
ნია, ის უფრო უნდა გვეცოდებოდეს...

- ხუთასი სული ყავთ დაპატიყე-
ბული...
- როდის მოასწრეს?
- ორმოცდაათს მარტო მე ვუთხა-
რი. იმიტომ დამაგვიანდა.
- რა ეჩქარებოდათ?
- ვერ გავამტყუნებ, სამი წელიწა-
ლია ყოველდღე ელოდებიან. ღმერთმა
ამდენი ნუ მაცოცხლოს.
- რატო თავს არ იკლავ?
- რათ უნდა მოვიკლა? მზე ხო ამო-
დის და ჩადის...
- ნეტა შენ ეგრე გალაპარაკა...
- მახაური მიდიოდა და ახლა თავის

კოლზე მაიკოზე ფიქრობდა. მაიკოს
გახსენებამ რაღაც ნათელი ჩაუღვარა
გულში: ახლა აღარც ნიკა იქნებოდა,
აღარც სოფელი... ისევ შეეძლო მაიკოზე
ეფიქრა... სხვა ყველაფერი დაეწყების
ბურუსში ჩამარხულიყო. წინ აღმარ-
თული შავეით თითქოს ნელ-ნელა ნათ-
ლით იმოსებოდა. მახაური მარტო აღარ
იყო. შავეთისაკენ წასვლა ერთბაშად
გაადვილდა და მახაური იმ მგზავრებით
გახალისდა, სადღაც, დიდი გზის ბო-
ლოში, მოუთმენლად რომ ელოდებ-
ვიდაცა. ამ ფიქრში ყველაფერი გაუ-
ცხოვდა: ეს გზაც, ეს ეზოებიც, ეს სახ-
ლებიც, მარნებიც და ბაღჩებიც. მთელი
სოფელი გაუცხოვდა. მახაური კი ამ
უცხო სოფელში სტუმრად მოსულა.
წასვლის დრო კარგა ხანია დამდგარა
და იმგვარად დამდგარა, რომ გარშემო
მასპინძლებიც აღარა ჩანან, რათა სტუ-
მარი დაემშვიდობოს და თავის გზას
დაადგეს. მასპინძლები სადღაც გამქ-
რალან, თითქოს სულერთი გამხდარა,
სტუმარი ახლავე, ამ წუთს დაადგება
თავის გზას თუ კიდევ ერთ-ორ დღეს
მოიცდის. დღეებს და საათებს აზრი და-
კარგვიათ.

- ვაითუ მოკვდა...
- რა მომკვდარიყო, გავიგებდით...
- ნუ გეშინია, თავს არ მოიკლავენ...
- თავს არავინ არ იკლავს.
- აბა შენ იცი აბრი, დაამშვიდე ის
წყველი! უთხარი, ყველანი სიკვდილის
შვილები ვართ-თქო!
- ეს ვინლა იყო?
- იმერლიანთ ფეფო...
- თვითონ რატო არ დაამშვიდა?
- ეგეც კარგათ არი გამზადებული...
- შენ არა ხარ გამზადებული?
- წამო კაცო, რა უკანა გრჩება
ფეხი...
- ცოტა ჩქარა, მახაურო, არ გავას-
წროს!
- ამას რაღა აცინებს?

თამაზ ზიზილური
შვილი ხმისა და ტორლოლასათვის

— არ იცი, ხალხის ამბავი? ღმერთო, ქვეყნის სასაცილოდ ნუ გამხდი!

— ნელა იარე, დედაკაცო!

— ჩქარა, თორემ მე დამაბრალებენ... რატო მალე არ დაუძახეო!

ეს რა სასაცილო ყოფილა სიკვდილი! მახაურს კი ეგონა, ყველაფერი ჩუმად, კიდობანთან თავის ფხაკუნის ქამს, შუღამისას ხლებს, ან მაშინ, ცისკრის ვარსკვლავი რომ თვალს გაახელსო... მიდის ეს კუქამხიარული დედაკაცი და მახაურიც მისდევს, თითქოს რაღაცის საპოვნელად მიდიანო, თითქოს ზეციერი ხმები ჩაესმითო, თითქოს წინ უქიდევანო სივრცე გადაიშლება და გამოჩნდება ახალი სამყარო, რომლის მსგავსიც თავის ცხოვრებაში არ უნახავთო. ეს ნიკა ჭაბუერი რომ არა, მახაური მართლა დაიჭერებდა წინ გაწოლილი გზის ბოლოში ახალი სივრცის გადახსნას. ეს იმგვარი სივრცე იყო, რომლის არსებობაც მახაურის პირქუს ბუნებას სოფლის თვალში არა არ ესადაგებოდა, მახაურს კი გულში მუდამ სჯეროდა. წუთისოფელმა არ დააყარა ახალ სივრცეთა მოხილვა, წუთისოფელმა მკაცრად შემოზღულდა რკალი მისი ცხოვრებისა და იმ ხაზს იქით აღარ გადაუშვა, ფიქრითაც კი აღარ გადაუშვა. რა არი ერთი ნიკა ჭაბაურის სიკვდილი იმასთან, რასაც ამ სივრცეთა მოხილვის წყურვილით ანთებული მახაური განიცდიდა მუდამ და თანაც ისე, რომ არც იცოდა რა ხდებოდა, თავადაც ვერ დაარქმევდა სახელს, თავადაც ვერ ჩამოქნიდა სიტყვებად. და რომ შესძლებოდა კიდევ სიტყვებად ამისი გამოხატვა, იმდენად საკუთარი იყო ეს განცდა, სხვას ვერავის გაანდობდა. მიფრატუნობს წინ ეს დედაკაცი და ამისთვის ნიკა ჭაბაურის სიკვდილი იმოდენა ამბავია, ერთი წელიწადიც ეყოფა, თუ თავადაც ერთი წელიწადი კიდევ იცოცხლა. მახაური კი სულაც არა ფიქრობს ნიკა ჭაბაურის სიკვდილზე. უნდა მოკვდეს მიშ რა? და სიკვდილის წინაც ის უნდა თქვას, რასაც გულში ფიქრობს. ესენი კი ეჩხუბებიან და

ევერდებიან, — სხვა რამე თქვი, სხვა რამ დაგვიტოვე, შენც მშვიდად წადი და ჩვენც მშვიდად დაგვარჩინეო.

— აბრია მახაური მოჰყავთ! ისევ დაიძახა ორლობეში ვიღაცამ და მახაური შეჩერდა. ნიკა ჭაბაურის სიკვდილი საქვეყნო საქმე გამხდარიყო! მახაური მიჰყავდათ მხსნელად, რომელიც გადაარჩენდა ნიკას სულს და ყველას, ვინც საქაოში რჩებოდა. მახაური გმირი გამხდარიყო! გმირობა კი არც სურდა და აღარც შეეძლო. დღეს სხვა დღე იყო. მახაურის სული სხვა მოლოდინით თრთოდა, სხვა მოსახილველს ეძებდა და ნიკა ჭაბაურის წასვლა ამქვეყნიდან ისეთი ერთი ბეწო გამხდარიყო, რომ მახაურმა იფიქრა, მოდი, უკან გავბრუნდები და ისევ ჩემ სარეცელს მივხედავ, რათა ჩემი სიკვდილიც ეგრე სალაპარაკო და საქვეყნო არ გახდეს, ახლა ჩემთვის არ დაიბარონ ვიღაცა და არ შეევედრონ, ჩვენ ვერ შეგვიბეღია, მიდი, შედი, როგორც კი სულს დალევს, თვალები დაუხუჭეო.

უკან გაბრუნება აღარ გახდა საჭირო. ჭაბაურების სახლი გამოჩნდა და აივანზე ნიკას რძლებიც გამოვიდნენ.

ნუცამ მახაურს ხელი ჩაავლო:

— მორჩა, წავიდა!


— მამი!

— ჩვენო ტკბილო მამი!

დაირხა ხმები სოფლის თავზე.

— მეხი თქვენც დაგვეთ, — გაიცივნა ნუცამ და ჭაბაურებისაკენ მოკურცხლა.

მახაური მშვიდად მიდიოდა. საჩქარო აღარაფერი იყო — მოსახდენი მოხდა, ლანძღა და თათხა ქვეყნიერება, შინაური თუ გარეული, ბოლოს მაინც დანებდა საწყალი ნიკა და სული უფალს მიაბარა. დანარჩენს აბრია მახაური ისე აკეთებდა, როგორც ბევრჯერ გაუკეთებია, — აზრმიუცემლად, დიდი ამბის გარეშე, უბრალოდ და სულის ჩაურევლად. ჭიშკარი გადაიარა, ეზოში გამოფენილ ხალხს სალამიც არ მისცა, აივანზე ავიდა და კარის ზღურბლთან გაჩერდა. ნიკა ჭაბაური უკვე თვლდახუ-



ქული, გაშეშებული და გულხელდაკარფილი იწვა. „ჩვენო ტკბილო მამავ!“ — მოსტკვამდა რძალი. სარკეებს შავ ფარდებს აფარებდნენ. ავეჯი გარეთ გაჰქონდათ. ერთმანეთს რალაცას ეძახდნენ და ავალებდნენ. ნიკას თავით მარტო ის რძალიდა დარჩენილიყო, რომელიც მამამთილს „ტკბილ მამას“ უწოდებდა და ჭერ კიდევ თბილ ნიკას ამ ტკბილ სიტყვებს საიჭიოში სახსოვრად ატანდა. აბრია მახაურმა ქული მოიხადა, ცხედარს დახედა, ნიკას დამშრალ ხელზე ხელი გადაუსვა და კარებისკენ წამოვიდა. კარებთან ნუცა იდგა და ცრემლებს იწმენდა:

— ტკბილი კაცი იყო ცხონებული...
 კიშკართან მეკუბოვე ბასილა იდგა. მახაურს თავი დაუქნია და თვალი ჩაუყრა, ვითომ დამინახე, უკვე აქა ვარო. მახაურმა ზედაც არ შეხედა, ეზოს გადახედა და წამით შეჩერდა. ეზოში უკვე ბლაოდა ორი ცხვარი. ქალები ვარცლებს რეცხავდნენ. ნიკა ჭაბაურის უფროსი ბიჭი, სანდრო სადღაც გარბოდა და ვილაცას ეძებდა. მახაური უკვე აღარავის ჰკირდებოდა. მახაური მკვდარს ველარ გააცოცლებდა და კაცმა რომ თქვას, მკვდრის გაცოცლება აღარც არავის უნდოდა. „თვალი კი ჩავიკარ, მაგრამ ნაწყენი ვარ“ — ჩაილაპარაკა მეკუბოვე ბასილამ და ჭაბაურების სახლისკენ გაიხედა. „განა მეუბნებიან, ამო, ზომა მაინც აუღეო, წავალ და მეძებონ რამდენიც უნდათ“.

მეკუბოვე წინათ მექვევრე იყო. ქვევრებს აკეთებდა, დიდ, ორმოცდაათ ჩაფიანებს და პატარა ქოცოებს. ახლა ქვევრები აღარავის უნდაო და კუბოების კეთება დაიწყო. ხმამაღლა ამბობდა, ყველაზე ნალდი ეს საქმეა, ამას არაფერი მოველება, კუბო ყოველთვის დაგვჭირდებაო. დასცინოდნენ, ნეილონის კუბოები შემოსულა, რა ზომაზეც გინდა დააყენებ, კომპარტივში უნდა გაიყიდოს ხოლმეო. არა სჯეროდა, მაგრამ მაინც ეშინოდა, საღამოობით ტელევიზორთან იჯდა და თავის გულში ელოდებოდა, იქნებ კუბოებზე რამე თქვანო.

ტელევიზორში რას არ ამბობდნენ, ნახევარი მსოფლიო ერთმანეთს დაკრებულა, ნეილონისა ყველაფერი მხარზე ბინათ, კუბოზე კი ჭერ არავინ ფიქრობდა. არც ფიქრებენო, — თავს იმშვიდებდა ბასილა და იმ ღამეს ტკბილად ეძინა. მხიარული კაცი იყო და მახაური არ უყვარდა. მახაურთან ვერც სიკვდილზე ილაპარაკებდა, ვერც კუბოზე. შუა სოფელში ხალხში ჩადგებოდა და თუ ხალხიც კარგ გუნებაზე იყო, ხმამაღლა იკვებინდა, რომ მეკითხებით, რამდენზე გამოდიხარ, ყველაფერი დროზე ჰკიდიაო, გაზაფხულის პირზე, სიტყვაზე, თუ სიკვდილიანობის საქმე კარგად წავიდა, ას თუმაზეც გამოვდივარო.

მახაურმა ბასილას ზურგი შეაქცია. ბასილა იღრიჭებოდა:
 — დაიცა, მალე დაგჭირდები...
 — ერთხელ მაინც ხო უნდა დასჭირდეს კაცსა...

მხიარულმა ნუცამ გეში აიღო და კიშკართან გამოვარდა:
 — არ დაგიძახეს, ბიჭო?
 — ჭერ არა...
 — ეტყობათ დაავეიწყდათ...
 — დაავეიწყდათ და ვარცლში ჩააწვინონ!

ნუცა გაიქცა და ისევ მალე მოვარდა.
 — დაგიძახებენ.
 — შენზე კარგათ ვიცი რა დამიძახებენ.

ნუცა იცინოდა და მეკუბოვე ბასილას ფერდებში ულიტინებდა.
 — დაიცა, დედაკაცო!
 — შენ ჭიბრზე გაზაფხულზე არ მოვეკვდები.

ვილაცა აიგანზე გადმოდგა:
 — რა ამბავია, რა ყოფაში ხართ?
 ნუცა და ბასილა გაჩუმდნენ.
 მახაურმა ორივეს ზურგი აქცია და ქული ხელში დაჭმუჭნა.

ბასილა და ნუცა ახლა ღობეს ამოფარდნენ და იქ დაიწყეს ხითხითი...

თამაზ ზივილიანი
 შვილი ხმისა და ტოროლასათვის

— მოდი, ბიჭო, ზომა ამიღე! რა გენაღვლება, საქმე წინ წავა!

— მაინც უმადურები დამრჩებიან. ჩემისთანა კარგ კუბოს ვინ აკეთებს?

— კარგი კუბო რაღაა?

— ეგ მე ვიცი...

ნუცა ხითხითებდა და აქეთ-იქით ხალხს ეძებდა, იქნებ ვინმე შემოგვეერთდეს და ყური დაგვიგდოსო.

შორიახლოს უქმური მახაურის გარდა არავინ იღვა.

— აგე, ერთი თვე ვიწექი, ჰაჰები რომ მტყიოდა, ხო დააკლდათ ჩემი ხელი? ელიზბარაანთ წაქის კუბო რო გამოაჩორკინენს გიჟ ვახტოს, ხო იცინოდა მთელი სოფელი? თავს ზარის ენასავით იქნევდა წაქაო,

— ეგ რაღატო?

— განიერი იყო და იმიტომ.

— ხალხის ამბავი არ იცი? თავს იმაზე იქნევდა, უარს ამბობდა, წასვლა არ მინდაო...

— ერთი კვირა კი იცინოდნენ და...

— რა ყველაფერზე იცინიან...

ხო, აბრია მახაური აქ აღარავის ჰირდებოდა და გზას ისე დაადგა, მართლა აღარავის გაუგია. შემოდგომა ჯერ არ დამდგარიყო და ისევე ცხელოდა. ნეტა მერცხლები თუ წავიდნენო, — გაიფიქრა მახაურმა. გაჩერდა. მიიხედ-მოიხედა და თვალეირება დაიწყო. მერცხლები არსადა ჩანდნენ და მახაურს გული დაწყდა, როგორ გამომეპარა იმათი წასვლაო, თუმცა გული ყოველ წელიწადს წყდებოდა, რადგან მერცხლები მუდამ ისე იპარებოდნენ, თითქოს იყვნენ და აღარც იყვნენო. არ უყვართ დავიდარაბა. ჩუმიად მოვლენ. იცხოვრებენ, იჭიკჭიკებენ, დაზრდიან ბარტყებს და როგორც ჩუმიად მოვიდნენ, ეგრევე ჩუმიად წავლენ. კაციც ეგრე უნდა იყოს — თქვა მახაურმა და ქული დაიხურა.

— რას უყურებდი, აბრი! — დაიძახა ვილაძამ.

მახაური შეკრთა. თითქოს რაღაცა გაუგესო. მოიხედა და ჰიშვართან მევლეუ ლადო იღვა. ლადო კი არა, ღიბი ჩანდა ლადოსი, დაბერილი, წითელი

ლოყები და ქუთუთოებში ჩამჯდარი ეშმაკის თვალები. ახლა ეს თვალები ეშმაკურად კი არა, ავად ელოვნენ და მახაური მიხვდა, რომ ლადოს რაღაცა აწუხებდა.

— რას უყურებდი?

— არაფერს...

— აბა ერთი ჩამოჯექ, სიტყვა მაქ სათქმელი...

მახაური იქვე, ჰიშვარის წინ გადებულ ძელზე ჩამოჯდა და ქული გვერდზე დაილო.

— ქორწილში გეპატიებები...

აბრია მახაური ლადოს წვრილ თვალებსლა ხედავდა.

— რა ღროს ქორწილია, კაცი ჯერ არ გაციებულა...

— მეც მანდა ვარ! — დაიქუხა ლადომ.

მახაურმა ხმა არ გასცა.

— ბრძენი კაცი ხარ და მითხარი, მე ვტყუივარ? მე რა ვიცოდი თუ მოკვდებოდა! საკლავი დაკლულია, ხალხი — დაპატიებულნი! სად გადავყარო? ან ხალხს რა ვუთხრა, ყიამყრალი ნიკა მოკვდა და აღარ მოხვიდეთ-მეთქი?!

მახაურმა ქული აიღო და დაიხურა.

— შენც ვეირაფერს ამბობ...

— აკი ერთხარი, რა ღროსია-მეთქი...

ლადო ყვიროდა:

— რაღა დღეს მოუნდათ ქორწილიო! რაღა დღეს მოუნდა სიკვდილი? უკულმართი იყო და უკულმართადაც წავიდა! მკვდარზე როგორა ვთქვა ცული... სამი წელიწადია კვდება! რაღა დღესა? ერთი ღამე ვეღარ მოიცადა? ესეც ჩვენი ჯიბრია! ჩვენ ჯიბრში ამოხდა სული...

მახაური უკვე გზაზე იღვა. სხვა სოფელში ხო არა ვარო, ფიქრობდა და აქეთ-იქით იყურებოდა. სახლები, რომელთაც მახაურის თვალი შეჩვეოდა, ისევე იქ იდგნენ. მალე წყარო უნდა გამოჩენილიყო და წყაროსთან აუცილებლად უნდა მჯდარიყო ნენე, მახაურის კბილა და ყრმობის ღობილი. თუ ნენე იქ არ იჯდებოდა, აქაურობას მართლა სხვა სოფელი დაერქმეოდა და მახაურის ისლა დარჩენოდა, რომ შინისკენ

წასულიყო, თავისი სარეცელი მოეწაბა და ძონძივით მივდებოდა. ამ წუთში ის სარეცელი აღარ იყო მტერი, რომელიც მახაურს ებლაუქებოდა და არსად უშვებდა. სარეცელი ალერსით ელოდა, და მახაურიც, მორჩილი და მოტეხილი, ალბათ სწორედ სარეცლისკენ წავიდოდა, რო წყარო არ გამოჩენილიყო და წყაროსთან ნენე არა მჭდარიყო.

— საწყალი ნია... — თქვა ნენემ.

მახაურმა პირი დაიბანა.

ნენე იღვა, თვალეში შეჰყურებდა და უცინოდა.

— როგორა ხარ, ბიჭო?

— შენ როგორა ხარ?

— აი, როგორცა მკითხულობ...

მახაური აქეთ-იქით იყურებოდა, ხო არავინ გვიყურებსო. და ერთბაშად საკუთარ თავზე გაბრაზდა: რათ უნდა გვრცხვენოდეს! სიბერე სირცხვილია? გაბრაზდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ნენეს თავი დაუქნია, ზურგი შეაქცია და გზას დაადგა. დედაბერი ისევ წყაროსთან, თავის ამოჩემებულ ადგილზე დაჯდა და მახაურს შორს წასულსა და მოესმა მისი ხმა:

— ეგრე თქვეს, ილანძღებოდაო...

მახაურმა ხმა არ გასცა.

ორღობეში ძალი გამოვარდა და მახაურს აედევნა.

— დაიცა, ვერა გკითხე! — მოისმა ისევ ნენეს ხმა.

მახაური გაჩერდა.

— ბიჭისგან ხო არაფერი გაგივია?

მახაურმა ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

ბიჭისგან ხო არაფერი გაგივიაო, ამას მუდამ ეკითხებოდა ნენე. და მახაურმა უთქმელადაც იცოდა, რომელ ბიჭზე იყო ნათქვამი. ნენესთვის დრო ერთხელ და სამუდამოდ გაჩერებულიყო და მახაურს იმ ბიჭის ამბავს ეკითხებოდა, ორმოცი წლის წინ რომ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ორმოცი წელიწადი არაფერიც არ იყო! ყველაფერი გუშინ მოხდა! ყველაფერი თვალწინაა, ყველა სიტყვა ყურში ჩაესმის მახაურს და ნენეს კითხვაც — ბიჭის-

გან ხო არაფერი გაგივიაო, — ისე მიიღო, თითქოს თიბათვის დამდგეს შთაში წასულ მეორე ბიჭზე ეკითხებოდა. მახაურს არ ეჩოთიერებოდა ეს კითხვა. ის კი არა, გაუკვირდა, ნენემ თავიდანვე რომ არ კითხა, ბოლოსთვის რომ შემოინახა, გაუკვირდა და გზას მალეც იმიტომ დაადგა. კითხვა მაინც დაედევნა და ეს კითხვა ერთი იმ სიტყვათაგანი იყო, რომელთა დავიწყებაც მახაურმა ვერ შესძლო და რომელთა ირგვლივაც მახაურის მთელი ცხოვრება იყო აგებული. მახაურს არ უყვარდა ამ სიტყვების გახსენება და არც არავის ელაპარაკებოდა მათზე. ეს მახაურის საკუთარი განძი იყო, გადანახული განძი, სადაც მიფარებულში, რომლის ფარდასაც მხოლოდ მაშინ გადასწევდა, როცა განსაკუთრებული რამ ხდებოდა, როცა განსაკუთრებული ღღე იყო. ღღეს განსაკუთრებული ღღე დამდგარიყო და ეს მახაურს გარდა ქვეყნიერებაზე მხოლოდ მალაღმა ღმერთმა იცოდა: აბრია მახაური სიკვდილთან შესახვედრად ეშვადებოდა. ღღეს შეეძლო იმ იღუმალი ფარდის გადაწევა და თავისი დიდი განძისათვის საბოლოოდ თვალის შევლვა. მახაური გრძნობდა ამ წუთების სიღიადეს, რომელთან ზიარების სიხარულიც სწორედ ამ ერთი ბეწო ნენემ შთაგონა თავისი ერთი კითხვით, იმ კითხვით, აქეთ გამოვლისას მუდამ რომ ეკითხებოდა და მახაურიც ისე იღებდა, როგორც ჩვეულებრივს და აუცილებელს. ამ სიღიადეს ვერ არღვევდა ვერც სოფლის ჟრიამული და ვერც ეს ძალი, რომელიც ორღობეში ფეხდაფეხ მოსდევდა და თავს არ ანებებდა. ამასაც უცხო ვგონივარ, — ფიქრობდა მახაური — ვერც გაამტყუნებ, რახანია ამ ორღობეში არ ამომივლია, რახანია თვალის არ მოუკრავთ ჩემთვის.

მაინც გაბრაზდა და ჰიშკართან გამოსულ პატრონს დაუძახა:

— მაშ ამისთანა ძალს შინ ვიყოლიებ?

თამაზ ზვილიური

ზვილი ხმისა და ბოროლასათვის

— რას უწუნებ?

— შეეკითხე მაინც რათ იყეფება.

— ძალია და იყეფება! ბარემ მა-
მალიც დამაკვლევინე, რო ყვიის ხოლ-
მე!

მახაურმა ხმა არ გასცა, გზა განაგ-
როდ და კვლავ იმ ფარდის გადაწევა
სცადა, რომელიც მის ილუმალ ფიქ-
რებს ფარავდა და სხვათაგან თვალის
დაუკვრელად ინახავდა. იქ მთელი ცხო-
ვრება იყო...

მახაურს არ უყვარს წარსულსა და
გადავილილზე ფიქრი! როცა ამგვარი
ფიქრი ეძალემა, სახლიდან გარბის, ვე-
ნახს თოხნის, ხესა კრის, მეზობელს
ეუბნება, რამე გექნება გასაკეთებელი,
ხელს წაგაშველებო. მახაური ამ დროს
კეთილი კაცი ჰგონიათ და არავინ იცის,
რომ ფიქრისა ეშინია, წარსულის გახ-
სენებას ხარბით შრომა და ყველაფრის
დავიწყება ურჩევნია. ეს წყევული სიკვ-
დილის დღე კი ფიქრის დღე ყოფილა,
რაც ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდა,
ფიქრს ველარ გაქეცა...

ახლაც ის ომი...

ომი გაახსენდა მახაურს! ის დღე, რო-
ცა ყველაფერი დაიწყო.

პირველად იმ დღეს დაინახა, რომ
ბიჭები უკვე დიდები იყვნენ.

ცოლ-ქმარი აივანზე იდგა.

გახეხებულნი გასცქეროდნენ სივრ-
ცეს.

იქით კი ჯერ არაფერი ჩანდა. ომი
ჯერ შორს იყო და ქალის ფიქრმა ჯერ
ისიც კი დაიჯერა, რომ აქამდე ვერასო-
დღეს მოაღწევდა.

კაცმა იცოდა რა იყო ომი და ცარიე-
ლი სივრცე, სადაც ჯერ კვამლი არ ჩან-
და, არაფერს ეუბნებოდა.

— ბიჭები არ წაიყვანონ... — მოესმა
მახაურს.

— წაიყვანენ, მამ რა იქნება?

— ჩვენ რალა ვქნათ, კაცო?

— რა ვიცი...

— როგორ არ იცი, კაცი ხარ...

— არაფერი არ ვიცი...

ის დღე ლოდინში გაატარეს საღამო
მოს ქალმა თქვა:

— მგონი ქვეყანას დავაფიწყდით...

მახაურმა იცოდა, რომ ქვეყანას არა-
ვინ ავიწყლებოდა.

მეორე დღეს საბჭოს მდივანმა ჩა-
მოიარა და ორი ბიჭისთვის ორი უწყე-
ბა მოიტანა. მაშინ გადახედა მახაურმა
თავის ბიჭებს და მაშინ აწონა გონების
თვლით — გამოდგებოდნენ კი ომში
აბრია მახაურის ბიჭები, რომელთაც დე-
და ჯერ ისევ ბაღლებს ეძახდა.

უფროსი პეტრე იყო.

უმცროსი ორი წლით იყო პატარა და
გაგა ერქვა.

ყველაფერი ოჯახში მაინც გაგას ეკუ-
თვნოდა. გაგა იყო მამის სიამაყე, დე-
დის სიამაყე, და ძმის სიამაყეც... ყვე-
ლაფერი გაგათი იწყებოდა და გაგათი
მთავრდებოდა. ახლა ამისი თქმა შეიძ-
ლება, ახლა უკვე მთელი ცხოვრებაა
გასული. მაშინ კი ყველაფერი თავი-
სით, უთქმელად ხდებოდა. გაგას მო-
მავალზე ფიქრს მახაურის ვიწრო ცოდ-
ნა, მაგრამ ნათელი გონება, ძალზე
შორს მიჰყავდა. მამის თვალში ბიჭი
ციდან იხედებოდა და სოფელ-ქვეყნი-
სათვის იმოდენა საქმეს აკეთებდა, ჯერ
დედამიწის ზურგზე არავის რომ არ
გაეკეთებინა. გაგა, ნებისთ თუ უნებ-
ლიედ, ჩრდილაგდა პეტრეს და ეს უფ-
როს შვილს არ უკვირდა, არ აღიზიან-
ებდა. ოჯახი გაგას გარშემო ტრიალე-
ბდა და პეტრეც, ეს გულჩათხრობილი,
წიგნზე გულაყროლი, მაგრამ მუყაითი
მიწის მუშა ბიჭი, უმცროს ძმას ისე
შესცქეროდა, როგორც სათაყვანო
კერპს. რატომაც არა, დედამიწის ზურ-
გზე ერთი ადამიანისთვის მაინც ხომ
უნდა ეცა თაყვანი, და ის ერთი ადა-
მიანი, ისე, რომ თავადაც ხეირიანად არ
იცოდა რატომ, პეტრესთვის უმცროსი
ძმა — გაგა გამხდარიყო.

გაგა შფოთის თავი და დაუდგრომე-
ლი იყო, პეტრე — ჩუმი და უენო. ასე-
თზე ამბობენ ხოლმე, ჰიანჭველას არ
დაადგამს ფეხსო და ასეც იყო. ქათმის

დასაკლავად მუდამ გავას არ ეძახდნენ? პეტრე ამ დროს თვალეზზე ხელს იფარებდა და მეზობლებში გარბოდა, იმ ქათმის კრიახი არ გაეგონო. გაგა ამოვებდა მარტონდმარტო, შუალამისას, ტყისპირას ცხენებს, გავას ეჭირა მუდამ თოფი და სახლში სულ იმაზე იყო ლაპარაკი, მაგ თოფს ვგრე ნუ უტრიალებ, ერთხელ მიინც ეშმაკი დატენის და გავარდებათ. უფროს პეტრეს თოფი არასდროს ჭერია ხელში და ისიც არ იცოდა, ტყვია რომელი მხრიდან იდებოდა ლულაში, ან რისთვის უნდა გამოედო თითი, რომ თოფი გავარდნილიყო... ეს ყველაფერი აბრია მახაურმა მაშინ ორიოდ წუთში გაიფიქრა და ისიც ახსოვს, ორივე ბიჭი როგორ აწონდაწონა, თითქოს დედამიწის ზურგზე მოდებულნი ის სასაკლავო თავად მოეწყო და ახლა იმასლა ფიქრობდა, რომელი უფრო გამოდგება, რომელი უფრო ადვილად მოკვდება ან ადვილად გადარჩება.

მაიკო სადლა იყო? მაიკო მარანში იყო დამალული და ალბათ ტიროდა.

მაშინ მახაურმა იმგვარი რამ გაიფიქრა, რაც ვიდრე ომი არ გათავდა, მუდამ ძრწოლას ჰკვირიდა და რაც დიდი ხნის მერეც ველარ ეპატიებინა თავისთვის:

— გაგასი არ მეშინია... პეტრე პირველ დღესვე მოკვდება.

ამისი გაფიქრებისა მაშინ ისე შეეშინდა და ისე შერცხვა მახაურს, რომ გარეთ გავიდა და გზას უაზროდ დაადგა, ეშინოდა, მაიკოს არ გადაჰყოფდა და იმასაც, თავისი უტყუარი აღლოთი, როგორც მრავალჯერ გამოუცვინია, ახლაც არ გამოეცნო კაცის ნაფიქრი.

ორლობეში გავიდა თუ არა, სწორედ მაიკოს ხმა წამოეწია: შენ სადლა მიხვალ, კაცოო?! საბჭოში მივალო, — გასძახა. მაიკო იდგა და გზას გამოსცქეროდა, ხმაც დაადგენა, წადი, იქნება გადაადგილებინო... მახაური შეკრთა... მიინც დაამშვიდა ცოლი და სიტყვა დაურჩინა: ვეტყვი, მე წამიყვანეთ, მე უფრო ვიომებ-მეთქი... ეგრეც იქნებაო,

ურს არ გეტყვიანო... — დაადგენა ცოლმა და შინ შევიდა. შევიდა, მაგრამ ვერ მოისვენა. და როცა ეგონებოდა ორლობიდან გზაზე ჩავიდა, ხმაც წამოეწია: თუ გინდათ, ცოლსაც წამოვიყვან-თქო... ამ ბიჭებს თავი დაანებეთ-თქო...

არც მაშინდელმა მახაურმა, ტალახიან გზაზე, მხრებში მოხრილი, უაზრო თვალებით და არეული ნაბიჯით რომ მიდიოდა და არც ამ დედაკაცმა, მახაურის ცოლმა და იმ ორი ბიჭის დედამ, საწყალმა მიკომ, არ იცოდნენ რა ცეცხლი ტრიალებდა დედამიწის ზურგზე, რამოდენა სიძულვილის ტალღა წამოსულიყო, რა ყრუ და ბრმა ტალღა, რომელსაც არც არაფერი ესმოდა, ვერც ვერაფერს ხედავდა და რომელიც თავის გზაზე ყველაფერს ნაცარტუტად აქცევდა. არც ამ კაცმა და არც ამ კაცის ცოლმა არ იცოდნენ, რომ მათი ოჯახის სიამაყე, უმრწემესი გაგა და მისი მორჩილი უფროსი ძმა, უთქმელი პეტრე, მარტო შვილები აღარ იყვნენ. მათი სახელები უკვე ქალღმერთებზე ეწერა და ამ სახელების შეცვლა, თუნდაც იმ მამის სახელით, ახლა რომ გზაზე მიდიოდა, დედამიწის ზურგზე აღარავის შეეძლო. სიძულვილის ის ტალღა, რომელიც პლანეტას გადმომოხობოდა, მსხვერპლად იმათ ითხოვდა, რომელთა სიკვდილიც სიძულვილს ჭირდებოდა, რომელთა სახელიც მარტო ნამდვილ ქალღმერთებზე კი არა, სადღაც სხვაგანაც, განგების უბილავე ქალღმერთებზე ეწერა. მამაც ცალკე დარჩენილიყო, დედაც... დედ-მამა აღარაფერს ნიშნავდა.

— ეგრე უთხარი, მე მანამდე გავემზადებ, — ახლაც ცხადად ჩავსმის მახაურს ცოლის ხმა. სწორედ ამ ხმამ გასაოფხიზლა მახაური. ამ ხმამ აგრძნობინა უაზრობა თავისი საქციელისა. ერთბაშად დაინახა სოფლის საბჭოში, სამხრეებიან უცხო კაცთან მისული საქუთარი თავი, რომელიც ისე დაბნეულა,

თამაზ ზივილი

შვიდი ხმისა და ბოროლასათვის

ისე გარყვულა ქვეყნიერებისაგან, რომ ამოდენა ომში, შვილების ნაცვლად, თვითონ აპირებს წასვლას, და თანაც მარტო კი არა, ცოლთან ერთად, ოღონდ შვილები დაუტოვონ, ოღონდ ბიჭებს ხელი არ ახლონ...

რა სატყმელია, იმ დღეს რა დაავიწყებს მახაურს, ბიჭების წასვლის დღეს! გუშინ არ იყო ის დღე? ორმოცი წელი ვინა თქვა? წლები თავის გზაზე მიდიან და ჰგონიათ მივდივართო. არკი იციან, რომ ადამიანის ხსოვნაში სამუდამოდ რჩებიან.

გაგა იცინოდა და მღეროდა. ალბათ განგება მღეროდა. პეტრეს განგებ არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ყველაფერი მერე მოხდა, მაშინ, როცა დაიძახეს, დამწკრივდითო, როცა ირგვლივ იმგვარი სიჩუმე ჩამოვარდა (დღესაც შიშსა ჰგვრის მახაურს), თითქოს მთელი ქვეყნიერება დამუხჯდაო, თითქოს მთელი ქვეყნიერება ერთ წერტილს მისჩერებია და მარტო ერთ რამეზედა ფიქრობსო. მაშინ, იმ წყვეულ სიჩუმეში გაისმა პეტრეს სიტყვები, რომელიც თავისთვის ითქვა, ისე ითქვა, რომ ვერავინ გაიგო საკუთარ თავს უთხრა თუ სხვას, რაღაც სურვილი წამოსცდა თუ მოითხოვა, რაღაც ინატრა თუ აღთქმა დადო:

— მე და გაგა ერთად უნდა ვიყოთ...

ამ სიტყვებმა ყველაფერი ერთმანეთში აზილა. მახაურს ახსოვს შეშინებული და დაბნეული სახეები. ახსოვს შრიალი, ხალხის თავზე რომ გადააიარა, ახსოვს მაიკო, ქმარს რომ ეხუტებოდა და ჩამოსავარდნად განწირული ფოთოლივით თრთოდა. დაწყობილი მწკრივი თითქოს დაიშალა, მწკრივი კი ნამდვილად არ დაშლილა. მწკრივს მიჩერებული ხალხიც აირია. ვილაყამ გაიცინა. ვილაყამ ყურებს არ დაუჭერა. ვილაყა გაბრაზდა. რა თქვი? თავი დაანებეთ, რაღაცა თქვა თავისთვის! არა, თავისთვის არ უთქვამს! მაგან სულ ეგრე იცოდა, წელიწადში ერთ სიტყვას იტყოდა ხოლმე და სწორედ ახლა, ამ წუთში დაუდგა სიტყვის რიგი... მაინც

რა თქვა, კარგად ვერ გავიგეთ, გამოეწროს! აპატიეთ, პოლკოვნიკო, ისეთი არაფერი უთქვამს, რას სიტყვად, ჭკვი ორივე ხელით პირიც ახრდა და უთხრა: როცა გაისმა ბრძანება, ხმის ამოდება აღარ შეიძლება! და აღარც ამოიღებს ამხანაგო პოლკოვნიკო, სიტყვა სიტყვაა, ითქვა და გაქრა! მაინც როდის დამთავრდება ეს წყვეული ომი? რა დროს დამთავრებაა, ახლა დაიწყო. ჰიტლერი მართლა გიჟია? თუ მისი საქციელით ვიმსჯელებთ... თურქებს რომ დაეწყოთ, კიდევ ხო... ეს გერმანია სადღაა? სიჩუმე! მუსიკა! ნაბიჯით იარ!

წყვეული დღე იყო მაშ რა, გაუგებარი დღე, აზელილი ფიქრის და შეუცნობი შიშის დღე! ვიდრე მუსიკა დაიწყებოდა, იმ ერთ წამში, როცა ისევ ჩამოვარდა დაძაბული სიჩუმე, როცა ისევ მთელ დედამიწას ჩაუვარდა ენა, მეორედ დაიჩურჩულა პეტრემ ის თავისთვის თუ სხვის გასაგონად ნათქვამი, ის სურვილი თუ ნატვრა, მოთხოვნა თუ აღთქმა:

— მე და გაგა ერთად უნდა ვიყოთ...

ვინ დაუგდო ყური?


მარტო მახაურმა და შეშინებულმა მაიკომ!

გაგა ყირიმის ფრონტზე გაგზავნეს. პეტრე თურქეთის საზღვართან იდგა ხუთი წელიწადი.

პეტრე ორმოცდახუთი წლის შემოდგომაზევე დაბრუნდა.

გაგასი მხოლოდ ორი წერილი მოვიდა, ორივე ქერჩიდან... მას მერე სამუდამოდ გაქრა, ველარც მკვდარი იპოვეს, ველარც ცოცხლის კვალს მიაგნეს.

ახლა ადვილია ამისი თქმა. ახლა ყველაფერი სულერთია. სიცილისა და ალერსის დღეა. ახლა სიკვდილიც სიცილით აკაკუნებს კარზე. მოცინარი სიკვდილის წინაშე ყველაფერი, რაც კი ოდესმე მომხდარა, ადვილი ჩანს. მაშინ კი ვერა და ვერ იტყოდა ამას მახაური. მაშინ ამაში ვერ გამოტყდებოდა... არც უთქვამს, ყველაფერი გულში ჩაიხვია. ახლა იტყვის! აკი ამბობს, ახლა ყველაფრის თქმა ადვილიაო:



ყველაზე უბედური დღე მახაურის ცხოვრებაში პეტრეს დაბრუნების დღე იყო...

მას მერე მთელმა ცხოვრებამ გაიარა. რალა არ მოხდა, რამდენმა წყალმა ჩაიარა, რალამ არ დაკარგა აზრი, მახაური უკვე კვდება. ახლა მართლა ყველაფერი სულერთია და სიკვდილის წინ შეუძლია ყველაფერი ისე გაიხსენოს, როგორც მოხდა, არც არაფერი მიუმატოს, არც არაფერი გამოაკლოს. მახაური ბედნიერი იყო! მაგრამ ვინა თქვა, ბედნიერება და უბედურება ერთმანეთისგან შორიშორის დგანანო. ბედნიერება ისე ხანმოკლეა, რომ უბედურებას ცხრა მთის გადმოლაზხვა არ უნდა, იქვეა ჩასაფრებული, იქვე დასუნსულეებს, იქვე ჩურჩულებს. ვინ დაგაცდის ბედნიერებას? განა რა მოხდა ისეთი, აბა ყველაფერი წვრილად გაიხსენოს, გულშიც კარგად ჩაიხედოს. შიში რა სათქმელია! მახაურმა წასვლის წინ რა გაიფიქრა, რა ვინმეს საქმეა? მამა იყო, ეგონა შეილებს კარგად ვიცნობო და გაიფიქრა: გაგასი არ მეშინია, პეტრე პირველ დღესვე მოკვდებაო... გაგასი სულ თოფი ეჭირა და თოფის გასროლაც არ უნდა გასჭირვებოდა. პეტრე ქათმის დამკვლელიც არ იყო, ის ორი სიტყვა კი, წასვლის წინ რომ ანდერძით დაგვიტოვა, ზოგს სასაცილოდაც არ ეყო, ზოგმა ღეთის რისხვად მიიღო... მე და გაგა ერთად უნდა ვიყოთ... ყოფილიყვნენ ერთად რა, უფრო ყოჩაღად არ იომებდნენ? ეს იყო და ეს, მეტი ხო არაფერი?

მახაურს რომ ახარეს, პეტრე ჩამოვიდაო, ეს ამოდენა კაცი ცხენს ბიჭივით მოაფრინდა და ისე ატარა ალაზნიდან სოფლამდე, რომ საწყალი პირუტყვი ერთი კვირა ახლოს ველარ მიიკარა, გვივივით დარბოდა მინდორში და თავიდან გაუხნდა გასახედნი. ცხენიდან რომ ჩამოხტა, ჯერ ბიჭს დასტაცა ხელი და კარგა ხანს ხელოდან ველარ გამოსტაცეს, მერე ცოლი მიიხუტა და მაშინ იყო, სიხარულისგან მთელი ხალხი, მართო გარშემო მოგროვილი სოფელი კი

არა, მთელი ქვეყნიერება დაავიწყდა. ეს დროული კაცი თითქოს ჰაბუკალ ექვსეცოლი ხელში აიტაცა, მერე მარაზმის ვარდა, ხანჯალს დაავლო ხელი და მინის წინ მდგარ დეკელს ერთბაშად გამოსჭრა ყელი. რამოდენა სისხლი წამოვიდა! მახაურს მთელი თავპირი ჩამოუთხვარა. ის სისხლიც ერთ წამში ჩამოიბანა, ისიც კი ცხადად ახსოვს, როგორ მოაწოდეს თუნგივით წყალი. სხვა ვინ მოაწვდიდა, თავისმა ცოლმა, მაიკომ მოაწოდა.

მერე დაიწყო ქეიფი... მახაურმა იმ ქვევრებს მოხადა, საამდღოთ რომ ჩაუთქვა და ხუთ წელიწადს ინახავდა. რა სადღეგრძელო არა თქვეს, ვინ აღარ გაიხსენეს, მაგრამ ყველაფერი მაინც „წასული ბიჭების“ ირგლივ ტრიალებდა. იმ ორიოდ დღეს ყველაფერი აღვილი იყო, როგორც ეადვილება ჭირისუფალს ყველაფერი, ვიდრე ხალხი ირევა, ვიდრე ცხედარს მიწას მიაბარებენ და ვიდრე ქელეხში სადღეგრძელოები ითქმება. ყველაფერი მერეა ძნელი, როცა მარტო დარჩები, როცა შენს გვერდით ისლაა, ვისაც მხოლოდ ტირილი შეუძლია, ვინც ვერც ვანუგეშებს, ვერც გაგამხნეებს. ძნელია წვიმიან ღამეში, როცა წვიმა იმის სხეულს ათივებს, ვინც მიწას მიაბარე. ძნელია თოვლში, როცა ფანტელები უხმოდ ცვივიან, მაგრამ მაინც რაღაცას ჩურჩულებენ, რაღაცას კი არა, სხვას არაფერს, თუ არა შენს მარტობას და მიუსაფრობას, იმას, რომ შენი გულის ერთ ნაწილს რაღაც სიცილილე მორევა და ვერა და ვერ იშორებ. მერეა ძნელი, თორემ მაშინ, როცა სუფრაზე დეკელის ხაშლამა იყო გაშლილი, ხელადებიდან კი ოკროსფერი ღვინო მორაკრავებდა, სიცილიც ადვილი იყო და მხიარულბეა. ხო, მართლა, მახაურმაც იმღერა, დაიწყო და სხვებმა აიტაცეს, თითქოს სიტყვები დაავიწყდა, თითქოს სიმღერაც შეეშალა... ნუმც გაიხაროს

თამაზ ბიბილური
შვიდი ხმისა და ბოროლასათვის

მტერმაო... მრავალჯამიერო... მგონი ეს სიტყვები იყო, მერე დანერჩენები სხვებმა თქვეს, მაგრამ ეს არ იყო მთავარი, მთავარი ის იყო, რომ სიმღერაც მახაურმა დაიწყო...

მეტი რაღა ექნა? განა კაცის ძალა ამოურწყავია? როგორ აეტანა ის ჩურჩული, ორჯერ რომ ჩაესმა. პეტრეს ჩურჩული იყო! პეტრე ჩურჩულებდა! ამოდენა სიხარულის მომტანი პეტრე!

— რა მოგივიდა, მამი?

რა უნდა მოსვლოდა მახაურს? ბედნიერი დღე ჰქონდა, ომის ქარცეცხლიდან შვილი ჩამოუვიდა და მღეროდა! ის შვილი ჩამოუვიდა, რომლის ჩამოსვლის იმედიც არა და არ ჰქონდა, სწორედ ის! და ვისი ჩამოსვლის იმედიც ერთი დღითაც არ გადასწურვია, ვითომ რატომ აღარ ჩამოვიდოდა? თოფის გასროლა არ იცოდა თუ ვინმე რამით შეაშინებდა? ეს იმედი, თორემ ვინ მახაური და ვინ სიმღერა? სხვებმა იმდერონ, მახაურს სიხარული გულში დატეულიც ეყოფა!

ბედნიერი დღე იყო... დაწყველილი დღე იყო... სხვა ვერ შესძლებდა გაგებას, მახაურმა კი იცოდა: ამ ბიჭის ჩამოსვლამ, დიდი სიხარული რომ მოჰგვარა, ერთი მკაცრი სიმართლევც პირში მიახალა, მოურიდებლად და დაუნდობლად, ოღონდ ისე, რომ თავად ამ ბიჭმა არაფერი იცოდა: ის, უმცროსი, აღარასოდეს ჩამოვიდოდა... ეს ისე მართალი იყო მახაურისათვის, როგორც ის, რომ ეს ქეიფში აწეწილ-დაწეწილი და ღვინოში გათქეფილი ღამეც გაილეოდა და დაღვებოდა ჩვეულებრივი დღე, იმდენად ჩვეულებრივი, რომ მახაურს მის გახსენებაზე შიშით ზარავდა.

— რა მოგივიდა, მამი?

სწორედ მაშინ ადგა მახაური და კვლავ მარანში შევიდა.

სუფრიდან მანამდეც ამდგარა და მარანში შესულა... მახაური მასპინძელი იყო და ეს არავის გააკვირვებია. მარტო ბიჭი წამოადგა, ჯარისკაცი პეტრე მახაური და მამა მოძებნა.

გაღებულ კარიდან შუქი პირდაპირ მახაურის თვალებს ეცა.

მახაურმა სახეზე ხელეჩქვინა და მახაურს თვალებიდან ცრემლიც დაეშალა.

ის სიტყვები კი ნამდვილად არ უნდა ეთქვა! ის რა სათქმელი იყო, პეტრე რა შუაში იყო? როგორ უნდა ეზიდა ამოდენა გაუგებარი ბრალდება? არ უნდა ეთქვა და უთხრა:

— წადი, დამეკარგე აქედან...

პეტრე გაბრუნდა და მარანში აღარ დაბრუნებულა.

სხვა რა მოხდა იმ ღამეს? აღარაფერი... შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, გაუთავებელი ღვინის მესამე შუალამე და ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა, ბოლოს ერთი დამცრობილი, ღიპიანი ღიტალა შემორჩა სუფრას. დაღვეის თავი სადღა ჰქონდა, მარტო ხელადა ჩაეხუტებინა გულში და ბარბაცით ედებოდა ღობე-ყორეს:

— აბრია სად არი, აბრია მამგვარეთ!

— ჩაეძინა... დათვრა და ჩაეძინა... — ჩუმად უთხრა პეტრემ.

— აბრია მამგვარეთ! — ყვიროდა ღიტალა.

პეტრემ ხელში აიტაცა ძონძივით ფორმადაკარგული ღიტალა, გზაზე გაიყვანა და ღობეზე მიაყუდა.

ღიტალა ბარბაცით დაადგა გზას.


მერე იქვე, ღობესთან, ბალახზე მიწვა და მიიძინა.

ძილის წინ მარტო ესღა ჩაილულულა:

— აბრია მამგვარეთ...

სხვა აღარაფერი მომხდარა, სხვა აღარაფერი ახსენდება მახაურს...

მეორე დღეს თოვლი მოვიდა. სახლი ცარიელი იყო. პეტრე სადღაც გასულიყო. ტოლ-ბიჭებშია გასული, მოისურვილოს, ჯერ ნურაფერს დაავალე, — თქვა მაიკომ. მაგრამ მახაურს ამისი თქმა არ ჰქონდა. მამას არ შეეძლო შვილთან შეხვედრა და რაც უფრო შორს გადაიწევიდა ამ შეხვედრის წუთი, მით უფრო კარგი იქნებოდა მახაურისთვის. ხო, პეტრე ბოლოს მაინც



აუცილებლად შემოაღებდა სახლის კარს და მახაურის მის პირისპირ უნდა დარჩენილიყო. მახაურს ეშინოდა ამ წუთისა და თავის სიცოცხლეში პირველად ეუბნებოდა საკუთარ თავს, ლაჩარი ხარო. და რაკი ლაჩარი იყო, მერე მისდგა, და, როგორც ლაჩარს შეჭყეროდა, აღარ დაინდო.

ამ ბიჭის ჩამოსვლა გეწყინა... ამას ლაპარაკი არ უნდა! თუ გინდა, სხვანაირად ვთქვათ, უფრო ლამაზად, უფრო შორიდან მოვუაროთ, ახლოს ფრთხილად მივიდეთ: ბიჭის ჩამოსვლა გაგებნარდა, კაცი არ უნდა იყო, რომ არ გაგებნარებოდა, მაგრამ იმისი ჩამოსვლა უფრო გაგებნარდებოდა, მეორისა, უმცროსისა... ასე ვთქვათ, ფრთხილად, მოიარებით, ის იყო შენი სიამაყე, მთელი ოჯახის სიამაყე... მაგრამ ამით არაფერი იცვლება. გაგა სხვა იყო, სხვა ლაზათი, სხვა სილამაზე... იმას ოჯახში სხვა შუქი შემოჰქონდა, თავიდანაც იმის დაბრუნებას ელოდი, იმის მოლოდინში იყავი, ეს კი იმ წუთშივე გამოიგლოვე, რა წუთშიც საბჭოს მდივანმა ის ავბედითი ქალღიმილი მოიტანა. არა, მაშინ კი არა, ცოტა უფრო მოგვიანებით, როცა ბიჭმა, ერთი წუთის სიჩუმეში ის სიტყვები თქვა:

— მე და გაგა ერთად უნდა ვიყოთ.

კაცი იყავი და ქვეყნიერებასაც კარგად იცნობდი. იცოდი, რომ ერთად ვერ იქნებოდნენ. ეს სიტყვები იმან თქვა, ვინც არ უწყობდა რა ხდებოდა გარშემო, რად მიჰყავდათ და რისთვის მიჰყავდათ. ახლა დაბრუნდა და ამ ბიჭმა ყველაფერი იცის. ის აღარ არის უთქმელი პეტრე. ის მაშინვე ყველაფერს მიხვდა, როცა პირველად ჩაგჩურჩულა და მერეც რამდენჯერმე გკითხა:

— რა მოგივიდა, მამო...

აბრია მახაური ლაჩარი იყო! მას ახლა ყველაფერი შეეძლო, თუნდაც მთელ ქვეყნიერებას შეებრძოლებოდა, ცარიელი ხელებით ან იმ ერთადერთი ხანჯლით, დეკეულს რომ ყელი გამოსჭრა და იმისი სისხლით თავ-პირი ჩამოიხეცა, ოღონდ პეტრეს თვალბუმში

შეხედვა კი არა, იმ თვალბუმში, რომელშიც გაოცებაც ჩანდა, შიშიც, დაბნეულობაც და მართალი კაცის შეჭმადობაც. ერთხელაც რომ შემოსულიყო ეს ბიჭი, გაჩერებულიყო მამის წინ და ჩვეული სიმშვიდით ეთქვა ის სამადლსამი სიტყვა, — რა მოგივიდა მამო, — მახაური მის წინ დაიჩოქებდა, პატივებს შესთხოვდა და ფეხზე აღარასოდეს წამოდგებოდა, ეგრე, დაჩოქილი დარჩებოდა მთელი დარჩენილი წუთისთველი.

საბედნიეროდ პეტრე არ ჩანდა, ის სამი სიტყვა ჭერჭერობით არსაითგან ისმოდა და ლაჩარმა მახაურმა ტყეს მისცა თავი, ოღონდ ამჯერად წალდი კი არა, თოფი აიღო, ის თოფი, რომელიც დღე და დამ ეჭირა იმას — გაგას, იმას, ვინც აღარასოდეს დაბრუნდებოდა, რადგან დასაბრუნებელი უკვე დაბრუნდა, რადგან მახაურს სასწაულებისა არა სჯეროდა და კარგად იცოდა, რომ იმ ჯოჯოხეთურ ქარცეცხლში, თუ ოჯახიდან ორი ბიჭია წასული, თუ ორივე არა, ერთი აუცილებლად უნდა მოკვდეს. ერთი დაბრუნდა, მეორე მოკვდა... მახაურს კი იმ მეორის დაბრუნება ერჩია, ვიყოთ მართალი, ამას ახლა ვერავინ გაიგებს... ახლა თოვს, მახაური ტყის გზაზე მიდის და ამისი თქმა ხმამაღლაც კი შეუძლია. ამას იქ, სოფელში, მით უფრო მაიკოს გასაგონად, ვერ იტყოდა, რადგან მახაური ლაჩარია. ლაჩრები ხმამაღლა მარტო ტყეში ლაპარაკობენ, სადაც მხოლოდ თოვლის შრიალი ისნის და ნადირიც კი თავის ბუნაგში გატრუნულა, სადაც ბინდი დგება და სადაცაა ჩამობნეულდება...

გზაზე მელამ ვადაიარა, მახაურის პირდაპირ თოვლში ჩაცუცქდა, კული გვერდზე შემოვიგლო, თითქოს სურათს უღებენო, კარგა ხანს უყურა მახაურს და ბუჩქებს შეერია.

მახაურს გაეცინა.

— ამასაც აღარ ეშინია ჩემი...

თამაზ ზივილიანი
 ვიღი ხმისა და ბოროლასათვის

იმ წუთში მიხვდა, რომ საკუთარი თავისა თვითონაც აღარ ეშინოდა და თოფი უაზროდ დაცალა.

გრგვინვამ გადაუარა ტყეს და ეჭოდ განიზნა, თითქოს მთელ ქვეყნიერებას ამცნო, რომ ის ერთადერთი ტყვია, თოფში რომ ეშმაკს ჩაედო, ამ კაცმა უაზროდ გაისროლა.

— ის რა შუაშია — ხმამაღლა თქვა მახაურმა.

მაშინ ცხადად დაინახა, როგორ იდგა წელში მოხრილი მაიკო ღია ჭიშკართან, როგორ ათოვდა და ელოდა ქმარს.

მახაური მხოლოდ ამ სურათსა ხედავდა და მხოლოდ ამ სიტყვებსღა ამბობდა: ის რა შუაშია?

მახაური მორბოდა ლაწა-ლუწით, ქოშინით და საკუთარი გულის ბაგაბუგი თვადღვე ესმოდა, მორბოდა როგორც დაჭრილი მგელი, რომელსაც მონადირე მოსდევდა და საცაა უნდა წამოსწოდა. მახაურს ეშინოდა ამ მონადირისა, ეშინოდა არ გაჩერებულიყო და ის სიტყვები კიდევ არ დავიწყებოდა, რამაც გაანათა მისი გონება და სოფლისკენ წამოსულ თოვლიან გზაზე სირბილით გამოიყვანა:

— ის რა შუაშია?

როცა ჭიშკართან მოვიდა, უკვე შუალაშე დგებოდა. სოფელს ეძინა. მაიკო მართლა ჭიშკართან იდგა და ათოვდა.

ბიჭი არსად ჩანდა და მახაურმა გაიფიქრა:

— დედაკაცი ყველაფერს მიხვდა...

მერე ტახტზე გაშობილ თვალდახუჭულ მახაურს ეს დედაკაცი ჰქადაბოდა თმაზე ალერსით უსვამდა ხელს: ღმერთო, დიდებულო, რა ღამე იყო, რა დიდებული იყო სევდა, რომელიც ამ ორ ადამიანს დაუფლებოდა. რა ნამდვილი იყო ყველაფერი, რა უბრალო და შეუთხზველი. მახაურის გაყინულ ხელებს ახლაც ათბობს იმ ხელების სითბო. ახლაც ყურში ჩაესმის ყველა სიტყვა. დრო გაიშალა, მაგრამ იმ სიტყვებს ფასი არ დაკარგვიათ. ის სიტყვები ისევ დაბადებით ცვივიან, როგორც ცვივა

მარტის დამდეგს სახლის სახურავებიდან გამდნარი თოვლის ნაქურთი.

— ბიჭი ძალით დავაძინე...

— კარგი გიქნია.

— მთვრალი იყო, ძმა დავაფიცე და დაწვა...

— მე კი ვიფიქრე, მეტს ველარ ვი-
ცოცხლებ-მეთქი.

— მივხვდი, შენა გგონია, ვერ მივხვ-
დი?

— რატო არაფერი მითხარი?

— სუ, ჩუმაღ. ბიჭი გაიღვიძებს.

— რატო არაფერი მითხარი?

— რა ვიცი, იქნებ ეგრე უნდა-მეთ-
ქი...

— კარგი უქნია რომ დაწოლილა.

— იქნებ ეგრეა საჭირო-მეთქი...

— ეგრე იფიქრე?

— მეწყინა კი...

— რა გეწყინა...

— რატომ მე აღარ ვეცოდებო-მეთქი...

— აკი შემეცოდე.

— მადლობელი ვარ...

— რისა?

— მეც არ ვიცი რისა...

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად
იქნება...

— რა თოვლია...

— ნამდვილი სამოყვრო ამინდია.

— მოდი, ვინმესთან წავიდეთ...

— ვისთან წავიდეთ?

— ჩვენებთან...

— ამ თოვლში?

— ხო, ამ თოვლში ვერ წავალთ...

— კარგი კი იყო, ბიჭსაც წავიყვან-
დი.

— ბიჭი აქ იყოს, ტოლები მოისურ-
ვილოს.

— იყოს თოვლი, მაინც წავიდეთ.

— ხო, როგორც შენ გინდა, როგორც
შენ იტყვი...

— მოდი, ტყეში წავიდეთ, რამდენი
ხანია ტყეში აღარა ვყოფილვართ...

— როდის წავიდეთ?

— ხვალვე, რა შეგვიშლის ხელსა?

— დიახ, წავიდნენ! როგორცა თქვეს,
როგორც ისურვეს, ტყეში წავიდნენ,
სპეტაკ და დათოვლილ ტყეში. სხვა რა



საქართველოს
წიგნების
კავშირის
სამსახური

უნდა ექნათ, ვისთვის რა შეეჩვილათ? ტყეზე უკეთესს რას ნახავდნენ, დათოვლილ, სპეტაკ ტყეზე უკეთესს? მილიონდნენ გადათეთრებულ გზაზე, სადაც ჯერ ძეხორციელს არ გაველო. გარშემო ჩამიჩუმე არ ისმოდა. გარშემო არავინ ჩანდა, ამ ორისთვის, ამ წუთში, დღემიწის ზურგზე არავის ეცალა! მაშინ გათამამდა მახაური, მაშინ დაივიწყა წამით ყველაფერი და თითქოს მართლა დღემიწის ზურგზე მარტო თვითონდა იყვნენ, ხელში აიყვანა ცოლი, როგორც ოდესღაც, როგორც ბევრჯერ აუყვანია, — თამამად და მსუბუქად... აიყვანა და ორიოდ ნაბიჯი ასე ატარა...

თოვლი შრიალებდა, ქალი ჩურჩულებდა და ის შრიალი და ის ჩურჩული ისევ ესმის აბრია მახაურს:

- დაიღლები...
- ნუ გეშინია...
- რისი უნდა მეშინოდეს?

იმ საღამოს შინ დაბრუნებული მახაური ფეხაკრეფით შევიდა ბიჭის ოთახში, ტახტზე დაუდევრად მიგდებული ჯარისკაცის მახარა სკამზე ფრთხილად გადაჰკიდა (დღესაც დამთვრალა) და შორიახლოს გაჩერდა. ბიჭი მშვიდად ფშვინავდა. მწყაზარ სახეზე შავი წარბები შეჰყაროდა, წამწამები ქუთუთოებზე ეფინა. ბიჭი კი არა, ჯერ ბალღი იყო და მახაური ისევ შედრკა. ნეტავ თვალს გაახელდეს და შემომხედავდესო, ფიქრობდა. ბიჭის შემოხედვა უბრალო ამბავი იქნებოდა და მახაურისთვის ეს ჯოჯოხეთური შეხვედრაც უბრალოდ დასრულდებოდა. მაგრამ ბიჭს ეძინა და მახაურს ისღა დარჩენოდა, მის წინ დიჩოქილს პატიება ეთხოვა, პატიება ყველაფრისათვის...

მახაური ფრთხილად მივიდა ტახტთან, ბიჭისკენ დაიხარა, ქოჩორზე ხელი გადაუსვა და აკოცა...

იღვა და თავზე დასცქეროდა. ბიჭმა თვალი გაახილა და გაუცინა. — ცოლი უნდა შეირთო, ბიჭო — თქვა მახაურმა.

ნეტავ არ ეთქვა, ან სხვა დროს ეთქვა, ღიღი ხნის მერე...

მახაურს რძალი არ მოეწონა! სულ იმის შიშში იყო, ვაი მომეწონოსო. ამას შიში კი არა, უფრო დაჯერებული მოლოდინი ეთქმოდა — ვიცი, არ მომეწონებო და ასეც მოხდა... რძალს არ ემჩნეოდა სწორედ ის, რასაც მახაური ქალში ყველაზე მეტად აღასებდა და რისთვისაც შეიყვარა მაიკო: კდემ! რძლის გამოხედვა, პირველ წუთშივე დარცხვენილი კი არა, უტიფარი უფრო იყო, რომელიც ერთბაშად ყველაფერს პირში გახლიდა: ვიცი, არ მოგეწონები, მაგრამ შენ ბიჭს მოგეწონე და მეტი რა გზა გაქ, რძალი უნდა გავხედ შენითა და მახაურსაც სწორედ ამ ფიქრმა გაუელვა: მაინც რა მოეწონა ჩემ ბიჭს ამისით. ამის მეტად აღარც შეუხედავს, ისედაც ყველაფერი გასაგები იყო. კაცს არ უნდოდა თავის გულში ნაფიქრი სხვისი სალაპარაკოც გამხდარიყო და გაბზარული კოკა უფრო მეტად გაბზარულიყო.

იმ ღამეს, რომელსაც ნიშნობა ეთქმოდა, ორი სამარცხვინო კითხვა ვერ მოიშორა თავიდან მახაურმა: მაინც რამ გააშავა ეგერო... ამას როგორ აიყვანს ქმარი ხელშიო... რა დასამალია, კაცს ულაპარაკოდ უნდა შესძლებოდა ცოლის ხელში აყვანა. რა ვიცი, ქვეყნად რა არ ხდება, თუ დასკირდა, კაცმა ქალი ხელითაც უნდა ატაროსო... არა. ამას პეტრე ხელით ვერ ატარებს! შავად მზირალი სარძლო ჭიგოსავით იყო და საქმროს ზემოდან გადმოჰყურებდა...

გული დასწყდა მახაურს და საკუთარ თავზე უფრო თავისი პეტრე შეეცოდა.

პირველი ნახვის უხერხულობა სხვას მგონი არავის უგრძენია, გარდა იმ ერთისა, რომელსაც ევალებოდა კიდევ, რომ ყველაფერი უთქმელად გაეგო და დაენახა. აბა თქმა რად უნდა, „ის ერთი“ მაიკო იყო, იქვე, მახაურის გვერდით მდგარი და მორჩილად თუ შიშით მზირალი. ეგრე იცოდა, ცხონებულმა,

თამაზ ბიგილიანი
შვიდი ხნისა და ბოროლასათვის

მუდამ შიშით გიშურდა, ვაი თუ რამე ეწყინა, ვაი თუ ის გააკეთოს, რასაც, ვიცი, გულში ფიქრობსო. სწორედ მაშინა ჰქონდა იმგვარი თვალები, რომლის წინაშეც მახაური თუნდაც მოკვდებოდა. მაშინაც შიშით მოჰკიდა ხელი ქმარს, აქეთ, მძახლებს გამოარიდა და დაიჩურჩულა, რა ვქნათო.

რა უნდა ვქნათ? ეგრე უნდათ და ეგრე იყოსო...

ამისი თქმა იყო და მძახლებმა შორიხლო მდგარ ორ-სამ კაცს და პრელთავშლიან ღედაკაცს რაღაცა ანიშნეს... მაშინვე ახმაურდა ჯამ-ჰურკული და მახაურმაც მორჩილად გამოართვა თავის ცოლს სანიშნო ბეჭედი რათა რძლის შავ, გამხმარ თითზე წამოეცვა.

ბედნიერებისაგან გაბრუნებული ბიჭი ვერაფერს გრძნობდა და მახაურმა ისიც კარგად არ იცოდა, ასე ერთბაშად რამ გააბრუა, რა იყო ის ბედნიერება, რომელსაც არც საფუარი ქონდა, არც საფანელი, საიდან მოვიდა ეგრე უცებ და საით წაიყვანდა ან ამ განაბულ ბიჭს, ან მთელ ოჯახს, რომელსაც დღეს აბრია მახაურის ოჯახი ჰქვია, ხვალ კი რა ერქმევა თავადაც აღარ იცის, რადგან, მახაურის ფიქრით, ოჯახი ის არი, სადაც ერთი ზედმეტი აგურიც არა გდია, არამც თუ ზედმეტი სულერი, სადაც ყველას და ყველაფერს, სულერსა და უსულოსაც, ერთმანეთი უნდა უყვარდეთ.

ვერ ეღირსა მახაური ამგვარ ოჯახს! ყველაფერი დაინგრა! არაფერი მოხდა იმგვარად, როგორადაც წარმოედგინა და ალბათ არც ეს წყევული სიკვდილის დღე იქნება იმგვარი, როგორც მახაურს უნდა. ფიქრი აქაც წინ უსწრებს ყველაფერს, დანარჩენი, ნამდვილი და მოსახდენი, მერე ხდება, სხვაგვარად, სხვა ფერით, ამ ფიქრისაგან განდგომილად, თითქოს ეს ფიქრი არცა ყოფილაო.

რა გაიფიქრა მაშინ მახაურმა? რით გაამართლა პეტრე?

გასაკვირი რა არი, ქალი უნდოდა ალბათ და ესეც ქალია, მაშ რა ჯანდაბა-


აო... — სწორედ ეს იფიქრა და თბილისი პეტრე უფრო მეტად შეეცოდა.

— რა ვქნა, ეს როგორ შევიცვალეთ, ბორგავდა მახაური და მახაური უსმენდა სამაყროდ მოსული ბიჭების სიმღერას, რომელშიც ყველაფერზე იყო ლაპარაკი, იყო სიცილიც და მხიარულებაც, არ იყო მხოლოდ მახაურის სევდა, სხვათათვის გაუგებარი და აუხსენელი. სიმღერები კიცხავდნენ რეგვენ პატარძალს, რომელსაც რა საქმე აღარ ჩაედინა, ცომი ვარცლში კი არა, მიწაზე მოეზილა, წყალი კოკით კი არა, ცხრილით მოეტანა, ღედამთილი გაჯავრდნოდა, ქმარს კი სახლიდან გამოეგდო... მაგრამ ეს არ ეხებოდა დღევანდელ პატარძალს! სიმღერაში სხვა პატარძალზე იყო ლაპარაკი და მახაურს ეშინოდა დღევანდელი პატარძლისკენ გახედვისა, რადგან უტყუურად იცოდა, საპატარძლო დაქინებით უცქერდა სამამამთილოს და მათი თვალები ერთმანეთს აუცილებლად შეხვდებოდნენ. სხვა სიმღერაც სასაცილო იყო და სხვათათვის გაუგებარი, პაწაწინტელა სევდა მახაურისა, იქ სულ არა და არ ჩანდა. ის სიმღერაც სხვაზე იყო, ახმეტელ პატარძალზე, ღედამთილი რომ გაეჯობა, მული გაეგდო, მაზლი კი კარებს მოჰფარებოდა — ღმერთო, მიშველეო, მერე კი კარგად დანაყრებულა, კარგი ფშვინვაც ამოუშვია და რაღაც ორიოდ კვირაში მოულოდინებია კიდევ. არა, არც ეს სიმღერა ეკუთვნოდა დღევანდელ საპატარძლოს, ეს სიმღერაც სხვაზე შეეთხზათ, სწორედ ნიშნობის გასამხიარულებლად და სტუმრის გასაციინებლად! მაგრამ სტუმარს — აბრია მახაურს არ ეცინებოდა. სტუმარს დანა პირს არ უხსნიდა, თუმცა კიქაც ასწია, სასიძო და სადედოფლოც დალოცა და ერთი ბარკალიც აახლიჩა ცივად მოხარულ ღედალს.

ბიჭები ისევ მღეროდნენ.

პატარძალი თუ საპატარძლო კვლავ სამამამთილს გასცქეროდა.

მამამთილი თუ სამამამთილო თავჩაქინდრული იჯდა.



მაგრამ ორივენი ერთმანეთს ხმის ამოუღებლად ეტოქებოდნენ.

ჩაქოლეთ, სახედარზე უკუღმა შესვლით, სოფელ-სოფელ ატარეთ, არ მოეწონა მახაურს რძალი! ვერ შევიყვარებო, თავის თავს უთხრა, სხვისთვის ხომ არაფერი უთქვამს? მაიკოსთვისაც კი არ უთქვამს, სოფელ-ქვეყანას როგორ ეტყობა? სოფლის თვალში მახაური დღესაც ტკბილი მამამთლია, სიტყვა რა არი, სიტყვა არ უკადრებია რძლისთვის... ფიქრით... მახაურის ფიქრს თავი დაანებეთ, ეს ერთადერთია, რაც ამ ქვეყანაზე შერჩა, რასაც არავის დაუთმობს! ფიქრში მახაური მეფეა საკუთარი თავისა და იქნება მთელი ქვეყნიერებისაც. ფიქრში მუდამ მართალია და ეს სიმართლე იმდენად ძვირფასია, მახაურის სული სწორედ მაშინ ბორბავს, როცა მის დიდებულ ფიქრს ახდენა არ უწერია.

არ მოეწონა და რა ექნა? ის უარესი არ იქნებოდა, ეთქვა, მომეწონაო — გულში კი მაინც ბინჯი ჩარჩენოდა? მახაური არც ცუდს ამბობს, არც კარგს, ზის თავისთვის და ხმასაც არ იღებს. როგორც უნდათო, სხვა რა ეთქვა, და თითზე ბეჭედიც გაუკეთა, დედის ნაჭინი ბეჭედი, როდის-როდის ჩამოსხმული. ბიჭს თუ მოსწონს, რა მახაურის საქმეა? მახაური ვინ არი, მახაურს ვინა ჰკითხავს? ცხოვრება მაგათ უნდა დიწყონ, მახაურმა თავისი კალო უკვე გალენა და ახლა ველარაფერს მიუმატებს. ნიაკი თუ წამოვა და გაჰფანტავს, თორემ მიმატებით აღარაფერი მიემატება. მიმატებელნი ესენი არიან. ივარგებენ ხო კარგი, არ ივარგებენ და გავეცლები... ასე ფიქრობდა. მაგრამ გულში კარგად იცოდა, რომ გამცლები კაცი არ იყო. ამაში კი მართლა ტყუოდა! არც კალოს თვლიდა საბოლოოდ გალენილად და არც ქარს მისცემდა ნებას, რომ მისი კალოდან თუნდაც ერთი მარცვალი წაეღო სადმე. მახაურის თვალში ოჯახი ციხე-სიმაგრეს გავდა და ამ ციხის გასაღები მხოლოდ ერთ კაცს უნდა დებოდა ჯიბეში, ერთ კაცს უნდა ჰქონოდა

უფლება ციხის მძიმე კარის დაკეტვისა და გაღებისა. ის ერთი კაცი კი უნდა იყო, აბრია მახაური! გიჟი უნდა იყო, რომ ამ ციხეში არხეინად ვინმე შეეშვა და წუთითაც არ ეფიქრა, ხვალ თუ ზეგ რას გააკეთებს ეს ვინმე, როგორ მიდგებ-მოდგება, რომელ ჩუქურთმას გადაფხეკს ღვდაბოძზე და თავისას, ახალს, რომელს მიუმატებსო. აწეწავს რაც კი წლობით დალაგებულა თუ, პირიქით, უფრო დალაგებს და სიამტკბილობის შუქს უფრო მეტ სითბოს მიუმატებსო. ციხის კარს შიგნიდან დაუპირებს გატეხვას თუ გაამაგრებს და აუღებელს გახდის, დაანგრევს ოჯახს თუ ააშენებსო. ვინ უნდა გაამტყუნოს ეს საწყალი მახაური? ამ ერთი ბეწო წუთისოფელში ამაზე დიდი საქმე რაღა უნდა იყოს, — ოჯახში აღამიანი შემოდის, უცხო, ვიღაცა, ხეირიანად რომ არც შენ იცნობ და არც ის იცნობს, ვინც არხეინად მოუძღვება. ეს აღამიანი დღეს პირველად დაინახე და ამ დაწყევლილმა გულმა მაშინვე ცივი უარი გითხრა... შენ კი მაინც აიღე ბეჭედი და მორჩილად თითზე წამოაცვი, ციხის კარის გასაღები გადაეცი... რა ქნას მახაურმა, ფიქრსაც არ აჰყვეს და ამ ლლაბუცა ბიჭეზივით, ახმეტელ რეგვენ პატარძალზე იმღეროს? არ შეუძლია და რა წყალში გადავარდეს? ანკი ასე ადვილია წყალში გადავარდნა? აკი ერთხელ სცადა, აკი გაიფიქრა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ის ცდაც ლაჩრობად ახსენდება, იმასაც ქალაჩუნობის ფერი დაჰკრავდა. მაშ სადღაა სიმართლე? სიმართლე ის არის, რომ არაფერი თქვა, მაგრამ ყველაფერი გეტყობოდეს, საკუთარი თავი გაამტყუნო, დაჯდე და ამ პატარძალთან ერთად, ბედნიერად ხელგადახვეულმა იმღერო ეს საწანახედო სიმღერები, ბიჭებს რომ კრეჭას ჰგვრის, გოგოებს აცინებს, მახაურის გულს კი არა და არ ეკარება? აღამიანი მარტო ერთი დღისთვის ხომ

თამაზ ზივილიური
 შვიდი ხმისა და ბოროლასათვის



არა ცოცხლობს? მართო იმაზე ხომ არა ფიქრობს, დღეს რასა სკამს და სვამს. ან რასაც აშენებს მართო სადღეისოდ ხომ არ აშენებს? მახაურსაც არ უცხოვრია ერთი დღით, სულ წინ იხედებოდა და ახლა, როცა ორად-ორი ტიპა აქვს დაღეული და გონებაც ისევ ფხიზლად უჭრის, ცხადად, ყოველის მხრით ხედავს წინდაწინ წარმოსახულ სამყაროს, მაგრამ იმ სამყაროში არც დღევანდელი ქორწილია, არც ეს გოგო, არც ეს ბიჭუტუკები ჩანან. მახაურის ფიქრში მუდამ სხვა სამყარო იყო, სხვაგვარი სახლი შენდებოდა და იმ სახლის მკვიდრთაც სხვა სახე ქონდათ. აქ, ამ მობუზული პეტრეს გვერდით გაგაც უნდა მჯდარიყო, და თანაც მართო კი არა, თავისი საფერო ლამაზი ცოლით. უყვარს მახაურს ლამაზი ქალის შეხედვა და ვინ გაბედავს ამაზე დაძრახოს? ეს მობუზული ბიჭი თამამი ძმისაგან მეტ სითამამეს შეიძენდა და ცოლობაზე უარის თქმასაც ბევრი ველარავინ გაუბედავდა. ახლა ზის, როგორც საბრალისი და შინ ის მიჰყავს, ვინც გააბედნიერა და წამოჰყვა. მახაურის სიამაყეს ეს ნიშნობის საღამო და ეს სუფრა ეამგადასული ქონივით ანგრევს. ყველაფერი ქარს მიჰქვს და იმ სახლიდან, იმ დიდებული სახლიდან, მახაურის ოცნებაში წლითიწლობით რომ შენდებოდა, ერთი ჰიანაჰამი თავხეც აღარა რჩება. ესენი კი მღერიან და გიმტკიცებენ, სახლის აშენება დავიწყეთო...


ეს სახლის აშენება რაღამ გაახსენა? ყველაფერი მაშინ დაინგრა, როცა სახლის აშენება დაიწყეს.

მაშინ უთხრა რძალმა ის სიტყვები, რომელიც მახაურს არადა აღარ დაავიწყდა, რომელიც ამ რიყრაყზე, ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლასთან ერთად გაცოცხლდა, მახაურის ხსოვნაში ყველაფერს ფორმა დაუქარგა და იმ ნათელს, რაზე ფიქრიც სიკვდილის წინ მახაურს უნდოდა, ბურუსი გადაათარა:

— რატო არავინ გიყვარს, მამამთილო!

მახაურმა არ იცოდა, რომ მთავარი

ამ ქვეყნად სიტყვა იყო, ყველაფრის უტყუვრად გამომხატველი სიტყვა რომ ის, რასაც ცხოვრება ეტყველებოდა და უფიწყარი სიტყვებისაგან შედგებოდა, დაუფიქრებლად წამოსროლილი ან დიდი ხნით საგულდაგულოდ აწონილ-დაწონილი სიტყვებისაგან. მახაურს რომ შესძლებოდა ამ ცალ-ცალკე, მავან და მავან ღროს გაფანტული სიტყვების შეკოწიწება, მთელი წუთისოფელი გამოვიდოდა, მთელი ცხოვრება, და მახაურს შეაძრწუნებდა სიტყვის ამგვარი მაგიური ძალა. მახაურმა მართო ის იცოდა, რომ ზოგჯერ ამბავი აღარ ახსოვდა ხეირიანად, სიტყვა კი სამუდამოდ ჩარჩენილიყო ხსოვნაში და ვერარა დრო ველარ შლიდა. „გაგასი არ მეშინია, პეტრე პირველ დღესვე მოკვდებოდა...“ „მე და გაგა ერთად უნდა ვიყოთ“, „რა მოგივიდა, მამი“. „წადი, დამეკარგე აქედან“. „ ის რა შუაშია?...“ მხოლოდ სიტყვები ჩანდა, მაგრამ მათ ირგვლივ თავს იყრიდა ყველაფერი, მთელი ცხოვრება, მთელი ნაფიქრი უძილო ღამეებისა და მთელი ნაღვაწი გრძელი და დამღლეული დღეებისა. შეთხზული ამბის ავტორი დაწერს, რომ ეს არის სიტყვები სიუჟეტისათვის, რომელსაც თავად ცხოვრება თხზავს, მაგრამ ამ სიტყვების გარეშე ცხოვრებაც კი უძლურო იქნება, რომ რაიმე შეთხზას, კომპოზიცია შეკრას, დაფარული გააცოცხლოს, ვიღაცის გულში ჩაგვახედოს. ხო, სიტყვა ყოფილა ის, რითაც კაცის ცხოვრება იწერება, თუნდაც თვითონ სიტყვა არც ისმოდეს, არც მართლა იწერებოდეს. „გაგასი არ მეშინია, პეტრე პირველ დღესვე მოკვდება“ — ამ სიტყვებს ახდენა არ ეწერა, მაგრამ ეგვემ სიტყვებმა მახაურს მიახვედრეს, რომ ცხოვრებას კაცის გონება კი არ განაგებს, ყველაფერი თავისთავად ხდება. უზარმაზარ ცეცხლში, პლანეტას რომ მოსდებოდა, რომელი უფრო დაიწვებოდა, მახაურის გონებამ ამისი წინასწარი განსჯა ვერ შესძლო, რადგან იქ, იმ ცეცხლში, ყველაფერი თავდაყირა იდგა, ყველა-




ფერი უაზროდ და კაცის გონებისათვის წარმოუდგენლად ხდებოდა. „მე და გაგა ერთად უნდა ვიყოთ...“ ესეც სიტყვებად ითქვა, თანაც სხვის გასაგონად კი არა, თავის თავს უთხრა კაცმა, მაგრამ ერთბაშად გამოჩნდა უაზრობა და უგუნურება მთელი კაცთა მოდგმისა, რომელსაც ამოდენა ცეცხლი გაეჩაღებინა, ამოდენა სასაკლავო მოეწყო, მაგრამ არ ესმოდა უბრალო რამ: ბეტრე და გაგა, ანუ ძმები, ერთად რომ უნდა ყოფილიყვნენ. „რა მოგივიდა, მამი?“ ამ კითხვამ გააშიშვლა და სააშკარაოზე გამოაგდო აბრია მახაურის გულში ჩამარხული ბოლმა, რომელიც ისე ღრმა ეგონა, რომ თავდაცვ ვერ წაიკითხავდა, მაგრამ ბიჭმა ადვილად წაიკითხა და ადვილად გამოხატა სამი სიტყვით („რა მოგივიდა, მამი?“), რომელმაც მახაურს მეხი დასცა და კინაღამ იმ ბიჭის წინ დააჩოქა, იმ წუთში ცამდე მართალი რომ იყო. ისიც სიტყვები იყო, მახაურმა რომ დაუნდობლად და დაუფიქრებლად მიახალა ბიჭს და მერე მუდამ რცხვენოდა და მუდამ იმის ცდაში იყო, როგორმე გამოეცნო — კვლავ ახსოვდა ბიჭს თუ იმოდენა მნიშვნელობა არც მიეცა, რაც თავად მახაურმა მისცა თავისსავე ნათქვამს. ბოლოსაც სიტყვებმა გადაარჩინეს იქ, უღრან ტყეში, თავისი ცოლი, თოვლში ჭიშკართან მდგარი და მობუზული რომ დაინახა ცხადად და ამის დამნახავმა თქვა: „ის რა შუაშია?“ ხო, ამ სიტყვებმა გაასროლინეს უაზროდ ერთადერთი ტყვია, რომლითაც თოფი ეშმაკს დაეტენა და დაჭრილი მგლის სირბილით (ის ტყვია თითქოს მაინც მახაურს მოხვდა) ჩამოიყვანეს სოფლამდე, სოფელში კი მართლა იდგა ჭიშკართან მობუზული ცოლი, მართლა ელოდა ქმრის დაბრუნებას და მართლა ათოვდა.

სოფელს კი ეგონა, გვლანძლავს, ეძულვართ და ეს სიძულვილი ჩვენს ღირსებას წაგვიყვანსო. რა მომთენთავად ანათებს მზე, როგორ შემქნარან თუ შეყვითლებულან ფოთლები, მახაურს კი ჭერ არაფერი გაუგია. მის მახვილ სმენას ფერიცვალობის სუნთქვა არ სმენია, მერცხლების წასვლაც გამოჰპარვია. როგორ იცინის ნუცა, რა ბორბვით ემზადება ქორწილისათვის მეველე ლადო და მარტო იმაზელაა ნაწყენი, იმაზელა დარჩენია ძვირი გული, რომ საწყალმა ნიკამ ერთი დღეც აღარ მოიცადა, ქორწილი სალაპარაკო გაუხადა და კინაღამ ჩაუშალა. ჩაშლა რა სათქმელია? ქორწილს ვინ ჩაშლის? ამ ალერსის დღეს ყველაფერი ნათლით იმოსება, ყველაფერს შემოდგომის დამღევის მსუბუქი სხივი ეფინება, ყველას გული ღიაა, და მაშინ, როცა ამ მზიარულ ნუცას საფიქრალად მარტო ისლა დარჩენია, ამაღამ საწყალი ნიკას თავით დადგეს და სანთელი დაანთოს თუ ქორწილში წავიდეს, ხელი გაშალოს და დაუაროს, მახაური მომდგარა და ოცი თუ ორმოცი წლის წინანდელ ამბებზე ფიქრობს. საფიქრალი რაღაა, მორჩა წავიდა! უკან ველარაფერს დააბრუნებ... იქნებ არც იყო, იქნებ არც არაფერი მომხდარა? რა დიდი ამბავი ის იყო, ლამაზ ქალს შეერთავდა ბეტრე თუ ულამაზოს? ახალ სახლს ააშენებდნენ თუ ძველს დაარჩენდნენ. დიდი ამბავი ეს არი, შემოდგომის თუ ზაფხულის ეს დღე, სიცილისა და ალერსის დღე, როცა მახაური სანთელსაც დაუნთებს უბედურ ნიკას და ქორწილშიც წავა, რათა ერთხელაც შეავლოს თვალი, როგორ დაუბრუნეს მზიარული და უბერებელი ნუცა! მახაური იცინის. შუა შარაზე დგას და იცინის. მაგრამ სახლი, წედან რომ ახსენა, მახაურის წინ ისე ცოცხლდება, თითქოს ამ წუთში დაუდგამთო. რა დაავიწყებს იმ სახლს. იმ დიდ ლოდებს, იმ რუხ

ეს დღე კი რა მზიარულია... რა ადვილად მოკვდა საწყალი ნიკა. მთელ

თამაზ ზივილიანი
 ზვიდი ხმისა და ბოროლასათვის



კომიტებს, იმ მუხის სტყევებს და გამჭვრეტლულ კავეებს, იმ სამ საფეხურს, მიწურ საჩხეში რომ აღიოდა, იმ სათოფურებივით ვიწრო სარკმლებს...

დავიწყება?

შენ თუ დაივიწყე, თვითონ დაგავიწყებს თავს?

სიტყვები? ის სიტყვები ხომ ისევ ცოცხლად ფარფატებენ ჰაერში, ისევ შენს ირგვლივ დაფრინავენ და ისევ თხზავენ დიდ ამბავს, რომელსაც ცხოვრება ჰქვია.

ეს შემოდგომის დღე იმ სიტყვებთან ვერას გახდება.

არა, ეს დღეც კი ვერაფერს დაავიწყებს აბრია მახაურს.

სახლი ისევ დგას. სახლი არ ინგრევა!

ისინი კი მოვიდნენ და თქვეს — უნდა დავანგრიოთო.

ვინ ისინი და — მახაურის შვილი და რძალი!

ამ მზიან დღეს, ამ სიცილისა და სევდის დღეს მახაური სახლის დანგრევაზე მაინც არაფერს იტყოდა, იმ სახლის დანგრევას სხვა, უფრო დიდი რამ თუ არ მოჰყვებოდა: მაიკოს სიკვდილი... ათასი წელიწადიც რომ იცოცხლოს, იმ სახლის დანგრევას მახაური ვერაფერს გაუგებს. როცა შვილმა რძლის შემონათვალი უთხრა, სახლის დანგრევა გვინდა, საცა მთელი სოფელი, იქ ჩვენ, ახალი უნდა ავაშენოთო, მახაურმა მაშინაც კარგად ვერ გაიგო. ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა ლულულუღით თავისი დაბნეული შვილი, რატომ იფხანდა ჰალარაშერაულ კეფას.

სახლი მარტო კედლები არ იყო! ამის ახსნას მახაური მაშინ ვერ დაიწყებდა, და თუ დაიწყებდა, მაინც ვერაფერს გაუგებდნენ. ამისი ახსნა სასაცილო იქნებოდა! თუ დანგრევა უნდოდათ, მოეცადათ დალოცვილებს, ვიდრე საიქიოს გზაზე დამდგარი ბებრები ბოლოს და ბოლოს წავიდოდნენ და მერე, რაც სურდათ ის ექნათ, რომელ მხარესაც უნდოდათ, თავისი სახ-

ლისთვის, კარი იმ მხარეს გამოგზავნო, უნდა დაენგრიათ! ყველა დანგრევა და ისინი რაღა იყვნენ? ყველას ახალი უნდოდა! ამათაც ახალი მოუნდათ! ამას მახაური ამ მზიან დღეს ფიქრობს, თორემ მაშინ მისი გონება ვერა და ვერ ჩასწვდებოდა ამ ნგრევის აუცილებლობას. ვერც ჩასწვდა! ვერც გაუგო! ახლა ჩანს ყველაფერი უბრალოდ. მაშინ ყველაფერი მძიმედ და გაუგებრად ჩანდა. ამის გამო იყო, შეიღს რომ უთხრა, ვერ გავიგე რა მითხარიო. სახლი უნდა დავანგრიოთო... — ლულულუღებდა პეტრე, — იმან, ჩემმა ჰალმა მითხრაო, მეც უარი ვერ ვუთხარიო, რა გქნათ, საცა ქვეყანა, იქ ჩვენო.

მაშინ მახაური გაჩუმდა, მაიკოს უთხრა, გენახში მივდივარო და ეზოში ჩავიდა. მაიკო გამოედევნა, მეც უნდა წამოვიდე, მარტოს ვერ გავიშვებ, ცოცხალი თავით არ გავიშვებო.

არ წაიყვანა, არ შეეძლო წაყვანა!


დამარცხებული იყო და დედააკც თვალეში ვერ შეხედავდა.

სწორედ მაშინ, ეზოდან გასვლისას, წამოეწია მახაურს რძლის სიტყვები:

— რატო არავინ გიყვარს, მამამთილო!

თავად მახაურმა კი გაიფიქრა: — იმ სახლს გადაჰყვება მაიკო...

იმ სახლს გადაჰყვებაო — ესეც იმ სიტყვათა რკალს ეკუთვნოდა, რომლის ძალითაც, მახაურის მთელი ცხოვრება ერთ ჯამში უნდა მოქცეულიყო და ნელი ტაბით თუ თავაწყვეტილი სრბოლით გადაშვებულყო დასასრულისკენ. ზოგი რითი კვდება, ზოგი რითი... მაიკო იმ სახლის დარღით მოკვდება... იმ სახლში ცხოვრობდნენ ოდესღაც მახაურის მშობლები, აქ უყვარდათ მახაურს და მაიკოს ერთმანეთი, ახლა ამისი თქმა აღარ იქნება სირცხვილი. ამ სახლში დაიბადნენ ბიჭები და აქედან წავიდა გაგა. აქ ისმოდა მისი ხმა, მისი სიცილი... სხვა სახლში კი არა, სწორედ ამ სახლში აღარ დაბრუნებულა... სხვა რაღა მიზეზი უნდა ჰქონდეს



კაცს, რომ ამ ჩაშავებულ კედლებს, საიდანაც ყველა ქვა რალაცას გეუბნება, ხელი არ ახლო... მაგრამ ამას მახაურის გარდა ვერავინ გაიგებს, როგორც ვერ გაიგო მთელმა სოფელმა და იქნებ მთელმა ქვეყანამაც. ეს თუ არაფრად ღირს, მაშინ არც მთელი ცხოვრება ღირებულა რაიმედ. არა, რა სათქმელია, სახლი მარტო კედლებიაო, სახლი ცხოვრებაა, იმ ცხოვრებას ანგრევდნენ მაშინ და მახაური ამაზე ახლაც რისხევით ცახცახებს. წლების მერე, ამ მშვენიერ დღეს, ამ მომთენთავ მზეში, და იმის ფიქრში, რომ კაცი მაშინაც ბედნიერი ყოფილა, მარტო მზის ამოსვლას და ჩასვლას თუ უყურებს, ან მარტო ერთი მზის ჩასვლა თუღა დაჩენია, იმ ერთი მზის ჩასვლის მოლოდინი თუღა აცოცხლებს.

— რა გინდა, მამი, რათ გვიდგები წინაო, — თქვა მაშინ ბიჭმა, — საცა ქვეყანა, იქ ჩვენაო. სხვამ რათ უნდა გადმოგვხედოს ციდანო, — და ბიჭის დანახვაზე მახაური შედრკა. ამ სახლის დანგრევა შვილისთვის ყველაფერი გამხდარაიყო. სხვა დანარჩენს აზრი წართმეოდა. ახლა, ამ დანგრევით წყდებოდა ბედი ოჯახისა, რომელსაც აბრია მახაურის ოჯახი აღარ ერქვა. აბრია მახაურის ოჯახი ინგრეოდა, პეტრე თავის ოჯახს იშენებდა.

— თქვენი ნებაა. აქაურობა თქვენია, ჩვენ მალე წავალთ...

მახაური ვენახში წავიდა. ვენახი უკვე დაკრეფილი ჰქონდათ და საქმე არაფერი იყო. ერთი ხანობა იტრიალა, მერე ბალახებზე მიწვა, მაგრამ თვალი ვერ მოხუჭა. თითქოს საღდაც ქვეყნიერება ინგრეოდა და მახაურიც დაძაბული ელოდა ან ახლა გავიგებ ქუხილის ხმას, ან ახლაო. ქუხილი კი არადა არ ისმოდა. მაშინ რა დრო იყო? მაშინ გვიანი შემოდგომის მზე თენთავდა სხეულს, მაგრამ მახაურის სხეულს მაშინ ვერც ის მზე დააკლებდა რამეს. ვერც იმ მზის სხივი შეუცვლიდა გეზს მახაურის დაძაბულ მხერას. ეს მხერა სოფლისკენ იყო მიპყრობილი. მახა-

ურის თვალში სოფელი ინგრეოდა. მოკრეფილი ვენახი კი ყვითლად ღვიაოდა და ყვითელ ფოთლებში დაძვინჯებოდა ბოდნენ ბელურები. მერე ტრაქტორმა აიარა გრილით და მისგან ავარდნილი ბული მავალიანებს გადაეგლო. მერე თვითმფრინავმა გადაიარა ცაზე ღმუილით. მერე მეორე ვენახიდან გადმოსძახეს: ისევ აქა ხარ კაცო, რას აკეთებ, ამ დროს აქ რა გინდა, მიიკო საღდაო. ხო, აქა ვარო, მიიკოც კარგად არიო. ნეტა რა თქვენი საქმეაო. უთქვენოდ კაცი ვერაფერს გაიფიქრებსო... ფიქრი დამალა მახაურმა, თავისი ფიქრისა შერცხვა და მეზობელს თვალი მოარიდა.

მერე მზე გადაიხარა, ჩრდილები დაგრძელდნენ, ოქროსფერ ვენახს რალაც მუქმა ფერმა გადაჰკრა და ბედურებიც საღდაც ქვემოთ გაიკრიფნენ. რა ყველფერი ახსოვს! პატარა რამე მაინც დავიწყებოდა, ისიც კი ახსოვს, ერთი პატარა ჩიტი როგორ შესკუბდა ლედვზე და თითქოს თავისი საქმე საგანგებოდ მოათავაო, უკანასკნელი შემკნარი ლედვი ჩამოავლო ტოტიდან.

მახაური წამოდგა და ვენახის თავში მოდებულ კუნლის, ასკილისა და კვინჩის ჩირვებს მოავლო თვალი. ჩირვებს ფოთლები გასცვენოდათ და აქა-იქ, ტოტებზე მოჩანდნენ ჩიტის ბუდეები. მახაური იღგა და ჩიტის ბუდეებს შესცქეროდა. რამდენი იყო? სამი თუ ოთხი? არა, ხუთი იყო, ახლაც კარგად ახსოვს. დათვალო, ხუთი იყო და დაიმახსოვრა. მაგრამ ყველაზე უფრო ის სევდა დაიმახსოვრა, იმ ჩიტის ბუდეების დანახვამ რომ მოჰგვარა. ყველაზე უფრო ის ახსოვს, რაც იმ ბუდეებზე გაიფიქრა: ახლა რო მივყვე და ჩამოვშალო ეს გულით ნაგები ჩიტის ბუდეები, დეღამიწის ზურგზე, ამ წუთში, ამაზე ღიდი ბოროტება არაფერი მოხდებოა.

მართალი იყო მახაური!
მახაურის ბუდეს ანგრევა ვილაცა

თაგავ ზივილური
ვვიღი ხმისა და ბორჯალსათვის

და არცა ფიქრობდა, რომ იმ წუთში დედამიწის ზურგზე ამაზე უბედურება არაფერი ხდებოდა. მახაურმა სახრე ბრაზით გადაისროლა და ის იყო, გზას უნდა დადგომოდა, ის იყო ვილაც უბილავისთვის უნდა ეთქვა, თავი დაანებე მაგ ბუდეებს, დაბრუნდებიან პატრონები და აღარაფერი დახვედბათო, რომ ისევ მოესმა მეზობლის ხმა: არ მოხვალ, კაცო?! ჯერ არაო, — გასძახა მახაურმა და მიხვდა, იმ კაცის ხმამ როგორ ჩაუხშო სახლისკენ გავარდნის ვნება, როგორ დააცხრო, როგორ მიაგდო ბალახზე და მიაყუჩა. შენ იცი შენი საქმისაო, — თქვა კაცმა და წავიდა.

მახაურს არ უყვარდა, როცა მის გულში ვინმე იხედებოდა.

თავის ბოლმის მთელი ქვეყნის წინაშე გამოტანას მახაურმა დამარცხება არჩია.

დამარცხებული მახაური ბალახზე ეგდო.

ბინდისას, როცა შინ დაბრუნდა, სახლი უკვე აღარ იდგა. სახლის ადგილზე ნანგრევებილა ეყარა, — ერთმანეთში არეული ქვის დიდი ლოდები, აგური, შედუღაბებული კირისა და ქვიშის ნატეხები, საყვავე და კავეები, კარ-ფანჯრები და ბოძები.

ნანგრევების წინ, იმ ადგილზე, რომელსაც გულში ისევ ეზო ეთქმოდა, მაიკო მიკუნჭულიყო.

მახაურმა მაიკოს გახედა და მაშინ კიდევ ერთი რამ თქვა, რაც იმ სიტყვათა რკალში მოექცევა, ამ კაცის მთელი ცხოვრება ერთ წუთისოფლად რომ უნდა აკინძოს:

— ამას მაინც არ გაპატიებთ...

მარნიდან, ახლის აშენებამდე სახლად რომ ქცეულიყო, რძალი გამოვიდა და მშვილად იკითხა:

— რა თქვი, მამამთილო?

არა, მახაურს არაფერი უთქვამს! რაღა ეთქმოდა, ყველაფერი უკვე დამთავრებულიყო.

ახლა რა მიშველისო, — გაიფიქრა და მიიხედ-მოიხედა.

მაშინ მიხვდა მახაური, რომ იქ, ზე-

ვით, ვილაც უბილავი, კაცმა მოდგმის მთელ ცხოვრებას თხზავს და თუ ხსნა უნდა კაცისა, თუ ჩაიდენდნენ ცნობდათ? გამო მთლად არ გაუწირავს ვინმე? ლაზე უფრო დამცინავ ჟამს იმას მოუვლენს, რაც ამ კაცს პირდება და დაცემულს ფეხზე წამოაყენებს.

მარნის წინ მახაურის ნაბოლარა შვილიშვილი გიორგი იდგა. ეს ის გიორგია, ვისკენაც ზაფხულის მიწურვისის ამ მხიარულ დღეს მახაური ისწრაფვის, ვისი ხილვაც უკანასკნელი წვეთი წყალივით სწყურია, ვის წინაშეც მახაური უნდა მოკედეს და თანაც იმ ნეტარი რწმენით, რომ სიკვდილის წინ, მახაურის წინაშე, სწორედ ეს ბიჭი იდგა, როგორც გამართლება მახაურის ამქვეყნად ყოფნისა.

ბიჭი მაშინ, როცა მარნის კართან იდგა და თავად არ იცოდა რა ნათელს ასხივებდა პაპის წინაშე, ათი წლისა იყო, ათი წლის წინათ მოველინა მახაურის ოჯახს და გიორგი დაარქვეს. გიორგი სხვა სახელი იყო, გავა — სხვა, მაგრამ მაინც გავა ვავდა გიორგის...

მახაური შედრკა: თითქოს ბიჭი პირველად დაინახაო.

— გადამარჩინა... — გაიფიქრა მახაურმა.

ბიჭი მახაურისკენ წამოვიდა.

მახაურმა თავზე გადაუსვა ხელი...

და რაკი ეს ბიჭი სამყაროს უზენაესი მთხველის ნებით გამოჩნდა, შეთხუელი ამბის ავტორმაც გაიფიქრა, რომ მისი გამოჩენა არ შეიძლება შეუმჩნევლად და პაიპარად მოხდეს. შეთხუელი ამბის ავტორის რწმენით, ბიჭი, რომელიც ეს წუთია პაპასთან შემოვიდა, ამბის გმირია, თუნდაც მერე ამბავში ერთხელაც აღარ გამოჩნდეს და ერთხელაც ვერ მოვკრათ თვალი. აბრა მახაური წლებს მერე სწორედ ამ ბიჭთან წავა, მისი ნახვის სურვილით მოიკრებს უკანასკნელ ძალას და იმ აღმართს აივლის, რომლის ავლაც დაულოკებელი სურვილის გარეშე არავის შეეძლო. ეს ბიჭი არსებობს მახაურის სულშიც და იმ ამბავშიც, მახაურის



ცხოვრებას რომ ეხება. ბიჭი დაიბადა მაშინ, როცა აბრია მახაური ამქვეყნად აღარაფერს ელოდა, როცა ყველაფერი დამთავრებული ეგონა და სიცოცხლის დარჩენილი წლებიც მხოლოდ სიკვდილთან იდუმალი შეხვედრის შიშნარევი მოლოდინით თრთოდნენ. მახაურს მანამდე მოევიწინებ შვილიშვილები, — ბიჭი და გოგო, და მიანც ამ კაცის ცხოვრებაში თითქმის არაფერი შეცვლილა. მახაურს რცხვენოდა ამ გრძნობისა, რომელსაც ალბათ გულგრილობა ეთქმოდა და იმდენად რცხვენოდა, რომ ამაზე საკუთარ ცოლთანაც კი არაფერი უთქვამს. შვილიშვილებმა სიცარიელე ვერ შეავსეს! ბოლოს დაიბადა ის, რომელსაც გიორგი დაარქვეს, რომელიც ახლა უკვე თვრამეტი წლისაა და რომლისკენაც ისწრაფვის აბრია მახაური. მაშინ შედრკა მახაური და ღმერთს, რომელიც მის წინაშე კი არა, საღდაც შორეთში იდგა, ზვიადი და კმაყოფილი. მადლობა აღუყვლინა:

ბიჭი გამოცხადებული გავა იყო მახაურის წინაშე მღვარი, ცოცხალი და თბილი...

მახაურს ახლა სცივა, მერე რა, რომ აგვისტო მიწურვილა და შემოდგომა ჭერ მხოლოდ ღობის გადაღმა დარჩურჩულებს. სცივა და იმ ბიჭს სითბო სჭირდება. ხო, ბებერ მახაურს, ამ მზიან დღესაც, როცა გარემო აღარავინ დარჩენილა, ეს ბიჭი ჭირდება. ბიჭი კი მთაში წასულა. ან ჩამოიყვანს მახაური, როგორც შარშან დაიბარა და ჩამოიყვანა, ან თვითონ დაადგება გზას, ცხრა მთას გადავილის, ღმერთს დაუჩოქებს, შესთხოვს, რომ უკანასკნელი ძალა მისცეს, უკანასკნელად ჩაუნერგოს მხნეობა, უკანასკნელად აატაროს გოლგოთა და იქამდე აიყვანოს, სადაც ეს ბიჭი ეგულდება, ეს გიორგი თუ გავა, რათა სიკვდილის დღე მიანც იყოს იმგვარი, როგორადაც მახაურს სურს, როგორადაც მახაურს წარმოუდგენია. ერთადერთი დღე, მთელი ამოდენა წუთისოფლიდან...

მაიკო მაშინ მოკვდა, პირველი სტრუქტურული კედლები რომ ამოკვდნენ, კოქები დაალაგეს. მოკვდა მარანში, უღრტინველად, ქმრის გვერდით მწოლარე. დილით აღვიძა ქმარმა და ველარ გააღვიძა, ამქვეყნიდან ჩუმად გაპარულიყო. მახაურს ხმა არ ამოუღია, ცოლის ცხედარს თეთრი ზეწარი ვადაფარა და გიორგის უთხრა, გაიქეცი, ნიკა მომგვარეო. სწორედ ეს, უბედური ნიკა, ამქვეყნიდან წასვლა რომ გაუძნელდა და მთელი სოფელი ალაპარაკა.

ცოტა ხანში ნიკაც გამოჩნდა. მოდიოდა და ლოყებზე ჩამოსდიოდა ცრემლები. მერე მახაური და ნიკა მარტო იჯდნენ ცხედართან და არ იცოდნენ რა ეთქვათ. ვარეთ ხალხი ყაყაინებდა. მახაურს არაფერი ესმოდა, მარტო ნიკას შესცქეროდა და არ იცოდა რა ეთქვა.

— აბრი, აბა ერთი წამით გამოდი, სიტყვა გვაქ სათქმელი... მახაურს ეს მოხმობაც უაზრობად ეჩვენა. რა უნდა ჰქონდეთ სათქმელი, ახლა, ამ წუთში, როცა მაიკოს ცხედარი მარანში, ძველ ტახტზე ასვენია და თეთრი სუღარა ახურავსო.

მიანც გავიდა ვარეთ. რას ეუბნებოდნენ მაშინ? ხო, ყველაფერს თავისი წესი აქვსო, სოფელია, ადათია, ხალხია, ჯამაათია, ყველაფერს თავისი წესი აქვსო... კაცი რო მოკვდება... მომსვლელი მოვა, წამსვლელი წავა. მოზვრები უნდა დაიკლას, თევზია საშოვნელი. აქ ეს კედლები, იქ ის ჭერი. ეს ტახტიც, რა ტახტია... ყველაფერს თავისი წესი აქ, სოფელი რას იტყვისო? ახმეტიდანაც ჩამოვლენ, მირზანიდანაც ამოვლენ. ყველას ვასტუმრება უნდა, პატივისცემო.

მაგრამ აბრია მახაურს არაფერი ესმოდა.

მერე ეს გამოჩნდა, ეს წყეული მეკუბოვე ბასილა. ალბათ მაშინაც ეგრე

თამაზ ზიზილური
 შვიდი ხმისა და ტორილასათვის

იღრიჭებოდა. დანახა მახაურს, თვითონ იცოდა! ახლა რაღა დროსია. ახლა გაბრაზება სად თქმულა? ეს იყო თუ სხვა იყო? ზო, ეს იყო, მაშინა სწავლობდა, მაშინ ოსტატდებოდა. საწყალ მაიკოს კუბოზე დაოსტატდა ალბათ... მახაურს კი იმისთვის არა სცხელოდა. მახაურისთვის მაშინ სულერთი იყო, როგორი იქნებოდა კუბო — ვიწრო თუ განიერი, გრძელი თუ მოკლე, მუხისა თუ წიფლისა.

მახაურს ახსოვს სიჩუმე და შალაშინის შრიალი.

შალაშინის შრიალმა ჩააჩუმა ხალხი. იმ შალაშინით კუბო კეთდებოდა და ყველას ეშინოდა კუბოსი.

ბინდისას კუბო უკვე მზად იყო. მახაურს რძლის ნათქვამიც ახსოვს:

— მადლობელი ვართ, ბასილა ძიაგ. ისიც ახსოვს, ბასილამ რომ თავი გამოიღო, მეტი რა მიკეთებია, ჩემი ხელობა ეს არიო, კარგად დანაყრდა, ერთი ბოთლი ღვინო გამოცალა, ფული ჭიბეში ჩაიდო და წავიდა.

შულამისას მეზობლები ძლივს დაიშალნენ და ცხედართან მარტო ისინილა დარჩნენ: აბრია მახაური და მახაურის სიყრმის მეგობარი — ნიკა. სათქმელი არაფერი ქონდათ. მარანში ათასში ერთხელ ვარედან მოღწეული ჩურჩული თუ შემოვიდოდა.

მერე ეს ჩურჩულიც მიწყდა.

მაშინ გაუელვა რაღაც ფიქრმა ეჭვიან მახაურს და თავის თავს ჰკითხა, აქ, ამ შულამისას, მაიკოს ცხედართან, რა უნდოდა ნიკა ჰაბაურს. სიყრმის მეგობარი კი ეთქმოდა, მაგრამ გრძობდა კი ეს სიყრმის მეგობარი აქ ყოფნის, მახაურის გვერდით ჰირის გაზიარების სიღიადესო. ეს სიტყვა არ თქმულა! სამაგიეროდ მახაურის მძაფრი მზერა ერთბაშად დაატყდა თავს სანთლის შუქზე გადაყვითლებულ ნიკას სახეს და ამ სახეში მახაურმა ის შემზარავი გულგრილობა თუ დაღლილობა, რაღაც თავიდან მალე მოსაშორებელი აუცილებლობა თუ გარეშე კაცის ცივი მზერა დაინახა, რამაც მე-

რე ყველაფერი გააკეთებინა. ნიკა ჰაბაური აქ არ იყო. მისი სული უკვე შინ წასულყო და მახაურმა, სთხვევით, ბარემ თავადაც დასდგომულა სახლის გზას, ბარემ მეგობარი მარტო დაერჩინა. ის რა თვალეზი ჰქონდა მაშინ ნიკა ჰაბაურს! მახაურს არ უყვარს იმგვარი თვალეზი. იმგვარი თვალეზი ადამიანებს ათასში ერთხელა აქვთ ხოლმე, ღალატის, ლაჩრობის ან სულმოკლეობის ყამს. წვრილმანით გაყიდული კაცის თვალეზი მახაურის სულს მუდამ ყინავდა და იმ ღამესაც თავის მეგობარს ცივად და გადაჭრით უთხრა: — შინ წაიდე...

ნიკა ჰაბაური ხმას არ იღებდა.

— შინ წაიდე... — გაუმეორა მახაურმა და ფეხზე წამოდგა, რაც იმას ნიშნავდა, გამოძევა, გზას გაჩვენებ და მარტო დამარჩინე, მარტო ყოფნა ახლა ყველაფერს მირჩვენიაო. უცხო კაცი აქ არა მჭირდება, უცხო კაცი, თავისი აქ ყოფნით და გულგრილი მზერით, მარტო იმას მეტყვის, რომ ხსნა არსიით არი, ყველაფერი დასრულდა და მეც ისლა დამარჩენია, რომ მცირე ლოდინშილა გავლიო წუთისოფელიო.

ნიკა გარეთ გავიდა.

მახაური გზაზე გაჰყვა და ის იყო უკან უნდა მობრუნებულყო, რომ ნიკა ჰაბაურს ხელი სტაცა და იმგვარად დააშტერდა, თითქოს დღეს პირველად ნახაო. ზო, ნიკას სწორედ ის თვალეზი ჰქონდა, რაც ადამიანს ათასში ერთხელ აქვს, ლაჩრობის, სულმოკლეობის თუ სხვა ამგვარ ყამს. მაშინ მახაური უკან მობრუნდა და სახლისკენ წამოვიდა.

— ნეტა რა გეწყინა...

მოესმა ზურგუკან და მახაური შეჩერდა.

ნიკა ჰაბაურის ამ სიტყვებმა თავისი საქციელის უაზრობა დაანახა. იმ წუთში, ნიკა ჰაბაური რომ დასწვოდა, მახაურმა იცის, რომ სულ სხვაგვარი თვალეზი ექნებოდა, მახაურისთვის კარგად ნაცნობი, ნიკა ჰაბაურის თვალეზი. მახაური იმ ნაცნობი ნიკას წინაშე



ფარ-ხმალს დაყრიდა და გულში პატი-
 ებას შესთხოვდა. მაგრამ ნიკა ჰაბაუ-
 რი არ წამოსწევია, გზას დაადგა და
 სიბნელეში გაქრა. აცხონოს მისი სუ-
 ლი! სამჯერ გააბრტყაო. ტყუილია,
 ერთხელაც არ გაუბრტყამს. იმ ღამის
 წყენაზეც მუდამ ნანობდა და თავის
 თავს ლანძღავდა, რომ ადამიანისგან
 იმაზე მეტს მოხვდა, ვიდრე უფლება
 ჰქონდა და შეიძლება ვიდრე თავდაც
 გაიღებდა სხვებისთვის. სამჯერ ჰყავს
 ნაცემო... ვინ გაიგო, საიდან გაიგეს?
 რას არ მოიგონებს სოფელი? ახლა,
 როცა ნიკა ჰაბაურის თავთან სანთე-
 ლი თრთის, ის ერთი წყენაც კი მახაუ-
 რის სულს სინანულის სევდით ავსებს,
 თითქოს დიდი რამ მომხდარიყო,
 თითქოს ის ერთი წყენა იმოღენა
 ბრალდება იყო, ნიკა ჰაბაურის მხრე-
 ბმა მძიმე ტვირთად ზიდა და საიჭიო-
 შივ სატანჯველად წაიღოო. მახაური-
 სთვის კი მაშინდელი წყენა სწორედ ის
 იყო, რაც წუთისოფელს ცხოვრებად
 აქცევს, რაც იმდენად ჩვეულებრივი
 და უბრალოა, რომ სილიადით იმოსება,
 რაც მარტო მიწისკენ კი არა, ზეცის-
 კენაც გვიხმობს და გვეუბნება, რომ
 ზოგჯერ იმაზე მეტიც უნდა მოვით-
 ხვოთ, რისი გაკეთებაც შეგვიძლია.
 იმ ღამეს ზეცა მახაურის მხარეზე
 დადგა. ზეცამ ვაამტყუნა ნიკა ჰაბაუ-
 რი, რომელსაც დიდი კი არა, ერთი
 ბეწო ცოდვა ჩაედინა — მახაური მარ-
 ტო დაერჩინა. მაგრამ რაკი ცოდვა
 ცოდვაა, ის ერთი ბეწო ცოდვა, იმ ღა-
 მეში, იმ სანთლებისა და მთვარის შუქ-
 ზე, მაიკოს სუფთა ცხედრის წინაშე,
 დიდად გამოჩნდა. ზეცამ მახაური ვა-
 ამართლა!.. ამ გამართლებად მიიღო
 მახაურმა ის, რაც მერე მოხდა, როცა
 მარანში, მაიკოს ცხედართან დაბრუნ-
 და, როცა სიბნელეში ჩამოვდა და
 განთიადის მოლოდინს მიეცა.

მახაურმა ტირილი დაიწყო.
 შიშით მიიხედ-მოიხედა, სუღარა გა-
 დასწია და მაიკოს ცხედარს დახედა.
 შემკრთალმა უკან დაიხია: ნეტა არ
 გადაეხადა, ნეტა არ ენახა!

— ეს რა მოგვსლია, გოგო...
 სუღარაგადაფარებული უცხო დედნულნი
 კაცი მახაურის მაიკო აღარ იცნობდა
 იყო ის გოგო, რომელსაც მახაური სი-
 ბერის უამსაც ხედავდა ცოლის დამტყ-
 ნარ ღაწველებში და ჩამქრალ, თვალეზში.
 იმ თვალეზმა ოდესღაც მახაურს უთხ-
 რეს, რომ მთელი თავისი ცხოვრება იმ
 გოგოს გვერდით უნდა გაეტარებინა.
 ამის წარმოდგენამ მაშინ დაჩრდილა
 სხვა ყველაფერი და იმგვარად დაკ-
 ნინა, რომ მახაურს სხვა ცხოვრება
 სიცილადაც აღარ ეყო. სხვა აღარაფე-
 რი არსებობდა. სხვა დანარჩენს ფასი
 დაკარგოდა. მახაური მაშინ უბოვარი
 და უქონელი იყო. გამოჩნდა ეს გოგო
 და ერთბაშად გამდიდრდა! ერთბაშად
 მოიხვეჭა ის, რაც ბედნიერებისათვის
 კმაროდა და რისი უქონლობაც მუდამ
 გულს დასწყვეტდა, მუდამ მოაგონებ-
 და ამქვეყნიად ეულად ხეტიალის სიმ-
 წარეს. ის გოგო მახაურმა მთაში ნახა,
 მოხევის ერთ ოჯახში, მწყემსობის
 დროს, როცა თავდაც ჰაბაური იყო,
 და მას მერე გვერდიდან აღარ მოუ-
 შორებია. იქნებ ადგა და შინ წავიდა,
 ფიქრობდა ცხედრის თავთან, სიბნელე-
 ში მიყუჟული მახაური და ეს ფიქრი
 იმდენად მართალი ეჩვენებოდა, ამქვე-
 ყნიდან წასვლის და გაქრობის შიშს
 წამით ავიწყებდა. რა უბრალოდ მოხდა
 მაშინ ყველაფერი, რა ერთბაშად, თით-
 ქოს მათი ბედნიერება კარგა ხნის წი-
 ნათ იყო ცაში დაწერილი. მთელი ზა-
 ფხული მახაურმა იმის ფიქრში გაატა-
 რა, რომ სექტემბრის დამდეგს (სწო-
 რედ ეს დრო იყო, ამგვარი მზისა და
 ალერსის დღე, მარტო შემოდგომის
 დამდეგს რომ იცის ხოლმე) ამ გოგოს
 აუცილებლად შინ წაიყვანდა. წაიყვა-
 ნა კიდევ! მოხვევებმა ერთბაშად შეიყ-
 ვარეს ჰაბაური მახაური და გოგოც მი-
 სი კაცობის რწმენით მიანდეს. ალბათ
 ეს იყო სიყვარული, სხვა რა ჯანდაბა,
 ალბათ ეს იყო ბედნიერება — მთელი

თამაზ ზიზილუარი
 შვილი ხმისა და ტოროლასათვის

ის გზა, სწონს მინდვრებიდან მახაურის სახლამდე, მთელი ის მთა და ბილიკები... მახაურის თვალში ამ ბედნიერებით თრთოდა მაშინ ყველაფერი, ამ ბედნიერებით ცხოვრობდნენ მწყემსები, მახაურის ჰირისა და ლხინის ძმები. ამ ბედნიერებას უმღეროდა მთელი ფარა, წინ წასული ყოჩიდან კოკლბატკნამდე და ქოფაკ ძალამდე, ამ ბედნიერებამ შეადებინა მახაურს თავისი დაცარიელებული სახლის კიშკარი და ათქმევიანა ის სიტყვები, რომელსაც მთელ გზაზე არჩევდა თუ ეძებდა, სხვათათვის ძალზე უბრალო, მაგრამ მახაურისთვის დიდი აზრის მქონე სიტყვები:

— აი, ჩვენი სახლი!

ახლა ეს გოგო იწვა აქ, თეთრი სუღარის ქვეშ, ან სულაც სადღაც გაპარულიყო, თავის ცხოვრებაში პირველად ელაღატა მახაურისთვის და მარტო დაერჩინა.

სწორედ მაშინ დაიჭრიალა კარმა.

რა გაიფიქრა მაშინ? დააცათ, ახლავე გაიხსენებს... ასე ფრთხილად ალბათ სიკვდილი შემოდისო.

კარის ფრთხილი ჰრიალი ისევ გაისმა და მახაური გაბრაზდა: ალბათ ნიკა მობრუნდა, ალბათ ვეცოდები, მოვა, გვერდით მომიჯდება და მანუგებებსო.

მახაურმა დაიყვირა:

— რომელი ხარ, შემოდი...

სასწაული, რომელიც ამას წინათ მარანთან მოხდა, კვლავ განმეორდა: კართან გიორგი იდგა.

მახაურმა კვლავ იწამა ღმერთი, რომელმაც კარი ფრთხილად გააღო და ნაცვლად სიკვდილისა, სიცოცხლე შემოუტანა. სანთლის მკრთალ ნათელზე ბიჭის შავი თვალები კრთოდნენ და მახაურს იმგვარ რამეს ეუბნებოდნენ, რისი თქმაც, დედამიწის ზურგზე სხვას არავის შეეძლო, გარდა ამ ბაღლისა, რომელიც ამ წუთში ბაღის აღარ გავდა და რომელსაც მახაურის თვალში ნათლის გვირგვინი ედგა.


— ისევ ვაღამარჩინა — გაიფიქრა მაშინ მახაურმა.

გიორგი ფრთხილად შემოვიდა და პაპას გვერდით მოუჯდებოდა მახაურმა თავზე გადაუსვა ხელი.

— აქ ვიქნები... — თქვა ბიჭმა.

ღმერთო, რა ხანი გავიდა მას მერე და მახაურს ახლაც, შემოდგომის დამდეგის ამ მზიან დღეს, ის წუთი ბიჭის შემოსვლისა ცხადად თვალწინ უდგას.

წუთისოფლის ბოლო დღე კი ზღაზღანით მიდის და აბრია მახაურმა არ იცის როგორ დასრულდება ან როდის დასრულდება, მზის ჩასვლის ჟამს, როგორც მირიადი დღე, თუ ცოტა იქით, ცოტა სხვაგვარად, რათა ამ კაცმა, განგების ნებით, ყველაფერი ძირის-ძირობამდე შეიცნოს, გაუგებარი არაფერი დარჩეს და თავისი ფეხით წავიდეს ამქვეყნიდან. ხო, მახაური თავისი ფეხით წავა, ნიკა ჰაბაურივით ლანძღვას არავის დაუწყებს (ან ვინ არი გასალანძლი, ყველამ ისე იცხოვრა, როგორც შეჰფეროდა) და როგორც ოდესღაც, ჰაბუკობისას ჩაუთქვეს, ლოგინში არ მოკვდება. მანამდე მახაურს ამ სოფელში აქვს საქმე, რაღაც დარჩა, რაღაც ჯერ არ მოთავებულა, რაღაც ბოლომდე არ უნახავს. მახაურმა ახლა სოფელს უნდა ჩამოუაროს და გაიგოს, ხომ არავინ მიდის მთაში, ხომ არავისა ჰყავს ცხენები ჩამოსაყვანი ან ყველი ჩამოსაზიდი, ხომ არავინ შეხვდება მახაურის თვრამეტი წლის შვილიშვილს გიორგის და ხომ არ ეტყვის, პაპაშენი ახლა კი მართლა კვდება (სწორედ ამგვარად უნდა უთხრას), სიკვდილის წინ შენი ნახვა უნდა და იჯდე — ადექ და წამოდი, იდგე — ახლავე გამოიქეცი, გულს ნუ დასწყევტ, ცოცხალს მიუსწარიო. წამოვა! ეგრევე გამოიქეცევა, არც კი მიიხედ-მოიხედავს, მარტო ცხენს სტაცებს ხელს, გადააჯდება და გამოიქეცევა! მახაურმა იცის, რომ ყველაფერი ამგვარად იქნება, ეს რომ არა სჯერო-



დეს, არც დამბარებელს დაუწყებდა ძებნას და არც გიორგის გაიხსენებდა, მიწვებოდა თავისთვის სასტუმარულზე და ცნობისწადილით დაუწყებდა ლოდინს — მაინც როგორია ეს სიკვდილი, ამდენი ხანი რომ ველოდებით და სულ იმაზე ფიქრობთო.

ახლა დამბარებელი ჰქირდება მახაურს...

ხო, მართლა, შალიკო! მწყემსი შალიკო!

გუშინწინ მოჰკრა თვალი, აწოწილ, გამხმარ შალიკოს, ზაფხულის პაპანაქებაშიც რომ რუხი ფარაჯა აცვია და სადაც არ უნდა წვაიდეს, ხელში შინდის ჯოხი უჭირავს. სოფელი დასცივნის შალიკოს, ამ ჯოხით ვილაცას ემუქრება, ვილაცას უნდა დაარტყას, მაგრამ ჭერ საბოლოოდ ვერ გადაუწყვეტია — ვისაო. სოფელი შალიკოზეც იციანის და ვერც გაამტყუნებ, რაც თავი ახსოვს სოფელს, თავი კი არა, რაც შალიკო ახსოვს, ეს ჯოხიც ახსოვს. და რაკი სოფელი, უნდა თუ არ უნდა, მაინც ზოგ რამეში ფხიზლად ერკვევა, ხედება რომ, თუ ჯოხი არსებობს და ორმოცი წელიწადი ხელში გიჭირავს, ერთხელ მაინც უნდა დაარტყა ვინმეს, უამისოდ ამ ჯოხის ამდენი ხანი ხელში ჰქერა სასაცილოა და მეტი არაფერი.

შალიკო ჰქირდება ახლა მახაურს, შალიკოს ჯოხი!

კანტორის წინ კაცები ისხდნენ და ხმამაღლა იკითხა:

— მთაში ხო არავინ მიხვალთო. თავი გააქნიეს. — მთაში არავინ მიდიოდა.

მერე სადალაქოში შეიხვდა.

დალაქთან ღრბიანი სანდრო იბარსავდა პირს და მახაურმა ინანა, რომ ჰკითხა:

— მთაში ხომ არ მიდიხარო.

— მთაში რა მინდაო, — გასაპნული ლოყები გამობერა სანდრომ.

— ეტყობა არავინ მიდისო, — გაიფიქრა მახაურმა და შეეშინდა.

თუ არავინ მიდიოდა, თუ დამბარებ-

ბელს ვერ იშოვიდა, ისევ ფეითონ უნდა დადგომოდა გზას.

ამის გაფიქრებაზე მახაურის მსახურები ულონოდ კანკალებდნენ.

— ისევ შალიკო მიშველის! — თქვა მახაურმა და ქვემო უბნისკენ გადაუხვია.

შორიდან ჩხუბის ხმა მოისმა.

შალიკო ნესტორას ეჩხუბებოდა და მახაურმა გააფიქრა, აქაც ტყუილად მოველიო.

— ვირებზე ჩხუბობენ — აუხსნა კიშკართან ატუხულმა მეზობლის დედაკაცმა.

მახაურმა ვერაფერი გაიგო.

დედაკაცი მიხვდა და დაიჩურჩულა:

— ნესტორას ვირი შალიკოს ვირს მიუვარდება ხოლმე...

მაშინ მახაურმა ისევ უთხრა თავის თავს, რომ ქვეყნიერება თავისი საკუთარი გზით მიაჰყენებდა და მახაურისთვის არავინ ეცალა, მთაში წამსვლელი არავინ იყო. მახაურის სურვილი — სიკვდილის წინ ჩემ შვილიშვილს ვუყუროო, რაღაც სასაცილო და აჩემებული ჩანდა.

— შინ ვაგებრუნდებით, — გაიფიქრა, მაგრამ ვერ ვაგებრუნდა.

შალიკოს და ნესტორას პერანგები კიპამდე ჩახსნოდათ.

შარვალიც, პა და პა, ჩასძვრებოდათ.

სახეზე ღვარად ჩამოსდიოდათ ოფლი. ჯოხი სადღა იყო? ჯოხი იქვე იყო! ჯოხიც ჩხუბობდა, მაგრამ გარტყმა ვერ გაებდა, გარტყმის დრო ჭერ არ დამდგარიყო.

— იქნებ დღეს მაინც გაარტყასო — გაიფიქრა მახაურმა და გაეცინა.

ამ სიცილმა შინ აღარ გაუშვა.

დედაკაცმა გაიცინა და შეთქმულივით დაიჩურჩულა:

— ნახე თუ ჯოხი არ დაარტყას...

მახაურმა ეზოს გადახედა და ახლა სხვა რამეზე გაეცინა:

თავაჯ ზვილური
შვიდი ხმისა და ტიროლასათვის

შალიკო და ნესტორა აკი არა ჩხუბობდნენ, შალიკო ჩხუბობდა.

ნესტორა იღვა და მსხალსა ჭამდა.

შალიკო ჯოხს იქნევდა და ღობისკენ იწვევდა.

ამ დროს შალიკოს ცოლი ქმარს იკერდა, ნესტორას ცოლი კი თავის ქმარს ეძახდა: დაანებე თავი, არ იცი, მაგისი ამბავი, დედაკაცივით იკივლებს და ჩაწყნარდებო.

— დედაკაცივითაო? — ახლა შალიკოს ცოლი მორბოდა ღობისკენ და თან ხელში ფიწალი ეჭირა.

ნესტორას ცოლი ნამგალს დასწვდებოდა და სამიჯნე ღობეს აქეთ-იქიდან ისე უტევდნენ, როგორც ციხის გაღავანს.

ხო, ქალების ჭერი დამდგარიყო...

კაცები ამ დროს ისევენდნენ: ნესტორა ისევ მსხალსა ჭამდა, შალიკო იმუჭრებოდა, რაც იმას ნიშნავდა, ქალები ისევ მორჩებიან, ჩვენი ჭერიც ისევ დადგება და მერე დამიდექ, მე ვიცი, რასაც გიზამო.

ქალები მალე იღვებოდნენ.

კაცები წამოხტებოდნენ, ისევ ჩვენი ჭერი დადგაო და ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი.

— შალიკო! — იძახდა მახაური.

ძახილი არავის ესმოდა.

— შალიკო! არ გეყურება კაცო!

შალიკოს არაფერი ეყურებოდა.

ნესტორა კეთილი კაცი იყო, თვალები აქეთ-იქით ეშმაკურად გაურბოდა და შალიკოს ეძახდა:

— ნუკი იწყევლები, ეგე, გაიხედე, აბრია მახაური გეძახის!

შალიკოს მაინც არაფერი ესმოდა.

— რატო არ დააბამ? აკი გითხარი დააბი-მეთქი!

— არ დაეაბამ-მეთქი!

— მაშ ეგრე გვესტუმროს ხოლმე?

— შენ რა ვაკლდება? შენთან ხო არ მოდის? ქალმა თუ არ დაიბარა ვაჟი იგრე რათ მივა?!

— ფუი, რაც შენა ხარ, ის შენი ვირია!

— რა მენაღვლება, ვაჟის პატრონი მე ვარ...

შალიკოს კვილი ცას მისწვდა, გაღაქლავებულმა ნესტორამ უფრო მსხვილი მსხალი აიღო და ჩაკბიჩა.

ახლა ისევ ქალების ჭერი დადგა.

ქალები ერთმანეთს აღარაფერს ეუბნებოდნენ, სოფელს გასძახოდნენ.

სოფელს არაფერი ესმოდა და კარგად გავაგონოთო, ქალები უფრო ხმამალა კიოდნენ:

— მაშ უნდა ამოგვეწყვიტონ? მაშ უნდა გავგასახლონ?

— თელავის ბაზარში იარე, შენი ადგილი იქ არი!

— ჭერ საწვეთზე რა დღე გვაყარეს!

— ბაზრის ქალი ხარ, ბაზრისაა!

— მერე სამიჯნე კაკალზე...

— ბაზრის ქალი ხარ-მეთქი...

— ვიდრე არ მოვჭერიო, არ მოგვასვენეს!

— ავტობუსში აბაზიან ბილეთს არ აიღებ...

— ახლა ეს სახედარი მოგვიზავნეს!

— გზაზე რო მიდინარ, უკან იყურები, რამე არ ჩამომვარდესო!

— ლამე არ გავა, ყროყინით. არ მოგვივარდეს!

მახაურმა ვერ გაიგო ჩხუბი რამ შეწყვიტა და სიჩუმე რამ ჩამოაგდო.

ჭერ შალიკო წამოვიდა ჭიშკრისკენ:

— გამარჯობა, აბრი!

მერე შალიკოს ცოლმა გაიღიმა:

— ბოდიში, აბრია ძიავე, ვერ დაგიწახეთ...

მერე ნესტორას ცოლი მოეგება, თან შალიკოს ცოლს გასძახა:

— შენი კარგი ქალობა ყველამ იცის!

ნესტორა ისევ მსხალსა ჭამდა, თან მახაურს უცინოდა, თან შალიკოს ეძახდა:

— ჯოხი არ დაგავიწყდეს, შალიკო! მახაური მიხვდა, რომ ტყუილად მოვიდა.

ნესტორა და შალიკო თრლობეში გამოცვივდნენ.

ნესტორა იკრიკებოდა:

— მართლა ილანძლებოდა, კაცო?

მახაურმა წასვლა დააპირა.

— მახაური დიბარესო. ველარ მიუსწრო, ვერ დაამშვიდაო...

— ხო, ვერ მივუსწარი.

ნესტორას მოკუტულ თვალებში რაღაც აზრმა გაიელვა, შალიკოს მიუბრუნდა და გადასძახა:

— ეგე, შენც ეგრე ლანძღვით მოკვდები!

შალიკომ პასუხი არ გასცა.

— დაიცადე, მე დამიძახებენ! დაამშვიდე, შენ უყვარდი, შენ დაგიჭირებსო...

მახაური წამოვიდა.

ხმა აღარავის გაუტია.

როცა მოჩხბრებს კარგად გამოსცდა, ზურგს უკან ნესტორას ხმა მოესმა:

— შალიკო! მომიჯნავე კაცი ხარ, აბა ხო იცი, შენი წყენა არ მინდა. უერთმანეთოდ ვერ გავძლებთ, კაცო!

(ახლა მაინც გადააგდებდეს შალიკო ჯოხსა).

— გესმის რო?

— მესმის და იმიტომ გეუბნები.

— რას მეუბნები?

— შენი ვირი რძლათ მინდა წავიყვანო!

— ფუი! აკი ვითხარი, რაც შენა ხარ, ის შენი ვირია-მეთქი!

ჩხუბი თავიდან დაიწყო.

აბრია მახაურს ისევ წყაროსკენ მოუნდა წასვლა.

იცოდა, წყაროსთან ისევ ნენე იჯდებოდა და ისევ იმასა ჰკითხავდა, რასაც ამდენი წელიწადი ყოველ შეხვედრაზე ეკითხებოდა.

— მკითხოს! — ხმამალა თქვა მახაურმა.

წყაროსკენ ისე მიდიოდა, როგორც ბრძოლის ველზე, სადაც აუცილებლად ვიღაცა უნდა შეხვედროდა და დამარცხებინა. ეს ვიღაცა ამ წუთში მახაურის დარდი იყო, მუდამ მოუშორებელი და თანამდევნი. ამ დარდით ვიცხოვრე და ამ დარდით უნდა მოგვედევო, — იფიქრა მახაურმა და წყაროსთან მჯდარი ნენეს ნახვა ისე მოუნდა,

ღმერთი რომ გამწყრალიყო და წყაროსთან ველარ ენახა, შინ უნდა წასულიყო, მოეძებნა და ეთქვა: მკითხე, მკითხე, მკითხე, მკითხე...
საც ამდენი წელიწადია მკითხე, მკითხე, მკითხე, მკითხე...
არა, თქმა არ დასკირდებოდა, ნენე უთქმელადაც კითხავდა.

— გამარჯობა, ნენე!

— გაგიმარჯოს, ბიჭო!

მახაურმა პეშვით წყალი შეისხა.

კარგა ხანს იღვა ზურგშექცეული.

მერე წყალი მოსვა და ნენეს გვერდით, ლოდზე ჩამოჯდა.

ხმას არ იღებდნენ.

ნენე სივრცეს უაზროდ გასცქეროდა.

მარტო მაშინ, როცა მახაური წამოღდა და გზაზე გავიდა, ნენემ დაუძახა ის, რაც აუცილებლად უნდა დეიძახა:

— ბიჭისგან ხო არაფერი გაგიგია?

— ჯერ არაფერი, — თქვა მახაურმა.




ნიკა ჰაბაურს გაყინულ ხელში სანთელი ეჭირა. მიცვალებულის სახესაც სანთლისფერი ედო. ნიკა მშვიდად იწვა, თითქოს მშვიდად და უღრტივინველად ჩააბარა სული უფალს, დაწვა, თვალები დახუჭა და ხელში სანთელიც თვითონვე დაიჭირაო. მორჩილად ავალ-მილულული ნიკა ჰაბაური საშინო კი არაა, საბრაღისილა იყო. სახლში სიჩუმე იღვა. თავდახრილი რძლები ხმას არ იღებდნენ — მზის ჩასვლის მერე ტირილი აღარ შეიძლებოდა. ნუცა კარებთან იღვა და იღიმებოდა. „მიდი, რამე დააბარე,“ — ჩასჩურჩულა აბრია მახაურს. მახაურმა მოხედა. ნუცას შეეშინდა და გარეთ გავიდა. მახაურმა კუბოს ერთხელაც შემოუთარა და ჩუმად, თავის გულში დაემშვიდობა ნიკას.

მარანში ხალხი ყაყანებდა. კუბო უკვე მზად იყო, კუბოს საფარებელი მარნის კედელზე ეყუდა. საფარებლის გვერდით ამაყად იღვა ბასილა. ხალხი

თამაზ ზიზიუშვილი

შვიდნი ხშირა და ბორჯოლასათვის



რო დაიშლება, ჩააწვენენ, — ჩაულა-
ბარაკა მახაურს და საფარებელს იმგ-
ვარი ალერსით გადაუსვა ხელი, რო-
გორც მხედარი გადაუსვამდა თავის
საამაყო ბედაურს. მოდი, შინ წავალო,
გაიფიქრა მახაურმა, მიგრამ შერცხვა
და ფეხი ველარ მოიცვალა. მუხლები
უკანკალებდა, არც სანთლების დანახ-
ვა უნდოდა, არც კუბოსი და ისევ ნი-
კას შორიახლოს გაჩერდა. მხიარული
ნუცა თითქოს ამ სამყაროს არ ეკუთვ-
ნოდა და მახაურიც თავისთან მიჰყავდა.

ნუცას გული სწყიდებოდა, რომ იმ
წუთში, როცა საწყალ ნიკას მიქელ-
გაბრიელი დაადგა თავზე, იქვე არ იყო
და ყველაფერი საკუთარი თვალთ არ
ნახა. ქალებში იღვა და ხმამაღლა ემ-
დუროდა თავის ბედს: რაღა იმ დროს
გავედი, გავედი კი არა, რაღა იმ დროს
გამგზავნეს მახაურის მოსაყვანადო. ქა-
ლები ამშვიდებდნენ, შენ იყავი კარგად
და ნიკას დარჩენილი დღეები შენ მო-
გემატოსო. ნუცა იფერებდა, ხო ავი
იყო, მაინც მიყვარდა უბედურიო. ქა-
ლები აჩუმიდნენ, ცოტა ჩუმად ილა-
ბარაკე, განა ქორწილში ხარ, ყველა
შენ გიგდებს ყურსო. ნუცა აქეთ-იქით
იხედებოდა, აბა ვინ არი ყურის დამ-
გდები, ყველას თავისი ჯავრი აწუხებ-
სო და დედაკაცებში დაძვრებოდა.

ვიღაცამ გვერდზე გაიყვანა და მა-
ხაურს მოესმა:

- მართლა ილანძლებოდა?
- ილანძლებოდა რომელია?
- ნახეთ თუ ვინმე არ წაიყვანოს...
- ისემც უქნია... აქ რა მე მოვენატ-
რები...

ამ დროს ნუცას დაუძახეს და მარ-
ნისკენ გაიქცა.

კაცები რიგით მოდიოდნენ, ცხედარს
უვლიდნენ გარშემო და გარეთ, შარა-
ზე გადიოდნენ. ქალები ეზოში მოგ-
როვილიყვნენ, ნუცა ჩხიკვივით დაძვ-
რებოდა და ხან სად ისმოდა ჩუმი ფრუ-
ტუნნი, ხან სად.

— ნენე რო არ მოვიდეს, არ იქნე-
ბაო, — გაიფიქრა მახაურმა.

ნენე არსად ჩანდა.

მახაურმა ნუცას დაუძახა.

ნუცას გაუხარდა, მახაური მეძახისო,
გაუტინა და გვერდში ამოუხდებოდა.

— ნენე არა ყოფილა? — დაიწყო

ჩულა მახაურმა.

ნუცამ გადაიხარხარა:

— იყო! რაც იმან იტირა უბედურმა...

— სატირალი რა იყო? განა აქ ვინ-

მე დავრჩებით?

— განა ნიკას ჯავრი ჰქონდა? საკუ-
თარ ქმარსა ტიროდა... კინალამ ვუთხა-
რი, ერთი ცრემლი ამ უბედურისთვი-
ნაც გადმავადე-მეთქი.

ნუცა გაიქცა და ეზოში შემოსულ
ქალების ჯგუფს მიეგება.

დათახული, კუშტად მზირალი ქა-
ლები გარშემო არავის ესალმებოდნენ,
ნუცას ზედაც არ უყურებდნენ და პირ-
დაპირ კიბეზე ადიოდნენ. კიბიდან სხვა
ქალები ჩამოდიოდნენ, საძრაობა არ
იყო და ისევ ნუცამ დაიძახა, ერთმა-
ნეთს დააცადეთ ქალებო, ან ადით, ან
ჩამოდიოთ.

მახაურს ისევ მოერია მუხლების კან-
კალი.

მიიხედ-მოიხედა და ისევ შინ წასვ-
ლა მოუნდა.

მიხვდა ეს წყევული ნუცა! გვერდით
ამოუღვდა და წასჩურჩულა:

— წაიდი, ნეტა აქ რას აკეთებ?

— მართლა წავალო, — გაიფიქრა
მახაურმა და იქვე გაახსენდა:

— ამაზე არ დავემდურე საწყალ
ნიკას? აქ კი უთქვამთ სამჯერა სცე-
მაო...

— რა მითხარი? — იკითხა ნუცამ.

— არაფერი, ჩემთვისა ვთქვი...


ქვემო უბნიდან ვარმონის ხმა მოი-
სმა.

— დაიწყო!

ნუცას თვალები მთვარის შუქზე
ელავდნენ.

— ქორწილი დაიწყო!

ნუცა აწრიალდა, ჯერ კიბე აირბინა
და მიცვალებულის ოთახში შევიარა.
იქიდანაც მალე გამოვიდა, კიბეზე მოგ-
როვილი ქალები მისწვი-მოსწვია და ჰიშ-
კრისკენ გაიქცა. ჰიშკართან იღვა და



გზას ვასცქეროდა. ახლა გაიქცევავო, — გაიფიქრა აბრია მახაურმა, მაგრამ ნუ-ცა არ ვაქცეულა. იღგა და ისევ ხალხს ითვლიდა. განა არა, მივხვდი, აღარ დაილია ეს ხალხიო, რა ყველას გული დაეთუთქა, როდემდე უნდა იარონო...

— გაიფიქრა მახაურმა, — ხალხი მიწყდება და ქორწილში წავა... უნდა წავიდეს კიდევ! რატომაც არ უნდა წავიდეს? აქ რო იყოს, რა ვითომ? მიიხედ-მოიხედა და მახაურმა ახლა სხვა რამ გაიფიქრა: ჩემი ტოლი აღარავინ არი... აღარავინ დარჩენილა. ვინც დარჩენილა, სიკვდილისა ეშინია... თავი ზედმეტად იგრძნო და ერთხელაც თქვა, მოდი, შინ წავალ, აქ დგომით ნიკას მიინც ვერაფერს ვუშველიო და ერთხელაც გაამართლა ნიკა, მაშინ, იმ ღამეს, შინ წასვლა რომ მოუნდა. ერთხელაც გაამტყუნა საკუთარი თავი, ვინ მომცა ნება, ამ კაცს რომ დავემდურე, სხვის მკვდართან რათ უნდა მჭდარიყო და ღამე რათ უნდა ეთიაო. აქეთ-იქით იხედებოდა და ეგონა, იმ ღამის ამბავი აქ ყველამ იცის, იმიტომაც თქვეს, სამჯერ მაინც ეყოლება ნაცემიო და სიბნელეში მიიყუტა, თავი ჩაქინდრა, ყველასგან განაპირებული, თითქოს თვლემაში ჩაიძირა.

ამ დროს მარტია დაინახა!

— თუ მიშველის, ეს მიშველისო, — გაიფიქრა და მარტიასკენ წავიდა.

მარტიას ქუდი ხელში ეჭირა, წელში გამართულიყო და, საითკენაც მზირალი, ზედ არავის უყურებდა. აწოწილ მარტიას გრძელი ხელები არ იცოდა სად წაეღო. მუდამ მთაში მყოფს, სოფლისგან მოშორებულს, ამდენ ხალხში ყოფნა ეუხერხულებოდა და ჰიშკრისკენ იყურებოდა, როდის დაიწყებს ხალხი წასვლას, რომ მეც შინ წავიდე და აქეთ მარტო მაშინ გამოვიხედო, როცა საწყალი ნიკას კუმოს ხელში აიტაცებენ და გზას გაუყენებენო. მახაურის დანახვა გაეხარდა, თითქოს მხსნელი იპოვაო, ხელი მოჰკიდა და გვერდზე გაიყვანა.

— რა ხელები გიცხცახებებს, მახაურო...

მახაურს შეეშინდა და ხელი ვეშინებინა.

მახაურს არ უყვარდა, როცა მის გულში ვინმე იხედებოდა.

მარტიას რაღაცის თქმა უნდოდა, აქეთ-იქით იხედებოდა, ხალხისა ერიდებოდა.

— მოდი, ცხენის ამბავს ვკითხავო — გადაწყვიტა მახაურმა და მარტიას დააცქერდა. მარტიამ ისევ ხელი მოჰკიდა, მახაური გვერდზე გაიყვანა და ჩუმად იკითხა:

— ვისა ლანძღავდა, ხო არ იცი?

მახაურს ისევ შეეცოდა საწყალი ნიკა. მთელი სოფელი საიქიოს გზაზე ლანძღვით მიმავალ ნიკაზე ლაპარაკობდა.

— ეშინოდა! — ხმამალა თქვა მახაურმა.

— მარტიამ მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გაიგოო.

მაგრამ ახლო-მახლოს არავინ იყო და მათთვის არავის ეცალა.

მარტიამ თავი დახარა და ისევ დაიჩურჩულა:

— საშიში რა იყო?

— რა ვიცი, ეშინოდა... — თქვა მახაურმა.

— მოდი, აღარც ცხენსა ვთხოვ და აღარც არაფერს ვეტყვიო, — გაიფიქრა მახაურმა და ხალხისკენ წასვლა დააპირა.

მახაურმა ეზოს გადახედა. ქალები ისევ რაღაცას ჩურჩულებდნენ. ნუცა ისევ დაძვრებოდა ხან ქალებში, ხან მარანში, ხან აივანზე. კაცები ჰიშკართან და ჰიშკრის წინ იდგნენ... მაგრამ ამ დაფანტულ და დაბნეულ სოფელს მაინც ერთი კითხვა აწვალებდა: რათ ილანძღებოდა საწყალი ნიკა, ან თუ ილანძღებოდა, ვისა ლანძღავდა... ამ წუთში მარტო ეს აფორიაქებდა სოფლის სულს და ალბათ მანამდე ააფო-

თამაზ ზიზილური
შვიდი ხმისა და ბოროლასათვის



რიაქებდა, ვიდრე ნიკა ხმისამოუღებლად არ წავიდოდა საბოლოო გზაზე და სოფელიც თავის ვალს არ მოიხდიდა, ვიდრე ყველაფერი ისე არ მოხდებოდა, როგორც უთვალაჯერ მომხდარა და ვიდრე სოფელი თავის თავს არ ეტყოდა, რომ ნიკას სიკვდილიც ერთი ჩვეულებრივი სიკვდილი ყოფილა. არც არაფრით გამორჩეული, არც არაფრით დაუფიწყარი. ეს მოხდება ორი დღის მერე, მახაურს კი ეგონა, რომ ყველაფერი დღეს დამთავრდება. მახაურის წუხანდელ ფიქრში ნიკა ჰაბაურის სიკვდილი არ ეწერა. ნიკა ჰაბაური ახალა გამოჩნდა, გამოჩნდა და ეს ამოდენა ხალხი ააფორიაქა. ეს ხალხი ამ წუთში მარტო სიკვდილზე ფიქრობს. ყველას ეშინია სიკვდილისა! მარტო მახაურს არ ეშინია. მახაური უკვე მიხვდა, რომ ყველაფერი თურმე ისე უბრალოდ ხდება, როგორც მზის ამოსვლა, ან მზის ჩასვლა. მახაური ყველაფერს უკვე იმქვეყნად ერთხელ ნამყოფის და ხელახლა წამსვლელის გულგრილობით უცქერის, ამათ კი დიდი რამე ჰგონიათ! ეგონათ! არც ამით დააკლდებათ რამე... რამე რომ დააკლდებოდეთ, მახაური ყველას შეიცოდებდა, სადმე მალლობზე შედგებოდა და ამ შეშინებულ ხალხს ეტყოდა, რომ სიკვდილი არაფერიც არა ყოფილა, — არც ძნელი, არც ადვილი, რომ სიკვდილითან შეხვედრა ყველაზე დიდი საიდუმლოა, რაც კი ცისქვეშეთში განგებას დაუწესებია. ამ საიდუმლოს ყველა სულიერი ერთხელ მაინც უნდა ეზიაროს, რათა ბოლომდე გაიგოს, რისთვის მოვიდა ქვეყნად და რისთვის იცოცხლა.

— ორი დღის მერე მეც აღარ ვიქნები, — გაიფიქრა მახაურმა და მარტიას შეხედა.

მარტიას ეშინოდა რაღაცისა და მახაურს მარტიაც შეეცოლა.

— არ კი იციან, რა ადვილია ყველაფერი — კვლავ გაიფიქრა მახაურმა.

შორიდან ისევ ყრუდ ისმოდა გარმონის ხმა. მახაურმა მიიხედ-მოიხედა. გა-

რმონის ხმა მახაურის გარდა, არც ვინმეს მოსმოდა.

— ეს რა ყველაფრის გაზვიადება ვისწავლეო, — დატუქსა საკუთარი თავი და მარტიას პირდაპირ ჰკითხა:

— შენი ცხენი მთაშია?
სიკვდილზე კი არა, ცხენზე ჩამოვარდა ლაპარაკი და მარტია გამოცოცხლდა.

— მთაში რა უნდა, აქ არი.
— ერთი დღით მათხოვე...

მარტიას თვალი ისევ გაუშტერდა და მახაური მიხვდა, რომ ამ კაცს ცხენის განათხოვრებისაც სიკვდილივით ეშინოდა. მარტია ლულულულებდა. მახაური არ უსმენდა და იმასლა ნანობდა, რომ ამ კაცს ცხენი სთხოვა, და თანაც მაშინ, როცა ცხენი არცა სჭირდებოდა, ის ძალა, რომელიც მწყემსების ბინაზე ასვლას უნდოდა მახაურს ძველ ღვინოსავით ქონდა გადანახული, ხვალ თუ დასჭირდებოდა სწორედ იმ ქვევრს მოხსნოდა სარქველს, პეშვით შესვამდა იმ გადანახულ ძალას და გზას დაადგებოდა. ცხენი რა სათქმელია, ცხენი ვის უნდა? ან დამბარებელს რატომ ექმს? თავად გააკეთებს ყველაფერს, უხმოდ და უსიტყვოდ, თავს არც სასაილოდ გაიხდის, არც საბრალისად. ამას კი, მარტიაა თუ რაღაც დარღუბალა, ეგონა, ძალით წამართმევს ცხენსაო და შინისკენ სირბილით დაეშვება...

მახაურმა მიიხედ-მოიხედა და გაეცინა:

„მხიარული ნუცა აღარსად ჩანდა!
კარგა ღამე წამოვიდა და შორიდან დოლ-გარმონის ხმა უფრო ცხადად ისმოდა.“

ნიკა ჰაბაურის ეზოში ხალხი შეთხელებდა.

მახაურმა იფიქრა, ერთხელაც ავალო, ერთხელაც დავხედავო, მაგრამ კიბესთან მისული ისევ უკან გამობრუნდა.

ზემოდ ასვლა აღარც ნიკას ჰირდებოდა, აღარც აბრია მახაურს.

მახაური ჰიშკრისკენ წავიდა.
ჰიშკართან მეკუბოვე ბასილა იდგა.

ბასილა უკვე მთვრალი იყო და აბრია მახაურმა ზურგი შეაქცია.

— საღამო მშვიდობისა, მახაურო...

— როდის მოასწარი?

— მოსწრებას რა უნდა, ერთი ხელა- და და იმისი ჯანი.

მახაური გზას დაადგა.

ბასილა გაჰყვა.

მახაურმა იფიქრა, მივბრუნდები, ვეტყვი, რომ თავის გზაზე წავიდეს, მე თავი დამანებოსო, მაგრამ შეეცოდა ბასილა და არაფერი უთხრა.

დოლ-გარმონის ხმა უფრო ცხადად ისმოდა.

— გესმის?

— ხო... რაო მერე?

ბასილამ დაასლოენა და ქული მოიშვლია:

— არ დამაბატიყეს!

მახაურს უფრო შეეცოდა ბასილა და გაუცინა:

— ყველას ხო არ დაბატიყებდნენ?

ბასილამ ზეცას შეხედა და დაიყვირა:

— ყველა ვარ? მე ყველა არა ვარ!

მახაური უცინოდა:

— ხვალ დაგიძახებენ, შინაურებს ხვალისთვის ეძახიანო...

ბასილამ არ დაიჯერა, ქული სიმწრით მოჰმუქუნა, ისევ დაიხურა და მუშტი მუქარით ასწია:

— დამაცადონ, დავკირდები!

მახაური იცინოდა. ბასილა გაბრაზდა:

— ნეტა შენ რაღა გაციინებს, მახაურო...

ნაწყენმა მახაურს ზურგი შეაქცია და ორღობეში ღიღინით წავიდა.

მახაურმა გაიხედა და ახლა ისევ მარტია დაინახა. მარტია ორღობეში მიიჩქაროდა და თან აქეთ-იქით იყურებოდა.

— ქორწილში მიდისო — გაიფიქრა მახაურმა.

ხო, რა გამოცნობა უნდოდა, ქორწილში მიდიოდა!

მახაურს გაეცინა. მარტია მოიხედა, მახაური დაინახა და ფეხს აუჩქარა, ვითომ სხვა მხარეს მივიღვივარო, ორღობეში გადაუხვია და მაყვლებს ამოეფარა.

მახაურმაც ორღობეში გადაუხვია. მიდიოდა და ესმოდა მარტიას ქორწილში მარტია მახაური წინ წასულყოფილია, ისევ მობრუნდა და შარაზე გავიდა. მახაურმა მიიხედა და გაჰყვა. მარტია მიბრუნდა, მერე მიხვდა, რომ ვერსად გაიქცეოდა, ან ქორწილს უნდა დამშვიდობებოდა ან შინ წასულიყო და უვანშობლ დაეძინა, გაჩერდა, მახაურს დაუცადა და როცა იფიქრა, დამეწიო, თქვა:

— ჯანდაბას, წაიყვა ცხენი...

მახაურმა გაუცინა:

— აღარ მინდა... გადავიფიქრე.

მარტია დაიყვირა:

— სუყველანი ვიყები ხართ!

მახაურმა ორღობეში გადაუხვია.

როცა მარტია თვალს მიეფარა, მახაური ისევ გზაზე გამოვიდა.

საიდანაც სივრილე წამოვიდა. ცაზე მთვარე ექიდა. ვარსკვლავები არ ჩანდნენ. ხევიდან ვასაკების ხმა ისმოდა. ლობის მიღმა ვილაცა რადიოს აფხაკუნებდა. ვილაცამ მანქანის ფარები მოანათა, გვერდზე ჩაუქროლა და გადმოსძახა:

— გამარჯობა, მახაურო!

— ნეტა ვინ იყო? — გაიფიქრა მახაურმა და გზა განაგრძო.

ეს დღეც დამთავრდა! მახაური ისევ ცოცხალია! ავგისტოს მიწურვილის ეს დღე უკანასკნელი არ გამოდგა. მახაურის ფიქრი ისევ არ გამართლდა... რა არი ბოლოს და ბოლოს ერთი დღე? არაფერიც არ არი! იქით იყოს, აქეთ იყოს, მახაური მაინც კვდება და ამაღამ მოკვდება, დილაზე თუ ხვალამ, ამით არაფერი იცვლება. მილას ეგონა, მორჩა, ყველაფერი დასრულდაო, ახლა კი ღვას ორღობეში და მთვარეს უყურებს. მოდი, ამაღამ არ დავიძინებო, — ფიქრობს მახაური, ჩამოვადები საჩხეში და ეგრე, მთვარეს ვუყურებ, ვიდრე კაკლებს იქით არ ჩავა, ვიდრე თვალს არ მოეფარებაო. ამის

თავაზი გივილიური
შვიდი ხმისა და ბროლიასათვის

გაფიქრებაზე ისევ თავისი ტახტი და ლოგინი ახსენდება, ის ტახტი, დილას რომ ებლაუქებოდა, არ უშვებდა და დაძინებით ჩასჩურჩულებდა, რომ ყველაფერი უკვე დასრულდა და ფეხზე წამოდგომას აზრი აღარ ქონდა. როგორ არ ქონდა? მახაურის თვალწინ ამოდენა დღემ ჩაიარა... ამოდენა ხალხი ნახა, ამოდენა იმხიარულა, ახლა კი დგას და მთვარეს გასცქერის. თუ ამალამ მართლა არ დაიძინა, თუ ამალამ ბულბულმაც დაიწყო ვალოზა, მახაური იტყვის, რომ ეს დღეც იმ დღეთაგანია გამოდგა, რომელთა ხსოვნასაც, თუ ის ქვეყანა მართლა არსებობს, მახაური იმქვეყნად წაიღებს და მათგან დაწვრილებით მოუთხოვს. როგორი იყო ის ბოლო დღე, რა მოხდა, რაზე ლეღავდნენ, რაზე ჩხუბობდნენ, რა უხაროდათ და რა სწყინდათ მიწის მკვიდრთ, ბოლოს კი როგორ გამოჩნდა მთვარე და როგორ გაუჩნდა მახაურს სურვილი, რომ მთელი დამე საჩხეში გაეტარებინა და ამ მთვარისთვის ეცქირა. ამის გაფიქრებაზე მახაურს შინ წასვლა მოუხდა და ფეხს აუჩქარა. ასე ეგონა დიდი ხანია შინ არ ყოფილიყო. ასე ეგონა, ნეტარი წუთი, რომელიც ორღობეში შემოხვდა, შინაც გაჰყვებოდა, შინ კი არა, საბოლოო გზამდე გააცილებდა. მიდიოდა მახაური და აღარ იყო აღარც ფიქრი უკანასკნელ დღეზე, აღარც სიკვდილი, აღარც მოლოდინი შეუცნობლისა. გარშემო ყველაფერი მარადიული გამხდარიყო: მიწაც, ცაც, მიწის მკვიდრნიც და ცის მეუფენიც. იქნება რძალი მართალია, იქნებ აღარა გვედებო — გაიფიქრა და ორღობეში გაჩერდა. თავის ნაფიქრზე გაეცინა, ღმერთს მაღლი უთხარი, რომ ეს ერთი დღე მაინც დაგაცადაო, თქვა და წასვლა დააპირა.

საღლა წავიდოდა, ერთბაშად ორღობეში დოლ-გარმონის ხმა დაირხა! მახაურმა მიიხედ-მოიხედა, ხო, ქორწილი აქვე იყო, მეველე ლადოს გაჩირაღდნებულ ეზოში. მაყრები უკვე დაბრუნებულიყვნენ და ქალიც მოეყ-

ვანათ. სტუმრებიც ჩარიგებულიყვნენ ხეივანში გაშლილ გრძელ ხეფრებზე და ვიდრე დოლ-გარმონს დასრულდებოდა, ის წუთი იყო, როცა ჯერ ყველა სდუმს, როცა კუქს ჩაფენა პირდება, რათა მერე სტომაქი ღვინით გაივსოს და სტუმარიც, თუ ორმოცაფიან ქვევრს არა, პატარა ქოცოს მაინც დაემსგავსოს, გალაქდაქდეს, ჩამოდუღდეს, ბუტ-ბუტი დაიწყოს და, თუ დასპირდა, საზღვარსაც გადმოვიდეს. ამგვარ დროს იცის სიჩუმე, განთიადის მდინარისებური გარინდება. ამ გარინდების ქამს მოსულა მახაური და მეველე ლადოს სახლის წინ დამდგარა, როგორც დაუპატიებელი, ნაწყენი სტუმარი, რომელიც იმასლა უნდა დასჯერდეს, რომ ქორწილს თვალი გადაავლოს და ყველაფერი გულში ჩაიხვიოს.

დაიცათ, დაიცათ, მახაურის გარდა აქ სხვა დაუპატიებელი სტუმრებიც იყვნენ. თორმეტობედი წლის ფეხშიშველი, მამლაყინა ბიჭი, თმაგაწეწილი გოგო და პატარა პირმოთხვრილი ბიჭი, ჩამოხეული ხალათით და ხელში მოღერებული შურდულით. ეს შურდული რაღა უნდათო — გაეცინა მახაურს. ეს შურდული ქორწილს მიჩერებულ ამ სამეულს რაღაც შეთქმულთა იერს აძლევდა, თითქოს შეთქმულები, ჰა და ჰა, როგორც კი დროს იხელთებენ, ქორწილს ალყას დაარტყამენ და ამოდენა ხალხს ხელებს ზევით ააწევიანებენო. ყოველივე ამას კი ხალათამოხეული ბიჭის შურდული იხამდა. ბალები ქვებს ეზიდებოდნენ და ლადოს ვალაგნის ძირში ალაგებდნენ. ეს ქვები რაღა უნდათო? რაღა რათაო, ქვებზე შედგებიან და ეზოში გადაიხედავენო. უამქვებოდ ლადოს ვალაგანზე (იტყვიან ხოლმე ჩიტაც ვერ გადაფრინდებოდნენ) ეს კატასავით ბალებიც კი ვერ აფოფხდებოდნენ. აფოფხდნენ! ჯერ დიდი ბიჭი შედგა ლოღზე, მერე ზემოთ გამოჩხირულ აგურს მოეკიდა და ვალაგანს თავზე მოექცა. თქმაც არ დასპირებია, ბიჭს გოგოც მიჰყვა და ისიც ადვილად აფოფხდა ვალაგან-



ქართული ენციკლოპედია

ზე. ახლა პატარა ბიჭილა დარჩა თავის შურდულით და დიდი ბიჭი და გოგო ხელით ანიშნებდნენ, მოდი, რისი გეშინია, გვერდით მოგვიჯექი, აქედან მთელი ქვეყნიერება მოჩანსო. პატარა ბიჭი გაშტერებული იდგა, ეტყობა, თავისი იარაღის ფასი არ იცოდა, მერე გოგომ დასჰყვილა, მოდი რისი გეშინიაო და პატარა ბიჭიც გალავნის აგურს მიეკიდა. მახაური მივიდა, ბიჭს ხელი სტაცა, ფეხი დაუჭირა, მერე ქვემოდან ძელივით შეუყენა მხრები და გალავნის თავზე აიყვანა. ბიჭმა გაიღიმა. ეს გამარჯვებულის ღიმილი იყო. აქედან მართლა ხელის გულივით მოჩანდა ქვეყნიერება. გოგო-ბიჭები გალავნის თავზე ისხდნენ, თან ჭორწილს ვასტკეროდნენ, თან ახლა მახაურს ანიშნებდნენ, ნუ გეშინია, შენც ამოდი, ამოზე უკეთესს თვალი ვერაფერს ნახავსო. პატარა ბიჭი მეჭორწილეებს შურდულს უმიზნებდა. გოგო პატარა ბიჭს თავში არტყამდა და ისევე მახაურს უქნევდა ხელს, ამოდი, გვერდით მოგვიჯექიო. მახაური იცინოდა. გოგო-ბიჭებიც იცინოდნენ. მახაური და ბალღები შეთქმულებს გავდნენ, და, ვიდრე შეთქმულება გაიცემოდა, ბედნიერები იყვნენ.

შეთქმულება მალე გაიცა. ფანჩატურიდან ლადოს დედა მაშო გამოვარდა და ბალღებს შემოსძახა:

— ეს ჩიტები საიდანა ჩამოსხდნენ? ჩიტებს შეეშინდათ და, თითქოს ვილაცამ ხელი აუქშიათო, წამოიშალნენ.

— აბა ძირს ჩამოდით, საქმე მაქ! — დაიძახა მაშომ.

გოგო-ბიჭები გალავნის თავზე ისხდნენ და მაშოს უნდობლად გადასცქეროდნენ.

— ნუ გეშინიათ-მეთქი, ბიჭო!

დიდი ბიჭი გალავნის „ქონგურს“ დაეყარნო და ეზოში ჩახტა. დიდი ბიჭი ჩახტაო და გოგოც მიჰყვა. მარტო ხალათჩამოხეული პატარა ბიჭი იჯდა გალავანზე, თავის შურდულს ხელს არ უშვებდა და მაშოს ეკვით გადასცქეროდა.

— ჩამოდი, ბიჭო!
 მაშო ბედნიერი, მხიარული თილი იყო. პატარა ბიჭი არ ენდობოდა ამ სიკეთეს და გალავნიდან ფეხს არ იცვლიდა.

ჭერ დიდმა ბიჭმა დაიძახა:
 — არ გეყურება, ჩამოო!
 მერე გოგომ დაიწყო წიკვინი:
 — ნუ გეშინია, არა გვეცემენ!
 პატარა ბიჭმა გაბედა და ეზოში ჩახტა.

ლოლ-გარმონი უკრავდა. თამადა ნეფე-დედოფლის სალდგარძელოს ბოლომდე სვლიდა. სტუმრებიც ბოლომდე ცლიდნენ. ეს პირველი სალდგარძელო იყო ნეფე-დედოფლისა და ბოლომდე უნდა დაცლილიყო, თუმცა რომელი აღარ უნდა დაცლილიყო ბოლომდე.

— ნუცა სადღაა? — გაიფიქრა მახაურმა.

ნუცა ჭერ არსად ჩანდა.

— აკი არ დამპატიყესო — გაეცინა მახაურს.

ნეფე-დედოფლის გადასწვრივ მეკუბოფე ჩაჰყუთულიყო.

— რა დაპატიყება უნდოდა?

მახაური ბაღებისაგან მოზიდულ ქვებზე შედგა. ახლა ჭორწილი თავით-ბოლომდე გამოჩნდა და მახაურმა იფიქრა, მცირე ხანს ვიდგები, ხალხს მაინც დავინახავ, მერე წავალ და მივწვები იმ ჩემ ტახტზეო.

— რომელი ხარ მანდა?

მაშო იძახდა, სხვა ვინ? მახაურმა ხმა არ გასცა. ქვებიდან ჩამოვიდა და ჩრდილს მოეფარა. მაშოს აღარაფერი დაუძახია. მახაური მარტო დარჩა.

— ვერ დამინახეს...

არ იცოდა, გაეხარდა თუ ეწყინა, რომ ვერ დაინახეს.

ბალღები ბედნიერები იყვნენ. სახე-გაბრწყინებული დიდი ბიჭი თმაჩამოშლილ გოგოს და ხალათჩამოხეულ პატარა ბიჭს წინ მიუძღოდა და იქითკენ მიდიოდა, საითაც მაშო ბებო ანიშნე-

თაბაო ზიზილუარი
 შვიდი ხმისა და ტოროლასათვის

ბდათ. ლედვის ძირში გრძელი ფიცარი იდო ბალახზე, ფიცარს ზემოდან თეთრი სუფრა ეფინა. სუფრაზე საკმელ-სასმელი ეწყო. სუფრის თავში ვილაც ყოჩი ყმაწვილი იჯდა, აქეთ-იქიდან — წვრილფეხობა. ახალი „სტუმრებიც“ იმ ტაბლაზე დასვეს. დიდმა ბიჭმა, იმ თმაჩამოშლილმა გოგომ და ხალათჩამოხეულმა პატარა ბიჭმა დაირცხენეს. მამო ბებომ გაამხნევა და იმათაც ხელი სუფრისკენ წაიღეს. ხელად მოშინაურდნენ და ილუკებოდნენ. დიდი ბიჭი იცნოდა, თმაჩამოშლილი გოგი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს: ხალათჩამოხეული პატარა ბიჭი წელში გასწორებული იჯდა და თავის საქმეს მეფური სიღინჯით, კოპებშეკრული აკეთებდა.

— საყმაწვილო ტაბლა გაუწყიათ...

მახაური იდგა და უყურებდა. მარტო ესლა შემძლია, მაცურებლადლა გამოვლექი დღესაო, — გაიფიქრა და გაახსენდა, როგორ წამოდგან ლოგინიდან, როგორ გაჰყვა მხიარულ ნუცას, რათა ნიკა ჰაბაურისთვის მიესწრო და იმქვეყნად ისე გაესტუმრებინა, როგორც სოფლის წესი და ადამი ითხოვდა. ვერ მიუხსრო ნიკა ჰაბაურს. სიკვდილმა თავისი საქმე მახაურის დაუხმარებლად გააკეთა და ამით მახაურსაც უთხრა, რომ თავად მასაც საქმე აღარაფერი დარჩენოდა, მისი წასვლის დროც დამდგარიყო და თუ რამ თითზე დასათვლელი დღეა გამოჩნდებოდა, ამ ერთ-ორ დღეს მახაური მაცურებლად უნდა დარჩენილიყო, სხვა უკვე აღარაფერი ეკითხებოდა.

— ნეტა აქ იყოს ის ბიჭი...

ამის თქმაზე ისევ შინისკენ წასვლა მოუნდა. ტახტი, რომელიც დილას დიდი ბრძოლით მიატოვა, ახლა ისევ თავისკენ იზიდავდა. მაგრამ შიში სიკვდილისა, ანუ, უფრო სწორად იმ ბიჭის უნახავად სიკვდილის შიში, ისევ აქ უცხო ხალხის და უცხო ქორწილის მაცურებლად აჩერებდა, თითქოს სიკვდილი მხოლოდ ტახტთან ეწყვეოდა და აქ, მთვარის შუქით განათებულ ორღობეში მახაურის მოძებნა გაუჭირდებოდა.

— ვინ გავგზავნო, ვისით მიგაწვდინო ხმა...

მახაურმა ისევ ბალახზე დასვეს, გადახედა და გაეცინა. გოგი ისევ აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. პატარა ბიჭი ისევ წელში გამართული იჯდა და იმეგ მეფური სიღინჯით ილუკებოდა. თამბადა დედოფლის მაყრიონს აღდეგრძებდა. თმაჩამოშლილმა გოგომ ლიმონათის ბოთლი წააქცია. დიდმა ბიჭმა გოგოს მუჭლუგუნი წაჰკრა. პატარა ბიჭი ამ დროს ქათმის ბარკას ჰამდა და გვერდზე არც კი მიბრუნებულა. მამო ბებომ დატუქსა გოგი და ბალღებს უძახა:

— აბა, გეყოფათ, დილამდე ნუ გაქიმავეთ სუფრას, ახლა წადით და დაიძინეთ!

ბალღები წამოიშლნენ. პატარა ბიჭი ისევ წელში გამართული იჯდა და ბარკლის ჰამას განაგრძობდა.

ამ დროს საცეკვაოც დაუკრეს. ვილაც ატლოქნილი ბიჭი დედოფლის მაყრიონიდან გადმოხტა და ხელები გაშალა. ბიჭი ვეება იყო. განათებულ წრეში დათვივით დატორტმანებდა და ალბათ ეგრე, უქალოდ დილამდე იცეკვებდა, მარნიდან ნუცა რომ არ გამოვარდნილიყო და არ დაეჭყვიკა:

— ვინმეს დაუქარ თავი, ბიჭო!


ბიჭი ჯერ ერთ გოგოსთან მიიზღაზნა. გოგომ გვერდზე გაიხედა და უარი უთხრა. მერე ბიჭი მეორე გოგოსთან მივიდა. მეორემაც თავი დახარა და უარით გაისტუმრა.

ბიჭი არც ვაბრაზდა, არც ცეკვა შეწყვიტა, უთქვენოდაც გაიავრძელებო — და ცეკვა განაგრძო. ნუცა ტაშს უკრავდა. ხან ქალებში დარბოდა და ქალებს ანიშნებდა, ტაში მაინც დაუქარითო, ხან გოგოებთან მიდიოდა, ეკიდებოდა და ეხვეწებოდა, გამოდით, რას ინაბე-ბით, თუ ეგრე გაინაბეთ, გასათხოვრები დარჩებითო.

მახაური ისევ გაღავანთან იდგა.

— დახეთ, თუ არ ითამაშოს...

ამის გაფიქრებაზე ფეხი ველარ მოიცვალა. აბა ჩემი ვარაუდი თუ ახდება,



აბა თუ მართლა ითამაშებს ნუცაო. მახური ილიმებოდა, კისერს იგრძელებდა, გალაგნის გადაღმა იყურებოდა და ამქვეყნად აღარაფერი აწუხებდა, გარდა იმისა, როდის გაშლიდა მხიარული ნუცა ხელებს და როდის ჩამოუვლიდა. ჩამოვლით კი აუცილებლად ჩამოუვლიდა! ეს რომ არ მომხდარიყო, არც ნუცა იქნებოდა მხიარული ნუცა და არც მახური ის კაცი, რომელიც სხვას თუ არა, ნუცას მაინც კარგად იცნობდა, ის მაინც კარგად იცოდა, რომ ნუცას დავლურის გარეშე დღევანდელი ქორწილი ვერ ჩაივლიდა.

ნუცა კი ცეკვას არ აპირებდა. ნუცა სხვებს აქეზებდა. ქალებში დარბოდა, ბიჭებსა ტუქსავდა.

მახურს გული დაწყდა. გალაგანს მოშორდა, ქორწილს ზურგი შეაქცია და საკუთარი თავი დატუქსა: რას გავბაღლი მართლა და მართლაო. ნუცას ცეკვისა რა მცოდნია, რომ შუალამემდე აქ ვიდგე და ველოდოო. რა ყველაფერი გადამავიწყდა, თითქოს აღარც სიკვდილი არსებობდეს და აღარც წუხანადელი ფიქრი, რომ ახლა კი ნამდვილად ვკვდებიო.

ისევ თავისი ტახტი გაახსენდა და ისევ დატუქსა საკუთარი თავი, ნეტავი რისა მეშინია, წავიდე და დავეგლო, დავუცადო, როგორც სხვები უცდიან და ისიც მოვა, მაშ სად ჯანდაბაში წავაო.

ის იყო ნაბიჯი გადმოდგა და ნუცამ ისევ დასტუქა. მახური მიბრუნდა, გალაგნის აგურს მოეჭიდა, ქვაზე შედგა და გაშუქებულ ეზოში გადაიხედა:

ხელებგაშლილი ნუცა დავლურს უვლიდა:

მხიარული ნუცა!
ბედნიერი ნუცა!
უბედურ დღეზე გაჩენილი, მუდამ მოლიმარი ნუცა!

— აჰა, ხო აისრულე, ბედნიერი ხარ ნუცავე?

მახურს თავის ნათქვამზე თვითონვე გაეცინა. შეეშინდა, არავინ გაიგოსო და მიიხედ-მოიხედა.

მახურისთვის არავის ეცალა და გალიმებულ, ხელებგაშლილ ნუცას ახლავს სხვა სიტყვები დაადევნა:

— შენც მოგიკალოვებს წუთისოფელი.

ნუცა ისევ ილიმებოდა და მართლა ბედნიერი იყო.

— მარტოკა მოჰკვდები, დამტირებელიც არ გეყოლება.

ნუცა მთელ ქვეყნიერებას შეჰღიმოდა.

— ჰა და ჰა, იმას იტყვიან, მხიარული ნუცა იყოო.

მახური ორლობეში მიდიოდა. მთვარე კაკლის კენწვროებს იქით გადასულიყო და ორლობეში სიბნელე იდგა. დოლ-გარმონის ხმა შორს რჩებოდა. ჩამოვარდნილ სიჩუმეში მახურმა ერთხელაც გაიფიქრა:

— მოდი, წავალ, საწყალ ნიკას ღამეს გავუთვევო, — მაგრამ ხელი ჩაიქნია და თავის ქიშკარს მიაღგა. ნიკას ცხედართან ღამის გათვევა აღარაფერს ნიშნავდა, ყველაფერი აზრი გამოსცლოდა.

— სად ვიპოვო ის ბიჭი... როგორ მივაწვდინო ხმა...

მახური საკუთარ ქიშკართან უცხო-სავით იდგა. ასე დგას ხოლმე ყარიბი მგზავრი, როცა ფიქრობს, გავძახო თუ არა მასპინძელს, გამომხედავს თუ არა, გამომიტანს თუ არა ერთ ლუქმას და შემვივროდომებს თუ არა ერთი ღამით მაინც, ვიდრე ჩემს საბოლოო გზას დავადგებოდე და იქით წავილოდე, სადაც არ ვიცი ხვალ რა მელის და კვლავ ვის ქიშკარს მივადგებო.

ეზოდან ქალების ლაპარაკი ისმოდა.


— ისევ ის არი, ის კახა ზიზილო. ქალები ჩუმად ლაპარაკობდნენ და კისკისებდნენ.

— დილას აქეთ აქა ყოფილა, არსად წასულა...

მახური ფეხს ველარ იცვლიდა.

ეზოდან სიცილი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი გამოდიოდა:

თამაზ ზიზილური
შვიდი ხმისა და ბროკოლასათვის



— ეშინია სიკვდილისა?
 — რა ვიცი არაფერს ამბობს.
 — უთხარი, შენ დედაკაცზე იფიქრე და აღარ შეგეშინდებდა-თქო, გზას ის მიგასწავლის-თქო.
 — მაგან არ დამაბერა? ეგეთი ვაყავი? დედამთილს მისი დღემში არ გაამტყუნებდა.
 — უყვარდა ცხონებული?
 — ბოლო დღემდე ერთმანეთს ვერ დავაშორეთ.
 — ერთად იწვნენ, ქალო?
 — მაშა! თუ არა გჯერა, მეზობლებსა ჰკითხე.
 — შენი ენა რას არ იტყვის...
 — შენი მამამთილი?
 — ერთი ის იყო...
 — რა ვიცი, იმისი ხმა არ გამიგია.
 — ატყდა, გინდა თუ არა ჩოხა ჩამაცვითო. აბა რას ამბობ, მამამთილო-მეთქი... მე ვიცი, რასაც ვამბობო, ქამარ-ხანჯალიც არ დავავიწყდეთო. ჩოხით ვიღასა მარხავენ, ხო ყბად აგვილო ქვეყანამ-მეთქი. ქვეყანა არ ვიციო. შენ თუ არ იცი ჩვენ ვიცით-მეთქი. დედაკაცი ლეჩაქით წავიდაო.
 — მაშინ სხვა დრო იყო, ვერ უთხარი?
 — სხვა დრო რათ იყო?
 — შენც გეტყობი, ჩაგაცემევ-თქო, რა გენალვლებოდა?
 — სადღა გვქონდა ის ჩოხა? კლუბში წაიღეს, ველარც ჩვენ მოვიკითხეთ, აღარც თვითონ მოუტანიათ...
 მახაურს მუხლები უცახცახებდა.
 — შევალ და გაჩუმდებიან, მაშ რა ჯანდაბა იქნებაო, გაიფიქრა მახაურმა, მაგრამ ფეხი ვერ მოიცივალა. იქვე, სიბნელეში მიიყუჟა და თითქოს თვლე-მაში წავიდა.
 — ხო ავი კაცი იყო, მაინც მიყვარდა.
 — რათ უნდა გძულებოდა?
 — აბა ხალხსა ჰკითხე...
 — ხალხს თუ უყურე...
 — შენზე, რო ვთქვათ, ცოტა რამე გაგაგონეს?
 — მეხი იმათაც დაეცეთ.

— მაშ დავიჯერო, არაფერი ყოფილა?
 — რა უნდა ყოფილიყო...
 — მე რა ვიცი, რასაც ხალხი ამბობდა...
 — აქაოდა ქმარგაყრილიაო...
 — მაშ ერთხელაც არ მოსულა?
 — ვინა ქალო, ბუღალტერი?
 — ჰო, ვიზეცა თქვეს, ესე და ისეო.
 — როცა მოვიდა, აკი თოხი ვესროლე...
 — რა მინდაო, რაზე მოვედიო?
 — მიყვარხარო.
 — შენ ცოლს მიხედევ-თქო, ვერ უთხარი?
 — რა ვიცი, მიყვარხარო.
 — შენც დაიჯერე...
 — დავიჯერე არა, ის ხვანჯარს შეიკრავს და წავა, მე სახელი რაზე გავიტეხო?
 — ხალხი რას არ იტყვის.
 — აკი უთქვამთ კიდევ, ყველაზე ბოლოს მე გავიგე.
 — ერთხელ მაინც რო არავის დაენახეთ, არ იქნებოდა.
 — აკი გეუბნები, ერთხელ იყო და მაშინაც გაგაგდე-მეთქი.
 — ეგე, ყოფილა...
 — მთვრალი იყო!
 — რა ჰირი მინდაო?
 — მეხვეწებოდა, გამიღე კარი, ერთ სიტყვას გეტყვი და წავალო.
 — გაულე?
 — მაქედან მითხარი-მეთქი...
 — მე რას მატყუებ?
 — ორივე თვალით ბრმა ვიყო, თუ გტყუოდე, რაკი ქმარგაყრილი ვარ?
 — ხო, კარგი, რას იფიცები?
 — შენც არა გჯერა...
 — მჯერა-მეთქი, მეტი რა გითხრა?
 — არა გჯერა და ნუ გჯერა. სატირალი რა გაქო... ერთი დღეც არა მქონია კარგი.
 — არც იმასთან?
 — ვისთან?
 — გამოვადგეო რო იძახის.
 — იმან კი არ გამოვადგეო, მე წამოველ. ზოგიერთი კი არა ვარ...




— ვინ ზოგიერთი?
 — აი ისინი, რომ არ უყვართ და მინც ლოგინში უწევებთან.
 მახაურს ყვირილი მოუნდა.
 ეს ლაპარაკი არასოდეს დასრულდებოდა.
 შევალ და ორივეს კეტს დაეუფლებ ხელსო, იფიქრა და მინც ვერ შევიდა.
 დღეს სხვა დღე იყო, დღეს ჩხუბი არ შეიძლებოდა.
 — შენ რა, ბედნიერი ხარ?
 — რატომაც არა ვარ ბედნიერი.
 — ქმარი მთაშია, შენ აქა ხარ.
 — აღარ ჩამოვა? რატომაც არა ვარ ბედნიერი, ეგ რა მითხარი?
 — იყავი, ყველასი, მაგრამ შენი მინც არ შემშურდება.
 — რათ უნდა შეგშურდეს?
 — ან სხვისი შემშურდება? ჩემმა კეთილმა გულმა დამლუბა...
 — შენც რა გაწუხებს, რაც უნდათ, ისა თქვან...
 — რამე მინც ყოფილიყო, ჩემ თავს დავაბრალებდი, ამა სხვა ვისა? რომ არაფერი ყოფილა? კარებიც რომ არ გამოიღია? ტყუილი რათ უნდა თქვან?
 — კარგი ახლა, რას იწირალები?
 — კიდევ იტყვიან, ისაო...
 — კარგი ახლა, მამამთილი დაგინახავს, სირცხვილია...
 — იქნებ ცუდი არც ედო გულში?
 — ცუდი რა უნდა სდებოდა?
 — კარებიც კი არ გამოიღია, იმ ერთ შევილსა ვფიცავარ, გინდა დაიჭრე, გინდა არა. ჩემი ხნისა არ მოიყარონ, რაღა ღროს ჩემი ეგ არი? კარები რომ გამეღო, კიდევ ხო...
 სოფლის ხმა აღარ ისმოდა და მახაური მიხვდა, რომ საცაა შეუღამე წამოვიდოდა.
 — მინც რას გეუბნებოდა?
 — მიყვარხარო.
 — ისემც მიწა დაგაყარე-თქო!
 — მე რა ვიცი, რა დაეუფიცო...
 — თუ ეგრე ეთუთქებოდა გული, რაღათ გაგიქვეყნა?

— თვითონ კი არა, ცოლმა გამოქვეყნა!
 — ცოლმა ვისგან გაიგო?
 — ღმერთმა რომ არ იცის იმისთვის და ტანი!
 — შინ კი ის უზის და...
 — უზის თორე აი...
 — შენ კი გაგიქვეყნა და...
 — მაშ რათ მეუბნებოდა, ისაო...
 — გატყუებდა, იქნებ კარი გამოიღოსო.
 — მეც ერთბაშად არ გავუღე?
 — ხალხი კი ლაპარაკობს და...
 — მეხი ხალხსაც დაეცეს.
 მახაურმა ჩაახველა.
 ლაპარაკი ჩაქრა.
 ლობის მარგილმა ლაწანი გაიღო.
 ზიზილომ თავს უშველა.
 მახაური კარს ფრთხილად მიაწვა.
 კარმა დაიჭრიალა. მახაური ეზოში შევიდა.
 — სადა ხარ, მამამთილო, დავილიე შენი ლოდინით...

მახაური გაჩერდა და რძალს გახედდა. ასე უცქერენ ხოლმე ვიღაც უცხოს, ან დიდი ხნის უნახავს, შინ მობრუნებულს რომ დახვდება და ეტყვის, მე ისა ვარ, ამა კარგად გიხსენე, რა ხანია რაც ერთმანეთი არ გვინახავსო... ამის გაფიქრებაზე მახაურმა თვალი გადაავლო მთელ იმ დღეს, იმ წუთიდან დაწყებული, ცისკრის ვარსკვლავმა რომ შემოიხედა ფანჯარაში და გააღვიძა, ამ წუთამდე, ამ „უცხო ქალის“ წინაშე რომ იდგა, თავადაც სტუმართვით შემოსული ამ სხვის სახლ-კარში და გაიფიქრა, უამღლეოდ იმქვეყნად წასვლა მართლა არ იქნებოდაო, რამ შემადლებინა ამოდენა რამის ნახვა, რა იყო ის ძალა, რამაც ლოგინიდან წამოდგომა გამაბედინა და სოფლის შარაზე დამაყენაო. რამსიგრძე იყო ეს დღე და მინც რა მოკლე ჩანს ის წუთისოფელი ამ დღემდე რომ გამოვიარეო. მახაური თითქოს დილას კი არა,

თამაზ ზიზილოვი
 შვიდი ხმისა და ბოროლასათვის



დიდი ხნის წინ გავიდა ამ ეზოდან, მოი-
არა ქვეყნიერება, სად აღარ იყო, რა
არა ნახა, გასასტუმრებელი გაისტუმრა
და ისევ იქაურობას მოადგა, საიდანაც
წავიდა! ხო, კარგა ხნის წინათ იყო.
განგებამ მას შემდეგ კიდევ არაქა
ამოდენა სიცოცხლე. ახლა დაბრუნდა
და ეს ქალი დახვდა, თითქოს მართლა
აქ იდგა, ამ სახლის წინ, ფეხმოუცვლე-
ლად და მარტო იმაზე ფიქრობდა, რო-
დის დაბრუნდებოდა ის კაცი, ის აბრია
მახაური, კარგა ხნის წინათ რომ გავი-
და სახლიდან, როგორც შლეგიანი, რო-
გორც უმადური და მოძულე აქაურო-
ბისა. მახაურს ისღა დარჩენია, მიეა-
ხლოს ამ ქალს, მადლობა უთხრას ამო-
დენა ლოდინისათვის, დაეგდოს თავის
ტანტზე და დაელოდოს... რას დაელო-
დოს? რასა და სიკვდილს. ნაცვლად
ამისა, მახაური ჩუმად დგას რძლის წი-
ნაშე და ისიც არ იცის რა უთხრას, ვი-
დრე ისევ ის არ გაახსენდება, საწყალი
ნიკა, ამ წუთისოფელზე მომდურებუ-
ლი და ნაწყენი.

— ნიკა ჰაბაური გავისტუმრე...
რძალი შინ შევიდა.
— ვახშამი მანდ დაგიდგი, მამა-
მთილო!
— მადლობელი ვარ!
რძალმა შუქი ჩააქრო.
მახაური მარნისკენ წავიდა.
— ისევ მარტო დავრჩიო — შვებით
ამოისუნთქა.
საჩენში შევიდა. თავხეს ახედა. მე-
რცხლის ბუდე ცარიელი იყო.
— რა დროს წავიდნენ? რატო ვერა-
ფერი გავიგე?
კარგა ხანს იდგა და ბუდეს ასცქერო-
და.
ბუდე მკვიდრად ნაგებ, დროისგან
გახუნებულ ციხის გოდოლს გავდა.
— ამათვისაც დიდი დრო გავიდა.
მთელი ცხოვრება...
მერე მოტრიალდა და ეზოს გახე-
და. ეზო სიბნელეში იყო ჩაძირული.
მთვარე უკვე ჩასულიყო და ხეების კენ-
წეროებს იქით მკრთალად ანათებდა ცა.

— მთვარე ჩასულა და აბრია მახა-
ური ვერც საჩენში დაწვდებოდა.
მთვარის ცქერაში გაიყვანს ამ გოგონა
ლამეს. არაფერი არა ხდება იმგვარად,
როგორც აბრია მახაურს უნდა.

ისევ საჩენში შევიდა და მარნის კა-
რთან გაჩერდა. მოდი, აქვე ჩამოვვდები
და ეგრე გავათენებ ღამესო, — გაიფი-
ქრა, მაგრამ მაინც კარს შეავლო ხელი
და ფრთხილად მიიწვა. მარნის კარმა
დაიჭრიალა. მახაური შეკრთა და უკან
გამობრუნდა. ისევ დატუქსა საკუთარი
თავი: თითქოს საიქიოს კარს ვაღე-
ბდევო. ახლა სხვა რამ გაახსენდა, უფრო
მთავარი, ვიდრე საიქიოს კარის გაღება
იქნებოდა, სწორედ ის, რამაც დილა-
ადრინად ფეხზე წამოაყენა.

კიბე სვენებ-სვენებით აიარა, კიბის
თავზე გაჩერდა და ყრუდ დაიძახა:

- ჩემო რძალო!
- რა იყო, კაცო!
- არაფერი, ნუ გეშინია...
- რისი უნდა მეშინოდეს?
- დააბარე ვინმეს რამე?
- სად უნდა დამებარებინა?
- სადაც გითხარი... გიორგისთან!
- აქი გითხარი, არა-მეთქი!

მახაური იდგა და ელოდა. სახლიდან
ხმა აღარ ისმოდა. მახაური გამობრუ-
ნდა, კიბე ჩამოიარა, მარნის კარს მიი-
წვა, შიგ შევიდა და პირდაპირ ტანტი-
სკენ წავიდა. ტანტზე მიწვა და მცირე
რამ შეება იგრძნო. ოფლი ღვარად ჩა-
მოსდიოდა. სხეული უტაცაბუნებდა. მუ-
ხლებში თითქოს ჰიანჭველები ესეო-
დნენ. წელი ტეხდა. დაბუფებული
მკლავები გაშეშებას ღამობდნენ. სი-
ბნელეში არაფერი ჩანდა და მახაურმა
თვალეები დახუჭა.

კილობნის უკან თავგმა დაიწყო ფხა-
კუნთი.

— ესეც აქა ყოფილა... — გაიფიქრა
მახაურმა.

ღილები შეიხსნა. მკერდი გადაიღვდა
და ხელით ღოქს დაუწყყო ძებნა. ღოქი
არსად ჩანდა. ხალათი გადაიძრო და სი-
ბნელეში გადაავლო.

თავი ისევ ფხაკუნობდა.
— ყველანი აქ არიან... — გაიფიქრა მახაურმა.

ღილით ისევ ცისკრის ვარსკვლავმა გააღვიძა. ვაივავლახით წამოდგა. წყალი მოსვა. პურის ნატეხი მოლოღნა და მარნის კარებში ჩადგა. რაკი წამოვდექი, დღესაც აღარაფერი მიჭირსო — გაიფიქრა და კედელს მიეყრდნო. ცის დასალიერი ნათდგოდა. ახალი დღე მოდიოდა. მახაურის უკანასკნელი დღე? უკანასკნელი დღე უკვე დამდგარიყო და ახლა მნიშვნელობა აღარ ქონდა, სწორედ დღევანდელი დღე იქნებოდა უკანასკნელი, ხვალინდელი თუ ზეგინდელი... მახაური მაინც უკანასკნელ დღეზე ფიქრით ცხოვრობდა.

— თუ ამასაც ცხოვრება ეთქმის... მარტო დადღივარ და ველოდები... მეც არ ვიცი რას ველოდები...

სოფელს ჯერ ისევ ეძინა. მამლები ყიოდნენ.

ფრთოსნები განთიადის საგალობელს მღეროდნენ.

არა, სიმღერა არ იყო... დილას ლოცვას ვავდა!

— ახლა კი წავიდეთ! — ვილაცას უთხრა მახაურმა.

ის ვილაცა, ანუ მახაურის იდუმალი ფიქრი, მის გვერდით იდგა, წასასვლელად მზად იყო და მახაურის თქმისდა ელოდა.

ხურჯინში ორი შოთი ჩადო. ერთი პატარა კვერი ყველი. ორიოდ ნიორი და ხახვი...

მიიხედ-მოიხედა და ნაბაღს დაუწყუო ძებნა.

— ნაბაღი სად არი, რძალო!

ხმა არავინ ვასცა.

— ნაბაღი სად გადაგდეთ, რძალო! მიძინებული სოფელი მახაურის ხმამ გააღვიძა. სახლის კარი ერთბაშად გაიღო. აივანზე რძალი გამოვარდა.

— რა გაყვირებს, მამამთილო?

— ნაბაღი სად გადაგდეთ-მეთქი!

რძალომ კიბე ჩამოიარა. მახაურის წინ გაჩერდა, დონიჯი მოიყარა და შედრკა: მის წინ ძველებური ხახვი იდგა. საიქიოდან მობრუნებული, მკვდრეთით აღმდგარი მახაური!

გაოცებული რძალი და მამამთილი ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— აქი ვთქვი, შენ არაფერი მოგკლავს-მეთქი!

მახაური რძალს თვალს არ აშორებდა.

— ეს რა წვეტიანი თვალეები ჰქონია! ეს რა შავი-ფერი აძეგს! ეს რა ურცხვად გაბოტილა! ამას უნდა ვუყურო სიკვდილის წინ?

რძალს ზურგი შეაქცია, მარანში შევარდა, თოფს დაუწყუო ძებნა. მარანში ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იდგა. ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული. მახაურმა ხელი ჩაიჭნია და ახლა ნაჯანს დაუწყუო ძებნა. არც თოფი ჩანდა, არც ნაჯახი. გზაზე კაცს კი თოფი თუ არა, ნაჯახი მაინც უნდა ჰქონოდა...


— ამას უნდა ვუყურო სიკვდილის წინ?

ერთბაშად ყველაფერი განათდა, ყველაფერი გაცნადა, სნეულება იქვე, ტახტზე დარჩა. ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. სიკვდილი გაადვილდა... მახაურის წინ გრძელი და ხალვათი გზა გაწოლილიყო. გზის ბოლოს რაღაც რუხი ნისლი იდგა. ნისლი ჯერ არ გადახსნილიყო და მახაური ახლა შიშით კი არა, დაუოკებელი თრთოლვით ვასწევდა იმ უცნობი ნისლეულისკენ. ხო, გზაზე დამდგარ კაცს, თუ ის მართლა კაცი იყო, მახაურის ფიქრით აუცილებლად უნდა ჰქონოდა თოფი და თანაც ერთადერთი ტყვიით, რომელზეც არავის არ უნდა სცოდნოდა, კაცმა ჩადო თუ ეშმაკმა, მაგრამ თოფი, რომელიც მუდამ მარნის კედელზე ეკიდა, ხელუხლებელი და თითქოს შარადიული, აღარსად ჩანდა.

— თოფი! თოფი სად არი? — ღრიალებდა მახაური.

თამაზ ზივილური

ზვილდი ხმისა და ტორილასათვის



- არ ვიცი, მამამთილო...
- თოფი სად არი-მეთქი!
- აქ იქნება, სადმე, ხო არ გაფრი-
ნდებოდა?
- ამ კედელზე უნდა ყოფილიყო!
- ალბათ იმან წაიღო...
- ვინ იმან?
- ბიჭმა... გიორგიმ...

მახაური ერთბაშად მოიღვენთა: ხო, ალბათ იმან წაიღო. გიორგი წაიღებდა...

მახაური მობრუნდა და ეზოში გავა-
რდა.

ყველაფერი დაპატარავდა, ეს სახლ-
კარიც, ეს სოფელიც და მთელი ქვე-
ყნიერებაც. ყველაფერი უაზროდ და
უბრალოდ გამოჩნდა. მახაური სიკვდი-
ლთან შესახვედრად თავისი ფეხით მი-
დის! ამაზე დიდი რამ, ამ წუთში, დედა-
მიწაზე არაფერი ხდება!

— მაგრამ თქვენ ამას ვერ გაიგებთ,
არასოდეს მომკვდარხართ და იმიტომ...
თქვენ ფიქრში მუდამ სხვა კვდება.
თქვენ ფიქრში მე ვკვდები და ეს გა-
მშვიდებთ. მაგრამ იცოდეთ, ამაზე დი-
დი რამ ქვეყანაზე არაფერია, ამის გვე-
რდით ყველაფერი პატარავდება, ყველა-
ფერი სასაცილო ჩანს და სათქმელადაც
არა ღირს...

ამის გაფიქრებაზე მახაურის მთელი
სული გაქრობის წინაშე მდგარი კაცის
აუხსნელი სიამაყით აღივსო. მახაური
გაღმა დარჩა, ქვეყნიერება — გამო-
ღმა, და მახაურმაც გულგრილად, ისე,
თითქოს გუშინაც დასდგომოდეს შეუ-
ცნობელისაკენ მიმავალ გზას, გადა-
ლახა თავისი პატარა ეზოს ზღურბლი.

- სად მიხვალ, მამამთილო?
- ავი გითხარი, ბიჭი ჩამომიყვამ-
თქი!
- ეგრე არა კვდებიან, მამამთილო!
შენ იმისთანა ხარ, ათი ზაფხული კიდევ
წინა გაქ!
- ეგრე გეგონოს!
- მე კი არაფერი დამბრალდეს და...
- შენ რა უნდა დაგბრალდეს?
- რა ვთქვა, მამამთილო, სად მი-
დის-მეთქი?

— რაც გინდა ისა თქვი, წავიდა და
წავიდა-თქო...

მახაური წავიდა...

ამის შემდეგ რა მოხდა, ბევრი იარა
თუ ცოტა, ამაზე შეთხზული ამბის
ავტორი სდუმს, რადგან ჰგონია, რომ
გზის იმ ერთ ნაწილს, სახლიდან წასუ-
ლმა მახაურმა რომ გაიარა, ამბისათვის
არსებითი მნიშვნელობა აღარ ექნება.
ამბის მთხვევისათვისაც მთავარია
ახლა ის სურათია, ოდესღაც, მდინარის
პირას, ნაწვიმარ ჭალაში რომ ნახა „გა-
მოფენილი“. ხო, ახლა მთავარი უკვე ის
სურათი გახდა, „მდინარის პირას გა-
კრული სურათი“. მახაური უნდა მოვი-
დეს და ამ სურათში, სადაც ბოლოს
შვიდნი იქნებიან, თავისი ადგილი დაი-
ჭიროს. უფრო მეტიც: ის ექვსნი სურა-
თზე ჯერ კონტურებითაც არ არიან მო-
ხაზულნი, პირველი მაინც აბრია მახა-
ური უნდა შემოვიდეს... ასე გადაწყვი-
ტა თვითონ ცხოვრებამ, თავის სიუჟე-
ტში, თავის კომპოზიციაში და ასე გა-
დაწყვიტა ამბის მთხვევლმაც. მახაური
კაცია და თანაც სიკვდილთან შესახვე-
დრად მიდის! განა რამდენი გვეგულება
გარშემო, რომ სიკვდილთან შესახვე-
დრად თავის ფეხით წავიდეს, და თანაც
ისე, რომ არც გზა იცოდეს, არც ბილი-
კი... ეს სიტყვები ამბის მთხვევლს თუ
შეთხზული ამბის ავტორს ეკუთვნის.
ეს სიტყვები ჯერ კიდევ მაშინ ითქვა,
ვიდრე ამბავი დაიწყებოდა და ვიდრე
ამბის მთხვევლი გადაწყვეტდა, ბოლოს
და ბოლოს ამ შვიდთაგან, რომელს და-
ეწყო ამბავი.

„მდინარის პირას გაკრულ სურათში“
ყველაზე ადრე იმ შვიდთაგან მახაური
შემოდის და დიდ, ხავსმოდებულ ლო-
ლზე ჯდება. წუხელ მთაში დიდი წვიმა
მოსულა და მდინარე ადიდებულა. გა-
რშემო ჯერ არავინა ჩანს, დანარჩენები,
ის ექვსნი, ჯერ არ მოსულან, მაგრამ
აუცილებლად მოვლენ. სხვა რა გზა

ექნებათ, გზა სწორედ ამ მდინარის პირას მოდის, მდინარეს კი, ვიდრე ავღარი არ გადაივლის და ცოტა მაინც არ დაიწრითება, ვერ გადაივლიან. ხო, კომპოზიციის ყოველგვარი კანონით ის ექვსნიც მალე უნდა მოვიდნენ; მაგრამ აბრია მახაურს კომპოზიციაზე არ უფიქრია. ნაცვლად ამისა, მახაურმა თქვა:

— დავისვენებ მაინც...

გარშემო არავინ ჩანდა და მახაური ტოლალების გახსნას შეუდგა.

სწორედ მაშინ ტყიდან ფაჩუნი მოიშმა.

მახაურმა მოიხედა და გოგო დაინახა.

— გამარჯობა, ძიავ... — თქვა გოგომ.

მახაურმა თავი დაუქნია.

— ჩამოჯექ, დაისვენე...

გოგო ქვაზე ჩამოჯდა.

ერთი ხანობა მდინარეს უყურა, მერე ტყისკენ გაიხედა, თითქოს იქიდან დაელოცა მოსდევდა.

„მდინარის პირას გაკრულ სურათში“ ახლა უკვე ორნი არიან, — აბრია მახაური და დამფრთხალი გოგო, რომელიც ტყიდან გამოვიდა, მახაურის გვერდით მორიდებით ჩამოჯდა და მაინც ტყისკენ იყურება შემინებული.

მახაური ხმას არ იღებს.

გოგო თვალს არ აშორებს.

— რას იტყვი, ძიავ, სადამომდე არ ჩაივლის მდინარე?

— არ ეტყობა...

სიჩუმეში ისევ გოგოს ხმა ისმის.

— ჩალაურში მივდივარ...

— იქ რა გინდა?

— არ ვიცი... — ამბობს გოგო.

— მეც ჩალაურში მივდივარ, — ეუბნება მახაური.

გაბრიელია უმედი ნომირი





სალამოს ზაზარი

ნოველა

თბილისქალაქში სალამოა...
 და მაინც ცხელა...
 ტროტუარებზე (პიკის დროა) მგზავრები დგანან...
 ჩემ წინ „ფიატი“, შვინდისფერი, ჩამოდგა ნელა, —
 ჩემი ვახტანგი (პაიკიძე)
 ხელს მიქნევს:
 — ჩქარა!..
 ...უცოლო კაცი (შევარცხვინე!) ორმოცდაათის,
 (ვერ ვამბობ, თორემ უფრო მეტისაც...)
 მისდევს მანქანა ზღვა მანქანებს ტაატ-ტაათით...
 — ჩემთან წავიდეთ!
 — სადა?
 — სახლში!
 — რა დაგესიზმრა!

უყვარს ჩემს ვახტანგს ქილიკი და ლლიცინი ჩემთან,
 მეც მიხარია, ყურებამდე რომ გავაწითლებ, —
 მოგეცა ლხენა, გადავრევი, სადმე რომ ერთად
 მართა გვამყოფა ერთი ათი დღე...
 — პო, რა გავიგე, მკურნალობენ... —
 — რას?
 — რას და, მელოტს...
 — თუ კქუას?
 (მიცქერს)
 — გეუბნები, ათ დღეში თურმე
 ისე გრუზა თმა ამოგივა,
 რომ, ვახო ჩემო,
 ოცი წლის გოგოს მოატყუებ —
 კაი ქმრის მსურველს...

სანახევროდ თუ ნახევარჯერ შინ მიზის, მაგრამ
 მაინც მიკბინა...
 (მეც გავკარი, იცოცხლე, კბილი) —
 — გადაუხვიე!..
 დუმს...
 — ბუხართან მივიდგათ ტაბლა,
 ხვალ შაბათია და გეყოფა, იცოცხლე, გაძღები ძილით.
 არც მოუხედავს, —
 გაიცინა...

მანქანა გასცდა
ჩემს გადასახვევს...

— საით?
— ვიცი?!

კვლავ ეცინება...
— შენ... დღეს, მგონია...

— რა გგონია?
— ვერა ხარ რაცხა!

— ვითომ?
— ჩემმა მზემ ჩემს

— ვიმკურნალე
— აუცილებლად!

ვახტანგის აზრით
(კი ქონია ამდენი აზრით), —
საჭესთან წვეთსაც კი ვერ დაღვეს,
ჯობია, აქვე

ცოტა მწვანელი,
ცოტა კიტრი ვიყიდოთ ბაზრის,

მერე, ასე ვთქვათ,
აეწყობა თავისით საქმე —

რაც მთავარია,
(დავაყენებთ მანქანას),

ავალთ, —
(ყველი ჰქონია),

კიტრს და მწვანელს გავრეცხავთ სუფთად,
შემოდგამით ორ ბოთლ ვანურ ღვინოს

(და მერე რავარს!).
უქალო ოჯახს რაც შეფერის,

გაეაწყობთ სუფრას...

ჩქარობს მყიდველიც,
გამყიდველიც,
და ბაზრის ხალხიც,

და ფაციფუცი შედგომია სალამოს ბაზარს;
ცარიელია ნახევრად დახლი,

ნარჩიელა და ქიქმატია, ყიდიან რასაც,
ალარ არსებობს დადგენილი ფასი და წონა,

და ვერც მაზანდას ვერ გაუგებ სალამოს ბაზარს —
გაყიდი (მუშტარს გააჩნია) —

ან ერთი-ორად,
ან (ისევ მუშტარს გააჩნია) —
ნახევარ ფასად...

დგას თათრის გოგო (მშვენიერი) დახლთან და... კუშტად
წარბი შეუტრავს (ეჩქარება),
და ელის მუშტარს...



— რა ღირს წიწმავა? —
ეკითხება ვახტანგი თათარს,
— კონა ხუთმეტი!
ერთად მოგცემ, რაც დარჩა, ათად!

ვახტანგი ცოტა იმბუშნება,
არ იცის, რა ქნას, —
ხუთმეტი მისცეს,
თუ აილოს, რაც დარჩა, ათად?!
დაბნეულობით თუ სიმორცხვით—ვერ ვიტყვი ცოდვას—
სინჯავს თითებით უხერხულად წიწმავას, და ქონდარს;
არ ამბობს, მაგრამ რაღაცის თქმაც კი უნდა თითქოს,
აიღებს,
დაღებს,
სათითოდ, სულ თითო-თითოდ
ათვალიერებს, უნებურად აქუჩებს მწვანის...
და...
შიგადაშიგ
გოგონასკენ
გაურბის
თვალი...

თათრის გოგო კი...
ამობურცულ
წითელ
ბაგეებს —
ვინ იცის, იქნებ უნებლიედ,
ან იქნებ განგებ —
გაჩახახებულ ჩამავალ მზეს ისე აგებებს, —
მოვარდისფერო ფერს იღებს ბაგე...

ხოლო სახეზე მზე უთამაშებს
შოვერცხლისფერო-მოლურჯო თუ
მოშავო ლაქებს.
და ზიმიმებენ ლაქებიდან —
სულწინათავი მცხუნვარება ხრიოკ ველების,
კრიჭინობლებით დაქანცული
დაუსაბამო
და უსაზღვრო საძოვრების დილა-სადამო.

და შავ თვლებში — ყუმ სიბნელეში —
იღუმალი და საოცარი
სუფევს სილურჯე
მოკამკამე ცათა და ზღვათა...

ამას რას ვხედავ! —
ჩემი თავი მოგიკვდეს, ვახტანგ,
რავა გაგიტკბა ზურზუტი დახლთან!

როდემდე უნდა იწანწალო ძაღლივით გარეთ, —
წამოიყვანე ეს გოგოც ბარემ!
თუკი წამოგყვეს,
ნუ გრცხვენია, ჩაჭიდე ხელი,
გავშალოთ სუფრა
და სიმღერით ავიღოთ ჭერი!..

ბარემ, ჯობია, ყველაფერი გადაწყდეს აქვე,
დროს ნულა ვკარგავთ,
პრაქტიკულად შევეუდგეთ საქმეს:
ემაგ მწვანელი ჩემზე იყოს! — გაიწი იქით!
შენ დატრიალდი,
სადმე აქვე მამამის ნახავ,
აღმოსავლური წესით და რიგით, —
კარგა მოზრდილი დაჭირდება
ამ გოგოს თანხა...

ყოველ ახალ წელს
შინ წიწაკა გეჭენება ცხარე,
მე და ჩემმა მზემ,
არაფერზე არ გახვალ გარეთ;
დაჯე ბუხართან,
მოიხურე ძველი შინელი, —
მამაც იქნები და ბაბუაც ერთად შვილების.
შენი ბუნაგიც — სრა-სასახელედ იქცევა ბროლის, —
თბილი ლოგინი და ერთგული ლამაზი ცოლი...

— შენ კი გოგონავ,
შეგანანებ თვლების ბრიალს,
ჩაყარე, რაც აქ მწვანელი ყრია!
ნუ გელიძება და წამწამებს ნუ ათამაშებ,
ამ კაცს ხომ ხედავ!
სიტყვა მითქვამს პატიოსანი, —
ეს კი არა და, მგონი მამაშენს
თბილისში ჩამოვატანინო მთელი ბოსტანი!

თათრის გოგონა იღიმება...
სუფთა ქართულით, —
მერე როგორით, გაწყობილით, სულ გამართულით,
თან თითქოს ოდნავ გამომწვევად,
ოდნავ დარცხვენით
შავ თმას ისწორებს შუბლთან მარცხენით, —
და დამარცვლულად
და გვიან-გვიან
და ეშმაკურად მეუბნება:
— დაჭენება, ძია!..
— ?! ?! ?!



ეხ, ჩემო ვახტანგ,
 ვერაფერს იტყვი,
 შენ სუფრას ისევ დააკლდება შნო და მარდიანი,
 ისევ ჩვენ უნდა დავთალოთ კიტრი,
 გავახანხალოთ წყალში მწვანელი;
 მოვიწვანოთ კვერცხი შვილიოდ,
 ყველიც დავთალოთ,
 მეტი რა გზაა,
 არ ყოფილა თავს ზეით ღონე
 და იმნაირად შევიმოსოთ, — აი, ფათალო
 დარღვეულ კედლებს მწვანე-მწვანედ რომ მოსავს ხოლმე.

.
 რომ არ დაგვიკენეს,
 ზომიერად ვყიდულობთ მწვანისს,
 მერე რა მწვანისს, —
 მე შენ გეტყვი, არ იყიდება!
 მომდევს ვახტანგი, —
 მოდებია სახეზე ალი,
 ვაი ამ ღიმილს, —
 ეღიმება მგონი კიდევაც...

ცოტა წაწყენიც კია, — ვატყობ,
 რა გაეწყობა...
 გულში ჩადება, კიდე კაი, არ იცის წყენის;
 უცებ ვაჩერებ დახლის ბოლოს,
 ხელს ვხვევ მეგობარს,
 უკან ვახედებ,
 თათრის გოგოც გვიყურებს ჩვენი!!!
 ჩვენ რომ შევებრუნდით, მიაბრუნა იმანაც სახე
 (რა ქნას, ქალია, — უფროთხილდება ნამუსს და სახელს);
 გამოიხედა, —
 გაიხედა უცებ ისევე.
 ისე მოიქცა, ვით შეფერის ქალურ ღირსებებს...

და ამობურცულ წითელ ბაგეებს —
 ვინ იცის, იქნებ უნებურად
 ან იქნებ განგებ —
 გაჩახახებულ ჩამავალ მზეს ისე აგებებს, —
 მოვარდისფერო ფერს იღებს ბაგე...

ხოლო სახეზე მზე უთამაშებს
 მოვერცხლისფერო-მოლურჯო თუ მოშავო ლაქებს...

და ზომიერებენ ლაქებიდან —
 სულწემხუთავი მცხუნვარება ხრიოკ ველების,



ქართული
ბიბლიოთეკა

პრიპინობლებით დაქანცული
დაუსაბამო
და უსაზღვრო საძოვრების დილა-საღამო...

და შევ თვალბში — ყუმ სიბნელეში —
იდუმალი და საოცარი
სუფევს სილურჯე —
მოკამკამე ცათა და ზღვათა...

— ყოჩალ, გოგონავ (მოიხედა) შე მამაძაღლო,
შენი მწვანის კი გცოდნია მართლა მაზანდა
ხელით ვუღიმი...

იღიმება...
და მზე ბაჯაღლო,
ჩამავალი მზე
ნელა
ჩადის
იქვე, ბაზართან.





ნაწყვეტები ნაცარქაშისა
ივანეული მონოლოგებიდან

1.

...გამოვიკეტე სახლის კარები,
გულთი წავიღე თბილი ნაცარი:
თქვენი ღიმილი, თქვენი ფეხი და
გულსიტკივილი (თქვენი რაც არის);
გზად, უკანონოდ შობილ შვილივით
გაუმხელელი ეპეი მაწვალვებს;
„არის კი ქვეყნად ვინმე ცოდვილი,
არის კი ქვეყნად ვინმე მართალი“...

2.

„...რად იღიმება ირონიულად
ცის შავ სიღრმეში თეთრი ვარსკვლავი;
რად მოსჩანს მისგან ჩვენი კალამი,
ჩვენი თოხი ან ხმალი, სამკლავე;
ღირს კი ნეტავი წყევლად იღდა;
ერთს რად აქებენ, ან სხვას რად
კლავენ...“
შეუცნობლობის მტანჯველ ტკივილის
კიდებზე ჩემი სული კანკალებს.

3.

„...რანი ვართ ჩვენ, ჩვენ თაობებიან
ან ეს ჩვენს ირგვლივ, რაა, რაც არის;
იქნებ ბალახიც ბაობაბია
და ამ ბაობაბს ვუმზერთ სხვა თვალით;
გული აქ, მკერდში მწოლი ნებივრად,
თავს რომ აქა სძრავს ბოლო სად არის...“
შეუცნობლობის მტანჯველ ტკივილის
კიდებზე ჩემი სული კანკალებს.

4.

„...იქნება მადლი სულ სხვა რამეა
იქნება ცოდვაც არის სხვა რამე
იუდას ცოდვე, იობის მადლი,
ვაი თუ ცოდვა-მადლი არ არის;
ეს დღე-ნათელი იქნებ ღამეა
და ღამე იქნებ...“ და სხვა მრავალი
შეუცნობლობის მტანჯველ ტკივილის
კიდებზე ჩემი სული კანკალებს...

5.

„...სად მივალ, ანდა რა მიმაქვს გულთი,
ნაცარია თუ ღმერთის სამხარი;
იქნებ ღმერთს აქეთ არა აქვს ბუდე
და მე ეშმას გზას მივლევ ხანხალით;
ან ეს სვლა ერთი სჯობია ყუდილს,
ვინ გამოჰყვება ჩემ სუსტ ნაკვალევს...“
შეუცნობლობის მტანჯველ ტკივილის
კიდებზე ჩემი სული კანკალებს.

6.

...მიძიმებს გულდას მრავალი ხატის
მზერა და ვნების ბევრი ზღაპარი:
„მიედი“, „შიში“, „სურვილი“, „ხათრი“
და აღარსაით ძალმიძს გაბარვა,
ლამაზი ქალის ღიმილი მათრობს,
მტანჯავს ცრემლები ქალის საპყარის...
ყოველგვარ ტვირთზე მძიმეა, მარტომ
რომ საკუთარი გული ატარო.

მინორაჰას აღსარება

ჰინჭარის ტევრში პირიმზეს ვკრეფდი
და გზა ამებნა ჰინჭარის ტევრში;
ტევრს იქით დარჩა ღიმილი დედის,
მე ტევრში ჰინჭარის პირისპირ შეფრჩი;
მკერდში ისმოდა გულის კი არა,
შეშინებული კომპასის ფეთქვა
და ყოველ წერტილს ტევრში და ჩემში
ჰკვეთა ხვიარას განედი, გრძედი.

შეშინებული კომპასი კარგად
არ უჩვენებდა, მიჰიწიდა სვლა და
ღუმლი, ჩემი პატარა სორო,
ნიჟარასავით მიმქონდა გზა-გზა;
პირიმზე ბებო ხვარამზეს ჰგავდა,
მე — ჰინჭარს, ხანაც პირიმზეს ვგავდი,
პირიმზეობა მინდოდა მაგრამ...
არ უჩვენებდა კომპასი კარგად.

დნებოდა ჩემი დღეების თოვლი
ავი და წმინდა სულების ფერხთით;
შხატავდა მუჭი მყობადის ფონზე
ბედი — მაილი და ბედი — ღმერთი;
დროს, ბევრი რამის საზიდავ ბორანს,
ბევრი ტკივილი მიჰქონდა ჩემთვის;
და მწარე, როგორც ნედლი ხის ბოლი,
ბოლავდა ეშმას სიცილი თეთრად;

გამაფიქვდა ჩემი სახელიც,
ცოტა თუ ბევრი ვიარე როცა
და მე ამტკივდა არა სახსრები,
არც სხეული, არც ნაგვემი ხორცი.
ძლივს მივათრევდი ბედის ნახელავ
სულს განედების შუაზე ცოცვით,
ვახოციდი ცრემლებს მტვრიან საყელოს
და ჰინჭრის გენებს ამაოდ ვხოციდი...

ავად დელავდა ჰინჭარის ტევრი,
ტოტები ტოტებს ხოცავდნენ მზისთვის
ძაფად და ძაფად წყდებოდა ნერგი,
წვეთად და წვეთად შრებოდა სისხლი,
მზე იყო ბევრი, ძალიან ბევრი,
უფრო ბევრი კი სიხარბის ნისლი...
ავად დელავდა ჰინჭარის ტევრი
ტოტები ტოტებს ხოცავდნენ მზისთვის.

მეცოდებოდა ფესვები ჰინჭრის
ჩემთვის და ჩუმაღ ვტიროდი სიმწრით
იზრდება, რისთვის იზრდება იცის?
არსებობს, რისთვის არსებობს
მინანაობდა აკვანი მიწის
სავსე ბადავით და სავსე გესლით,
ერთი ძუძუდან იკლავდნენ შიმშილს
ჰინჭრის ფესვი და პირიმზის ფესვი...

ბავშვობიდან მაქვს ჩამრჩალი ხიჭვად
ჰინჭრის გენი, ვით ბოროტი ნიჭი.
მისი ბრალია ასე რომ მიჭირს
ლიმილი და რომ გიყურებ ეჭვით...
საცოდავია ფესვები ჰინჭრის
ვფიქრობ და სიმწრით ვტირივარ
ჩემთვის:
იზრდება. რისთვის იზრდება იცის?
არსებობს. რისთვის არსებობს ესმის?

ვლოცულობ ბავშვის ღიმილის ახლოს
ან დედის ცრემლის სალოცავ ნიშთან,
რომ ბნელი, რაიც ჩემში კვლავ სახლობს,
გაილიოს და განქარდეს შიშით,
ვაწონასწორებ კომპასის ისარს
გარდასულსა და მომავალს შორის
და კვლავ იმედით ვუყურებ ცისკარს
იმედითა და ფარული თხოვნით.





დ დ მ ს ა ს ნ ა უ ლ ი

მოთხრობა

ბოლო ვაჩერებზე ჩამოვიდა, ტრამ-
ვის წინიდან მოუარა და გვირაბისაკენ
გაეშურა.

მაინც რა ჰქვდა, არასდროს ილევა
აქ ხალხი, ზოგი შედის, ზოგი გამოდის.
ორომტრიალში აღმოჩენილს კინაღამ
ლილინი წასცდა. კარგ გუნებაზე იყო,
ფრთებგამოსხმულივით მსუბუქად მიი-
კვლევდა გზას მგზავრთა ჯიკავ-ჯიკავში.
ზურგზე მოდებული ჩანთა რომ არა,
უფრო კარგად იგრძნობდა თავს. ნეტა-
ვი შინ შეველო და დაეტოვებია. შეც-
და, მაგრამ რაღა დროსია. ბაბუა, ალბათ,
აწი დაიწყებს ყურებას კლინიკის მესა-
მე საართულის იმ ფანჯრიდან, მორგისა-
კენ მიმავალ ბილიკზე ჩარიგებული კვი-
პაროსებთაგან რიგით მეხუთესს რომ
გადმოსცქერის. კვიპაროსთან უნდა და-
დგეს პაოლო, რათა ზედმეტად არ შეა-
წუხოს ეახტიორი, მე ამაღა ამის შვი-
ლიშვილი ვარ, ამიტომ და ამი-
ტომ მოვედი, გთხოვთ გამატაროთ,
და ასე შემდეგ... აკი დათქმული
აქვთ დრო, ჰოდა მიდის ბაბუასთან.
კვლავ ლილინი მოუნდა, ფინია რომ
აგედევნება წყმუტუნ-წყმუტუნით, ისე
აკვირებოდა ლილინის სურვილი. შინ
რომ მივლენ, უთუოდ იმღერებენ.
ბაბუას დაბადების დღე უსიმღეროდ
როგორ ჩაივლიდა. მას ხომ ძალიან უყ-
ვარდა ეს დღე. აკი ამაყად ამბობდა მუ-
დამ, მე და ღმერთი ერთ დღესა ვართ
დაბადებულიო. მერე „ოცდახუთსა დე-
კემბერსა“-ს დაიწყებდა თავისი ბოხა,
ოდნავ ჩახლეჩილი ხმით. სიმღერის დროს

თვალეზს ხუჭავდა, ხმით კი არა, მთელი
სხეულით ამოსთქვამდა მელოდიას.
მოუბრუნდებოდა პაოლოს, დიდ, მძიმე
ხელის მტევანს თავზე დაადებდა და ეტ-
ყოლა: როცა აღარ გეყოლები, ამ სიმ-
ღერით თქვი ხოლმე ჩემი შესანდობა-
რი... ამის გამგონე აცრემლებულ ცო-
ლს კი თვალს ჩაუკრავდა, ნუ გეშინია,
ჯერ არ ვაპირებ წასვლას, განა მართლა
მასეა საქმეო.

ამაღამ პაოლო მათთან დარჩება.
ხვალ კვირაა, ხვალ დედა და მამა მოა-
კითხავენ, საღამოს ერთად გაატარებენ
ყველანი. ბაბუა კი, როგორც ყოველთ-
ვის, იტყვის: დაგაგვიანდათ, ძვირფასე-
ბო, ოცდახუთი დეკემბერი წუხელ თო-
რმეტ საათზე დადგა..

მას ჩვევად ჰქონდა, გვიანობამდე
მჯდარიყო სუფრასთან, რა თქმა უნდა, თუ
კლინიკიდან არ დაურეკავდნენ და ავად-
მყოფის საშველად არ მიიხმობდნენ.
პაოლო კი ამასობაში ნახევრად თვლე-
მდა, რის ვაივავალაბით ლამობდა მა-
გიდაზე არ ჩამოედო თავი და ძილის
ტკბილ, მაცდუნებელ ბურანს მორჩი-
ლად არ დაჰყოლოდა. მაგრამ სიმღერა
აფხიზლებდა ბოლოს და ბოლოს, კეთი-
ლმოსურნესავით ედგა მხარში, ანჭღრე-
ვდა, ეფერებოდა, თან აფხიზლებდა, რა-
თა პატივი მიეგო ბაბუასათვის.

მიდიოდა პაოლო გვირაბისაკენ და თან
ფიქრობდა, ნუთუ არ შეიძლებოდა მე-
ორე ცვლის გაკვეთილები დაბინდებ-
მდე დამთავრებულიყო, რაღა მაინცდა-
მაინც უმცროსკლასელები დაგვჩაგრეს,

დიდები კი დილით იწყებენ მეცადინეობას და ადრიაანად ამთავრებენო. განა ღამის ეშინოდა, საშიში რა იყო ამ გაჩახჩახებულ გზაზე. გვირახს გავივლიდა, მერე ჩაათავებდა გადამა ჩარიგებულ ვიტრინებს — ჯერ საკონდიტრო მალაზიისას, მერე საკომისიოსი, ბოლოს საყოფაცხოვრებო მომსახურებისას და წიგნის მალაზიისას. დაშრეტილი შადრევანის ქალის ტორსს იმ მხრიდან აუქცევდა მხარს, საითაც ტალღებად ჩამოყრილი კულულები მკერდსა და ცალ თქმოს მთლიანად უფარავდა. მერე კლინიკაც იქვე იყო, ქუჩის მხრიდან ოდნავ შეწეული, მყუდრო, ქვიშისფერი შენობა, გაცრეცილ ალვებსა და მარადმწვანე ხეთა მღუმარებაში ჩამდგარი. დათქმულ კვიპაროსთან დადგება და ბაბუაც გადმოხედვდა ფანჯრიდან. ცოტა აღრე რომ უმთავრდებოდეს გაკვეთილები, ბაბუასთან მისვლამდე ქალაქში გასიერნებასაც ხომ მოასწრებდა.

გვირახში ერთი აურზაური იყო. რომელიღაც ახლომახლო სკოლიდან გამოსული მოსწავლეები ნაზუქის გამყიდველის გორგოლაკებზე შემდგარ დახლს მისეოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ ნაზუქის ყიდვას, ყველა ერთდროულად სჩრიდა ფულს გამყიდველს. დაბრაწული, ფუნთულა ნაზუქებით სავსე ვეება თუნუქის ჯამს მარლა ეფარა. ნელა მუშაობდა გამყიდველი, საგულდაგულოდ ითვლიდა ბავშვების მიწოდებულ ხურდა ფულს, თან დროგამოშვებით შეუტევდა სულწასულთ: მაცადეთ, ყველას ერთდროულად ხომ ვერ მოგვმთ, ნუთუ არ შეგიძლიათ, ცოტა მოითმინოთ! მაგრამ რაკი არ ჭრიდა მისი შეგონება, რაკი ბავშვები კვლავ ერთმანეთს ეცილებოდნენ, თუ პირველი ვინ მიაწვდიდა ფულს გამყიდველს, რომ ნაზუქი რაკ შეიძლება მალე ეგდო ხელთ, თეთრხალათიანი გამყიდველი მწყარალად ბუზლუნებდა: სად გაიზარდეთ! ნეტა თქვენი მასწავლებელი მანახვა!

ამის შემხედვარე ბალომ პალტოს ჯიბეში ხურდები მოიძია, ხელისგულზე

გადითვალა და მყიდველებს შეუარდა. ახლა ისიც მათსავით მოუთმენს იშვერდა ხურდამომარჯვებულ ხურდ. ერთ ნაზუქს იყიდის და კლინიკაში გზადაგზა შექამს.

მინც რაკარგადა დაბრაწული, ცხელ-ცხელი ნაზუქებია. აბა, აწი მისი რიგიც მოაწევს, თანდათან უახლოვდება გამყიდველს, ცხვირწინ რომ აესვეტება. გამოართმევს მერე ფულს, აბა რას იზამს. მაგრამ წინიდან ურიგოდ დგებიან. ძალადობენ. ესენი შედარებით მოზრდილი ბიჭები არიან. მაგათ ვერავინ დააკავებს. აბა ერთი ხმა გაეცი და ნახავ. ვაჰბატონები!.. დაავიწყდით, ბალოსავით მეხუთეკლასში რომ იყვნენ? რანაირად ეჯაჯგურებიან უკნიდანაც. გვერდიდანაც, დალაღს და ეგაა. იქნებ არც ღირდა ნაზუქი ამდენ დავიდარებად? ბებია რომ სუფრას გამშლის, იმასთან ნაზუქი რა სახსენებელია. მერე კიდევ ეს გამყიდველი... რა განწირული ხმით ჰკვივის, ნეტავი რა მოელანდა? რა სიტყვებს ამბობს: ნადირები! ბავშვები კი არა, ნამდვილი ნადირები არიან! ამით შეუძლიათ ცოცხლად შეგკამონ! სად გაიზარდნენ! მერე დამხმარე ქალს მიუბრუნდა: არიქა, ფთხილად იყავი, არ მოიპარონ, თვალი გეჭიროს! ამითგან არაფერია გასაკვირი!

დამხმარებაც მაშინვე თადარიგი დაიჭირა. გრძელი, გაქუცული პალტოს სახელოებში გამოყოფილი ორთავე ხელს მარლაწაფარებულ ნაზუქებს გადააწყო და ისეთა გამომეტყველება მიიღო, თითქოს მართლაც ქურდბაცაცების წინაშე მდგარიყოს.

ბალოს ნამდვილად აღარ უნდოდა ნაზუქი, დააპირა კიდევ, გამოსულიყო ამ ჯგლეტიდან, რომ თეთრხალათიანი გამყიდველის ბრძნული აზრისა და გაქუცულპალტოიანი დამხმარის ქცევის მოწმე არ გამხდარიყო. უცებ უსწორა თვალი ნაზუქებზე ხელეგწაფარებულის მხერას, წამიერადაც არ დაფიქრებულა, არავითარი წინასწარი განზრახვა არ

ლალი ზრევაძე
დღმსსაწაწლი

ჩაუღვია გულში, ელვისებურად, თავის-
თავად მოხდა როგორღაც. ფულიანი
ხელი უკან დასწია, მეორე კი მარლის
ქვეშ შეაცურა, ერთი ნაზუქი დაითრია,
მერე სწრაფადვე წაიკუზა, სოლივით
გაარღვია უკანმომდგართა ბარიერი და
გვირაბის სიღრმისაკენ სანამ მოკურცხ-
ლავდა, ერთი კი მიიხედა უკან. თავზარო
დასცა გამყიდველის სმენისწამლებმა
წივილმა: ხომ გითხარი? ვიცოდი ასე
რომ მოხდებოდა! ქურდბაცაეები! ნა-
ღირები! მერე კი დაინახა, როგორ მო-
ჩოლოხობდა გაქუცულპალტიანი. კო-
ჭლი იყო, ცალ ფეხს ცოცხივით მოაფ-
ხოკიალებდა, დაიჭირეთ! — ყვიროდა
იგი, ყველას ერთდროულად სთხოვდა
შველას.

პაოლო ხალხში შეერია, იცოდა, მდე-
ვრისათვის არც ისე ადვილი იყო, ზუს-
ტად მიეთითებინა მასზე. ამიტომ კი არ
მირბოდა, აჩქარებული ნაბიჯით მიეშუ-
რებოდა. აი გზისგასაყარი, აქედან გვი-
რაბი ორად იყოფოდა. მოკლე სავალს
იქვე შეეძლო ამოეყვანა, საიდანაც ჩა-
ვიდა, იმის პარალელურ ქუჩაზე, გრძე-
ლი კი კლინიკისაკენ მიმავალი გზა იყო.
მოკლე გვირაბით ასვლა ამჯობინა. ზე-
მოთამდე კიდეც რომ ეღია ჩოლოხას,
მიანც ვეღარ მიაკვლევდა.


ბაბუასთან აგვიანდებოდა, მაგრამ რა
ეჭნა, შეგნებულად ხომ არ მოქცეულა
ასე. ანკი რა მოხდა, ბაბუა კვიპაროსთან
მდგარს რომ ვერ დაინახავს, ცოტა ხნის
შემდეგ ისევ გადმოიხედავს. თბილადა
სამსახურში, განა ქუჩაში აცდევინებს.
ქუჩაში რომ ელოდეს, მაშინ სულ სხვაა,
ბაბუას ხომ მუხლები სტკივა. ჩოლოხა
კი დაირბენს გვირაბს და კვლავ ნაზუქებს
დაუბრუნდება, სხვადაც არ მომტაცო-
სო. პაოლოც მშვიდად გადაივლის მერე
მთავარ გასასვლელს და გზას ეწევა.
ნაზუქი პალტოს ჯიბეში ჩაიჩურთა, გა-
დაგდება ვერ მოახერხა და იმიტომ, თო-
რემ განა ჰამა უნდოდა.

კიბეები აიარა, უკვე ქუჩაშია. საგრ-
ძნობლად დამშვიდებულყოფილ, თუმცა გუ-
ლს მიანც ვაჰქონდა ბაგაბუგი. ახლალა
მოეგო გონს, თუ რა ჩაიდინა. უკვირდა,

როგორ დამემართაო, რამ გამიგოა,
ასეთ რამეს ვერასოდეს წარმოვიდგენ-
დი, კი არადა, სხვისიც გამიგონებუ-
დაო. მაგრამ რამდენიც არ უნდა ეფი-
ქრა და თვითქენჯნა ეგრძნო, მიანც დარ-
წმუნებული იყო, რომ იოტისოდენა
დანაშაული არ მიუძლოდა, გაქუცულ-
პალტიანის ბრალი იყო ყველაფერი,
გრძელი ხელები ნაზუქებზე რომ ეწყო,
არ მომპარონო, მან უბიძგა დანაშაუ-
ლისაკენ, მაგრამ ვინ დაუჭერდა ამას.
ბოლოს და ბოლოს ხომ იქურდა, თა-
ნაც ჩუმად, სხვებისაგან დაფარულად
კი არა, ნამდვილი ყაჩაღივით, არნახუ-
ლი უტიფრობა. გამოიჩინა, მერეღა
რისთვის, ერთი ნაზუქის გულისათვის.
კიდევ კარგი, ნაცნობს არავის დაუნა-
ხავს, თორემ თავი ექნებოდა მოსაკლა-
ვი. ვინ იცის, ნაზუქს მისეულმა ბე-
შვებმა რა იფიქრეს, იქნებ შეგებითაც
ამოისუნთქეს, რომ იმათი ამხანაგი არ
იყო, იქნებ შეეცოდათ კიდეც, ალბათ
იმდენად შიოდა, თავის შეკავება ვერ
შეძლოო, ზოგს ვაითუ ისიც ეფიქრა,
ფეხბტკივანი ქალი რახან ვერ დაეწე-
ოდა, ამით ისარგებლაო. რომ ცოდნო-
და ქალი კოჭლი იყო, იქნებ მართლაც
შეეკავებინა თავი, სიბრაულის გამო
ეგებ დაენდო და სარბენად არ გაეხა-
და მისთვის საქმე. მაგრამ ქალის ფე-
თიანი თვალები და ნაზუქებზე გადა-
წყობილი ხელები გაახსენდა და მა-
შინვე გაუქრა სიბრაულე. არა, სხვა-
გვარად მოქცევა არ შეეძლო.

ათასი წვრილმანის მალაზიაში შევი-
და. რა აღარ იყო აქ: საკანცელარიო
ნაწარმი, რკინა-კავეული, ელექტრო-
მოწყობილობა, კერამიკა, საგალანტე-
რიო საქონელი, სტერეო გრამფირფი-
ტები. მოუხდა, ბაბუასათვის რაიმე სა-
ჩუქარი ეყიდა, თუნდაც გრამფირფი-
ტა. ყურადღება გაახარებს ბაბუას. აქა-
მდე მასთან უსაჩუქროდ მიდიოდა ხო-
ლმე, აწი აღარ ებატებია.

გამყიდველი თვლემდა. ხელი არ შე-
უშლია, შეეცოდა, მოთმინებით დაე-
ლოდა, ვიდრე მთვლემარე არ მოფხიზლ-
და და არ იკითხა:



— ვინდა რამე?

პაოლომ ჭიბე ამოიციარიელა, ხურდა ფული ხელისგულზე დაიგროვა.

— ერთი გრამფირფიტა მინდა, ცოტა იაფიანი.

გამყიდველს ჩაელიმა:

— დაყარე, აბა ვნახოთ, რამდენია ეგ შენი იაფიანი.

პაოლომ დახლზე დააჩხრიალა ხურდა. გამყიდველმა სწრაფად გადათვალა და ვიდრე ის რამეს იტყოდა, პაოლო ისევ იმ ღიმილით მიხვდა, არ ეყოფოდა ფული.

— რას იზამ, — თქვა გამყიდველმა, — ამჯერად ვერ იყიდი.

დახლიდან თავის ხურდებს რომ კრებდა პაოლო, იგრძნო, იქვე შორი-ახლოდან ვიღაც დაჟინებით უმზერდა. განგებ არ მიუხედავს მისკენ, ვინ ოხერია, ალბათ დამცინის, გრამფირფიტის ყიდვა გულით რომ მწაიდა და არაფერი გამომივიდაო.

მაგრამ ხომ შეიძლება სხვა ნახოს რაიმე, უფრო იაფფასიანი. ბოლომდე ჩაათვალა იერებს მალაზიას, ნუთუ აქ ყველაფერი მისთვის ხელმოუწვდომი იქნება.

დახლს სწრაფად მოსცილდა, არც ახლა გაუხედავს დაჟინებით მაკჭერალისაკენ, ისე გასწია. დახე, ვლაცამ დაუძახა, სწორედ იქიდან, საითაც არადა არ იხედებოდა შეგნებულად. თანაკლასელი ეძახდა, ტრისტანი, უკან რომ იჯდა, სულ ბოლო მერხზე და მუდამ ცარიელი იყო მისი ადგილი, რადგან სკოლიდან განთესილად ითვლებოდა. როცა დამრიგებელი ზედიზედ მიაკითხავდა შინ, მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა ტრისტანი, ისიც ორიოდ დღე. მერე კვლავ დაიკარგებოდა, სულ ფლომასტერით ნახატი ფერად-ფერადი თვითმფრინავებით ჰქონდა აპრელებული მერხი. ახლო ამხანაგი არ ჰყავდა კლასში, მაგრამ უმისოდაც მშვენივრად გრძნობდა თავს. მუდამ დამატარავებული პერანგი ეცვა, გადასკდომაზე ჰქონდა სალილეები. იდგა ახლა და უღიმოდა პაოლოს. როგორ-

დაც დაბრტყელებოდა ტუჩები და სიცილის დროს ორთავე ლოყა ლაგუნდებოდა. ლალი იყო და ფალი, არავითარ წესსა და რეჟიმს არ ებუებოდა. ასაკით თითქმის ტოლები ეთქმოდათ, დიდი დიდი, ერთი წლით უფროსი აღმოჩენილიყო ტრისტანი. იგი თავისი ქცევით როგორც სჯობნიდა ასაკს. კერძი ხასიათისა იყო, გაუტეხელი, თავისნათქვამა, აღრიანად დაკაცებული.

მართალია, დაუძახა, მაგრამ გაუნძრევლად იდგა, და პაოლოსაც მეტი რა გზა ჰქონდა, თვითონ ეახლა. შეამჩნია თუ არა ტრისტანის მარცხენა წარბქვეშ ჭერაც მოუშუშებელი ნაიარევი, შეწუხებულმა ჰკითხა, რა დაგემართაო.

ლოყებზე გაჩენილმა ნაჩვრეტებმა კვლავ სილადე დაახატა მის სახეს, უსიტყვოდ თქვა, აბა შენა ხარ, ასეთი უმნიშვნელო რამ როგორ გაშფოთებს, ნეტავი ტირილს არ დაიწყებდეთ. თან აქამდე ილიაში ამოდებული მოტოროლერის ფარი ისე დაიკავა, რომ პაოლოს ძალაუბრებურად, მასზე უნდა გადაეტანა ყურადღება. უცებ ძალიან მოეწონა თანატოლი, მოეჩვენა, რომ მან ბევრი რამ ისეთი იცოდა, რაზეც წარმოდგენა არ ჰქონდა პაოლოს, რაზეც ჯერ ვერც იოცნებებდა.

— რას ყიდულობ? — ჰკითხა ტრისტანმა.

— არაფერს, ისე შემოვედი. — თან გრამფირფიტების გამყიდველისაკენ გააპარა თვალი, ნეტა არ ესმოდეს ჩვენი საუბარი, თორემ რას იფიქრებს, ასე აშკარად რომ ვიტყუებო.

გამყიდველი კი უკვე თვლემდა. რა კარგია, როცა ადამიანები თვლემენ, ყოველ ნაბიჯზე როცა არ მოგვირკიტობენ. ასეთ დროს თავის გასამართლებლად ტყუილიც შეგიძლია მოიშველიო. მაგრამ ტრისტანი ხომ იქვე იდგა და თავისი თვალთ ნახა ალბათ, გამყიდველმა ფული რომ დაითვალა.

ლალი ზრუგვაძე
დღესასწაული

ეხ, რაც არის, არის, ვისი რა საქმეა, რას ყიდულობს. გადაწყვიტა, აღარ მოძებნოს საჩუქარი, ახლავე წავა თავის გზაზე, ისედაც დააგვიანდა, ბაბუა უთუოდ ღელავს უკვე. მეტის დაყოვნება აღარ შეიძლება.

— წამო, კინოში წავიდეთ, — უთხრა ტრისტანმა, — ვესტერნს უჩვენებენ.

— რას?

— კოვბოების ცხოვრებას, ჯახ, ჯუხ, კარგად გავერთობით.

ვესტერნი... პირველად გაიგონა ეს სიტყვა. მათ შორის ერთი წლის სხვაობას ნუთუ ამდენი მნიშვნელობა აქვს? „ეს სკოლაში არ დადის ნახევარჯერ, მაინც ახერხებს ტყემალზე შემსვას“.

— ამდენი ფიქრი რად უნდა მაგას, თუ კინოს გუნებაზე არა ხარ, იპოდრომზე წავიდეთ. ბიძაჩემი იქ მუშაობს, მეჩინებია. ისეთ ცხენზე შეგვამ, პირველი კლასის ჟოკეი რომ დააქროლებს ხოლმე. ულამაზესი ცხენებია, მოფერება მოგინდება, წამო, არ წააგებ.

ცხენზე არასდროს მჯდარა, ანკი ვინ დასვამდა? ეს ისე ეპატიეება, ვითომ გაწვრთნილი მხედარი იყოს. მაინც სული აუკაწყაწდა. რა მოხდება, ბაბუა არ ელოდებოდეს.

— დალამების ნუ გეშინია, იპოდრომი გაჩახჩახებული იქნება, თავისუფლად შეგვიძლია ჯირითი. არ გაინტერესებს, როგორ დავაქენებ ცხენს? კინოსტუდიის გადამღები ჯგუფი პირდაღებული შემომყურებს ხოლმე. ნაღდად ამიყვანენ გადაღებაზე, ბიძაჩემს ერთი ორი ისე გადაუქრეს, ჩემი გადაღება აქვთ გადაწყვეტილი, წყალი არ გაუვა. შენ ნურაფრის გეშინია, ბიძაჩემს ვთხოვ და თუ გინდა, საბელით გატარებს პირველად. მერე თანდათან გაეჩვევი. ყველას უჭირს დაწყება, ბიძაჩემი ამბობს, მეცნიერების კანდიდატები პანტაპუნტით ცვივიან ცხენებიდან და ნეკნებს იმსხვრევენო. წამო, მაღლობელი დამირჩები. ამ ფარს მივბარებ ვინმეს და გავეტოთ.

— ვერა, — თქვა პაოლომ, — თვი-

თონვე დასწყდა გული უარზე. კინო-
ლამ დაიწუწუნა, ბაბუა მელოდებო.
მისი დაბადების დღე დგება და უნდა
ვიზეიმოთო. ტრისტანს ეს ალბათ სა-
საცილოდ არ ეყოფოდა. გამალებით
ეძებდა უარის საბაბს, ვერაფერი მოი-
გონა ასე უტეებ და ისღა მოიმიზეზა,
ცივო, რაღაც ვარგად ვერა ვარო.

— მაშ შენ ორთქლის აბანო მოგიხ-
დება, მასეთ ღროს მისწრებაა ორთქ-
ლის აბანო. ჩავიდეთ ორთაქალაში. ჰა,
რას იტყვი?

მიხვდა, დასცინოდა ტრისტანი. ამის მიხვედრას რა დიდი ჰკუთავონება სჭირ-
დებოდა. ანგარიშსწორების სურვილი
არ გასჩენია, სახია ჩემზე, ვიმსახურებ
და ამიტომაც საკადრისს ვღებულობო.
ახლა როგორმე ისე უნდა დასცილე-
ბოდა, მეორედ შეხვედრაზე თვით შე-
ეთავაზებინა, მაშინ რომ ვერ წამოგ-
ყვი იპოდრომზე, ახლა წავიდეთო.
უცებ შეუყვარდა თანაკლასელი. სკო-
ლაში არასდროს უცდია მასთან დაახ-
ლოება, მაგრამ განა ეს თავისი ბრალი
იყო? სხვებიც ხომ არ ცდილობდნენ.
აწი საშინაო დავალებასაც გადააწერი-
ნებს, არასდროს იჭირქილებს სხვები-
ვით, როცა ტრისტანი უწინდებოდ მო-
ვლ სკოლაში. იმეგობრებს მასთან, სა-
ხლშიც წაიყვანს. დასცინებენ, რა სა-
ერთო ნახე მაგ ოროსანთანო? დასცი-
ნონ მერე, რამდენიც უნდათ, იმდენი
დასცინონ.


— სკოლაში არ მოხვალ? — ჰკითხა
ტრისტანს მისი კვლავ მალე ნახვის
სურვილით შეპყრობილმა.

— რატომ უნდა მოვიდე?

— რა ვიცი რატომ, წესია, მოსწავ-
ლემ სკოლაში უნდა იაროს.

ვერა, ისე ვერ თქვა, როგორც უნ-
დოდა, რაღაც სხვაგვარად გამოუვიდა.
ინანა, უგერგილო ვარო, მაგრამ რაღა
დროს! ვლიზიანებულ ტრისტანს უკვე
დამცინავი ღიმილი ეფინა სახეზე:

— მშვენიერი დამრიგებელი გამომი-
ჩნდი, ყოჩაღ! როგორ გამოხვედი ეგე-
თი ჰკვიანი? მოგწონს სკოლა? ძალიან
მოგწონს? ჰოდა იარე, გიშლი? ოღონდ



შენს მასწავლებლებს ჩემგან გადაეცე, ტრისტანმა შემოგივალათ-თქო, გასწავლონ, ნაზუქის მოპარვა რომ არ შეიძლება, ნაზუქი უნდა იყიდო. დაიმახსოვრებ?


ეს სილის გაწვნაც კი არ იყო, სილის გაწვნას რა უჭირდა, თუმცა ძალდატანებული, მაგრამ მაინც აშკარა წონასწორობით ნათქვამით ტრისტანმა ამოუპანდურა, სხვაგვარად ვერ იტყოდი, პანდურამორტყმულის მდგომარეობაში იგრძნო თავი. ენა ჩაუფარდა, სახე ნაკვერჩხალივით აენთო, სირცხვილის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ აუხსნიდა ტრისტანს, რად ჩაიღინა გარეშე თვალისათვის უხამსი, მიუღებელი საქციელი. კიდევ რომ შეძლებოდა, ტრისტანი აღარ მოუსმენდა. იგი მიბრუნდა, მოტოროლერის ფარი კვლავ ილღიაში ამოიჩარა და სტვენა-სტვენით გაუდგა გზას.

რა უცნაურად მიატოვა... ნეტა სიიდან მოკრა თვალი! იმ მოსწავლეთა ზედახორად ქცეულ რიგში თუ იდგა და უყურა, პაოლოს როგორ მისდევდა კოჭლი ქალი. ნეტავი მომკვდარიყო, ჯოჯოხეთად ეჩვენა უცებ სიცოცხლე, გამოიფიტა თითქოს, ბლანტი და უაზრო ვახდა. გაახსენდა, ზღვის დაბალი ფონის თხემზე მოტივტივე მელუხას რომ დაიჭერდა ხოლმე, გამოიტანდა ნაპირზე, გავარგარებულ, ალხადენილ ქვიშაზე დააგდებდა ამ გაურკვეველ არსებას, არც თვალები რომ არ გააჩნდა, არც სმენა, არც გული, მაინც არსებობდა, მაინც ცოცხალი ეთქმოდა. მერე ღღვებოდა ქვიშაზე მისი უაზრო, გაურკვეველი სიცოცხლე, კი არ კვდებოდა, სანთელივით ღღვებოდა. იმ მელუხას მდგომარეობაში წარმოიდგინა თავი და კინაღამ ტირილი მოუნდა. როგორ სტკოდა ახლა სკოლიდან ნახევრად განთესილი თანატოლის დაცინვა. შიგ გულში უწიოდა მისი ჭკუისდამრიგებლური სიტყვები, განწორებისას ტალახივით რომ ესროლა, შეარცხენა და მაშინვე მიატოვა,

ცხელ ქვიშაზე ლობბადაწყებული მელუხასავით მიაგდო და წავიდა.

რომ დაეძახა? ტრისტან, მორცხე, ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით! მაგრამ ვერ მოატრიალა ენა, მისთვის სახელით არასოდეს მიუმართავს. კლასშიც ხომ გვარით იხსენიებდნენ: სირაძეს დღესაც არ აცვია წინდები, დედას გეფიცები, ნამდვილად არ აცვია; სირაძემ ისტორიის მასწავლებელს მინდვრის ყვავილები დაუღო ჩუმად მაგიდაზე, ამბობს, სკოლაში მისი ხათრით მოვდივარო; სირაძემ კლასის ჟურნალის ყდაზე ფარშავანგი დახატა. დასვენებაზე ერთი წუთით დატოვა მორიგემ უყურადღებოდ ჟურნალი, მივიდა, არც აცია, არც აცხელა და ფარშავანგი მიახატა; დირექტორის კაბინეტში რომ შეუყვანიათ, ისე არხეინად გრძნობდა თურმე სირაძე თავს, დირექტორს უთქვამს, ნამდვილი კიბოს ვაქცინაო; სირაძეს შიშველი ხელით შეუძლია ხვლიკი დაიჭიროს, ნეტა რა ჯანდაბად მოსდის თავში ხვლიკის დაჭერა! სირაძემ იატაკზე დაფურთხა; სამაგიეროდ, კარებში გზას უთმობს გოგონებს. სირაძე შუა გაკვეთილზე უნებართვოდ რომ გავიდა გარეთ, ლავრენტი მასწავლებელმა თვალები აღაპყრო და ჩაილაპარაკა: უშველე ყველა გონარეულს! თან აჩოჩქოლებულ კლასს გაუჩავრდა: ეს იმისი ბრალია, ყველა ვიგინდარას სწავლა სავალდებულოდ რომ გაუხადეს. მე თუ მკითხავთ, ნახევარს დავითხოვდი სკოლიდან და ატმის ჩასაწყობი ყუთების შექმნაზე ვამუშავებდი, მაღლობა ღმერთს, ატამი მწიფს უკვე. თუმც ბევრი იქაც არ გამოდგებოდა, ლურსმანს ჩაქუჩი თუ ვერ უსწორა, თითს მიიჭექყავს. არადა, ზოგჯერ რა მაღლია თითის მიჭექყავა! კარგად თქვა მასწავლებელმა, მაღლიაო. მაგრამ პაოლო მაშინ იმდენად არ გაუღიზიანებია სირაძის ქცევას, რამდენადაც შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს

ლალი ზრგვამძ
დღესასწაული



მან გაკვეთილზე ხვრინვა რომ ამოუშვა. მასწავლებელი ახალ მასალას ხსნიდა, გატრუნულები უსმენენ. ერთიც ვნახოთ და ვილაცამ ხვრინვა დაიწყო. მთელი კლასი მიბრუნდა და რას ხედავს, სირაძეს თავი კედელზე მიუბჯინია, მიკუნჩხულა თავფსთვის და ხვრინავს.

— ნუ დასცინებთ, — თქვა მასწავლებელმა, — ცოდვას ხალხათ დაღლილია, აცადეთ, იძინოს!

მანც როგორ ხვრინავდა, ამაზე მეტი თავხედობა რაღა იქნებოდა. ოღონდ სირაძეს გაკვეთილებზე არ გაეცდინა, ოღონდ სკოლიდან განთავსილთა სიას არ მიმატებოდა, ყველაფერს აპატიებდნენ. ვითომ რატომ? ვინ დაადგინა ასეთი წესი? ანდა იქნებ იმის გამო ელოლიავენოდნენ სირაძეს, კარებში გოგონებს გზას რომ უთმობდა? რას გაიგებ!

პაოლომ მთელი გზა ვერ მოიშორა ტრისტანზე ფიქრი. ყველაფერი ახსენებოდა, ყოველი წვრილმანი, აქამდე მნიშვნელობა რომ არ მიუცია, სამუდამოდ დავიწყებულადაც კი თვლიდა. გამალიზიანებლად აეკვიტა მისი სახე-უყურებს, იღიმება ორაზროვნად, თან ორთავ ლოყა ეჩვრიტება. გამომწვევია მისი ღიმილი, დამამცირებელი, თითქოს ამბობს: შენს აღზრდაზე თუ ზრუნავენ, ყოველ ცისმარე სუფთა წინაღებს გაცმევენ, ცალკე გიკიდებენ მხოლოდ შენთვის განკუთვნილ პირსახოცს, სამეცადინო კუთხე თუ მუდამ წესრიგში გაქვს, პროფესორი ბაბუა და მუსიკოსი დედა გყავს, თუ ყოველ შობა ღამეს ეს რამდენიმე წელია პირველ ხმას შეუტდომლად ამბობ, როცა ოჯახურ სუფრაზე ასრულებთ „ოცდახუთსა დეკემბერსა“, თუ მარკ ტვენსაც იცნობ და „ტიბოს ოჯახიც“ უკვე წაკითხული გაქვს, ჩემგან მაინც რით განსხვავდები? ქურდბაცაცა ხარ, სა-

ცოდავ გამყიდველ ქალებს ნაზუქს კპარავ და თავი ისე გიჭირავს, ვეფთხე არაფერი. აი, რას ეუბნებოდან ვეფთხე ბული, მომღიმაბრი, ლოყებდაჩვრეტელი სახე. ეს უკვე მეტისმეტი იყო. სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ დაჩვილებით, ამას ვის გადავეყარე, საერთოდ, უარი ეთქვა მის ნაცნობობაზე, მაგრამ ახლა, ასე შერცხვენოდა, თანაც მაშინ, როცა თავს თვლიდა უდიდეს და არ არც თვლიდა დამანაშავედ, ძალია არ შეუსწევდა წონასწორობის დაცვა შორიდან, მხოლოდ ფიქრით ყოველგვარი მობოდიშებისა და მკვრელების გორების გარეშე მიჰყვიროდა მას: ბნელო! გაუგებელო! საკუთარ თავზე შეყვარებულ ნარცისო! შენ ხომ არ შეგიხედავს გამყიდველი ქალისათვის თვალებში, ხომ არ გიგრძენია, რა გაიფიქრა იმ ერთ წამში, მოწმე ხომ არ გამხდარხარ, ხელები როგორ გადააფარა ნაზუქებს! ტყუილად გგონია, ფული დამენანა, სიხარბემ მძლია, ვიწუწუკე და იმიტომ ჩავიდინე ეს. სულაც არაფერში მჭირდება ფული. სადა მაქვს?.. აი აგერაა. პირველივე შემხვედრ მათხოვარს ჩავუჩჩჩჩჩჩჩჩ უკლებლივ.

პაოლო გვირბას ათვალეირებდა უკვე, იქნებ მართლა სადმე აღმოვჩინო მათხოვარი და ამ ფულისაგან გათავისუფლდე, როგორც საშინელი ცოდვისაგანო. ასეა, როცა გვირდება, ერთ მათხოვარსაც ვერ აღმოაჩენ წამლად. არ არის და ნუ არის, სხვა გზას მოძებნის პაოლო. ოპ, როგორ ბრახდება ნაზუქის გამყიდველ ქალებზე! მაინც რა იყო, არასდროს დავიწყდება გაქუცულპალტოიანის თვალები. ძალით, სულ ძალით ჩაადენინა ისეთი რამ, აზრადაც რომ არ მოუვიდოდა, მთელი სიცოცხლე თუგინდ მარტო ამაზე ეფიქრა. ო, ის თვალები... ის გამოხედვა... ნაზუქებზე დადაწყობილი

ხელები... რა ჯანდაბად უნდოდა ეს ფული, მისცემდა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა, ჩვეულებრივ გადაიხდიდა, როგორც შეპყვების წესიერ მყიდველს. რა, მართლა გიჟი ხომ არ იყო, ანდა ბავშვთა კოლონიიდან გამოპარული, დამშვეული არასრულწლოვანი. რა ბედმა მიიყვანა იმ რიგში, ფეხის ხმას აპყვა, თორემ სულაც არ შიოდა. რომც შეიბოდა, განა თავს ვერ შეიკავებდა? საცაა ბაბუას შეხვდებოდა კლინიკასთან და სახლშიც ხომ მალე მივიდოდნენ. ბაბუა ტაქსს გააჩერებდა, ჩასხდებოდნენ და წავრიალდებოდნენ. ეს იყო და ეს. ამისთანა მოუთმენელი განა რა სჭირდა?

აი, ასასვლელ კიბესთან ბამბის ნაყინს ყიდიან, ცერად შეუყენებიათ კედელზე ვეება მუყაოს ყუთი. დადგება აქ და ყველა გამვლელ ბავშვს უყიდის ნაყინს, ოღონდ მასზე უმცროსები უნდა ამოარჩიოს. დიახ, ასე მოიქცევა. რომ არ გამოარჩივან? ამიტომ სჯობს, წინასწარ იყიდოს და უცებ მიაჩეროს ხელში.

ეს რაღაა? კიბიდან ვილაღ ჩამოდის, გადიდებული, ჩარჩოში ჩასმული სურათი მოაქვს, სურათი წელს ზემოთ ჰფარავს მომავალს, მხოლოდ მოკლე ფეხები მოუჩანს. პაოლოს ეცნო სურათი. იმ საცოდავი, ბეჩავი ჯუჯა კაცის — გოჭოს პორტრეტი იყო, რომელიც ლალი მამილამ ერთ თავის მოთხრობაში გმირის პორტოტიპად გამოიყენა. საცოდავი, ალბათ მოკვდაო, გაიფიქრა პაოლომ. მაგრამ როცა სურათთანმა კიბე ჩამოათავა და ბამბის ნაყინით სავსე ყუთს გვერდით მდგარ პაოლოს გაუსწორდა, ნათელი გახდა, რომ სურათი თვით გოჭოს მოჰქონდა. პაოლოს გაახსენდა, როგორ იცრუა მამილამ, როცა მოთხრობის დაბეჭდვის შემდეგ გოჭოს გადაეყარნენ ქუჩაში, გაზეთის ჯიხურის წინ. მამილამ გოჭო

გაჩერა, მიესწლმა და უთხრა: განსოვს შენგან ფული რომ ვისესხე? ახლა ვალი უნდა დაგიბრუნო. გოჭო წამოდგა დაფიქრდა, მერე ხელი ჩაიჭნია და თქვა: კარგი ერთი, რა მოხდა.

— არა, — იუარა მამილამ, — ვალი ვალია. ხელჩანთიდან ფული ამოიღო და გოჭოს პერანგის გულის ჯიბეში ჩაუჭურთა.

ისაა, არ მომკვდარა, ისაა და თავისი სურათი მოაქვს, როგორ უჭირავს, თითქოს სამგლოვიარო პროცესიას მიუძღოდეს.

— გოჭო! — დაუძახა პაოლომ. ჯუჯა შედგა, მოიხედა და მექანიკურად გაუღიმა.

— რა კარგი სურათი გადაგილია, გოჭო!

— ჩემი ძმაა...

— რას ამბობ, ეს ხომ შენა ხარ, გოჭო, ნამდვილად შენა ხარ.


— ხოო? რა ვიცი, მესამე მასივიდან მომაქვს, უნდა გავადიდებინო.

— გადიდებული არ არის? მეტი რაღა გადიდება უნდა!

— ცოტა უნდა კიდევ, ცოტა... ბანოჯაში სახლი უნდა ავაშენო. რომ ვამბობ, არ მიჯერებენ, მაგრამ კაცი არ ვიყო, თუ ორ წელიწადში ბანოჯაში სახლი არ წამოვჭვიმო. იქ წავიდებ ამასაც, რაც დიდი იქნება, უკეთესია. ძმა ჩემი, რა ვუყუო...

აღარ უმტიციებდა პაოლო, შენ ხარ ეს, ძმა საიდან მოიგონეო, ახლა იმის ცდაშიდა იყო, ბამბის ნაყინის საყიდლად გამზადებული ფული როგორმე სწრაფად ჩაეყარა გოჭოსათვის ჯიბეში. მამიდასავით კი არ დაუწყებდა, მმართებს, ვალი უნდა დაგიბრუნოო. მართლაც მოხერხებულად ჩაუტურა ხელი ძველი, გაზინთული ქურთუქის ნახევრად მორღვეულ ჯიბეში, კარგად იყავიო, მიიძახა და მოკურცხლა.

ლალი ზამბახაძე
დღისასწავლი



ქუჩაზე გასულმა ბნელი სკვერი რომ ჩალია და დამშრალ შადრევნის საფრქვევ ქალის ტორსს უკანიდან მოუარა, კლინიკის ეზომდე მიინც იმას ფიქრობდა, ნეტავი ახლა რას იტყვოდა სირაძე, ნუთუ მიინც ვერ შეიგნებდა, ფულის გულისათვის რომ არ მიწუწუკიაო. ვითომ მართლა წავიდოდა იპოდრომზე? ცხენზე ჭირითი ვიცო. თურმე ნუ იტყვი და კინოშიც შეიძლება გადაიღონ, მხოლოდ ბიძამისის თანხმობაა საჭირო. უარი რომ თქვას ბიძამისმა? რაღა ეშველება ქართულ ფილმს მაშინ? მსახიობობაზე ოცნებობს, მაგრამ ვაითუ ჩაიში კოვზს რაკარუკით ურევს, ანდა დაძინებისას გახდილ ფეხსაცმელებს საწოლთან იწყობს. ვინ იცის!..

ბაბუა უკვე დაბლა ჩამოსულიყო, ბილიკის განათებულ მონაკვეთზე სცემდა ბოლთას კვიპაროსების გასწვრივ, რაც იმას ნიშნავდა, საგრძნობლად დაეგვიანებინა პაოლოს. ალბათ რარვინგ დელაგს, იქნებ შეეშინდა, რამდენჯერ ჩაიდუღუნებდა თავისთვის გულში, რა დაემართა იმ ბიჭს, რად არ ჩანს აქამდეო. ბაბუას ხომ მუხლები სტყევა, სად შეუძლია ასე დგომა და ლოდინი. ესეც არ იყოს, დალილია მთელი ღღის ნაშრომი, ნეტავი უსაყვედურებს? სამართლიანი იქნება საყვედური, განა არ ესმის ამდენი, ბაბუას წინაშე დამნაშავეა და ხმა არ ამოეღება, მაგრამ აუცილებელია სიტყვები? ნუთუ მართლა სიტყვები წყვეტს ყველაფერს. თავის მართლების გარეშე არ შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორეს დაუჯეროს? ნუთუ არ შეიძლება! თუმცა ახლა თავის მართლების შესაძლებლობაც არ ჰქონდა, მიინც რა უნდა ეთქვა, რატომ დამაგვიანდა, რად გაიძულე ამ ბილიკზე ნერვულად გველო ჩემს მოლოდინშიო.

მაგრამ ბაბუას არც საყვედური უთქვამს, არც დაგვიანების მიზეზი გამოუძიებია. დაინახა თუ არა პაოლო, სწრაფად გამოეშურა მისკენ. ერთი კი ჩაათვალიერა ფიქრიანად, ხომ საღსა-

ლამათი მოვიდაო, მერე გადახვია თავისი დიდი, მძიმე ხელი და თქვა:

— ჰე, წავიდეთ დროზე, ცხენზე ძლივს ვდგავარ. უთუოდ მოთოვს, ისე მტებს მუხლები. აქ ტაქსს დავიჭერთ ვითომ? გაჩერებამდე კი მისვლა არ გინდა? იცი რა ვქნათ, შვილო? პირდაპირ გადავჭრათ ქუჩა და აგერ იქ, ტრამვაიზე დავსხდეთ. მართალია, კახანს მოგვიწევს რახრახი, მაგრამ რა უკირს. როგორი აზრია?

პაოლომ თანხმობის ნიშნად შეკლიმა და ბაბუას მკლავებზე შეყუყუღმა გახედა ქუჩას.

— აქ, რასაკვირველია, გადასვლა არ შეიძლება, — თქვა ბაბუამ, — ჩვენ ამ შემთხვევაში წესრიგს ვარღვევთ, რისი უფლებაც არა გვაქვს, რასაც არავინ მოგვიწონებს. სრულიად შესაძლებელია, მილიციელმა სტვენა აგვიტეხოს, მართალიც იქნება. ჩვენ სტვენასა და მკაცრ შენიშვნას დავიმსახურებთ, როცა დამსახურებულად ისჯები, ხმა აღარ ამოგეღება, უნდა მოიბოდიშო, თუ არადა, პირში წყალი ჩაიგუბო და გაჩუმდე.

— მე ავუხსნი, რომ მუხლები გტყევა, გადასასვლელამდე მისვლა არ შეგიძლია. სიარულზევე შეგატყობს, რომ არ ვცრუობ.

— ხო, ხო, რა თქმა უნდა, შემატყობს, ჩემი მუხლების წყალობით, მთლად ბებრულად დავდივარ, ძლივს დავათრევე ფეხებს, მაგრამ ეგ არაფერი. ფრთხილად, აქ სიფრთხილე გვმართებს, ხომ ხედავ, გიჟებივით დაქრიან. გადავივლის ბორბლებით ვინმე გაბღენძილი საქმოსანი და უყარე მერე კაკალი. მოიცა, ესეც გავატაროთ და შუა ხაზამდე შეგვიძლია მისვლა. შენ არასოდეს გადახვიდე, გენაცვალე, ამისთანა უადგილო ადგილას, ჩემს თავს გაფიცებ, ასეთი რამ არ გაიმეორო. აქ ცოტა ხანს შევიცადოთ, შუა ხაზზე რაც არ უნდა იყოს, ორივე მხრიდან მომავალი მძლოელი გვხედავს. ნუ გეშინია, გაჩერდი, გასწირებას არ უნდა ვეცადოთ, თორემ მძლოლებს დავაბ-



ნევთ, ხომ ხედავ, ავტომობილების ზღვა მოდის. სჯობს, მშვიდად ვიდგეთ და ხელსაყრელ მომენტს ველოდეთ. შეწყდება ნაკადი, აბა რა უსაშველო დაადგება.

მართლა ცუდ დღეში ჩაიგდეს თავი, შიგ მოძრაობის მორევში მოჰყვენენ. ბაბუას ხმაში აშკარა სინანული ჟონავს უკვე, ალბათ ვერ მოუნელებია, შორიდან რომ არ მოუტარა და მშვიდობიანი გზის ნაცვლად ხახადლებული მაგისტრალის აშკარად ხიფათიან არჩევანზე შეჩერდა, ნებაყოფლობით გაეშურა მოსალოდნელი ფათერაკისაკენ. იგრძნო პალომ მისი განწყობილების უცარი შეცვლა, მაგრამ ახლა რაღას იღონებდნენ. უკან გაბრუნებაც გამორიცხული იყო, ზურგსუკიანაც გაიბაწრა ასეთივე სწრაფი ნაკადი, ბოლო რომ აღარ უჩანდა. უახლოეს შექნიშანზე უთუთრ წითელი აინთო ფეხით მოსიარულეთა გზაზე, და ქუჩამ ნიაღვარივით წამოლეკა ნებადართული, არტახებაწყვეტილი სვლა. მესაქვებს დაეთმო ასპარეზი, ჰოდა ამ დროს ვინ სულელი შეჩერდება, ვინ გაგატარებს. კიდევ რომ გამოჩენილიყვნენ კეთილნი, გადასვლა მაინც არ მოხერხდებოდა. რიგი სამწყვებად მიჰქროდა, აქეთებს რომც გაეშვი, რომელიმე იქითას წერა შეიძლებოდა შექმნილიყავი. ორივე მხრიდან მოძრაობდა მაგისტრალი, წინ და უკან შემზარავი სივილი მიარღვევდა დაზაფრულ სივრცეს, სადაც პალოს შიშამდგარი სხეულისათვის თითქოს ადგილი აღარ დარჩენილიყო. გახვევებული, შეძრწუნებული და უნდოლად აწურული მიჰკვროდა იგი ბაბუას, ბრძოლაზე და ყოველგვარ ცდაზე ხელჩაქნეული, იმედსაც კი აღარ უხმობდა. ყოველი მოკლე ინტერვალის სივილი, განსაკუთრებით ზურგს უკან, იმისი დასტური იყო, შიშს რა ადვილად შეეგუებინა აზრთან, რომ იქნებ ეს ყველაფრის დასასრულს მოასწავებდა, სიცოცხლის მუხთალ ბოლოს, ყოველ წამს შეიძლებოდა რომელიღაც წყვეტილ სივილს პირდაპირ

მის სხეულზე გაეგლო, შიშს დანებებულ, გადაჩენის იმედწარეცხვად სხეულზე და მაშინ ისიც, უფებოდა სხეულზე, ანდა სულაც შუაზე გაწყვეტილი, ბურთივით ესროლა შიშისა და ზაფრისაგან თავისუფალ ყოფაში. ჰო, წამი იყო სპირო. ყოველ სივილს თან მიჰყვებოდა ბიჭის უმწიფარი სხეულის ჟრჟოლა, ისევ და ისევ ხელთავიდან დაბადებული, მარწუხებივით შემოოქავი, ლამის სისხლს რომ უჩერებდა, და მან იფიქრა, თუ ნამდვილად ამ ქუჩაზე სიკვდილი მოწერია, ჯობს მალე მოხდესო მოსაზრდენი. ნერვებმა კვლარ გაუძლო, თვალები დახუტა და საშინელ დასასრულს კი არ დაელოდა, სხეული მიუგდო, ავანგაშებული სხეული, ყოფნა-არყოფნის მუხთალ სამანზე უხმოდ მკივანი სხეული, რომელიც ებარა მისი სიცოცხლე. რა ძვირად უღირდა თურმე ეს სიცოცხლე, რომლის არსებობა აქამდე გარდაუვალი კანონი ეგონა, ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი, ხელშეუხები და წარუშლელი.

მაინც რა გახდა იმ ათიოდე ნაბიჯის გავლა, რისი წყალობითაც სამშვიდობოზე დაიგულეგებდნენ თავს, და სიცოცხლის მარადიული, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონიც კვლავ ძალაში შევიდოდა. ნუთუ ყველა შუქნიშანი ერთდროულად მოიშალა, ნუთუ აღარასოდეს შეჩერდება მაგისტრალი, ნუთუ სამუდამოდ ამ შუა ხაზზე უწყერიათ დღემა!.. ეს ქალაქი კი არა, საგიჟეთია, საგიჟეთი!..

დაუჯერებელია, მართლა თავისი ფეხით გადაიარა ქუჩის ეს ნახევარი? მართლა გამოაღწია იმ საშინელ შუა ხაზს — შიშისა და ძრწოლის მორევს, უიმედობის ჯოჯოხეთურ მიჯნას? სამშვიდობოზე გასულმაღა იგრძნო, როგორ ტკიპასავით მიჰკვროდა ბაბუას რბილსა და საოცრად მშვიდ სხეულს, სუნთქვაშეკრულს როგორ შემოეკლო

ლალი ბრეზავაძე
დღმსაწაფლი

ისტორის მკვლევები. მერე კი, როცა კონსმოსული ცდილობდა თავი ისე დაეჭირა; თითქოს აქაც არაფერი მომხდარაო, როცა ბაბუას წინ გაუსწრო ორიოდ ნაბიჯით და ნაძალადევად კიდევ შეიკუნტრუშა, თან ზურგზე მოგდებული ჩანთა გაისწორა, ტრამვაი მოდის, უნდა ვიჩქაროთო, — წამოიძახა, მისმა შემხედვარე ბაბუამ თქვა:

— შეგაშინე ხომ? ფერი აღარ გადევს... მომიკვდეს თავი!.. მაინც როგორ წაეწყვენ ერთმანეთს ის ოხრები!.. აბატიე შენს მუხლებმორყეულ ბაბუას, აბატიე, შვილო. ახლა კი ვიმარჯვოთ, აბა, აბა, მივეუსწროთ ტრამვისს, თორემ მეორე როდისღა მოვა. აი, ასე, ცოტაც, ცოტაც, მოვასწარით და ეგაა. წინიდან შევიდეთ, მეტი ხალგათობაა. გაჩერდეს, აცადე, პაოლო. ახლა კი ახტი, აბა, მარღალ!

უკვე ვაგონშია პაოლო, ბაბუასაც ვიღაც ღვთისნიერმა მიაშველა ხელი და კიბეზე ასვლა გაუადვილა. აქ კი არც ერთი თავისუფალი სკამი არაა. ესღა უნდოდათ? წინა ადგილებზე სულ მოხუცები და ბავშვები სხედან. პაოლო საკუთარ თავზე ბრაზდება. მისი ბრალია ყველაფერი, შუა ხაზზე იმდენხანს დგომაც და ნერვიულობაც. დროზე რომ მოსულიყო, ბაბუა ასე არ დაიდლებოდა, გადასასვლელამდე ავიდოდნენ, მშვიდად გადაივლიდნენ ქუჩას, იქნებ ტაქსის გაჩერებამდეც მიედწიათ, ან ვინმე მათი გზისკენ მიმავალს თანამგზავრად გაჰყოლოდნენ. ახლა კი ამ ტრამვისს რახრახი... თანაც ფეხებმდგომელა...

ვაგონის შუაგულისაკენ მიიკვლევდა გზას იმ იმედით, იქნებ ერთი ორი გაჩერების შემდეგ ვინმე ჩავიდეს და ბაბუას დასაჯდომი აღმოვეჩინოო. მობრუნდა, თავისი ვანზრახვა ბაბუასათვის უნდოდა გაემხილა, მაგრამ აღარ დასკირებია. ვიღაც ახალგაზრდა კაცი წამოდგა, ბაბუას ადგილი დაუთმო, მერე მოკრძალებით ჰკითხა:

— ვერ მიცანით, ბატონო ირაკლი?

ბაბუა ინტერესით მიაცქერდა, თან ცოტა არ იყო, უხერხულად გაეღიქმებოდა. — ვერ გიხსენებთ, მაპატიეთ, ვინ ხართ? ნებ მომაგონოთ...

— მართლა არ გახსოვართ, ბატონო ირაკლი? თქვენ მე კლინიკიდან გამაგდეთ. — ამის თქმაზე ორთავ თვალი ერთდროულად ჩაჰუტა, ისე რომ ძნელი მისახვედრი იყო, ეს ქესტი რისთვის მოიშველია, იმის სათქმელად ხომ არა, მთა-მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს ყოველთვისო...

— რას ბრძანებთ! ეს შეუძლებელია, ნუთუ მართლა! რაღაც გაუგებრობა იქნებოდა ნამდვილად, — შეწუხდა, გულწრფელად შეწუხდა ბაბუა.

— არა, ბატონო ირაკლი, არავითარი გაუგებრობა. სრულიად მართალი ბრძანდებით. მე ეს დავიმსახურე. არ იფიქროთ, გული მწყდებოდეს თქვენზე, ერთი წუთითაც არ იფიქროთ.

ახალგაზრდა კაცი თავზე ადგა ბაბუას, ისე იყო მისკენ დახრილი, ისეთი თვალებით ჩასცქეროდა, რომ პაოლოს მოეჩვენა, ეფერებოდა, საყვედურის ნაცვლად, ეფერებოდა.

— ახლა სადა ხართ? — ჰკითხა ბაბუამ, — უადგილოდ ხომ არ დარჩით? — ემუშობ, ბატონო ირაკლი, ყველაფერი რიგზეა.

მართლა ეფერებოდა, მართლა უყვარდა ამ კაცს პაოლოს ბაბუა.

— აგაშენათ ღმერთმა, — ვეღარ დაიოკა სიხარული ბაბუამ, თორემ... მაინც რად არ მახსოვს, წარმოიდგინეთ, სულ არ მახსოვს...

— არც იფიქროთ მაგაზე, კარგად ბრძანდებოდეთ.

კაცი ჩასასვლელად გაემზადა, მგზავრთა შორის გაძვრა და მიიძალა. პაოლოს ახალა მიეცა საშუალება, ბაბუას სკამთან მიმდგარიყო. მეკრდით აეკრა მის მხარს და გაიტრუნა. დაღლილა, საშინლად დამძიმებოდა ზურგზე მოკიდებული ჩანთა. ნეტავი მოახსენევინა, საცაა ბეჭებს ჩამოაწყვეტს.

ნელა მიიარწევა ტრამვაი, ზღაპრითა და ჭაყყაყით მიდის. ბილეთი რომ არ აუღიათ!.. კაპიციტ აღარ გააჩნდა,



მანც უნებლიედ წაიღო ხელი ჯიბისკენ, შიგ ნაზუქი რომ ელო, აუტანელი და საგანგებოდ გადავიწყებული ნაზუქი. გადაგდებაც კი ვერ მოეხერხებინა აქამდე. ისევ თავიდან აღუდგა ყველაფერი — იმ ქალის ეკვიანი გამოხედვა, 'მეურაცხემყოფელი და გამაღიზიანებელი, დანაშაულისაკენ მბიძგებელი. ნეტავი თუ ისევ იქ იღვა, ისევ ხარბად თუ ეწყო მარლაგადაფარებულ ნაზუქებზე გრძელი მკლავები. რა თქმა უნდა, იგი პაოლოს თავხედ, ქუჩის ბიჭად, უპატრონოდ, თავზუხვალალებულად თვლის. ოდესმე მიხვდება კი ასე რად მოექცა პაოლო? ან ტრისტანი რას ფიქრობს? ზეიმობს ალბათ გამარჯვებას. მაგრამ პაოლო სულაც არ თვლის თავს დამარცხებულად, ესაა მხოლოდ, რომ სხვისათვის თვალმიუღწეველია მისი სიმართლე, წარმოუდგენლად თვალმიუღწეველი. მერედა ეს ნიშნავს დამარცხებას? რაც იყო, იყო, დივიწყებს ყველაფერს, ამ ნაზუქსაც სადმე მოისვრის, ისე რომ ბაბუამ არ შენიშნოს და მორჩა, განთავისუფლდება, ცოტას ამოისუნთქავს. ჯერ კი რა ქნას, აქ ხომ ვერ დააგდებს მგზავრთა ფეხებში. ფუჭ, როგორ ეზიზღება ეს ჯიბე, თითქოს რაღაც უწყინდური ელოს შიგ. უსიამო ფიქრის მოსაშორებლად ისევ ბილეთზე ზრუნვა გადაწყვიტა, ბაბუას შეახსენა, ვაგონი უკონდუქტოროა, სალაროს კი ვერ ვხედავო.

— გვაქვს ბილეთი, — თქვა ბაბუამ, იმ ჩემმა ნაცნობმა ახალგაზრდამ აგვიღო. დამიმსახურებია!.. — და მრავალმნიშვნელოვნად, დანანებით ჩაიღმა.

— კიდევ ორი გაჩერება და მივალთ, — თავისთვის ჩაილაპარაკა პაოლომ, თითქოს ამით გამძლეობას იკრებდა, თავს ინუგეშებდა, რომ ბოლოს და ბოლოს გზასაც დასასრული ჰქონდა. ამ დროს ბაბუას გვერდით ადგილი განთავისუფლდა და პაოლოც მაშინვე გადაძვრა ფანჯრისაკენ. სკამზე მოკალათებულმა ქუჩას რომ გახედა, ტრამვაის ნელი სვლის წყალობით, წყვედიადის სიმრუმეში მიყუდროებულ

დიდუბის ეკლესიის პრილა გუმბათი ჰკიდა თვალი. აქეთ გამოვლისას სკამის ასხენდებოდა, თამარ მეფის მემკვიდრისაში რომ იქორწინა თურმე, საოცარი იყო, ამხელა მეფეს ასეთი პატარა ეკლესია რად ამოერჩია. საოცარი კი არაა, უფრო მეტიც.

ახლა ბეჭები იმდენად აღარ სტიქობდა, ჩანთიანად იყო საზურგეზე მიწოლილი და სიძიმებს ველარ გრძნობდა. მაგრამ როცა ზიხარ, თავს კარგად გრძნობ, გზაც მალე ილევა, დროც მალე გადის. ისე კი პირიქით ჯობდა.

ბებიამ პაოლოს კარებშივე დაუკოცნა თვალები, ასე იცოდა, მუდამ თვალებში კოცნიდა ხოლმე. მერე დაღლილ ქმარს პალტოს გახდაშიც რომ მიეშველა და ოთახისკენ წაუძღვა, ნაწყენივით თქვა:

— მეგონა, ყვავილებს მომიტანდი, ნამდვილად მეგონა.

— რა ბრძანეთ? ყვავილებიო?

— განა მუდამ არ მოგქონდა დღეს დღეს?

— კი მაგრამ, როდისღაც ხომ უნდა განვთავისუფლებულიყავი ცუდი ჩვევებისაგან!.. თანაც ვერ გამიგია, ჩემი დაბადების დღეა, თუ შენი?


— ჰო, მაგრამ ასე მიმაჩვიე, — ბებიამ მხრები აიჩჩია, — არ გაგიგია, მიჩვეულს ნუ გადააჩვევო?

ორივემ გადაიხარხარა. კიდევ კარგი, თორემ პაოლომ ლამის დიჯერა, რომ მართლა კამათობდნენ.

რა სასიამოვნო სითბოა... ო, ეს კერძების სუნი... ჩანს, ბებიას დაკონსერვებული სოკო ძმარსა და ნიგოზში შეუქმანავს, ამაზე გემრიელს ვერაფერს ინატრებ. ბეზეებიანი ტორტიც რამოდენა გამოუცხვია! ისე ლამაზია, დასაკრელად ვერც გაიმეტებ. ჰოდა როცა მანც უნდა დაჭრან, ნეტა რაღას აკობტავებენ.

ბაბუას ხელები დაუბანია უკვე, თვა-

ლალი ზამჯამაძე
დღმსასწავლელი



ლები მიცდუნებლად უციმციმებს, როცა ამბობს:

— პაოლო, ერთი-ორი პარტია ჭადრაკი ხომ არ გვეთამაშა? დაბადების დღეს მინდა გამარჯვების სიხარული განვიცადო.

— ვითუ დამარცხდი? — ცოტა არ იყოს, განაწყენება უნანვს პაოლოს ხმაში.

— შეუძლებელია, ყმაწვილო, შეუძლებელი.

პაოლო მოთმინებით ელოდება, ბაბუა როდის განალაგებს ფიგურებს დაფაზე. პასიურობით უპირისპირდება მოწინააღმდეგის თვდაჭერებულობას, ქალაქური მელოდიის ლინინთაც რომ ეცხადება ახლა, ტუბილი ხმა აქვს ბაბუას, თბილი და სეკდასავით დამპყრობი.

ბებია სუფრას შლის უკვე და ყოველ გავლა-გამოვლაზე თვალი ჭადრაკის დაფისაკენ გაუბრუნებს. ბებიასათვის აშკარად ცხადია, პაოლოს თეორიულად წუნდაუდებელ, წინასწარ განგარიშებული სვლებით მიღწეულ პოზიციას როგორ დაუნდობლად უსპობს და ურღვევს ბაბუა თავისი არეული, დაუდევარი თამაშით. ბაბუასათვის დაბრკოლება არ არსებობს, ბაბუა ალბათ პირველი მეომარი იქნებოდა, მუხლები რომ არ სტკიოდეს.

ვაშა!..

ახლა კი ჩიხში მოამწყვდია იგი პაოლომ, ვნახოთ, რას იღონებს. ვითომ არაფრად უღირს წარმატება, პაოლო დაფას თავს ანებებს, დაე ბაბუამ თვითონ გაარკვიოს თავისი საქმეო, და გულგრილად, მშვიდად შესცქერის ტელევიზორს, სადაც ახალ ამბებს გადმოსცემენ.

ბებიას მხედველობიდან არ ეპარება პაოლოს უპირატესობის წუთები, თავის საქმეში გართული საგანგებოდ, შვილშვილისადმი მხარის დაჭერის მიზნით, ვითომ მართლა დიდად გულშემატკივრობდეს თამაშს, ქმარს გამოელაპარაკება:

— როგორ გაქვს საქმე, ირაკლი, მარჯვედ იყავი! — თავი არ შეიკრძებოდა!

— მგონი გამიწყურა ღმერთო, და გეძას თუმც არაა გასაკვირი, განა მაპატიებს, რომ დაბადების დღეში ვეცილები?..

მაგრამ ბაბუამ იპოვნა გამოსავალი, უცებ შეიცვალა ტონი:

— გთხოვთ, ყმაწვილო, დაგვდოთ პატივი და გააკეთოთ სვლა.

ნამდვილ ბრძოლას ჰგავს ჭადრაკი, ერთ პარტიაში ჭამდენჯერ გაგიფუძღვება გუნება, რამდენჯერ ჩაიქნევ ხელს და ჩაგწყდება გული დაშვებული შეცდომების გამო. მოკლედ, ბრძოლა, წყალი არ ვაუფა.

ტელეფონი ირეკავს. ბებია პოლში გადის და პასუხობს.

— შეიძლება საავადმყოფოდან რეკავენ, — ამბობს ბაბუა.

პაოლო უცებ პატიობს. მის ყველაფერს — გამარჯვებასაც, დაცინვასაც, ოლონდ საავადმყოფოში არ გამოიძახონ, ოლონდ ადროონ სახლში მშვიდად ყოფნა. აქ წყვეტს ფიგურის სვლაზე ფიქრს და ბებიას შემოსვლას ელოდება:

— ვინ იყო?

და სანამ ბებია იტყოდეს, საავარიო უნდოდათ, ალბათ ვილაცის რადიატორი გაუსკდათ, პაოლოს სუნთქვა ეკვრის. ყველაფერი რიგზეა, ავადმყოფებს მშვიდი საღამო აქვთ. მაგრამ ყოველ წუთას შეიძლება რაიმე შეიცვალოს, ამიტომ პაოლოსათვის ტელეფონის წკრიალი მხოლოდ უსიამო მოლოდინის მომგვრელია.

ბებია სუფრასთან იწვევს ორთაბრძოლაში ჩაბმულთ. ბაბუას აშკარად მოგებებიანი პოზიცია აქვს, პაოლოს დიხაც ხელს აძლევს ამ შემთხვევაში თამაშის მიტოვება, მაგრამ განა შეიმჩნევს, განა კურდღლეოვით დამფრთხალი დასტოვებს ბრძოლის ველს. კი არაა, მზადაა, ბოლომდე ფარ-ხმალი არ დაჰყაროს. ბაბუა კი ამბობს:

— შენგან თავისუფლად შეიძლება, კარგი მოთამაშე დადგეს, — თან ბებიას უკრავს თვალს, განა მართლაც არ

ვამბობო, მაგიდასთან ჯდება და სუფ-
რას ათვლიერებს.

— მოდი, პაოლო, ყველაფერი გვქო-
ნია, ჩიტის რძის გარდა!

— ყვევილების გარდა, — უსწორებს
ბებია.

ივანშემებენ ნელ-ნელა, თორმეტ სა-
ათზე კი იმღერებენ „ოცდახუთსა დე-
კემბერსა“, თუ, რა თქმა უნდა, ბაბუა
საავადმყოფოში არ გამოიძახეს. სტუმ-
რები ხვალ მოვლენ, სტუმრების დღე
ხომ ხვალაა. მოვლენ, იტყვიან სადღე-
გრძელოებს, ერთმანეთს რაღაც-რაღა-
ცებს დაუმტკიცებენ, შეჰფიცავენ სიყ-
ვარულს, ცოტ-ცოტას მოატყუებენ კი-
დეც. ახლა კი დგება მშვიდი ღამე, რო-
მელიც დაგავიწყებს დასავიწყარს, წაშ-
ლის წასაშლელს ყოველს; ზემის, დღე-
სასწაულის ღამესასწაული დგება.

პ ა უ ზ ა.

ადამიანის თვალი განსაზღვრულ მან-
ძილამდე აღწევს, თავიც რომ მოიკლა,
ყველაფერს ერთდროულად ვერ დაინა-
ხავ. გუმანი თუნდა შეგეძლოს იმის მიგ-
ნება, რაც არ ჩანს. აი, ამაჲ ჰქვია ნიჭი
ხილვისა.

პაოლოს კი არ მიმართა, თავისთვის
ხმამალა იქადაგა ასე ბაბუამ, როცა
ქალი გაისტუმრეს და ისევ სუფრას მი-
უსხდნენ.

რა უცნაურად გამოეცხადათ:

ბებიაჲ კარი გააღო, ქალი ზღურბლ-
თან იდგა ფეხშიშველა, აბუზული.
გრძელგზავამოვლილ ლტოლვილს ჰგა-
ვდა. არც ბოდვებს მოჰყოლია, არც
თავი შეუბრალებია მასპინძლისათვის,
უცერემონიოდ თქვა:

— ცოტაოდენი წმინდა სანთელი და
ფული შემეწიეთ.

მის შიშველ ფეხებზე გაექცათ მაში-
ნვე მზერა, ბებიაჲ შინ შემოიბატოქა,
თანაც დასძინა, რაიმე ფეხსაცმელს გა-
მოვნახავო.

— არა, — თქვა ქალმა, — ფეხსაც-
მელი არ მინდა. შეთქმული მაქვს და

ვასრულებ. შვილი მყავს ავად, იქნებ
ვადამირჩეს.

ყველაფერი გასაგები იყო, ბებიაჲ
ქალი ძალისძალათი შემოიყვანა, სუფ-
რასთან დასვა და თავისი ხელით გა-
დაულო თეფშზე საქმელი. ისიც იჯდა
მორჩილად, მეტი რა ძალა ჰქონდა, ნე-
ლა, უგემურად შეექცეოდა, სევდა გა-
რეოდა მზერაში. იგი არ იყო ჩვეულებ-
რივი სტუმარი, ერთი სიტყვაც არ გა-
უხარჯავს, არ შეუქვია მათი მყუდრო
უბანი, არ უთქვამს, რომ ფართო კი-
ბეები სადარბაზოში პირდაპირ სულს
გინათებს ადამიანს, არც იმაზე დაუჩი-
ვლია, ასეთ მაღალკვირიან, სქელკდლე-
ბა და მყუდრო ოთახებს აღარავინ ავი-
შენებსო. იჯდა მდუმარედ, თითქოს მა-
ტარებელს ელოდა, რომელსაც ყოველ
წუთს შეიძლებოდა მოეყვირებინა.

მერე ბებიაჲ ტორტის ნაჭერი დაუღო
თეფშზე და ქალიც უხმოდ შეექცა.

პაოლოს უკვირდა, ბაბუა რად არ
ეკითხებოდა ქალს, რა დაემართა თქვენს
შვილს, განა ასეთი უსაშველო რა სჭი-
რსო. ყინვაში ფეხშიშველა სიარულით
რას არგებ, ცოდვა ხარ, უაზრო მსხვერ-
პლი მას რაში წაადგებო. იჯდა ბაბუა
უძრავად, შეჰყურებდა ქალს ცვილი-
ვით გალეულ სახეში და არაფერს ამ-
ბობდა. ბებიაჲ კი ფული ზმოულო სტუ-
მარს თეფშის ქვეშ. და როცა ქალმა
ტორტის ნაჭრის ნარჩენზე სეტყვის
მარცვლისოდენა კურცხლები ჩამოჰყა-
რა, პაოლოს შეეშინდა, ბებიაჲ უთუოდ
ტირილს დაიწყებდა.

ახლა პაოლოს ერთი სული ჰქონდა,
ეთქვა: ჩემი ბაბუა ხომ ექიმია, იქნებ
დაგეხმაროთ, გაგიკურნოთ შვილი. ნუ
გეშინიათ, აბა მედიცინა რისთვის არ-
სებობს! უთხარით, რა სტიკვა თქვენს
შვილს, თორემ მასე რა გამოვა, და-
გაქვთ დარდი მათხოვრის გუდასავით
და აღთქმულის აღსასრულებლად ფეხ-
შიშველა დაიარებით. ეს ხომ უაზრო-
ბაა, განა ამით მას მართლა ეშველება

ლალა ზრგვამაჲ
დღესასწაული

რამე? მართალია, ბავშვი ვარ, მაინც ვიცი, რომ უაზრობაა.

მაგრამ პაოლო ვერაფერს ამბობდა. ჩამოდენა განსხვავება იყო ფიქრსა და სინამდვილეს შორის. ფიქრი ქარივით თავისუფალია, სითაც უნდა, იქით გაუტევეს, ათასგვარ აზრს დახლართავს, კეთილზე კეთილს გაგზავნის, თუ უნდა, საშინელ დანაშაულსაც ჩაგადენინებს. უსასრულოა ფიქრი, ზღაპარს ჰგავს. გინდა ვარსკვლავად გაქცევეს, ვინმეს ბედის მაცნედ გამოგვიღებს ცაში, გინდ დელფინად, შორეული ცურვის გემს რომ მისდევს და ეთამაშება. ფიქრი მერცხალივით ამოგაფრენს საკუთარი თავიდან, აქედურტულეზული მერცხალივით. ფიქრი და სინამდვილე შორსაა ერთმანეთისაგან, ვით ცა და მიწა, ვით გაზაფხული და შემოდგომა, ვით წარსული და მომავალი, რომელთა შორის ერთი ნაბიჯი გგონია ზოგჯერ, მაგრამ ვერასდროს შეახვედრებ ერთიმეორეს.

პაოლო ბებიას რომ გაჰყვა ქალის გასაცილებლად, ბაბუამ მათ პოლში წამოაწია ხმა: მისამართი დაატოვებინეთ!

პაოლოს ეცნო ქუჩა, რომელიც ქალმა დაასახელა.

როცა საცურაო აუზის ტალონებს უშოვნდნენ ხოლმე, იმ ქუჩაზე უხდებოდა გავლა. ანკი ვინ მოთვლის, რამდენ ქუჩაზე გაუვლია, მაგრამ მისი სახელწოდება არ სცოდნია. ეს ქუჩა იმით დაამახსოვრდა, რომ კუთხის სახლის ყრუ კედელზე გაუქმებული ფოტოატელიის ნაშთი იყო შემორჩენილი — მთელი ტანით გადაღებული გოგონა, მოკლე, კუბოკრული კაბა რომ ეცვა და გაკვირვებით იმზირებოდა.

რატომღაც სასაფლაოს აგონებდა პაოლოს ის სურათი. მას ენახა ასეთი სასაფლაო — შამბოდებულო, დაჯანგული მესერიტ, ერთხელ, ზაფხულში, ზღვაზე მიმავალთ გზაში მანქანა გაუფუქდათ და ვინემ მამა წესრიგში მოიყვანდა, იქვე გზისპირა ტრიალზე ლალი კვიცივით მორბენალმა პაოლომ

დედას ჰკითხა: რატომაც ადგილი შემოდობილი?

— სასაფლაოა, შვილიშვილები შინ დედამ.

იძულებული იყო, თორემ განა იმ ქუჩაზე ჩაივლიდა? ჩავლისას კი არ შეეძლო, გოგონასათვის არ შეეხედა. ყოველთვის ერთი და იგივე აზრი მოსდიოდა: ნუთუ არავინაა მადლიანი, რომ ჩამოხსნას სურათი, რად მიუსაჯეს ღია ცის ქვეშ ასე გაქვავებული ყოფნა. ყველაფერს ხომ თავისი ადგილი აქვს. ახლა ისღა აოცებდა, იმსიშორიდან რომ მოიყვანა ქალი. სანამ იგი მისამართს იტყოდა, შეფიქრიანდა, რად მეკითხებიანო. ბებია ამ აუხსნა, ჩემი მეუღლე ექიმია, იქნებ... და ამ დაუმთავრებელ ნათქვამში აუწყრელი სიკეთე ჩაატია. მაშინ ქალმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, ვერ გაიგებდი, მედიცინას გაუგზავნა წყევლა-კრულვა, თუ თავის მწარე ყისმათს. მისამართი კი მაინც დატოვა.

კიბეზე რომ დაეშვა, ბებია, თითქოს ძალზე მნიშვნელოვანი რომ დაავიწყდაო, რის გარეშეც ამ მწუხარე ქალის საშველი მისდღემში არ იქნებოდა, მიაძახა:


— ბარბარეში აღუთქვი?

შეჩერდა, თავი მოაბრუნა და ნელა დაიქნია, თითქოს საშინლად სტკიოდა შეტოკებისას.

— ნუ გეშინია! — კვლავ მიაძახა ბებია, — ყველაფერი კარგად იქნება! ქალმა უკვე მადლობის ნიშნად დაიქნია თავი. აღარ ტიროდა, რა თქმა უნდა, აღარ ტიროდა.

წავიდა, თავის ცხოვრებას დაუბრუნდა. ვერაფერი უშველეს, შეეცოდათ, მაგრამ მაინც ვერ უშველეს. კვლავ გუდასავით აიკიდა დარდი და წავიდა, დედაშვილობის სახელით სირცხვილის დამმარცხებელი, თავმოყვარეობის დამთრგუნველი. იქნებ სიკვდილიც კი დაემარცხებინა დედაშვილობას, იქნებ თვით სიკვდილიც.

— კიდევ კარგი, შევამჩნიე, თორემ



დარჩებოდა ფული საცოდავს, დაავიწყდა თეფშის ქვეშ რომ ამოვუღევი, — თქვა ბებია, — ძალიან გაწამებულ იყო.

რომ დაეწიოს ქალს პაოლო, დაეწიოს და ის ნაზუქი მისცეს, ის წყეული ნაზუქი, ბოდიშის მოხდეთ, ლამის მუდარით შესთხოვოს, იქნებ სადმე გადაადგოთო. ქუჩაში უამრავი უპატრონო კატა დაძრწის, მადლიერ იმითაც სასუნსავი გაუჩნდებათ და პაოლოც ამოისუნთქავს. ნეტა როდემდე შეიძლება პალტოს ჯიბეში რომ ედოს, რაში სჭირდება. ნამდვილი მათხოვარი მაინც ყოფილიყო ქალი, მაშინ თამამად მისცემდა ნაზუქს და განთავისუფლებოდა, თორემ საშველი არაა, ისევ აეკვიტა გაქუცულპალტოიანის ძვალტყავა ხელები. ტრისტანთან უსიამოვნებაც გაქუცულპალტოიანის ბრალია, მისი შიშინი მზერის ბრალი, ადამიანებს რად უნდა ეშინოდეთ ერთი-მეორის?

ვითომ არ კმაროდა რაც მოხდა, ახლაც არ ასვენებდა ის თვალები, თავსამტვრევსა და საფიქრალს არ უღევდა. ტყუილა ეგონა, გადავივიწყეო. ტრისტანს კი ვერაფერს აუხსნის. ტრისტანისათვის აწი არცა აქვს მნიშვნელობა რაიმეს ახსნას. ნეტა ცალი თვალთ მინც შეახედა, რას აკეთებს ტრისტანი. წავიდოდა ვითომ იპოდრომზე? ანკი რა შეუშლიდა.

— რას ფიქრობ, პაოლო? — ჰკითხა ბაბუამ, — შენც მოგეშხამა ხომ გუნება?

ბაბუამ ხაზგასმით თქვა „შენც“, მერე ადგა და ტელევიზორს ხმა აუწია. ბაბუა გადაცემით დაინტერესდა უცებ. კიდევ კარგი, თორემ პაოლოს ეგონა, პოლში გავა იგი, ჩემს პალტოს მიადგება, ჯიბეში ჩაყოფს ხელს და იკითხავს: ეს რაა, პაოლო?

მაგრამ ბაბუა არ გასულა პოლში. ერთხანს ტელევიზორს მიშტერებოდა, ისევ, მოჩვენებით, სულაც არ ხიბლავდა გადაცემა, მერე შეგონებას მოჰყვა:

— ადამიანს ვერ განსჯი, იმიტომ,

რომ სიმართლე, როგორც დოგმა, არ არსებობს. კაცი შენს თავთან იყო მართალი, ყველას მოსწონდა მართლის თუნდ, სანთლით ძებნას აზრი არა აქვს.

შიგ პაოლოს გულში იხედებოდა თითქოს ბაბუა. ლაპარაკის საღერდელი აშლოდა უეცრად, ისეთ რამეს ამტკიცებდა, რაზეც არავინ ეწინააღმდეგებოდა, ეჭვქვეშ ანა ვინ დააყენებდა ბაბუას შეხედულებებს. ის კი მაინც არ ცხრებოდა, ზოგჯერ უყვარდა სენტენციების ხასიათზე დღგომა, გაანალიზება უხილავის, ყოველივე იმისა, რაც აშკარად, თვალნათლივ არ ჩანს, მაგრამ შენშია, განუყოფელ ნაწილად შეგისისხლორცებია, ისეთივე ბუნებრივ აუცილებლობად ქცეულა, როგორც სმენა, როგორც თვალისჩინი, ანდა სიხარულის გაცნა. როგორ უყვარდა პაოლოს ბაბუას მოსმენა. გაყურდებოდა, ჩამშვიდდებოდა თავისთვის და უსმენდა. ძილში რომ მზის სხივი შეგიყვება და სიზმრებს გაგინათებს, ისე ჟონავდა ახლა ბაბუას აზრები მის არსებაში, რადგან იგი გამართლება იყო პაოლოს ნაფიქრალისა და განცდილის, ვერავის რომ ვერ გაანდობდა და აუხსნიდა.

— გაიგონე იმ კაცმა რა მითხრა ტრამვაიში? რასაკვირველია, გაიგონე. დამახსოვრე, შვილო, ასეთი რამ ყოველთვის უნდა გახსოვდეს, — თქვა ბაბუამ, — სხვაგვარად შეუძლებელია ცხოვრების სწავლა, ამოცნობა, თუ ვინა ხარ, ღმერთთანა ხარ წილნაყარი თუ ეშმაკთან.

— რა გითხრა ასეთი? მაინც რა გითხრა? რას გააოგნე ეს ბავშვი? — გაიოცა ბებია: ვითომ პაოლოს ინტერესებს იცავდა, სინამდვილეში კი მოთმინება არ ჰყოფნიდა, ტრამვაიში მოსმენილი მისთვისაც გაენდოთ.

— გუგულის კვერცხები უმად ვადავსანსლე და კბილის ტკივილი მოვირჩინეო.

ლალი ზრგვაძე
დღესასწაული

— კარგი ერთი, რა ხუმრობაა!.. თეფ-
შიდან ბეზეს ნაჭერი აიღო ბებიამ, რო-
გორღაც კეკლუცურად შეაჩერა მერე
ხელი პირთან, — სერიოზულად გეკით-
ხები.

— მეც სერიოზულად გასაუხვობ.

კვლავ პაოლოს მიუბრუნდა, ისე ჩა-
აცქერდა, თითქოს პირდაპირ სულში
უნდოდა ჩაეძახა სათქმელი, ამოუშლელ
დამლად ჩაეტოვებინა.

— დიდებული რამაა სამართლიანობის
გრძობა, როცა მას ფლობ, შეგიძლია
საკუთარ თავში მეორე სუნთქვა იპო-
ვო, ესე იგი, მოახერხო, აჯობო შენივე
თავს. ასეთი რამ იშვიათია, მხოლოდ
ღირსეულებს შეუძლიათ, სრულფასო-
ვნებას მიუახლოვდნენ. ადამიანის კ
ამის მეტი არაფერი არ უნდა შეგშურ-
დეს. ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვცხოვ-
რობთ, პაოლო, ამქვეყნად, როგორმე

სრულფასოვნებას მივალწივით. როდის-
ღაც თვითონვე მიხვდები.

მერე წამოდგა, უნდა დავწვე, მაღიან
დაღლილი ვარო, თქვა და საძინებელი
ოთახის კარის შეღებისას თანამესუფ-
რეთ სიტყვა დაუგდო: თუ საავადმყო-
ფოდან დარეკონ, გამაღვიძეთ, არ შე-
გეცოდოთ, გამაღვიძეთ უსათუოდ!

დღესასწაული თვალსა და ხელშეა
გაქრა, ერთბაშად, მოულოდნელად,
აღარ იმღერებდნენ, აბა, გაბზარულ
გუნებაზე ვინ მღერის, რომ მათ ემღე-
რათ, ამას რა დიდი ახსნა სჭირდებო-
და, მაგრამ რომ არ იმღერებდნენ, იმი-
ტომ გაქრა დღესასწაული, თუ დღესას-
წაულის გაქრობამ მოკლა სიმღერა?
ვინ იცის!.. ეს ხომ კვერცხისა და ქათ-
მის ერთიმეორეზე აღრე გაჩენის გამო-
ცანას ჰგავდა.



ტკივილის დიდი მცენარეა კაცის
ცხოვრება
და ზედ იმდენი ნაყოფი ასხია,
რამდენიცა ვართ,

მაგრამ თანაბრად
ისიც კი ვერ გავინაწილეთ,
ზოგს არაფერიც არ შეხვდა
ზოგმა კიდევ გული გაივსო.

უპანასკნელი საღამო

ისე დაგშორდი, როგორც შორდება
მდინარე მთებს და ხეებს ფოთოლი,
წვიმდა და სველი ქაღვლის გასწვრივ
გულგრილად იწვა ნისლის კოტორი.

შენ სადღაც უკან, ხეობის ბოლოს
დარჩი და წასვლა არსად გეწადა,
დაქინებული წვიმა და სთველი
იდგა, უღმობლად სულს გიწეწავდა.

ვიღაცა ხმობდა, სადღაც ფრინველებს
ედგათ ჟივთივი, მარტოსულ ძერას
სდევნიდა ქარი და ყრუდ ისმოდა
ფერდაკარგული არაგვის ხველა.

და მეც დაგშორდი, როგორც შორდება
მდინარე მთებს და ხეებს ფოთოლი
და საღამომდის, როგორც ვეშაპი
მომდევდა ლევა ნისლის კოტორი.

მუხამესხვის დაბრუნება საზაფხულო ბანაკში

(პასტორალი)

მოდგა, მოვიდა გაზაფხული,
ყინულებმა დახსნა კარები,
სად ვინა ხარ, ძეხორციელნო,
მიწის სუნმა ჩამოყარა ციდან ფრინველი,
მდინარესავით ტანზე ვიმტვრევთ ყინულის პერანგს
და ერთმანეთს ვუახლოვდებით.
ეს სიხარული სხვანაირად არ იმღერება
თუ არა ოდენ, ველური როკვით
არ მოვედებით სამშობლოს მთა-ბარს
და ტაძარივით არ ჩამოვაქცევთ
სიჩუმეს, რომლის ხელისგულებზე
როგორც ბალახს — გამოგვეღვიძა.

მოდგა, მოვიდა გაზაფხული,
ჩვენც ჩვენს ბანაკს დაუბრუნდით,
იმის კერას, იმის სამზერებს,
და ვიღებთ ხელში უნათლეს წკირს,
რომელიც ცრემლის ხმას გამოსცემს,
მიწამყარზე რომ მალვით მოვისვრით.

აქ უცხო ქარებს ჩაუვლიათ,
უცხო ხსნი გუმანს გვიშფოთებს
ჩვენ კი ზამთრის ძილს და საზრუნავს
სულ ცხლახან გამოვადწიეთ.

მუდამ ასე ვმომთაბარებოთ,
მაგრამ ისე ცოტანი ვართ —
არვინ გვრჩება ცეცხლის პატრონად,
ხან ზამთარშია ჩვენი ქოხები
უპატრონოდ მიტოვებული
ხანაც ზაფხულში,
გრძელია, გრძელი წელიწადი
მცირე არის ჩვენი ბანაკი.

მოდგა, მოვიდა გაზაფხული,
ყინულეთმა დახსნა კარები,
სად ვინა ხართ, ძეხორციელნო,
მიწის სუნმა ჩამოყარა ციდან ფრინველი.
ო, გაზაფხულო! ჩვენაც გვიხმე,
დედაბუნების წიაღიდან
გამოგვრეკე, გაგვამრავლე, აგვალორძინე,
ჩვენი მამის სახლს გაგვაწვდინე,
ჩვენს ბანაკებს,
ჩვენს კარისპირს,
ჩვენს სამრეკლოებს!

პირისპირ

შენი სახელი აუღებელ ციხესავით ჩემს გზაზე დაჩნდა,
მეც შევჩერდი, ვიგვიანებ, გიმზერ და გიცდი
როდის აღმართავ მორჩილების ფერმიხდილ ალამს
როდის გახსნიან მძიმე კიშკარს, მიხმობენ — მოდი!

შენი სახელი აუღებელ ციხესავით წინ არ მიშეგბს,
უკან მე ველარ დავბრუნდები,
იქ ზეავივით ჩამოწვა და გზები ჩახერგა:
შიშმა, სირცხვილმა, დავიწყების ნაცნობმა ლანდმა,
და წინაპრების ხმამ, რომელიც გვწვრთნიდა, გვეგშავდა
და ამ გზაზე კი დაგვაყენა.

მერამდენე გაზაფხულმა გადაიარა,
მერამდენედ ჩამორეკეს თიბათუის ზარი,
მერამდენედ აყმუვლდა მგელი ზამთრისაგან შეწუხებული.
შენ კი...

არ გათავდა შენი მოთმენა,
არ გაილია შენი ჯაჭვი,
არ დაიქცა შენი კოშკები —

არ გაწყდნენ შენი მეციხოვნენი,
 არ დაშრა შენი წყაროსთვალი
 და რაც ყველაზე საკვირველია —
 ჯერ არ გამოჩნდა მოლაღატე,
 შენი ციხე არავინ გასცა!



მეწამული ღრუბელი

ვიგონებ მწუხრის მეწამულ ღრუბელს
 ვიგონებ ღელვას, ვიგონებ ქარვას,
 ნისლები სწოვენ მშობლიურ უბეს
 ნისლი მშობლიურ ძუძუებს ფარავს.
 ვიგონებ ღრუბლის მეწამულ ჯოგებს
 გადავლილ წვიმას, დამაშვრალ ქალას,
 მე წუხელ სველი ბალახი ვლოკე —
 ეგებ კვლავ წვიმა მოვიდეს ხვალაც.
 ღრუბელი მწველი... მეწამულ ღრუბელს
 სიცოცხლესავით ვხარჯავდი უქმად,

როცა გაიხსნა მკათათვის უბე
 და მეწამულმა წამლეკა შექმა.
 და ისევ შენთვის ვალგიძებ სიზმარს
 და ნისლიც შენთვის მოვიდა ციდან,
 მე დღესაც ისევ თხუთმეტი წლის ვარ
 როგორც ვიყავი ოცი წლის წინათ,
 ჯერ არ მომწყინდა ღამეთა თევა,
 ჯერ თვალი კიდევ გამირბის გარეთ
 და ხელდასხმული გამოვალ, შევალ...
 ვალებ და ვხურავ სამყაროს კარებს.

სიყვარულის შესახებ

მო, სიყვარულო, ჩამოშალე შენი თმები,
 დაჯექ, მიამბე, ერთგულების გადავლილ ქარებს,
 რამდენი გაჰყვა შენი ცრემლი, შენი ამბორი,
 საით წაიღეს,
 სად გაჰკიდეს,
 რომელ მთებზე,
 რომელ ტყეებზე
 მიაფრიალებს იმათ ნაძობს სალამოს ქსინი.

მო, სიყვარულო, მე თუ მომკლეს
 ვინ დაგიცავს,
 ვინ დადგება შენს ციხესთან,
 ვინ შეებმის ოთხივ მხარის საშინელ ქარებს.

მო, სიყვარულო, ჩამოშალე შენი თმები,
 დაჯექ, მიამბე: ვინ მწიკლოვანი
 იყურება შენს სამყოფელში,
 კიდევ ვის ხიბლავ,
 ვის სწადია რომ წამგვაროს
 შენი თმები,
 შენი მხრები,
 შენი თვალები...

ჯაფხულის თვეები



გულზე გეყრება ბალახის მტვერი
როცა ის ყვავის, ან როცა ჰკნება,
ჩამოცილე ყველა მდედარი
და შეგიფარეს ნაცნობმა მთებმა.

შენ გმორჩილდება ველების მკერდი
სად დაჟინებით სძოვდა და სძოვდა
საქონლის ჯოგი და ყანებს მკიდნენ,
თუმც ალარც ერთი არ შერჩა ხსოვნას.

სად უპატრონო იყო ბალახი,
ვით დაკარგული შენგან სიზმარი,
ცას ეცხო მღვრიე ღრუბელი — ლოხი
ზარმაცი, სლიპი, და საზიზღარი.

ნუთუ ყოფნაა, რითი ჰგავს ყოფნას,
ყოფნა ბალახის და ღრუბლის მტვერში,
ყველა საგზალი წახდა, დაობდა
გაუქმდა ყველა ძველი ანდრეზი.

ბალახის სამოსს აღელვებს ღამით
ნამი და კიდევ — ნადირის ხმები,
და მთებზე ოდნავ არის მაღალი
განთიადისას მთვარის ნამსხვრევი.

და ვიხიზნებით მთებში და თოვლში
ან ქალაქების მხურვალე მკერდთან —
და სულ მარტო ვართ, როგორც
ფოთოლი
ტყიდან გაქცეულ ხეზე რომ შერჩა.



ნაირა გელაშვილი

„აპგონი, შუგონი და არაგონი...“

მოთხრობა

ჩუმად შევედი წინა ოთახში, იქითა, „ჩვენი ოთახიდან“ სუსტი სინათლე გამოდიოდა. კარი შეღებული იყო. ფეხაკრეფით შევიპარე და იქვე, კუთხის სიბნელეში გაჩერდი. „ჩვენი საწოლის“ თავთან, სამფეხა სკამზე, სანთელი მიემარებინა ჭიქაზე და თვითონაც იქვე იჯდა, ზურგიით ჩემკენ. მუხლებზე ხელები შემოეხვია. მერე თითქოს ამოიოხრა. სანთლის ალი შეირბა და რაღაც ჩრდილიც კედელზე შეტორტმანდა. სუნთქვა შევიკარი. ახლა უკვე ვეღარ ამოვიღებდი ხმას. ნამდვილად შეეშინდებოდა. უცბად წამოდგა, ზურგჩანთაზე დაგდებული ჩემი პერანგი აიღო, დააჩერდა და მერე ნელა აიფარა სახეზე. ჩუმად გავედი ოთახიდან და კართან გაჩერდი. რაღაც თქვა თავისთვის, ხმადაბლა, მერე თითქოს ჩურჩული მომესმა, და გაჩუმდა. ის იყო, უნდა დამეძახა, ვითომ იმწუთას შემოვედი, თვითონ დაიძახა ხმამაღლა ჩემი სახელი:

შევედი.

გაკვირებულმა შემომხედა.

მეც გაკვირებული ვიყავი.

— გაიგე ჩემი ფეხის ხმა?

— არა... უცბად გავიფიქრე, რომ წინა ოთახში იდექი...

— მოდი, — ვუთხარი ჩუმად და მე თვითონ მივედი. მოეხვებე. შუბლზე ვაკოცე. „იდექი“, — ვჩურჩულე... მთელი დამე გულში მყავდა ჩაქრული... ჩაეძინა. მე კი რამდენჯერაც თვალი მოვხუჭე, რაღაც კომპარული ჩვენებები ამესვეტა. „ნამდვილად მოგადგებულა ეს კოშკი“, — გავიფიქრე მაშინ.

მთვარემ იგივე გზა გაიარა ჩვენს ფანჯარაში. ბოლოს ფანჯრის კუთხეში გაქვავდა ერთხანს.

რაღაცა მაწუხებდა... მერე მეხვდები, რომ გათენებაზე ფიქრი მზარავდა... ოღნავ წინ გახედვაც კი აუტანელ ტკივილს მაყენებდა... აზრზე არ ვიყავი, რა უნდა ყოფილიყო ხვალ, ხვალის შემდეგ, თბილისში... თბილისის გახსენებაზედაც კი სული მეშხამებოდა.


— უკანასკნელად როდის ტირიდი? — მკითხა მოულოდნელად.

— რა ვიცი... ბავშვობის შემდეგ არ მიტირია... ზოგჯერ მინდა ხოლმე, მაგრამ ვერა ვტირი, სიმთვრალეშიც კი ერთი ცრემლი არ ჩამომმვარდება...

— ამბობენ, ცრემლი ღვთისმშობლის მადლიაო...

— ღვთისმშობელი მყოლია გამწყვრალი... შენ? ტირი ხოლმე?

— მე კი. ღამლამობით. ქალები ყვე-



ლანი ტირიან... ამბობენ, ვინც ვერ ტირის, მალე ბერდებოა...

— ალბათ... რაზე ტირი ხოლმე?

— რა ვიცი... ყველაფერზე.

ვცადე, ეს „ყველაფერი“ წარმომედგინა ასე, ბავშვის გაჩენა თბილისში, ნათესავები, ოჯახი, მეზობლები. ბავშვი მამაზე ეკითხებოდა ალბათ. ნეტავ რას ეუბნება? ნეტავ ის „მამა“ როგორ იქცეოდა, ნახულობდა ბავშვს? ვკითხე.

— არავინ არ იცის, ვინ არის მამა, თვითონ მამამაც არ იცის. რა საჭიროა?

— შენ მაინც თუ იცი, კიდევ არა უშავს.

გაიცინა. ლოყით მხარზე მომეკრო. ჩემს ამგვარ გამოსვლებს ანუნშიც არ აგდებდა: ხუმრობად მითვლიდა. მე კი ვიტანჯებოდი. ისევ ის ჩემი ფიქრები ამომიტივტივდნენ და მომშხამეს: ნეტავ რამდენთან არის ნამყოფი... ნეტავ მე მერამდენე ვარ. ისევ წარმოვიდგინე, როგორ ბლუჯავდნენ, ლოშნიდნენ. საზიზღრობად მომეჩვენა მთელი ცხოვრება... რალაც ტკბილ-მწარედ ვეალერსებოდი, მაგრამ ამის გამო სურვილი უფრო გამიმძაფრდა...

ჩამეძინა. სიზმარში ვნახე: მერცია ცხენზე მყავდა შემოსმული. ხალხი გვეხვეოდა გარშემო. ყვავილებს და ფოთლებს გვაყრიდნენ, ჩვენი ქორწილი იყო. მერციას კალთაში აკვანა ედგა. ვილაცამ ხალხიდან დაიძახა: „ქალმა რა მოიტანა? მზითევი სად არის?“ გავიხედე, ჩემი ცოლი იყო, მაგრამ ბებერი. „რა გეჩქარებათ, ქორწილია!“ — უპასუხა სხვამ. „არა, ჩვენში ეგეთი წესია!“ — მოისმა სხვა მხრიდან. — „მზითევი! მზითევი!“ — „აი!“ — ამბობს მერცია და აკვანს მალა სწევს... აკვანში ვერცხლის თუნგია და არტახებად მერციას კაბის თასმები აქვს გადაჭერილი.

— „რა არის? წყალია? წყალი მოუტანია მზითვად ბედშავსა!“ — ისმის შეძახილები. მერცია თუნგს ანჯღრევს. აკვანი ძირს ვარდება. ისმის ჩხრიალი...

მერე გადმოიხარა: თუნგი პირიანდესავსეა ოქრო-ვერცხლით. „ქორწილი იტანა ამდენი ოქრო!“ მერცია იქცა იშვერს, და მდინარეზე უჩვენებს: „იქ იყო, ფსკერზე... ჩემი მზითევია.“ „გააფედა დიაცო!“ — ყვირის ვილაც ბებერი ქალი — „ოქრო-ვერცხლი ხომ ცრემლია!“ — ხალხი იცინის, ხარხარებს. „ეგ სიზმარში, ბეჩაო! სიზმარში! ეს კიდევ ქორწილია! ქორწილი!“ მაყრიონი ქუნს... მივჭრევათ... ქორწილი მუცოშია. გზა ანატორის აკლამებზე გადის... თუნგი ჩხრიალებს. „ჩემი მზითევია“ — იცინის მერცია. ჩხრიალი გრძელდება. „მერციას თუნგია თუ ძვლები ჩხრიალებენ აკლამაში?“ — ვფიქრობ სიზმარში. ცივფლდასხმულმა გავახილე თვალი. რა სიზმრები ამიტყდა, დასწყევლოს ღმერთმა... რამდენი სისულელე უყრია კაცს თავში. გავფიქრე, რომ ეს სიზმარი იმ დღეებში მიღებულ შთაბეჭდილებათა საზიზღარი და ნერვების მომშლელი ნაზავი იყო და მეტი არაფერი... აკვანი ანატორის აკლამებში, ცხენი, „რანის ოქრო“. მაგრამ რატომ გამეღვიძა ასე დაზაფრულსა და გაღიზიანებულს? იმ სიზმარში ხომ არაფერი იყო საშინელი? თითქოს პირიქით.

ამ დროს კვნესა შემომესმა. მივხედდი, წელანაც ამ კვნესამ გამაღვიძა... ჩემკენ ზურგით იწვა და მთლიანად მოკუნტულიყო. მხარზე ხელი დავადე.

— რა მოგივიდა? გტკივა რამე?

— მტკივა, — მიპასუხა ძილ-ბურანინად.

— რა გტკივა?..

ხელი წელზე მოისვა.

— ეგებ... არ შეიძლებოდა? — მოვეხვე. მერე რალაც გავფიქრე და კვითხე:

— უქანასკნელად როდის იყავი...? — რადგანაც მართლა მხოლოდ მისი ტკვილის მიზეზი მაწუხებდა და სხვა არაფერი, ძალიან ბუნებრივად გამოვივლიდა.

— ორი წლის წინ, — მიპასუხა თვი-
ონაც უბრალოდ.

ფეხები სულ გაყინვოდა. „ჩაიცვი“.
წელს ქვემოთ ჩაიცვა. ჩემს ჭემპრს მი-
ვწვდი და ფეხები გავუხვით. წელზე ჩე-
მი პერანგი შემოვახვით. პერანგს ზემო-
დან პირი დავადე და დავაორთქლე. გა-
ვიცინა.

— ელენეს როცა სტკივა მუცელი,
მასე ვუთბობ ხოლმე და შველის.

საბანი ნიკაბამდე ამოვუწიე. ზურგი-
დან მთელ ტანზე მე ავეკარი, და ხე-
ლები მოვხვით. ცოტა ხნის შემდეგ
თქვა — „გამიარა“, და ჩაეძინა.

მე ვიწუქე და კოშმარების შიშით
თვალს ვეღარ ვხუჭავდი. უცბად გად-
მობრუნდა:

— რა მეშველება უშენოდ, — და
მომეხვია...

წამოვჯექი და სიგარეტს მოვუქიდე.
ასანთის ცეცხლმა სახე გაუნათა. თვა-
ლები ფართოდ ჰქონდა გახელილი და
მიყურებდა...

ბედნიერი ვიყავი, რომ მისი ეს გა-
ნცდა მხოლოდ და მხოლოდ ჩემთან
იყო დაკავშირებული და სხვა არავი-
სთან. ეს ამბავი კმაყოფილებას მანი-
ჭებდა და სიმშვიდეს, რადგან ვფიქ-
რობდი, რომ უჩემოდ მართლა ვეღარ
გაძლებდა. ვერც სხვასთან წავიდოდა.
ადრე თუ გვიან, სადაც უნდა ვყოფი-
ლიყავი, მომნახავდა...

— რომელ ზოდიაქოზე ხარ დაბადე-
ბული?

— აზრზე არა ვარ.

— რომელ თვეში ხარ, მითხარი და
გეტყვი.

— 29 სექტემბერს.

— „სასწორი“

— შენ?

— „თევზი“.

— გიყვარს წყალი?

— ვგიჟდები. შენი ცოლი როდის
არის დაბადებული?

— 6 ივნისს.

— „ტყუპები“.

— მერე?

— არაფერზე. ასტროლოგიურად შე-
უთავსებელი წყვილი ხართ.

— რად უნდა მაგას ასტროლოგია.
საერთოდ არსებობს ერთმანეთისთვის
დაბადებული წყვილი?

— არ ვიცი. — მხრები აიწურა, —
ალბათ კი.

— „თევზი“ და „სასწორი“ როგორ
ეწყობიან ერთმანეთს?

— არ მახსოვს. ბებიამეც და პაპა-
ჩემს ისე უყვარდათ ერთმანეთი, გიჟ-
დებოდნენ. ბებუჩემი პატარძალივით
დაიმორცხვებდა ხოლმე თავის ქმარ-
თან. თითქმის ერთდროულად მოკვდ-
ნენ... ჯერ პაპაჩემი, ორი კვირის შემ-
დეგ — ბებიამეც.

— ბედნიერები.

— ჰო. იცი ჩემი ავგაროზი რა არის?
მაისის ხოჭო.

— მართლა? იმიტომ გააპატიოსნე
იქ? ჩემი რა არის, არ გახსოვს?

— მოიცა, გავიხსენო. შენი ავგარო-
ზი გულთა.

— რას ნიშნავს მერე ეს ყველაფე-
რი?

— კარგად მეც არ მესმის... უფრო
სწორედ, ახსნა გამიჭირდება, ისე
ვგრძნობ, რაც უნდა იყოს...

— რა, მაინც?

— სხვა დროს გეტყვი...

— გამაგიჟებს ეს ხალხი.

— ვინ ხალხი?

— ქალები. ოღონდ ამკითხავებინე
და ათილისმინებინე. ჩვენთანაც, სამ-
სახურში მთელი დღე ყავის კიჭებში
აქეთ ცხვირი ჩარგული.

— იმან რა ვითხრა, მდინარის პი-
რას?

— არაფერი, სისულელეები.

ნაირა ბალაშვილი

„ამბანი, უამბანი და არამბანი...“

— რა კარგები არიან, არა, ვაჟას ბიძები?

— ძალიან. იცი, ვაჟას ერთი ბიძა როგორ მოკვდა?

— როგორ?

— მთაში ავიდა, ნათესავ მწყემსებთან. რალაც საქმე ჰქონდა. გზაში დაუღამდა თურმე და ბნელში მაღწია იმათ ბინებს. გამოკვივდნენ ძაღლები და შემოეხვივნენ. მიწაზე ჩაჯდა. ისინიც შემოუსხდნენ. ციოდა იმ ღამით და გაიყინა კაცი. მწყემსები იქვე იყვნენ ბინებში. დამთვრალიყვნენ და აღრე დასძინებოდათ... ვერაფერი გაიგეს. ვაჟამ ეს რომ მოყვა, ერთა ფიქრი ამეკვიტა: რატომ ვერ უნდა ეგრძნოთ, იქვე, გვერდით, კაცი რომ კვდებოდა-მეთქი. ხომ წარმოგიდგინია, ფიქრში როგორ ბლაოდა ის უბედური. არ შეიძლება, კაცმა ფიქრით ყვირილი გაიგონოს? ანდა ისე იგრძნოს რაიმე დაუნახავად და მოუსმინლად?

— ხანდახან გრძნობენ ხოლმე... უფრო ქალები... განსაკუთრებით დედები. მე ყოველთვის ვგრძნობ, როცა ელენე ავად არის. დაგზუტავ თვალებს, და უტბად, არა მძინავს, ისე, მის სახეს დავინახავ... თითქოს საიდანღაც სიბნელიდან მოიწივს სწრაფად, მიახლოვდება და სახეში მეხლება: რალაც ნაირი სახე აქვს ამ დროს, სულ სხვანაირი. და ვიცი, რომ ავად არის... დედაჩემი ხომ სულ გვაგიჟებდა... იმისი სიზმრები ჩემი ცხოვრების ტრანსლაციაა — რამე რომ შემემთხვევა, აუცილებლად სიზმარში ნახავს... მომიყვება და ძირითადად სწორია ხოლმე. ამიტომ სულ ვეუბნები, სისულელეა-მეთქი. ახლა აქედან რომ ჩავალ, ვიცი, ოდნავ შეცვლილად მომიყვება ამ ამბავს. თუმცა შინაგანად არა ვართ ახლოს...

— როცა საჭირო იყო, მაშინ უნდა მოეხდინა შენი ცხოვრების ტრანსლაცია.

— მოახდინა. მაგრამ, რა? გინდა, არ ამბავს გეტყვი, ოღონდ დაიფიცე, რომ არასდროს არავის უამბობ...
— რა დავიფიცო?

— რასაც იფიცებ ხოლმე.

— არაფერსაც არ ვიფიცებ.

— არ ვიცი, მოიგონე რამე.

— მოდი მაშინ, რაკი ათენგენობაა და, რაკი ასე თუ ისე, წყალთან მაქვს საქმე, სტიქსისე წყალს დავიფიცებ.

— ათენგენობა რა შუაშია?

— არ იცი? როგორ მოხდა! ბერძენი წმინდანი, ცოფილა ათინაგენოსი, ასე ამბობენ.

— შატილში რა უნდოდა?

— აზრზე არა ვარ. ბოლოს ყველა თუ საქართველოს არ მოადგა, ხომ არ შეიძლება.

— დაიფიცე.

— გეფიცები მიწისქვეშა მდინარე სტიქსს, რომ არასოდეს არ გავიმეორებ, რასაც ახლა მეტყვი...

— ერთი ძაღლზეა და ერთი მკვდრებზე.

— დაიწყე...

— თუ არა გჯერა, არ მოგიყვები.

— მჯერა, მჯერა...

— სხვა არავინ დაგიჯერებს, ამიტომაც არავის არ უნდა უამბო.

— მიდი.

— პატარაობაში სოფელში ვიყავი ხოლმე ზშირად, ბებიასთან და პაპასთან. ზაფხულს ხომ ყოველთვის იქ ვატარებდი. ერთი ძაღლი გვყავდა, აკბარა ერქვა. ძალიან მიყვარდა და თვითონაც გვერდიდან არ მშორდებოდა. ერთ ღამით ვიწეკით და გვეძინა. მე და ბებიას ოთახში, პაპას — აივანზე. ჭერ იყო და, მთელი ის საღამო ეს ძაღლი გადარეულივით იქცეოდა. მლოკავდა. შემომწყმუტუნებდა. ძლივს მოვიშორე, როცა ვწვებოდი. შუალამე იქნებოდა, ოთახში შემოვიდა. ჩემი საბანი ძირს გადაათრია, ჩამავლო კბილები ღამის პერანგში და მეწეო-



საქართველოს
საქართველოს


და. გავიღვიძე გულგახეტილი და ტირილი დავიწყე. წამოდგა ბებიჩემი, რა ღმერთი უწყებო და გაავლო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა. ისევ გადაამძრო საბანი და ფეხში კბილები ჩამჰკიდა. თან წკმუტუნებდა, თითქოს რალაცას მეხვეწებოდა. გავვანჩხლდი, დავუწყე ცემა, ფეხებს ვურტყამდი... მეძინება და, რა დროს თამაზიამეთქი. წამოვარდა ბებიჩემი, დაავლო ხელი თავის ჯოხს და უნდოდა ერთი გადაეჭირა, მაგრამ აკბარამ ისე შეუღრინა, ისე აიშალა ბალანი, რომ ბებიჩემს ჯოხი ხელიდან გაუვარდა. პაპაჩემს გასძახა, რა ძილქუში დაგეცა, კაცო, ვერა ხედავ, ამ დასალუშმა ლამის დაგვჭამოსო. შემოვიდა პაპაჩემი და ხედავს, აკბარამ ისევ ჩამჰკიდა ღამის პერანგში კბილები და მექაჩება. გაჰყევი, შვილო, რალაცა უნდაო, — მიუხრა პაპამ საჩქაროდ. წამოვდექი და გავყევი ტირილ-ტირილით. ჩვენი გასვლა და რალაც გრუხუნი ერთი იყო. შევბრუნდით და ვხედავთ: ჩემი საწოლი ბათქაშითა და ღორლით არის სავსე. ჭერი ჩამოინგრა ზუსტად იმ ადგილას. მთელ სოფელში ხმა გავარდა. ბევრმა დაიჭერა და თვითონაც გაიხსენა რალაც მსგავსი ამბავი. ზოგი რასა ჰყვებოდა, ზოგი — რას. ძალიან ჩამრჩა გულში მაშინდელი ნაამბობი. მაგრამ ბევრმა არ დაიჭერა და სიცილით მოკვდა, ეს რა სისულელე მოუგონიათო. დიდხანს მასხრობდნენ ამ ამბავზე და მასხოვს, რალაც საშინელებას ვანციციდიდი, თითქმის მანადგურებდა მათი მასხრობა. მაშინ გადავწყვიტე, არავისთვის არაფერი მეთქვა, როცა აკბარა დაბერდა და მოკვდა, ბებიჩემმა და პაპაჩემმა დიდის ამბით ეზოში მსხლის ძირას დამარხეს. ბებიჩემმა სანთელი დაუნთო და ქრისტიანულად გამოიგლოვა. გაიგო ეს ჩვენი სოფლის მღვდელმა და ძალიან შემოსწყრა, ძალზე სანთელი ვის გაუგიაო.

ორივეს გაგვეცინა.

— მეორე?
 — მეორე უფრო საშინელია. გესვენები, დამიჭერე, რა, არ ვიტყუები.
 — მჭერა-მეთქი, ზომ გითხარი.
 — პატარაობაში ფოტოსურათებს რომ ვუყურებდი, თუ იმათში მკვდარი ერია ვინმე, მაშინვე ვხვდებოდი...
 — რაო, რაო? რალაც ვერ გავიგე.
 — გარდაცვლილი ადამიანის სურათი რომ მენახავ, რომელსაც არ ვიცნობდი და არ ვიცოდი, რომ მკვდარი იყო, მაშინვე ვხვდებოდი, რომ მკვდარი იყო და არა ცოცხალი.

— ახლა?
 — ახლა აღარასიცი მასხოვს, რომელი დღის შემდეგ ვეღარ ვხვდებოდი. ამ დღემდე კი ეს ისეთი ჩვეულებრივი ამბავი მეგონა, რომ დარწმუნებული ვიყავი, ყველას შეეძლო სურათზე მკვდრის გამოცნობა. ამიტომ ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მაშინდა და თავშიც არ მომსვლია... აი, ერთ მაგალითს გეტყვი. ერთხელ ბებიჩემმა თავის ძმის ცოლთან წამიყვანა. ლობიოს დარჩევაში ეხმარებოდა. მე ქალაღის პარკით ძველი ფოტოები მომაცოდეს, რომ არ მომწყენოდა. ვათვალიერებ ამ სურათებს, უცბად ერთი ავიღე ხელში. ახლავარდა პირმრგვალი ქალი ზის, ჩიხტაკობიანი, გვერდით ერთი დიდი გოგო უდგას, მეორე მხარეს დიდი ბიჭი, წინ კიდევ ორი პატარა, სამი-ხუთი წლის გოგო და ბიჭი. მოკლედ, ბავშვები ახვევია გარს. უცბად იმ პატარა გოგოს, საყურეები რომ ეკეთა და გრძელი თეთრი კაბა ეცვა, სახეზე თითი დავავარე და ზმამალა ვიკითხე: „ანო ბებო, ეს ბავშვი რითი მოკვდა?“ ორივემ გამოიხედა. ანო ბებომ ამოიხრა და: „დედა დაუმიწდეს მაგას, ყივანახველამ მომიკლა, ჩემი თამრიკო“. და გააგრძელეს ისევ ლობიოს დარჩევა. ალბათ იფიქრეს, რომ ეს ამბავი მათგან ვიცოდი. მე კი პირველად მესმოდა. ან

ნაირა ვალაშვილი
 „ამბანი, უმბანი და არბანი...“



გინდაც მცოდნოდა, ამ სურათს ზომ პირველად ვხედავდი, რა ვიცოდი, რომელი იყო? მეც არაფერი მითქვამს. ასე ხშირად ზღებოდა ზოლმე... მაგრამ ერთხელაც, რა მიზეზით, აღარ მახსოვს, ერთ ნათესავთან ვიყავი სილნაღში. ყოფილხარ? ჰოდა, ჩემმა ნათესავმა გოგომ საღლაც წამიყვანა. ქუჩაში მივიდიოდით. ცხელოდა. სახეზე ოფლი ჩამომდიოდა და ყველაფერს ყვითლად ვხედავდი. ჩავუარეთ რაღაც კოშმარულად უბადრუკ და უღიმღამო ფოტოატელიეს, რომლის ვიტრინაშიც გაყვითლებულ ვახეთზე გახუნებული ფოტოები იყო გაკრული. იმზირებოდნენ ეს საზარლად ყალბი და უეგმოვნოდ გადახრილი სახეები. მათ შორის ათიოდე წლის ბიჭის სახეს მოგკარი თვალი და მაშინვე ის ნაცნობი განცდა დამეუფლა...

„ნუნუ, — დაუფახე უცბად ჩემს ნათესავ გოგოს (რომელიც საერთოდ აღარ მახსოვს, სახელი კი დამამახსოვრდა), — ეს ბიჭი როდის მოკვდა?“

განცვიფრებულმა შემომხედა: — „შენ საიდან იცი?“

იმ ქალაქში პირველად ვიყავი, ძეხორციელს არავის ვიცნობდი და ამიტომაც ძალიან გაუკვირდა. — „საიდან იცი?“ — გაიმეორა. და აი, მაშინ პირველად მივხვდი, რომ ისეთი რამ ვიცოდი, რაც, წესით, არ უნდა მცოდნოდა... მივჩვიდი და თვითონაც გამიკვირდა... ამის შემდეგ გონების თვალთ ვაწვალაიერებდი სურათებს, მაინტერესებდა, მივხვდებოდი თუ ვერა... მაგრამ აღარაფერი გამომდიოდა... ველარ ვცნობდი. მხოლოდ გვიან, დიდი ხნის შემდეგ... ერთხელ კიდევ განმეორდა... გინდა გითხრა? მეორე კურსზე ვიყავით, ჩემს თანაკურსელთან წავედი, რომელიც დაჭირავებული ოთახში ცხოვრობდა. დისასხლისი ახირებული ქალი იყო. თვითონ სხვაგან ჰქონდა ბინა და ჩემი ამხანაგისთვის ეთქვა, კედლებზე რომ სურათები, ხელი არ ახლო, თორემ იმ დღეს-

ვე გაგადებო. ის სურათები, მოკთვალაიერე. ყველგან ორივეს ვხედავდი... თი ბიჭი იყო სხვადასხვა სურათებში. უცბად ვთქვი: „ადგეს და თვითონ დაიცილოს თავისი მკვლარი შვილის სურათები, სხვას რას უკიდება?“ „რომელია მკვლარი?“ — მითხრა ჩემმა ამხანაგმა. „აი, ეს“, — ხელი იმ ბიჭს დავადე სახეზე. ქერა ბიჭი იყო, სათვალაიანი. გრძელი ცხვირი და საწყალი სახე ჰქონდა. ეგონა, ვხუმრობდი. სწორედ ამ დროს დისასხლისიც მოვიდა. ასეთი გრძელცხვირა ქალი ჩემს დღეში არ მინახავს. ვკითხვით და დავვიდასტურა. მერე ვუთხარი, გარდაცვლილი თუ ცოცხლებთან ერთად არის გადალებული, არ უნდა გააკრათ, ცუდის მომტანია-მეთქი. რა ვიცი, ასეა თუ არა, მე იმწუთას დავახეთქე და გაჭრა: სასწრაფოდ ჩამოხსნა სურათები, ხელჩანთაში ჩაიწყო და წავიდა. გჯერა?“

— მჯერა. მაგრამ შენ თუ გიყი ხარ, მე რალას მაგიუებ... დაგრჩა კიდევ რაიმე სათქმელი?

— არა.
— კიდევ კარგი. კიდევ კარგი ეგ გიყური რალაცები აღარა გჯირს...

— რატომ? — იკითხა ნაღვლიანად.

— ასე უფრო ადვილია შენი სიყვარული.

არაფერი უთქვამს.


ხელი ავწიე და ტახტზე მოვუსვი. ასანთს ვეჭებდი. რალაც ქსოვილი ჩამოვარდა და სახეზე დამეცა. მერკიას კაბა იყო. ავიღე და ისევ ტახტზე მივაფინე.

— იცი, როგორ ვიხდება ეს კაბა?

— ჩემი არ არის, ამხანაგისაა.

— ჩვენც ვიყიდოთ. ოლონდ ზუსტად ასეთი.

უცბად შემომხედა და ისევ განზე გაიხედა. ბედნიერი სახე გაუხდა. ცხადია, კაბა კი არა, სულ სხვა რამ გავხარდა: ჩემი ნათქვამი რალაც მომავალს გულისხმობდა, რალაც მომავალ ერთად



ყოფნას, რაზედაც მანამდე არაფერი მეთქვა.

უცბად წამოიკივლა და წამოჩაღა. ხელი პირში იტაცა. სისხლი მოსდიოდა. ახლალა გამახსენდა, წელიწადი ჩემი დანა რომ დავდე სამფეხა სკამზე. ალბათ ძირს ჩავარდა. ძალიან მკრეპლი დანა იყო. ხელი გამოვართვი და ახლა მე მივიტანე ტუჩებთან. ნებიდან სდიოდა სისხლი. ჩემი პერანგი ავიღე და გადავახვიე.

რიკრაჟი ახლოვდებოდა. ჩვენი ფანჯარა მუქნაცრისფერი ცით აივსო. მგონი ცრიდა. დილას შიშითა და მოკიმიული ნერვებით ველოდებოდი. ოღონდ თან ბედნიერი ვიყავი. მომეხვია და ატირდა. არაფერი მიკითხავს. ხომ გასაგები იყო, რაც ატირებდა: „ყველაფერი“. მისი ცრემლები შევისრუტე და კიდევ ერთხელ შემოვხვებოდი ტანზე, ტანზე, რომელიც ისე უსასრულოდ ახლობელი გამხდარიყო ამ ორ ღამეში, რომ ჩემი სხეულის გავრძელება მეგონა. წარმოუდგენლად მიმაჩნდა, ყოველთვის გვერდით რომ არა მყოფოდა...

გათენდა. თვალები მქონდა დახუჭული, მაგრამ არ მეძინა. ვიგრძენი, ადგა. ჩაიცვა. ვგრძნობდი სახეზე დამყურებდა, დიხარა და საფეთქელზე შემეზო ტუჩებით. კართან შეჩერდა. ქუთუთოები ოდნავ ავწიე. ოთახი მოათვალიერა და გავიდა.

როცა ერთი საათის შემდეგ ქვემოთ ჩავედი, მერცია არსად ჩანდა. ალათოს დავემშვიდობე. ყველა უკვე ავტობუსში იჯდა. მეც ავედი და მერცია იქაც რომ არ დამხვდა, გამოიკვირდა. თან, ჩემს გარდა, არავის აკლდა თვალები.

— კი მაგრამ, მერცია სად არის? — ვიკითხე ხმამაღლა.

— მერცია თავის ნაცნობს გაპყვავა თბილისში. კინოოპერატორები იყვნენ ვილისით. ერთი საათი იქნება, რაც წავადნენ, — მითხრა ელგუჯამ და ბორჯომის ბოთლი გამომიწოდა.

ერთი-ორი გამომცდელი, რამდენიმე გულგრილი თუ ერონიული მზერა ჩემს სახეზე გადასრიალდა. თანაგრძობის გამომხატველნიც ერვენენ — ბონლო, ელგუჯა. დანარჩენები ალბათ ბაიბურში არ იყვნენ. ისე გავოგნდი, რომ მგონი სახეზედაც შემეტყო და ჩემზე მონადირე გამოხედვებს მშვენიერი საზრდო მიეცა.

ფანჯარასთან დავჯექი, სულ ბოლოს, გრძელ სკამზე. გვერდით ვაჟა მომიჯდა. ავტობუსი დაიძრა. უცბად გამიელვა, რომ არ ვიცოდი მერციას არც სახლი, არც სამსახური, არც ტელეფონი; საერთოდ მისი კოორდინატები ჩემთვის უცნობი იყო. ვიცოდი მხოლოდ ის საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვი დაჰყავდა. მაგრამ ახლა, ივლისში საბავშვო ბაღი დახურული იქნებოდა. როგორ უნდა მენახა, როცა ჩავიდოდი? ერთადერთ დამაკავშირებელ საშუალებად რჩებოდა ილა, მაგრამ იმასთან ჩემი მისვლა, თანაც ამ მიზნით, გამორიცხული იყო... ხომ საშინლად მეწყინა მერციას წასვლა და ღამის გავცოფდი. თან გულზე მომეშვა, რადგანაც უკვე ღამის მეორე ნახევარში ეს მოსალოდნელი ერთად მგზავრობა მანერვიულებდა. მგონი ვნატრობდი კიდევ, რომ ასე მომხდარიყო. ეგებ იმიტომ არ გავახილე თვალი, როცა ადგა და წავიდა? არ ვიცი. არაფერი არ ვიცი. თან, როცა მე და მერციას სხეულის თვალით ვხედავდი, ყველაფერი უფასურდებოდა და მრცხვენოდა კიდევ... თან ჩემს ხელისგულებს მერციას სხეული ავონდებოდათ განუწყვეტლივ, ჩემს სხეულს მისი კანის შეგრძნება არ შორდებოდა... მთლიანად მისგან დანატოვარ განცდათა ღრუბელი შემომხვეოდა და ყოველად აუტანლად მეჩვენებოდა ვინმესთან ლაპარაკი. ხან უნებურად მეღიმებოდა, ხან შუბლი მექმუნებოდა, მოკლედ, ჩემს თავს ველარა ვფლობდი. გაბრუებული და

ნანია გელაშვილი
„ამბრნი, უმბრნი და არაბნი...“



აგზნებული მოლიანად იქ ვიყავი — ჩვენს კოშკში და ჩვენი ერთად ყოფნის წუთები მიჭროდნენ თვალწინ. ფანჯარაში ვიყურებოდი და გამახსენდა, მერციამ რომ მითხრა: „ავტობუსის ფანჯრიდან ერთხელაც არ გაგიხედავს. ალბათ არ გიყვარს ბუნება“. ბუნების საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა, მაგრამ რომ ვთქვა, მიზიდავდა და რალაც დიდ დაჩემთვის აუცილებელ განცდებს მანიჭებდა-მეთქი, ტყუილი იქნება. მშვენივრად შემეძლო ბუნების გარეშეც მეცხოვრა. რომ არ შემძლებოდა, როგორ გავძლებდი მთელი წელი. საერთოდ, თუ დავაზუსტებ, უსიამოვნო განცდას უფრო იწვევდა ჩემში, რადგანაც ვგრძნობდი, ბუნებას მე სულ არაფრად ვესაჭიროებოდი, და ჩემი არაფერი ეკითხებოდა. არც ჩემს გასაგონად ჰქედა და არც ჩემს გასაგონად დუმდა, არც ჩემს დასანახად იშლებოდა. იყო თავისთვის. საერთო არაფერი გვექონდა. მაგრამ უცნაური იყო და ვერ ამეხსნა, რომ რაც მერცია „გამიჩნდა“, პირველივე წუთების შემდეგ ისე გავესხენი ცასა და მიწას, თითქოს პირველად დავინახე. მახსოვს, როგორ მკვეთრად ვიგრძენი იქ, კოშკებთან ნისლი და ვარსკვლავები. რალაც ისე გამოანათა ჩემმა გულმა თითქოს წლობით დამტვერილი სარკეს მტვერი ვადაცალესო. ახლაც ვიჯექი და თვალს ვეღარ ვაცილებდი მთებსა და კლდე-ღრეებს, შორს, მთის ფლატეებზე სისხლძარღვებივით მიმოკლანჯულ, ოეთრ, მოცახცახე წყაროებს. „მკვდარი ღმერთების ყორღანებია, ბიჭო, — გამახსენდა ვაჟამ რომ მითხრა შატალში მთებზე. — თითქოს დედამიწამ ამოიოხრა“. ჰო. საერთოდ, მკვდარი ღმერთების აკლდამა თითქოს შატალი.

ვაჟას მივხედე. ისიც ჯავრიანად გასცქეროდა მთებს. უცბად ვაჟაზე დავფიქრდი და მგონი პირველად. შატალში წასვლა მისი იდეა იყო. ეგებ უნდოდა ჩვენც უფრო ახლოს გვეგრ-


ძნო მისი ტკივილი, მისი სიამაყეც. უცქერით რომ შეგვახსენებდა, მძინელია, ამ დაყუდებულმა მთების მტვივით შეკრული, მოქუფრული ციხე-კოშკების უიღბლო მემკვიდრედ და უმწეო პატრონად რომ გრძნობ თავს. მისი მამა-პაპა სისხლითა და კბილებით ეჭიდებოდა აქაურობას, უფრო კი შეუვალი რწმენით იმაგრებდა თავს ფლატეებსა და ქარაფებზე, და ამაგრებდა სამკვიდრებელს. ცრემლი აღიკვეთეს და გულს გაჩუმება უბრძანეს, მკვდარს არ ტირიოდნენ და ჩვილს არ ეფერებოდნენ, რომ ზედმეტი სილბო არ მორეოდათ და ამ სილბოს შიგნიდან არ გაეღო მათი სულის ქვიტკირი. ახლა აქეთ-იქით მიმოფანტულ შატალიონთ უპატრონოდ დაყრილი ბალებივით მიღწავიან ციხე-კოშკები და ხეე-ხუეები. და ისინიც ასკდებიან თავიანთ გულებს, როგორც საკუთარ ჯავრს გამოცილილები. „ძნელია ქართველობა და ხევსურობა უფრო ძნელი... ხევსურს ვერაფერს გაუგებს ხევსურის მეტი. არცკინ იცხელებს თავს...“ გამახსენდა ვაჟას ბიძის საღვთგებლო და მოგუდული, ენით გამოუთქმელად დარდის ამშლელი: „ზენ ბაცალიგოს თოვლსა თოვს ქვენ ბაცალიგოს შრე-ბაოოო...“

ვაჟას გულდაწყვეტილი სახე ჰქონდა. გული დასწყდებოდა, აბა, რა იქნებოდა! ეტყობა, რალაც სხვას ელოდა ამ ხატობისგან. ჩვენ კი, რა გავუკეთეთ? დავინახეთ რამე? ცოტა აღვიგზნებით, და გავერთეთ, ეს იყო და ეს... (სხვები მყავდა მხედველობაში). მხარზე ხელი დავკარი.

— ამოვიდეთ ზოლმე, ბიჭო, ამოვხელოთ, ხატობაში კი არა, ისე, — ვუთხარი ჩემთვისავე მოულოდნელად.

გაკვირვებულმა შემომხედა. ცოტა ხნის შემდეგ შევატყვე, რომ გუნება გამოუყვითდა.

შორს მთის ფერღზე ცხვრის პატარა ფარა მოჩანდა. გამახსენდა პაპაჩემის ქმის ამბავი რომ მოვუყვი მერციას და



ასე დავამთავრე: აზრზე არა ვარ, რას უცდოდა, როდის უნდა ესწავლებინა-მეთქი... წამოჯდა და ეკვირვებულმა შემომხედა: „ე! მართლა ვერა ზვდები? მართლა?! გელოდებოდა, შენ როდის ეტყოდი, მასწავლეო, ასე, რა აზრი ჰქონდა“. თითქოს თავში რაღაც ჩამარტყეს. მართლაც დაწერა მიხვედრა უნდოდა. და მაშინ პაპაჩემის ძმა თავიდან გაცოცხლდა და მოკვდა ჩემში, რაღაც საოცარი სიმძიმე შეიძინა მისმა არსებამ...

ავტობუსში მსხდომთა გუნება-განწყობა იმისდა მიხედვით უცვლიდა, რაც უფრო ქვემოთ ვიწვედით და ვივარდებოდა. ყველას თავისი გადაბეზრებული და მოშვეებული იერი დაუბრუნდა. ეძინათ, ამთქნარებდნენ, სკამებზე მიღრეცილ-მოღრეცილები ეყარნენ. არაფერი აღარ უნდოდათ. ერთი სული ჰქონდათ, წყალს როდის გადაივლებდნენ და ლოგინებში როდის ჩაეყრებოდნენ. საერთოდ, ადამიანი ერთხელ მაინც თუ არ ნახე ქალაქგარეთ, ვერ გაიცნობ. მისი ბევრი კარგი თვისება გამოგრჩება. ქალაქს რომ გასცდებიან, ხალისი ემატებათ, ერთ-ორ წელს ჩამოიბერტყავენ ზოლზე მხრებოდან, თამამდებიან, ის საზიზღარი შებოჩკოლობა უქრებათ... ჩემი აზრით, ურთიერთობის გაოსწორება, მოგვარება, გარკვევა, მოლაპარაკება ხალხმა ბუნების წიაღში უნდა მოახდინოს. საქმე ბევრად უფრო სასიკეთოდ წარიმართება...

მაგრამ ახლა წინ თბილისი იყო... რომლისაც, თუკი სიმათლეს ვალი არებ, მთელი ცხოვრება მეშინოდა. ყველა თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას უბრუნდებოდა... მე კი არ ვიცოდი, რა მელოდა... სად უნდა წამეღო ეს ჩემი ასე თავზე დამტყდარი სიყვარული, რა ადგილი გამომეძებნა? სად შევხვედროდით ხოლმე? სად წავსულიყავით? გასაღები გამოიერთმია ძმაკაცებისთვის და იმათ ბინებში წამეყვანა, როგორც სხვები მიმყავდა?

გაფიქრებაც კი შემეზიზნა. ოთხი დღე მეჭირავებინა? ასი მანეთი ინც დასჭირდებოდა თვეში, სად შემეძლო... მანქანით გვევლო ქალაქგარეთ? როდემდე? ქვეყანა გაიგებდა და ეს ზომ იმ სიმალიდან ძირს ჩამოვარდნა იქნებოდა? იმ კოშკების სიმალიდან, სადაც ჩვენი ერთი დღე და ორი ღამე ერთი, — პირდაპირ ტალახში. გაბაზრდებოდა ყველაფერი. აღარ მახსოვს, ვიდევ რა გზებით დაპქროდნენ ჩემი ფიქრები, მაგრამ ბოლოს თავი მოიყარეს ერთ გადაწყვეტილებასთან — მერცია აღარ მენახა. სიზმარი სიზმრად დამეტოვებინა და სიცხადეში არ გამეცვალა.


თბილისში შევედი.

III

სამსახურში მოგვიანებით მივედი და პირველი, რაც დავინახე, ის იყო, რომ დერეფანში რაშჩენკომ ჩაიქროლა მეტეორივით. განუყრელ სახაზავს საბრძოლო შემართებით იქნევდა. ახალგაზრდობაში მოფარიაკვე იყო და ის სპორტული გადმონაშთები ხშირად იჩენდა თავს კამათისა და შეხლა-შემოხლის დროს (რაც არც თუ იშვიათად უწევდა), როცა რაშჩენკო სრულიად მოულოდნელ პოზაში დგებოდა და მარჯვეს ხელსაც უცნაურად იქნევდა ზოლზე. (ან ერთი ახალგაზრდა თანამშრომელი — მაღლაკელიძე მისდევდა, რომელსაც ვალ ილიაში საქალაქდევები ამოეჩარა, მეორე ხელით კი ისე ჩაფრენოდა ულვაშის წვერს, თითქოს თავის თავს თვითონ მიაჩრბინებდა. „გიჟები“, ჩაილაპარაკა ვიღაცამ ჩემს გვერდით. სამი წუთის შემდეგ ისევ გვედი დერეფანში, ჩვენს მდივანს ვეძებდი და ამ ორეულმა ისევ ცხვირწონ ჩამიქროლა, ამჯერად საწინააღმდეგო მიმართულებით. ჩვენი მდივანი ცალიც ცალ ხელში გადაშლილი ქალა-

ნანია გელაშვილი

„ამბანი, უმბანი და არაბანი...“



წლებით, მეორეში კი დაიწყო, იმათ მისდევდა და ამალა ემძაბა მალ-ლაკელიძეს: თქვენი ხელმოწერა მკარ-დებო. მეც მათ გავედევნე, რაკი ჩვე-ნი მდივანი ვერ გამოვუხმდე, შეძახი-ლებით. დერეფნის ბოლოს მარცხნივ შეუხვიეს და კიბეზე აცვივდნენ. მეც ენაგადმოგდებული გავყევი. ვილაცამ დამიძახა, ბონდო იყო გზებით ვანიშ-ნე, დამაცადე, არა მცალია-მეთქი და ისიც გამოგვეკიდა. აყუადამთხვეულე-ბევით მივქროდით მესამე სართულის დერეფანში. რაშიჩენკომ ტრომელიდაც ოთახში შეყო თავი, რადაც შესძახა და ახლა მეოთხე სართულის კიბეზე აიჭ-რა, მთელი ამალაც მტყვევით და ისევ დერეფანში გავიქვრივნივდრე დირე-ქტორის მოადგილის კაბინეტში არ შევცვივდით ყველან და გულგახეთ-ქილი სკამიდან არ წამოვადგეთ.

— რა ამბავია, ომი ხომ არ იწყება! — დაიყვირა გაკვირვებულმა.

— იქნება! მაგრამ სხვა ომი! — შესძახა რაშიჩენკომ. მივხვდი, რადაც ახალი შეტევა ხორციელდებოდა მისი მხრიდან და გამოსვლა, თან ჩვენი მდი-ვნის გამოყვანაც დავაპირე. მაგრამ იმან ვიდრე ხელი არ მოაწერინა თმაჩეჩილ მალლაკელიძეს, არ გამოვიდა, მთელი დღე მაგას დავდევ, აღარ შემიძლიაო. როგორც იქნა, გამოვედით იქიდან და შე ჩემი საქმე მოვაგვარე — მივლინე-ბას ვაფორმებდი. ბონდომ სადაც და-მხატრეა სამსახურის შემდეგ, მაგრამ უარი ვუთხარი.

განყოფილებაში რომ შევბრუნდი, იქ გადმოვიცეს რაშიჩენკოსა და მალ-ლაკელიძის ამბავი. გაზაფხულზე ცო-ტა უცნაურმა, მაგრამ ძალიან ნიჭიერ-მა მალლაკელიძემ წარმოადგინა ანგა-რიში, სადაც ვაკრიტიკებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს რომელი-დაც რაიონში მიწის ხელოვნური მო-რწყვის პროექტი. ღრმად იყო შესწა-ვლილი ნიადაგის თავისებურება და დამაჯერებლად დასაბუთებული, რომ დასახული მელიორაციული ღონისძი-

ებანი ნიადაგისა და ატმოსფერული პი-რობების სპეციფიურობის გამო, რამ-დენიმე წლის შემდეგ ცუდ შედეგებს გამოიღებდა, მიწა დაიტბორებოდა, მო-ხდებოდა მთლიანი ეკოლოგიური ბა-ლანსის დარღვევა და სხვა და სხვა. ანგარიში საფუძვლიანი იყო და რაში-ჩენკოც უჭერდა მხარს. დიდი ყოყმა-ნის შემდეგ თითქოს დაეთანხმნენ, მაგ-რამ ამ ზაფხულს პროექტი მაინც ძა-ლაში შესულყო, ისე რომ არავინ არაფერი იცოდა. მაშინაც ვუთხარი რაშიჩენკოს, რომ მათ წამოწყებას აზ-რი არა ჰქონდა, მაგრამ არ დამიჯერა.

გუშინ, შვებულებიდან დაბრუნე-ბულს გავგო ეს და საშინელი ამბავი აეტბა. დილას აქეთ ესე დარბიან აღ-მა-დაღმაო, მითხრეს.

შესვენებაზე დირექტორის მოადგი-ლემ გამომიძახა და მთხოვა მალლაკე-ლიძის ანგარიშის გამაბათილებელი ახ-სნა-განმარტება დამეწერა, რაკი ამ სფეროში ყველაზე დიდ ნდობას მე ვიმსახურებდი.


— არ გამოვა, — ვუთხარი მაშინვე.

— რა თქმა უნდა, არ გამოვა, პრო-ექტი უკვე განხორციელდა, რა დროს ეგ სისულელებია!

— არ გამოვა, — გავუთხარი. — მე ვერ დავწერ. ანგარიში უნდა განი-ხილოთ, როგორც წესი და რიგია. რა-ტომ თავის დროზე არ გაეცით ოფიცი-ალური პასუხი? განიხილეთ და დასა-ბუთებულად უარყავით. მით უმეტეს, თუ სისულლეა. რა უნდა სისულელის უარყოფას! მე საქმეს არ ვიცნობ. თქვენც იცით, რაშიჩენკო არ გაჩერდე-ბა. არც მალლაკელიძე ჩანს ნერვებდა-სუსტებული. თავის დროზე უნდა გა-გერკვათ.

საშინლად გაუკვირდა. გადაფიქრ-და. ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკეთ და გამოვედი. გაღიზიანებული ვიყავი, ასე დარწმუნებით რომ დამავლა, თან ისე რომ გაუკვირდა ჩემი უარი.

სამსახურის ბოლოს რაშიჩენკო შე-მოვიდა ჩვენთან ოთახში და ხელი ჩა-



მომართვა. ეტყობა, გაიგო იმ საუბრის ამბავი.

— გაპარკობა. როგორა ხარ? — ვითომ დილას ერთად არ გვერბინოს გიყვებივით.

მეორე დღეს თბილისიდან წავედი. საღამოობით ისე მეჩქარებოდა ხოლმე სასტუმროში, ჩემს ნომერში დაბრუნება თითქოს საყვარელი წიგნი მელოდა. დაწვევბოდი და ვფიქრობდი ჩემზე და მერციაზე. ფიქრით ვიმეორებდი წუთებს: მის სიტყვებს, სიცილს. განსაკუთრებით მიყვარდა ის წუთი, პირველად რომ სახეში შევხედე. ავტობუსში. როგორ შემომხედა... აი, ის შემოხედვა იყო, მაშინვე რომ ამაფორიაქა. რალაცნაირი შემოხედვა იცოდა, სახელს ვერ ვარქმევდი. სწრაფი და უცაბედი. ყოველთვის მოულოდნელი, თითქოს ჩიტი შემოგაფრინდაო. და მაშინვე თვალებს დახრიდა. ან სხვაგან გაიხედავდა... ძალიან მენატრებოდა, ძალიან. მაგრამ ამ დროს ჩემი ფიქრების ერთი ნაკადი მეხმარებოდა: ახალგაზრდაა, ვინ იცის, რამდენი ვინმე ეხვევა გარს... ხუთიოდე წლის შემდეგ მე სიბერეს მივუყაკუნებ, ეს საუბრეებსო ასაკში იქნება... გაუვლის, დავრჩეთ ასე ლამაზად ერთმანეთს... თან არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს ერთად ყოფნისა... ისევ გამაზსენდა ჩემი მართლხელა ძმაცაცების ბინები: რომელს როგორი გასაღები ჰქონდა... რომელი როგორ იღებოდა, სად რომელ საათამდე შეიძლებოდა ყოფნა... სად როგორი საწოლები თუ ტახტები იდგა. არა! შეუძლებელი იყო. არ გამოვიდოდა. ისევ იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორ შეუწყვარდებოდა ვინმე ახალგაზრდა, ის წვერიანი კინოოპერატორი გამაზსენდა, ის თეთრკბილება ხევსურა ბიჭი... ხომ ასე ვფიქრობდი, მაგრამ რალაც ძალად ნაფიქრსა ჰგავდა, რადგან საღდაც, გულის სიღრმეში ფარული და შეურყვეველი ცოდნა მქონდა, რომ ვუყვარდი და ჩემს გარდა მო-

სთვის არენაც არ არსებობდა. ვიცოდი, იმიტომაც არა ვჩქარობდი. თბილისში ორი კვირის შემდეგ ავგისტოს დავბრუნდი. ილა სამსახურში აღარ დამხვდა. შევბუღება აელო. სამუშაოს შემდეგ ჩემი ცოლის დედისთან ვავივლიდი ხოლმე სადილად. მთელი ეს ხანი რომ აღარ მენახა, საშინლად აღელვებული შემეგება: მეზობლის სახლი გაეტეხათ, ერთი კოვზიც არ დაეტოვებინათ; ლიფტში ერთი მისი ხნის ქალი ვაჰვდილიყო და შიშისაგან ხელზე ეკბინა; თვითონ მისთვის კი წნევას აეწია, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავში ქათამი ეჯდა და ნისკარტით მიწას ქეჭავდა, თან ფრთებს ასწევდა და დასწევდა, ასწევდა და დასწევდა. ლამეს თეთრად ათენებდა ქურდების შიშით, კართან, ყოველ შემთხვევაში, იატაკის ჭოხი მიეყულებინა...

— ეჰ, — ვუთხარი, — სხვა გზა არ არის, უნდა გაგათხოვო, — სამოცდახუთი წლისა იყო.

— ოჰ, შენ რა გითხარი, — მსუქანია და თეთრი ხელი ჩაიქნია.

სუფრა გაშალა: ჩახოხბილი. სალათა. ვინეგრეტი. მერე საზამთრო. აქ რომელიმე კერძის გამოტოვება არ ღირდა, რადგან ეს უცნაურობა ერთსაათიან ახსნა-განმარტებას გამოიწვევდა: რისთვის იყო ეს კერძი სასარგებლო, როგორ იყო ჩაფიქრებული და მომზადებული. მეც მორჩილად შევექცეოდი.

— ნეტავ როდის ჩამოვლენ ჩვენები, ალბათ როგორ მოგეწყინა ურმათოდ. საშინელებაა, შინ რომ მარტო ხარ. არა უშავს, ცოტაც მოითმინე... წელს ვერაფერი ვავაკეთე, ხილი სამ მანეთზე ქვემოთ არ ჩამოსულა... საშინელებაა პირდაპირ... არც კომპოტი, არც მურაბა... შენ რა, არ მისმენ? რამ გაგაშტერა? აი, ქათამმა ისევ ასწია

ნაირა გელაშვილი
„ამბანი, უმბანი და არბანი...“

ფრთხილი — თითი საფეთქელზე მიიჭირა.

შევხედე. მოკლედ შეკრიბილი თმა ერთ დროს ლამაზ, ახლა კი შეშუპებულ, თეთრ სახეზე ეყრებოდა. სიგარეტს ეწყოლა. მეხვეწა დარჩიო, მაგრამ წამოვედი.

სადარბაზოდან გამოვედი, მანქანის გასაღები ამოვიღე ჭიბიდან და ის-ის იყო უნდა მომერგო, რომ ავიხედე და მერცია დავინახე! ქუჩის მეორე მხარეს იღვა, ეტყობა, მანქანის გაჩერება უნდოდა. გული კინალამ გამისკდა, თითქმის დავიღრიალე:

— მერცი!

მოიხედა. გაფითრდა, ზეს მიეყრდნო. მივხვდი, ჩემი სახელი თქვა. მერე გაიცინა.

მივირბინე, მეგონა გადავეხვეოდი, მაგრამ არ გადავხვევია (გამახსენდა, რომ ჩემი ცოლის დეიდას, თვალის გამოყოლება უყვარდა ფანჯრიდან).

— როგორა ხარ, მერცი! როგორა ხარ.

მინდოდა მეთქვა, რომ მეტი აღარ შემეძლო, რომ გამოთავყვანებული დავდიოდი, რომ კინალამ გული გამისკდა, როცა დავინახე, რომ საერთოდ, ჩემი გული გახანგრძლივებული სკოლის პროცესში იყო, რაც მას გადაეყარე და, რა ვიცი, კიდევ რა... მაგრამ, ცხადია, არაფერი მითქვამს.

თვლები გაცისკროვნებული ჰქონდა, მაგრამ მომეჩვენა, რომ სევდიანად ილიმებოდა.

მაჯაზე ზელი მოვიკიდე.

— სად იყავი?

თავი გაურკვეველი მიმართულებით გააქნა: — იქ ამხანაგი ცხოვრობს, ხშირად ვარ აქეთ... შენ?

— მე?.. მეც ამხანაგთან ვიყავი... სად მიდიხარ?

— შინ...

— ჩაჯექი.

ჩავსხედით.

ვერაფერს ვეუბნები.

რამდენჯერმე შემომხედა.

შევხედე... სევდიანი სახე ჰქვს. — რას აკეთებ, მერცი? მხრები აიწურა. — არაფერს.

— არ მოგენატრე?

უხმოდ შემომხედა.

— ბავშვი როგორ არის?

— არა უშავს...

ეტყობოდა, ცულ გუნებაზე იყო. რა მოუვიდა, როგორი სხვანაირია ქალაქში. მე კი სულ დავკარგე მეტყველების უნარი. ძალიან ეკვი მებარებოდა, ჩემი პირიდან რაიმე ნორმალური ამოსულიყო.

— სად ცხოვრობ?

მითხრა. შორს იყო.

მანქანა ნელა მიმყავდა. ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს რაღაცას ელოდა ჩემგან. ღმერთო ჩემო, მე ხომ არაფერს დავპირებივარ.

— რა მოგივიდა, მერცი?

ღრმად ამოისუნთქა.

— არაფერი. შენ როგორა ხარ?

— ცუდად.

არა, ნამდვილად არ შემეძლო. იმწუთას არაფერი არ შემეძლო. არც რაიმეს თქმა. არც ზელის მოხვევა. ნერვები მაწყდებოდა! ერთი სული მქონდა, როდის მივიყვანდი შინ.

მანქანა ქუჩის კუთხესთან გამაჩერებინა... ვიფიქრე, ალბათ არ უნდა ზედ სახლთან გადმოსვლა-მეთქი...

ერთ წამს ჩემად ვისხედით.

— ჩამოვალ, — თქვა ხმადაბლა, მაგრამ არ ჩასულა...

— მერცი, — ამოვთქვი ბოლოს.

ღრმად ამოისუნთქა და შემაწყვეტი-
ნა:

— ჩავედი.

გადავიდა.

ძლივს გადავატრიალე გასაღები და ნელა დავძარი...

უცებ ჩემი სახელი მომესმა. ძალიან ზმამალა მიძახდა.

დავამუხრუქე და გადავედი.

გამოიქცა და გადამეხვია. ტიროდა... საშინლად დავიბენი. გამველეები გვიყურებდნენ, ვიღაცამ ფარდა გასწია და

ფანჯრიდან გამოიხედა. რაღაც წავი-
ლულლულე, როგორც შეეფერება გა-
მოტვირთულ ადამიანს... ცოტა მრცხვე-
ნოდა, რისი, არ ვიცი. მიბრუნდა და
წავიდა.

ნეტავ თუ იცოდა მაშინ?... ნუთუ
იცოდა?

სამი ღლის შემდეგ ისევ მივლინება-
ში წავედი. მივლინებიდან რომ დაებ-
რუნდი და ჩემს სახლში, შუა ოთახში
ღივანზე ვიწეკი, გუნებაში იმას ვანგა-
რიშობდი როგორ უნდა დამეგროვები-
ნა სამასი მანეთი მერციას კაბისთვის.
„უყუიდი და მივეტან“, — გავიფიქრე
უკვე მემილიონჯერ, ოღონდ, ეს როგორ
უნდა შემეთავსებინა ჩემს გადაწყვეტი-
ლებასთან, რომ აღარ მენახა, არ ვიცო-
დი, არც ის ვიცოდი სად უნდა მეყი-
და... ამაზე აღარ ვფიქრობდი. ასი
მანეთი უკვე მქონდა. ავღეკი და ჩე-
მი ქალიშვილის საწერი მაგიდის სულ
ბოლო უჯრა გამოვადე, სადაც საქაღა-
ლდეები მეწყო. ფული გამოვიღე და
ხელი გადავუსვი. ზელახლა გადავთვა-
ლე. მსიამოვნებდა მისი თვლა, ზელში
ქერა. გავახვიე და ისევ შევიანახე.

ბავშვობაში რაღაც აზირებული ხა-
სიათი მქონდა. მაგალითად, წყალი რომ
მომწყურდებოდა, მაშინვე კი არ დავ-
ლევდი, როგორც ყველა ნორმალური
ადამიანი! არა! იმდენ ხანს ვითმენდი,
სანამ გულის წასვლამდე არ მივიდო-
დი. მერე კი მთელი ნეტარებით დავე-
წაფებოდი ზოლმე. ეგებ მერციასთა-
ნაც ასე მემართებოდა? არ ვიცი.

მინც რა საოცრება იყო, რომ ასე
შემთხვევით შემხვდა ქუჩაში... ეს რა-
ტომღაც იმის დადასტურებად მომეჩვენ-
და, რომ ბოლოს ერთად ვიქნებოდით...
რატომ, არ ვიცი. თითქოს რაღაცას ვე-
ლოდებოდი... იმიტომ ვაყოვნებდი...
მინდოდა ძალიან მოვნატრებოდი... მაგ-
რამ ყველა ამ ფიქრის უკან შიში იდ-
გა, რა შიში — არ ვიცოდი.

ასე რომ ვიწეკი და ვფიქრობდი,
ოცდაშვიდი აგვისტო ლამდებოდა. თვა-
ლები დახუჭული მქონდა და უცბად

ნათლად დავინახე ის სცენა, მე რომ
კოშკის წინა „ოთახში“ ვიცდებოდა და
მოულოდნელად რომ დამიძახა და ამ
ღროს მართლა გავიგონე ჩემი სახე-
ლი: მერცია მეძახდა. ისე მკვეთრად,
რომ გულგახეთქილი წამოვხტი და ფა-
ნჯარას მივვარდი. ვერავინ დაფანახე.
სადარბაზოში გავიხედე — არავინ იყო.
არა, ნამდვილად გავიგონე. ისევ ღივა-
ნზე ჩამოვყვები.

დადგა ოცდაათერთმეტი აგვისტო.
ღლით ცოლი და ქალიშვილი ჩამოვი-
დნენ. სადგურზე დავხვდი. გადავებვი-
ეთ. გაშავებულიყვენენ. ორივეს გულა-
მოლებული სარაფანი ეცვა. დალი დე-
დამისზე მალალი იყო, მერციაზე ბევ-
რად ტანსრული. მანქანაში კი არ ჩაჭ-
დებოდა, ჩააწყდებოდა ზოლმე.

— ბარემ ბაზარში გავიაროთ, სახ-
ლში ხომ არაფერი იქნება, — თქვა ჩემ-
მა ცოლმა.

გავიარეთ. შევიდნენ. ველოდებოდი.
— რამ გაგაშტერა! ერთი კილომეტ-
რიდან გიქნევთ ზელს, პირდაპირ სა-
ხეში გვიყურებდი და ვერ გვხედავ-
დი?!

მოსულიყვენენ. წავედით.
დალი ტელეფონს ეცა, ჩემი ცოლი
სამზარეულოში შევიდა. დალიმ დაი-
ბანა, ჩაიცვა:

— მივიღვარ. კინოფესტივალის ბო-
ლო დღეა. ერთი ფილმი მინც ვნა-
ხო.

ათი მანეთი მივეცი. საღამოს რეზოც
დაგვატყდა თავს. შემოვარდა. ჩანთა
მოისროლა და სათითაოდ გადაგვეხ-
ვია. ჯერ ტელეფონს ეცა, მერე აბაზა-
ნაში შევარდა. ჩაიცვა და რაღაცა მი-
თხრა:

— რა და, ფირფიტა! არ მისმენ?!
ჯენის ჯოპლინის ფირფიტა იყიდება.
ხო იცი, რამდენი ხანია ვეძებ... სა-
მოცი მანეთი.

ნაირა გელაშვილი
„ამბრნი, უმბრნი და არაბნი...“



გამოვერკვე და ფული მივეცი. ხელ-
ფასამდე ოთხმოცდაათი მანეთი და
ერთი კვირა რჩებოდა. „რაც გინდათ
ის ჰქენით. იმ ას მანეთს კაპიკსაც არ
მოვაკლებ“, — გავიფიქრე და ტელე-
ვიზორი ჩავრთე.

თერთმეტი საათისთვის ყველანი შინ
ვიყავით. ჩაი დავლიეთ. ბავშვები და-
წვნივნი. ჩემი ცოლი აბაზანაში შევი-
და...

ტელევიზორს ვუყურებდი და
ღმერთს ვევერებოდი, ვინმეს დაერე-
კა და საღმე წავეყვანე. ვინმეს რაი-
მე საქმე გამოვარდნოდა და უტბად
დავკვირებოდი... ან ჩემი ცოლის დეი-
დისთვის მაინც აეწია წნევას. არავის
დავკვირდი. ჩემი ცოლი გამოვიდა და
ტელევიზორი გამორთო. წელი ავითრიე
და საწოლ ოთახში შევედი... ღამის პე-
რანგი ეცვა, ღრმად ჩახსნილი, იწვა და
მელოდებოდა.

— მოგეწყინა უჩემოდ? — მკითხა
და თავი მკერდზე გადმომაღო.

— ძალიან.
მაკოცა. ხელი მოგზვიე.
ოთხი სექტემბერი იყო. კვირა ღღე-
შუაღლისას ძმაკაცმა გამომიარა და
წყნეთში ავედით. იქ სახლი ჰქონდა,
ეზოიანი. ცოლ-შვილი უკვე თბილისში
ჰყავდა, ერთი მისი მეზობელიც შემო-
გვიერთდა და დავლიეთ.

შებინდა.
უტბად ავდექი და ვთქვი: — მივდი-
ვარ.

— რა იყო, შე კაი კაცო, რამ მოგი-
არა?!

— უნდა წავიდე.
არ მიშვებდნენ, მაგრამ წამოვედი.
ოც წუთში მერციას ჭუჩაზე ვიყა-
ვი. სახლი რომ არ ვიცოდი? ახლავ
გამახსენდა. რამდენჯერმე ავიარ-ჩავიარ-
ე, არაფერი მენიშნა. ფხიზელი ვერ
გავებდავდი, მაგრამ ახლა... ათ წუთ-
ში მივაღდექი იდას სახლს.

კარი იღამ გამოიღო. სანუ მიტკალი-
ვით გადაუთეთრდა.

— ილა, — დავიწყე კარებშივე.
— შემოდი.

შევედი. ისევ იმ ოთახში.
— დაჯექი.

დავჯექი, იმ ტახტზე, სადაც წინა ზა-
ფხულს ვიწექით. მინდოდა პირდაპირ
მეკითხა: „მერცია სად ცხოვრობს?“
მაგრამ მომერიდა და ვკითხე:

— ილა... როგორა ხარ?
შემომხედა.

— ცუდად... ამხანაგი გარდამეცვა-
ლა... არ გავიგია? შენ... შენც ზომ
იცნობდი..

— ?!
— ...მერცია...

...
— რა მოგივიდა? რა მოგივიდა?
მანჯღრევედა.

ხელით მოვიშორე და ავდექი...
მანქანაში ვიჯექი.

ხელში გასაღები მეჭირა.
ვერ მოვახერხე მორგება. ხელო მუ-
ხლებზე დამივარდა.

თავით საჭეს დავეყრდენი.
...

— შენ ისევ აქ ხარ?
ავიხედე. ილა ილაგა. დაღამებული-
ყო.

— ამდენი ხანი აქ რას აკეთებ... ცუ-
დადა ხარ?

თავი დავუქნიე.
— ამოდი ჩემთან.

აველი.
— როდის... მოხდა...

— ოცდარვა აგვისტოს.
— რა... მოხდა...

— სისხლის გათეთრება ჰქონდა. შა-
რშან ზღვაზე იყო და პირველად იქ
გახდა ცუდად... შარშან ამ დროს საა-
ვადმყოფოში იწვა... მთელი თვე, მე-
რე ისევ მომჯობინდა... კარგად იყო...
იფიქრეს, დიაგნოზი შეეშალათო... მი-

სი დაც ექიმია, ჩემი მეგობარი... და ახლა უტბად ისევ ცუდად გახდა...

— იცოდა?

— რა?

— სისხლის გათეთრება... რომ ჰქონდა...

— არ ვიცი... არ უთქვამთ. მე მგონი, არ იცოდა.

— როდის გახდა ცუდად.

— არ ვიცი ზუსტად... თვითონ დაწოლილიყო საავადმყოფოში. — ერთი მეგობარი ადგა თავზე... უთქვამს, ტყუილად აფორიაქდებიანო, დედაზე და დაზე, და ბავშვი ისე დარჩებაო. სამი დღით ადრე შეატყობინა თავისიანებს... წყალს მოგიტან... ან ეგებ ეს დალიო, — რაღაც წვეთები შეაჩქარია.

— არა.

წამოდგა, ფანჯარა გამოაღო.

ავდექი. მობრუნდა და გატანჯული ხმით მკითხა:

— შენ... გიყვარდა?

თავი დავუქნიე და გავიფიქრე: „მიყვარს“.

სადღაც უცნობ ქუჩებში დავდიოდი მანქანით. ბოლოს ერთი მივარდნილი ქუჩის ბოლოს გავაჩერე. აქ რაღაც ქოხმახები იდგა და მერე ტრიალი მინდორი იწყებოდა. მთელ ღამეს წვიმდა. მანქანის სახურავზე ჩხრიალი გაუდიოდა. გათენებისას მოკუნტულს ჩამეძინა.

ღლით შინ არავინ დამხვედრია. ჩემი პერანგი მოვძებნე, შატლიში რომ მეცვა... გავშალე... ისევ უმჩნეოდა სისხლის წვეთები... სახეზე ავიფარე, ვაკოცე... მერე რაღაცაში გავხვიე და დავმალე. გარეთ გავედი. მეუცხოვა. დიდი ხანი იყო, ფეხით არ მევლო.

პლენანოვზე ამოვყავი თავი... ნაცნობი მომესალმა... მალაზიებში შევდიოდი... სკვერში ვიჯექი... ავტობუსით გავიარე რამდენიმე გაჩერება. იმის გაფიქრებაც კი მზარავდა, რომ შეიძლებოდა ვინმე მოსულიყო და გამომალაპარაკებოდა... ლამის კრუნჩხვა

დამმართნოდა ამის წარმოდგენაზე...

წინასწარ აუტანელი სიძულვილით მძულდა ის ადამიანი. ალბათ კბილებით ჩაეფარინდებოდი ან დავახრჩობდი.

სადღაც სასადილოში შევედი. ერთი კაბა ლუდი დავლიე. გემო არ მიგრძვინია... გამყიდველმა რაღაც მომამახა.. ვილაც ბიჭი დამეწია და ხურდა მომაწოდა. დიღბანს ვუყურებდი, ორი ქალი გასტრონომის ვიტრინას როგორ რეცხდა გრძელი ჯაგრისებით... შუშაზე წყალი წურწურით ჩამოდიოდა... ბოლოს ერთი მომიბრუნდა. მერე მეორემაც მოიხედა. რაღაცა მითხრეს. წავედი. მთავარი იყო, არ მეფიქრა... არც ერთი წამით... ო, ფიქრის გაჩერება რომ ყოფილიყო შესაძლებელი... სამუდამოდ. აფიშაზე ვილაც ქალი ქარში გარბოდა, პალტოს საყელო ხელით ეჭირა... ტროტუართან დავდექი. კაქუნი შემომესმა და მერე რაღაც ცივი ლითონი მაჯაზე შემეხო... გვერდზე გადავხტი. შავსათვლიანი მოხუცი კაცი, სახეზე მკვდრისფერი რომ ედო, ხელჯონით გზას მოიკვლევდა. პატარა გოგოს გაეცინა. დედამ ხელზე დაარტყა და ბავშვი ატირდა... ისევ ავტობუსში ვიყავი... საბავშვო ბაღის გისოსებთან ვიდექი. ბავშვები უკვე შინ მიჰყავდათ... „ელენე!“ მუხლებგადაყვლეფილმა პატარა გოგომ სწრაფად აიხედა. თითქოს ჩიტი აფრინდა. სწრაფადვე დახარა თვალები და მიწის ჩიჩქნა განაგრძო. „რატომ არ მოდიხარ? გელოდები!“ ბავშვმა მხრები აიჩეჩა და ახალგაზრდა შავკაბიანი ქალისაკენ წავიდა.

ქაშვეთის წინ ამოვყავი თავი. ვილაც გრძელთმიანი კაცი მომიახლოვდა. მთვრალი იყო. რაღაც მითხრა. თავით სახინკლეზე ვანიშნე და შევედი. რუსი აღმოჩნდა. დამისხა. დაისხა. რაღაცას აღაპარაკობდა. მერე გაბრაზდა. მაგიდას მუშტი დასცხო. ვსვამდით. ერთხანს ჩუმად იყო, მე-

ნაირა გალაშვილი
„ამბრნი, შმბრნი და არაბნი...“

რე ისევ გაბრაზდა, ბოლოს ატირდა: ცრემლები ლაპაღუბით ცვიოდა არყის ქიქაში. მშურდა. რაღაცა მკითხა. ვერ გავიგე. ეტყობა, ჩემმა შემხედვარემ რაღაც დაასკვნა და დამამშვიდა:

Не горюй, брат, вся жизнь сплошное мучение...

გაჩუქდა. ისევ დაუგორდა ცრემლები. მერე მარწმუნებდა:

У меня тоже все идет на к черту.

ვამოვედით. შეღამებულყოფი. ხელი გადამხვია და ქაშვეთზე მანიშნა:

— Пойдем, брат, помолимся, легче станет... больно нам, брат, больно... пойдём к богоматери, размягчится сердце... Я тебе говорю... эта единственная женщина, которую можно любить...

— Не могу, брат...

ვუთხარი და დავემშვიდობე. კარგი კაცი იყო.

თავი მისკდებოდა. მეგონა, სადაც იყო, ტვინში რაღაც ძარღვი გადამიწყვდებოდა. მთელი ჩემი ფიქრები რაღაც შეკითხვებისაკენ მიექანებოდნენ. მაგრამ იქ ფიქრს ვწყვეტდი, და უკანვე მივერეკებოდი, თითქოს ძაღლების ზროვას ვფანტავდი ჯოხით.

ბნელოდა. ქალაქში სინათლეები ენთო. რუსთაველზე მივდიოდი. ვილაც ნაცნობმა გამაჩერა. რაღაცას მელაპარაკებოდა. ჩავიცინე. ხელი ავუქნიე და წავედი. ტროლეიბუსში მოვხვდი. დავჩექი. ჩემს წინ ქალი წამოდგა და ჩასასვლელად გამეზადა.

„ლამარა!“ — ისე დავიღრიალე, ყველამ მე შემომხედა. ერთად ჩავედი. ვეუბნებოდი, რომ საშინლად გამეხარდა მისი დანახვა, რადგან საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ ჩემზე.. სასიამოვნო ნაცნობს რომ შეხედები ამხელა ქალაქში — მთელი ამბავია! ზუმრობა კი ნუ ჰგონიათ, აი, რა კარგია, რომ სწორედ ის შემხვდა და არა ვილაც ჯოჯო, მაგალითად, ჩემი მეზობელი...


ჩუმად მისმენდა და რამდენჯერმე დაკვირვებით შემომხედა. ამასობაში

მის სახლსაც მივალწიეთ. შემეპატიჟა, ჩაი გააწყო. ვეუბნებოდი, რომ ველთვის ძალიან მაინტერესობდა დიციანა, მაგრამ ვერასდროს ვერ მოვიცალე... რამდენი პრობლემაა, რამდენი სოცრებები... მაგალითად, ზომ არ იციან სიმსივნის წარმოშობი მიზეზი ან რა ჰქვია... პროსტატისა ან თუნდაც ალერგია ავიღოთ...

უტბად გავჩუმდი და პირდაპირ ვკითხე:

— ლამარა, შეიძლება სისხლის გათეთრებისაგან კაცი განიკურნოს?

— ყველაფერი შეიძლება, — მომიგო დამრიგებლურად, როგორც იცოდა, — თუმცა ჩვენ სრული განკურნების შემთხვევები არ გვქონია. საუკეთესო შემთხვევაში ვაღწევთ ზანგარძლივ რემისიას, მწვავე ფორმა გადაგყავს ქრონიკულში... მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მხოლოდ შეზღუდულ აღამიანს შეუძლია ამტიკიოს, რომ სისხლის გათეთრება, როგორც ასეთი, პრინციპულად მოუარჩენელია. დღეს ასეა, ზვალ უკვე შეიძლება საშველიც გამოჩნდეს... ჯერ ერთი, და მეორეც, ბევრი ასეთი „მოუარჩენელი“ ავადმყოფობიდან განკურნების ცალკეული შემთხვევა ახლაც არის აღნუსხული ჩვენსა თუ უცხოურ სტატისტიკაში და თითქოს ეს ბაციენტები არაფერს განსაკუთრებულს არ მიმართავდნენ. იცით, რა? აღამიანის ფსიქიკური მექანიზმი მაინც თითქმის შეუსწავლელია. ერთ მაგალითს გეტყვით: ერთი დეიდა მყავს, დიდი ხნის ქვრივი. მთელი ცხოვრება გაუთავებელ ბრძოლას აწარმოებდა თავის მაზლთან, რაღაც ბინის თაობაზე. ორი წლის წინ ცუდად გახდა, აღმოაჩნდა სიმსივნე საშვილოსნოში. ყველა გამოკვლევისა და ანალიზის მიხედვით, რაც ჩვენს ხელთ არის, ვარაუდობდნენ ავთვისებიანს. დავაწვინეთ საავადმყოფოში, ოპერაციის დღეც დაინიშნა. იმ დროს გაიგო, რომ მის მაზლს საქმე თავის სასარგებლოდ წარემართა და ეტყობა,



ბრძოლის ველზე მარტოდ დარჩენილი, გამარჯვებით დაავგირგვინებდა კიდევ. დეიდაჩემს ეს ბინა თავისი ქმრის ობოლი ბიძაშვილისთვის უნდოდა, რომელიც თვითონ გაზარდა. ესე იგი, ის მისი გაზარდილი ბიჭი იმ მაზლის უფრო ახლობელი იყო, ვიდრე დეიდაჩემის. ამაზე მწარდებოდა. ერთი სიტყვით, გაიგო თუ არა, საქმე ცუდად არისო, გააღმასებული გავარდა საავადმყოფოდან — და ისევ თავით გადაეშვა იმ ბრძოლაში. ნახევარი წლის შემდეგ საქმე მოიგო და ბინა იმ ბიჭს დაუმტკიცეს. მივაკითხე და წავიყვანე ისევ ექიმთან. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოგნება, როცა საშვილოსნოში არაფერი, ოღონდ საექვო წარმონაქმნიც კი აღარ აღმოაჩნდა. სიმსიენე იყო, თუ რაც იყო, მთლიანად გაქრა. თან იმხელა, რომ საშვილოსნო ევასავით ჰქონდა თავის დროზე გამაგრებულს. გეკითხებით, რა მოხდა? რით ახსნით? გულისხმეთქითა და ნერვულობით ზომ შეუძლებელია კაცი მოარჩეს. პირიქით. ალბათ მის დაავადებაში ამ გაუთავებელმა ნერვების წყვეტამაც ითამაშა როლი. მერე კი, იმავე გარემოებაში, ოღონდ ათჯერ უფრო გამწვავებულში — დაავადება საერთოდ გაქრა. ახლაც კარგად არის. აღარაფერი აწუხებს. ხასიათს, ნერვულ-ემოციურ ფაქტორებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს: ხატოვნად რომ ვთქვათ, ისე ძლიერად იყო მთელი მისი არსება — დეიდაჩემზე გეუბნებით — რაღაც ერთი მიზნით შეპყრობილი და შემართული, რომ მისმა ორგანიზმმა, უბრალოდ, სხვა ველარაფრისთვის მოიცალა, ის სიმსიენე გადაავიწყდა. ყველაფერი ძალიან ინდივიდუალურია. ასე რომ მედიცინაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შეიძლება კაცი სურდოთი გარდაიცვალოს და შეიძლება მწვავე ლეიკოზისაგან განიკურნოს. დიდი სურვილი, ხასიათის სიმტკიცე ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერი შეიძლება... ძალიან ინდივიდუალურია.

ველარ ჩერდებოდა და ეტყობოდა, ველარც გაჩერდებოდა. უცებ მერე...

— რატომ გაინტერესებთ? — და ყურადღებით შემომხედა.

— არა... მე ისე... დიდი ხანია, მაინტერესებს.


დავემშვიდობე და გამოვედი. დაკვირვებით მიყურებდა. შემოიარეთო, ალბათ უკვე პაციენტებში ჩამრიცხა.

მივდიოდი. „რა სიკვდილის მხედარივით მოაგეღვებდი“, — ჩამესმა უცებ ელგუჯას სიტყვები. ნუთუ მართლა მე მივიყვანე მერცია იქ? ნუთუ იცოდა? არა! შეუძლებელია. ექვიც არა ჰქონდა. „მე მახსოვს, რომ დრო გადის“, ეს ისე თქვა, ისე. „ამბრნი, უმბრნი და არაბნი ცხენს შესხდებიან ჩქარესა“, — როგორ ჩაიგრიანლეს „რ“—ებმა. „ვინ არიან ეს ამბრნი, უმბრნი და არაბნი?“ „არ იცი? — ქაჩები და ეშმაკები. ყამარის მამის ლაშქარი. ყამარს ღრუბლებში ჰქონდა კოშკი“. — „რა უნდოდათ?“ „არ იცი?“ „მართლა არ იცი?“ „მართლა?“.

ზარი დავრეკე. — იდა, — ზღურბლზევე დავიწყე და კედელს მივეყრდენი.

— გეტყვი, — მითხრა ჩუმად და თან დაფარული ბრაზით. — ერთი კვირით ადრე, ვიდრე საავადმყოფოში დაწვებოდა, ჩემთან იყო. და მკითხა, სად შეიძლებოდა შენი ნახვა... შენ მივლინებაში იყავი... მივეცი შენი და შენი ცოლის დეიდის მისამართი, ტელეფონის ნომერი. ვუთხარი, რომ სამსახურიდან იქ მიდის ხოლმე... ძალიან ცუდი ფერი ჰქონდა, მაგრამ რომ ვკითხე, მითხრა, კარგად ვარო... მინდოდა მაშინვე დამერეკა მისი დისთვის, მაგრამ რატომღაც აღარ დავრეკე... დარწმუნებული ვიყავი, აღარც კი ფიქრობდი მასზე... და რომ დავგანახა, თვალს აარიდებდი, როგორც შენ იცი, საერთოდ, ვიფიქრე, მივლინებაშიც

ნაირა ზალაუშვილი
„ამბრნი, უმბრნი და არაბნი...“



იმიტომ წახვედი სასწრაფოდ, რომ რაიმე ზედმეტი სენტიმენტალური რეციდივებით არ შეწუხებულყავი, შარშანაც ხომ თითქმის ამ დროს წახვედი მივლინებაში... ვიცოდი ეს ყველაფერი, მაგრამ იმას ხომ არ ვეტყვი...

თანხმობის ნიშნად თავი დაუქუჩნიე. მართალი იყო. არასოდეს მსიამოვნებდა იმ ქალის დანახვა, რომელთანაც ნამყოფი ვიყავი. რატომ, არ ვიცი. მაგრამ მეგონა, ეს არ შემჩნეოდა... ხომ არ მიგრძნობინებია არავისთვის... თანაც მერცხა რა უშუაში იყო? განა იმიტომ წახვედი მივლინებაში?

— ჩემი აზრით, შატლიში საერთოდ იმიტომ წამოვიდა, რომ შენ ეგულეზობდი... ერთხელ გნახა ჩემთან სამსახურში... — ზმადობდა დაუმატა იდამ.

— სადა ცხოვრობდა? — მე თვითონ ძლივს გავიგონე ჩემი ზმა.

სულ სხვა ქუჩა დამისახელა. გაკვირვების ძალა აღარ მქონდა.

მოგბრუნდი.

— შემოდი, თუ გინდა, — მითხრა მომბლალი ზმით.

აღარ მიგბრუნებულვარ.

„მერცი, რა ვქნათ ახლა მე და შენ, მერცი?“ — გავიფიქრე უღონოდ.

ლამე იყო, სახლის კარი რომ შევადღე. ცოლი და ქალიშვილი სკამებიდან წამოცვივდნენ.

— სად იყავი? სად იყავი! არ შეიძლებოდა, დაგერეკა! რატომ? რა ზღებოდა ამისთანა? ვისთან იყავი? რა საზე აქვს, ღმერთო ჩემო! იმის ღირსიც არა ვარ, რომ დამირეკო და მითხრა, არ მოვალო?!

— გაჩუმდი, — ვუთხარი და საძინებელ ოთახში შევეთრე. გაჩუმდნენ. კართან გავჩერდი და საწოლებს შევხედე. აქ მეძინა ცხრამეტი წელიწადი. მეძინა. ენით აუწერელმა სიძულვილმა შემიპყრო ამ ოთახის დანახვაზე. ის ბოლო ღამე გამახსენდა ჩემს ცოლთან: უსურვილო, უცნებო, უსიყვარულო. ისეთი სიბილწის განცდა დამეუ-

ფლა, კინაღამ დავიღრიღლე. აქ, ამ საწოლში მე არასოდეს არ მისხაროდა. მხოლოდ კმაყოფილება, იცოცხევი და სიამოვნება. სისხარული კი არასოდეს.


ნუთუ თვითონ არ უნდა ეგრძნო? მაშინ თავში გამიელვა, რომ საცრთოდ, უსისხარულოდ ცხოვრება ყველგან და ყოველთვის სიმახინჯე იყო, ავადმყოფობა და სიბილწე. ოღონდ ამ აზრს ვერც ახლა დავასაბუთებ, გული მერეოდა. სიამოვნებით ამოვანთხვედი მთელ ჩემს ცხოვრებას, ჩემი ბავშვობისა და მერცხას გარდა, ყველაფერს, რაც ასე წვეთ-წვეთად იყო ჩემში ჩაწნებილი. ღმერთო ჩემო.

ცხრამეტი წელიწადი კანონიერი მრუშობა. სანქციადადებული, ნაკურთხი, წმინდად შერაცხული ყველას მიერ. და ბოლო ღამე — 31 აგვისტოს ღამე — როცა ის უკვე მკვდარი იყო და იწვა მარტო, თავისთვის. ყველაფერი შემზობლდა. გამოვიდი, რეზოს ოთახში შევედი, მის ტახტზე მივწეკი და უაზროდ შევაჩერდი ჯახის მომღერალთა უზარმაზარ აფიშებს. ერთ-ერთ მათგანზე სიბნელეში ახალგაზრდა ქალის ექსტატურად გაფართოებული თვალები და სახის აქეთ-იქით ნერვულად გაშლილი, გამხდარი თითები იყო განათებული. რეზოსგან ვიცოდი, ეს მომღერალი მარჩხუნანას დიდი ღოზით მომკვდარიყო.

მაღე რეზოც მოვიდა. წინა ოთახში რალაც უთხრეს ზმადობდა. ჩანთა კუთხეში ისროლა და გამგები ტონით გადმომიგდო:

- იჩხუბეთ?
- რეზო, — ვუთხარი ჩუმად.
- რა იყო? — გაკვირვებით შემომხედა და ფირფიტა ჩართო.
- არაფერი.

ვიღაც ქალი ამღერდა ინგლისურად, ძლიერი ზმა ჰქონდა, სასოწარკვეთილი, მაგრამ რალაცნაირი მშრალი, სითბო აკლდა. ძალიან მძაფრი სიმღერა იყო: ისტერიული და გამოუფალი. სიკვდილი მოგინდებოდა.



— რას ამბობს? — ვკითხე რეზოს.
ფირსაკრავს ხმა ჩაუწია და მითხრა:
— მითხარიო, სად მიდის
მატარებელი?
მე მიხდა წავიდე ძალიან შორს.
წამოდი, სიყვარულო,
წავიდეო შორს,
იქ, სადაც ყველაფერი თავიდან
იწყება.

რას ბრძანებთ? ეს ბოლო სადგურ-
რია?
ო, ბოლო სადგური ყოფილა, ბო-
ლო სადგური...

გამოვედი, არ გამიხდია, შუა ოთა-
ხში დივანზე დავეგდე.

დილით, ყველანი რომ საუზმობდ-
ნენ, უმისამართოდ ვთქვი:
— მივლინებაში მივდივარ.

ბარისაზოს რომ გავეცი, მანქანა გა-
ვაჩერე და გადმოვედი, იქ, სადაც მა-
შინ შევისვენეთ. მივედი, ხის ძირას
დავდექი. ჭიანჭველები ზეზე, მიცოცა-
ვდნენ. მერე ლოდთან მივედი. მერე
მდინარის პირას.

ვიწრო გზაზე გამახსენდა, მე და ის
ფარას რომ მივარღვევდით და გამე-
ღიმა...

არღუნის პირას ცხენები ბალახობდ-
ნენ. მივედი იმ ჩვენს კუნაპეტივით შავ
ცხენთან და კისერზე ხელი მოვხვიე.
შემომხედა: უსაყვედურო, შემნდობი
თვალებით. თვლებში ვაკოცე.

ალათო კოშკში არ დამიხვდა. ძლივს
შევაღე „ჩვენი ოთახის“ კარი. ფანჯა-
რასთან დავდექი. გადავიხარე. კედ-
ლიდან გამოშვებულ სივს შევებე ხე-
ლით. ზედა ბალიში დავყნოსე. ნაბა-
დი გაეშალე ძირს და დავეჭე. ვეწე-
ოდი. ალათო შემოვიდა. გადავეხვიეთ.
გააბა ღუღუნია... რომელიც სიტყვასა
და სიტყვას შორის ყოველთვის მოუ-
ლოდნელად და თან რიტმულად ჩაწყ-
დებოდა ხოლმე, კლდესავით ჩაისხიპე-
ბოდა, ქვასავით ჩავარდებოდა: იქაუ-
რობაზე ჩიოდა.

უცხად გაჩუმდა და თვალები მოკუ-
ტა.

— შენი ვარდისფერი ქალაქის საბ-
არის?

გული გადამიქანდა. დაუნახავს. იმი-
ტომ გადაიხვეწა ის ორი ღამე.

- იმღერე, ალათო.
- ფანდური აიღო.
- რა იმღერო? რაი გწადს?
- ხმით ნატირალი.
- რომ არ გიყვარს? შენ არ მით-
ხარ, ალარ იმღერო?
- იმღერე, ალათო...

— ასმათ, ჩამოვიდაა, ბელუქით
ძროხაი,
თან ჩამოჰყოლიაა, ის შენი
ნანდობი.
ადექი, გაჰყევო, იმ შენსა
ნანდობსაა,
არ გაგიჯავრდებაა, ჩემ შვილო,
ღეღაი,
ღეღა მოგიკვდესაავ, ღედის
თავმოკლულოო,
ალარ შემადებაავ, ასმათი კარებსაა,
ალარ შამამაყრივ, შენ დიდაა
თვალებსაა,
ღეღა გაგითავდეს, ღედის
თავმოკლულოო...

გულ-მუცელი გადამიტრიალდა. აი,
ის სიტყვები, მე რომ ვეძებდი, რო-
ცა იმის შემოხედვაზე ვფიქრობდი:
თვალებს შემომაყრიდა ხოლმე. „ალარ
შამამაყრი, შენ დიდაა თვალებსა“.

თავი კალთაში ჩავუღე.
— ალათო, ის ქალაი მოკვდა, ალა-
თო!

— გათავდეს ჩემი სიცოცხლე! —
აღმოხდა ალათოს და გახევდა.

მერე თავზე დამადო ხელი — „ჯავ-
რისად მოხველ, ჩემ შვილოო?“

ვტიროდი. რაც იმ კოშკებში დიდი
და პატარა ცრემლს იკრძალავდა და
ნიგნით იქვავებდა, სულ ერთად მოე-
დინებოდა ახლა ჩემი თვალებიდან.

ნაირა ბელაშვილი
„ამბრნი, შმბრნი და არაბნი...“



— როდის? — მკითხა ჩუმად.

— ოცდარვა აგვისტოს.

— მარიამობასა?

მერე ისევ ფანდური აიღო და გაი-
სმა ხარი, ნამდვილი ხარი. მეგონა
ყველაფერი ერთნაირად დასუსხა ჭინ-
ჭარმა: მეც, სოხანეც, ქვიტკირის კედ-
ლებიც. ყველგან ქრეოლა გადიოდა.
ასეთი ხმა არასოდეს გამეგონა და ვე-
ლარც გავიგონებდი: მწარე, უსაშვე-
ლოდ მწარე და თან მტკივნეულად
ლბილი, — თითქოს ამ ხმაში ის უხა-
მივით მწვანე ჭინჭარი და მთის ფერ-
გაცრეცილი ყაყაჩო დაქორწინდნენ.
ზოგჯერ ხმა უწყდებოდა და მსხვი-
ლი ცრემლი დაუგორდებოდა ზოლმე
მზით დამწვარ, გამშრალ ლოყებზე:

სახლს გიკეთებენაავ
უკარ-უსარკმლოსაა,
სულწუხა იწ ხარივ,¹
რათამ გასძლებიაივ...

გტიროდით.

მე კი ამოვედი, რხალო
ნაქერალაავ,
შენ მანდავ გაგწირეთ, მტირალ
საყდრის კარაავ,
ჩამოგივალისაა თმაიდა
კოწოლიიოდ,
თავგ ბუდედ გიქმენა, ბუდედ
ბურბუშლადა...

მერე თავის მოსახელე ახლაგზრდა
ქალზე ამღერდა. ისეთი ზმით, თითქოს
მართლა შეუძახა სულეთის ბილიკზე
მარტო მიმავალს:

იარეე, ალაათო, იარეე,
ვისალ ელოდებიი,
გზას შორს იტყვიანა იმ
სულეთისასაა...

მეგონა კოშკებს ზრიალი გაუდიო-
დათ. ალბათ ალათო აღარასდროს იმ-
ღერებდა ასე. უცებ უაზროდ მომინ-
და, მერციაც აქ ყოფილიყო, ჩვენთან
და ალათოს სიმღერა მოესმინა:

დედა მოგიცდესაავ,

დედა, ბერ-დედაივ,
ხან-დრო მოუვლეთ, ^{ქართული}
მზეს ხელუყრეთ, ^{ენციკლოპედია}
გაუხარეთ, ^{საქართველო}
სწორში გაუალოვ...

თავის პატარა გოგოსაც დასტირო-
და ალბათ, დიდი ხნის წინათ წყალ-
ში რომ დახრჩობოდა. და ყვე-
ლას, „ხან-დრო მოუვლეთ“, სხვების
სიხარულთ, თვითონ გაუხარელთ. ხმა
სულ ჩაუწყდა. ასე გამოვიგლოვეთ
„ვარდისფერი ქალა“: კუბრის მდინა-
რე ჩაზრიალდა ჩვენს წინ: წაიღო ვარ-
დისფერი ყვავილები, ვარდისფერი ღი-
მილები, ვარდისფერი კაბები. ჩაიგრა-
გნა ყვავილდასწმული დამე. გამოვი-
გლოვეთ ყველაფერი: ჩვენი მარტოო-
ბა და უიღბლობა, მიყრილი კოშკები
და საფლავები, გაუხარელი სიყვარუ-
ლი, გაწბილებული გულები; სიმწა-
რე, რაც უკვე იყო, რაც კიდევ იქნე-
ბოდა მომავალში და გავჩუმდით.

მერე თავზე ხელი გადამისვა და მი-
თხრა:

— დაღონებოძაა, დედისავ ცხოვ-
რება, საწუხრად მოვედით, გულს ნუ
გაიტეხ, ღმერთია მოწყალე... გულს
ღიდ შეძლება აქვის, იკუთებს, ივალა-
ლებს, გაიწ-გამოიწევს და ისევ შეპლი-
ნებს სოფელ-ქვეყანას.

თენდებოდა.

აიღო ფანდური და რალაცნაირად,
დარდით განათებული სახით ზმადებლა,
თბილად წამოიწყო:

შირაქის ველზე მივდივარ,
უკან მამრუნებს ქარიიოდ,
წინ შამეყარა პეპელაა,
წითლად უჩანდა მზაროდ,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჭვარიო...

ქალაქში ცოცხალიც და მკვდარიც
ხელიდან მისხლტებოდა, თვალთაგან
მიქრებოდა, მეკარგებოდა. მისი სი-
კვდილის სახეს ვერ ვხედავდი. ახლა
კი გამოიკვეთა, დამძიმდა, შეიმოსა,
როგორც სიკვდილს შეპფეროდა —
შემზარავი და დიდებული სამოსით —

¹ სულწუხა იწ ხარივ — ცნობისმოყვარე,
მოუსვენარი ხარ.

და ახლა ისევ მყავდა. მყავდა რაღაც-
ნაირად, ენით გამოუთქმევლად.

მანქანა რომ ეზოში გვაჩერე და გა-
დმოვედი, რატომღაც მაშინვე მალა
ავიხედე ჩვენი ფანჯრებისკენ. იმწუ-
თასვე ჩემი ყავისფერი პერანგი მეცა
თვალში, გარეცხილი, ჩემი ცოლ-შვი-
ლის ტანსაცმელთან ერთად, თოკზე
რომ ეკიდა.

ადგილზევე გავშეშდი. სად იბოგა!
შევედი თუ არა, ცოლი და ქალიშვილი
შემომეგებნენ.

— რცი, რა ვიყიდეთ? გაგიქდები...
ძალიან მოგეწონება, სიურპრიზია. და-
ხუჭე თვალები... არა, არა, დახუჭე!... —
ასე შემიყვანეს შუა ოთახში.

— გაახილე!

გავახილე. კედელზე უზარმაზარი,
ოვალური, ანტიკვარული სარკე ეკი-
და, ოქროსფრად მოვარაყებული.

— უცბად მოიტანეს საკომისიოში...
ფული გვაკლდებოდა... კიდევ კარგი,
შენი შენახული ასი მანეთი ვიპოვეთ,
რა ჰკვიანურად მოქცეულხარ, რომ გა-
დაგინახავს...

საშინელი ზრიალი გაისმა: მაგიდის
მძიმე საათი, რომელსაც უცერად ვტა-
ცე ხელი, სარკეს შეემსხვრა. კედელ-
ზე ცარიელ ჯარჯო ყანყალგბდა.

მეორე დღეს შვებულება ავიღე და
სოფელში წავედი მამაჩემთან. და აი
მაშინ, როცა მეგონა, რომ ყველაფე-
რი დამთავრდა, ყველაფერი დაიწყო.
დაიწყო ის უცნაურობა, რასაც ამქვე-
ყნად ვერავის ვეტყობდი, რადგან არა-
ვინ დაიჯერებდა, არავინ, მერცხის გა-
რდა.


ღამით ფანჯარასთან ჩემს ძველ სა-
წოლში ვიწეკი და მთვარეს გავცქერო-
დი, რომელიც ზედ წაფარებული თხე-
ლი, ალაგ-ალაგ გამჰვირვალე ღრუბ-
ლის წყალობით ყვითელი ვარდივით
დატალღულიყო. მივშეტრებოდი ჩე-
მი ბავშვობის მთვარეს, რომლისთვი-
საც იმდენი მწარე ბავშვური საიდუ-

ლო მქონდა თავის დროზე მიბარებუ-
ლი, რომელიც აქ, ჩემი სოფლის ცაზე
დაცურავდა და მთელი ეს ხანი ამ
იღუმლოებებს ხელუხლებლად დატა-
რებდა. მერე კი, მრავალი წლის შემ-
დეგ, იქ შემომხვდა, შატლიში... „მთვა-
რე“ — ისე ვავიფიქრე, თითქოს ვთქვი
და ის გამოცანა გამახსენდა, რომლის
პასუხიც ბავშვობისას რატომღაც ყო-
ველთვის მაგიწყდებოდა: „ყოველ თვი-
სა და თვის თავზე ვარდი ამოდის
კლდის თავზე“. გამახსენდა ისიც, რო-
გორ სულ მეგონა ხოლმე სიცხიანს,
რომ ეს მთვარე ერთხელაც ჩემს ფან-
ჯარაში შემოვიღოდა და გავარარებულ
შუბლზე გრილად დამედებოდა. მანამ-
დე კი, ვიდრე დაწვევბოდი, ფანჯრის
რაფაზე გადახრილმა გეორგინების მო-
მწარო სურნელში პატარა დათვის თა-
ნავარსკვლავედს ვუყურე დიდხანს. და
ვხედავდი დახრილ კისერს, ნაზად ამო-
წეულ მალებს, კისრის ღარს, ხალების
ხომლსა და აქეთ-იქით გადაყრილ თმას.

მერე ჩამეძინა და მესიზმრა: რაღაც
ყვითელი გორის ძირას ვდგავარ. ზე-
მოდან ბილიკი ეშვება. გორის თავზე
ერთ მხარეს საყდრის თუ ციხის ნანგ-
რეგები მოჩანს, მეორე მხარეს კი გა-
ურკვეველი ფორმის უსიამოვნო შე-
ნობა. უცებ ბილიკზე ქალი ეშვება, ხე-
ლში თუნგი უჭირავს, მოვარდისფრო
კაბა შემოფლეთია, გულისპირი გაღე-
ლილი აქვს. მერცხია... და ტირის... მე
ვითომ ვიცი, რომ მკვდარია, მაგრამ არ
ვიმჩნევ, რომ არ ეწყინოს... ტირის,
ხელს ზემოთ იშვერს იმ უცნაური შე-
ნობისკენ და ამბობს: „ნახე, ისინი მე-
უბნებიან, შენ მაინც მკვდარი ხარ,
წყალი რაღად გინდაო და არ მიშვე-
ბენ, რომ თუნგი ავაგსო...“ გული მე-
წურება. მერე ვცოფვდები: „მაგათ ხო
არ უნდათ, ცხვირპირი ამოვუნაყო!“
იციანის. ცრემლები ბრწყინავს. ამ
დროს ვამჩნევ: ძუძუსთავები დახეთქი-
ლი აქვს და ნაპრალებს მომწვანო-ყვი-

ნაირა ველაშვილი

„ამბრნი, უმბრნი და არაბანი...“



თელი ფერი დაჰკრავს... ვითომ ვიცი, რომ ბალახი უნდა ამოიზარდოს. „მერცი“, — ვეუბნები და გულისპირს ვუკრავ, რომ არ ვუყურო ამ საშინელეზბას, მაგრამ მერე მრცხვენია: კაბის ქვეშ ხომ მაინც მოედება ბალახი. ისევ ვუხსნი. ვეზვევი, თუმცა ცოტა მეშინია და ძირს ვეშვებით... სადღაც, გამჭვირვალე ტბაში. წყლით ვბან სახეს, მზრებს, მკერდს... ვეზვევი... ვიძირებით. ტანი უთბება და ბედნიერი სახით ამბობს: „იმათ კიდე ევონათ...“ თან ზუსტად ვიცი, ვინც არიან „ისინა“... თითქოს ერთმანეთში ვართ გადაღვრილები, ვეღარ ვარჩევ, სად ჩემი სხეულია და სად მისი. ღია თვალებით ერთმანეთზე ვართ მიკრულნი და რაღაც უცნაურ, მოლივლივე წრეებს ვხედავთ... თითქოს თვალის გუგებით ვკოცნით ერთმანეთს. და ირგვლივ წყალი, წყალი.

მგონი მთელ ღამეს გრძელდებოდა ეს სიზმარი. მოთენთილმა გავიღვიძე. რაღაც ხალისი და სიხარული მომყვებოდა. მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მართლა ბოლომდე განმეცადე ყველაფერი.

თითქმის ყოველ ღამე მესიზმრებოდა. ხშირად ვერც ვარჩევდი, სიზმარში ვიყავი, თუ უბრალოდ ვიწევი და ძლიან უცნაურად ვფიქრობდი. ყოველად აუხსნელ ბურუსში ამოყავი თავი. „მგონი გავიყდი“, — ხშირად ვეუბნებოდი ჩემს თავს. მაგრამ ტკბილი იყო ეს სიგიჟე და შვების მომტანი. თითქოს დაემშვიდდი.

ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო. რაღაც გამოსავალი უნდა ეპოვნა ჩემს მონატრებს და იმისა — უსაშველოსა და აუტანელს. ისე მენატრებოდა, განსაკუთრებით, მისი სიკვდილი რაც გავიგე, რომ ღამის იყო, სიმწრისაგან მიწა მექამა. მკვდარი ბევრად უფრო მეტად მიყვარდა და მსურდა...

და როცა ვფიქრობდი, ის როგორი მონატრებული წავიდა ამქვეყნიდან, როგორ მელოდა, უკვე სიკვდილის პი-

რას მყოფი... აღარ მივივრდა ეს სიზმარი, „გაიღვიძე, კუბო მარტო მარტო გვერდით მომიწოდე, ადგილი მისდორთავეს გვეყოფა“, ხშირად ვეუბნებოდი უხმოდ... იმ ხანებში რაღაც უცნაურ, მტანჯველ ლტოლვას განვიცდიდი მიწისაკენ, რაღაც თითქმის ფიზიკურ, ვნებიან სურვილს. სხვების პირით ნათქვამი — „მიწა“, „მკვდარი“, „სისხლი“ — კი ენით აუწერელ ტკივილს მაყენებდა. გული გამეჭიჭნებოდა ზოლმე. მეჩვენებოდა, რომ ძალიან ტლანქად და აგდებით ამბობდნენ ამ სიტყვებს. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი... საერთოდ, იმ ხანებში ბევრი უცნაურობა ხდებოდა ჩემში... რასაც ვერც ავხსნი და ვერც გადმოვცემ...

ძილში ვტიროდი ზოლმე და სველ ბალიშზე მეღვიძებოდა. ვტიროდი მისი ნაჩუქარი ცრემლებით და მაშინ პირველად გამოვუტყუდი ჩემს თავს ყველაფერში: ქალაქში იმიტომ აღარ ვნახე, რომ მეშინოდა, ჯერ მისი მეშინოდა და მერე ქალაქს. მთელი ჩემი ცხოვრება შიშმა შექმნა და შიში წარმართავდა მას. ყველაფერს გავექციე, რაც კი რაიმეს ითხოვდა ჩემგან. ყველაფერს ვუღალატე და ხელიდან გამოვეცალე. თან თავი დავიკრძალე, რომ არავის არ ვჭირდებოდი. მარცხის შიშით ხელი არაფერს დავაკარე... ყველაფერი დიდი და ნამდვილი მალიზიანებდა და არ მინდოდა... არ მსურდა მოვალე ვყოფილიყავი და პასუხისმგებელი რაიმეს წინაშე... რისი გაგებაც ვერ შევძელი, იმისი არსებობა საერთოდ უარყავი. ისეთი ქალი შევირთე, რომელიც არ მიყვარდა, მაგრამ რომელსაც (დარწმუნებული ვიყავი) ვუყვარდი, რადგან ასე უფრო ადვილი იყო. თავი დავიკრძალე, რომ უსურვილოდ ცხოვრება უსაფრთხოდ ცხოვრებას ნიშნავდა. დაუძაბავად მინდოდა ყოფნა. არაფერი არ მიტვირთია თანშეზრდილი ჩლუნგი შიშის გამო — რომ მაინც არა-




ფერი გამოვიდოდა. მერცხის ზეცა-რიელი დაეუხვდი, რის გამოც ისევ მასზე ვბრაზობდი. მინდოდა დამესაჯა (როცა უღმობლად ვიხსენებდი, გულში როგორ ვავალდებულებდი, ჩემი მაღლიერი ყოფილიყო, რომ ის, მიუხედავად მისი „წარსულისა“, მაინც მიყვარდა. მაგრამ ამაზე ღრმად, შეუცნობლად მტანჯავდა ჩემი ფარული აღიარება: რომ ის შინაგანი კანონით ცხოვრობდა, მე კი ეს ვერასოდეს გაგებდე და ვერც გაგებდავდი). მისი გამოჩენით ყველაფერს თავისი სახელი ერქმეოდა. მასთან როგორი ურთიერთობაც არ უნდა დამემყარებინა, მაინც დამნაშავე ვიქნებოდი. უკვე დამნაშავე ვიყავი, როცა შემხვდა. სიმართლის თავი აღარა მქონდა, უკვე ვერასდროს ველარ შევხვებოდი სწორად ცხოვრებას... ალბათ იმიტომ იყო, რომ არც ერთხელ არ მიკითხავს მისამართი, მაშინაც კი არა, როცა მის გარდა, აღარაფერი აღარ მახსოვდა. ნეტავ რას ფიქრობდა ამის გამო?

რა საშინელება იყო, ღმერთო ჩემო, როცა ვიხსენებდი (ყველაზე მეტად სწორედ ამ ფიქრს ვჩქმალავდი), რომ როცა პირველად გახდა ავად, შარშან ზაფხულს, მაშინ იდასთან ვიწეკი და იმას ვეალერსებოდი და, როცა მოკვდა და მარტო იწვა ბნელ ოთახში — ჩემს ცოლს. რისთვის შემხვდა? იმისათვის რომ ეს გამეგო? კარგად გამეგო, როგორ ვკარგავდით ერთმანეთს? როგორ ავციდით? ამისთვის შევხვდით ერთმანეთს რომ უცბად ჩამოფშვნილიყო ჩემი გასქელებული სულის კედლები და მე, გაშიშვლებულს დამეღრიალა? ზოგჯერ ისე ცხადი და გასაგები ზღებოდა რაღაც — რაღაც ჩემი და საერთოდ, მთელი ცხოვრების დაფარული აზრი და კანონი, — რომ ლამის ტვინი გადამწვოდა ამ მიგნების სიმკვეთრითა და სიმკაზით და მერე ისევ იბინდებოდა. ბნელი გამოქვაბულიდან გამობიჭებული ცხოველი პროექტორების ალყაში რომ აღმოჩნდეს უცებ, რა

მოუთვა: გაგიყდება და დადამბლავდე-

ბა. მეც რაღაც ასეთი განვიცადე, როცა ისევ და ისევ ვხედავდი: — რაღა მე დამემართა? რაღა მე? რითი დავიმსახურე ამხელა ბედნიერება და უბედურება? რაღა მე დამეკისრა ეს ჯვარი? — მისი სიტყვები გამახსენდა: „ბედისწერას ყველა კი არ აინტერესებს, სადა აქვს ამდენი დრო, ყველას აღზრდაზე და გამოწვრთნაზე იზრუნოს. ზოგს ერთხელაც კი არ შეხედავს სიკვდილამდე“. ეს მხიარულად და სიცილით თქვა და მაშინ ეს „ბედისწერა“ ჩვენი ქიმიის ლექტორს მივამსგავსე: ერთი ყოვლად ახირებული და დიდყურება კაცი იყო. მაღალი და ხმელ-ხმელი. ცხვირის კედლებში სულ სინათლე გასდიოდა: „სადა მაქვს მე ამდენი დრო, ამდენ რეგვენს ტვინი აფუშობდავო, ლექტორა, სხვათა შორის, მხოლოდ ოთხმოცდაათი წუთსაგან შედგება“, ასე ამბოდა ხოლმე და ვინც გამოუსწორებელ რეგვენად მიიჩნია, ბოლო მერხზე მიჰყარა და ზედაც აღარ უყურებდა. ეს მართლა ის ხალხი იყო, არაფერი რომ არ აინტერესებდა. მაგრამ ჩვენ, ვინც ნაკლებ რეგვენებად ჩაგვთვალა — სული გაგვიმწარა და ტყავი გაგვაძრო. ისეთ დროს დაგვატყდებოდა ხოლმე მეხვიით, როცა საქმე კარგად მიდისო, გვეგონა და უცებ ისეთ დროს გაგვიღიმებდა, საოცრად თბილად, როცა ამოცანების ამოხსნისას ყველა იმედი გადაწურული გვქონდა. გავიდა ხანი და ყველაზე დიდი ფასი ამ ღიმილს დაედო, რომელიც ჩვენზე რაღაც განსაკუთრებით მომწუსტავად მოქმედებდა, ალბათ იმიტომ რომ მის მიწისფერ და წაწვეტილ სახეზე ყოველთვის უცნაურად და მოულოდნელად ჩნდებოდა ზოლმე. ბოლოსდაბოლოს, გავუგეთ ამ კაცს და შევეჩვიეთ. საშინლად მძიმე ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ქიმია მართლა ბრწყინვალედ შეგ-

ნაირა ველაშვილი
„ამბრნი, შამბრნი და არაბანი...“



ვასწავლა, რამაც შემდეგში დიდად განსაზღვრა ჩემი სამსახურებრივი წარმატებანი. ისინი კი — ბოლო მერხის ხალხი — შუა სემესტრში სულ გაუშვა ლექციიდან, თუ გინდათ, სხვას ჩააბარეთო. იმათაც სხვას ჩააბარეს უწვალებლად. „KCN“-ს ვეძახდით. კალიუმის ციანიდს. როგორღაც ყური მოეკრა და ერთხელ ლექციაზე მოულოდნელად ჩაიცინა: „სხვათა შორის, შხამი მცირე დოზით წამალია, კარგი წამალი. ჰე; ჰე“. სწორედ ეს კაცი გამახსენდა: — „ლექცია, სხვათა შორის, მხოლოდ ოთხმოცდაათი წუთისაგან შედგება“, — და გამეცინა. მერციასაც ვუთხარი და მგონი ნახევარი საათი იცინა (ძალიან უყვარდა სიცილი).

არც მე ვაინტერესებდი ვანგებას აქამდე: მიდიოდა ჩემი ცხოვრება მღორედ. ან ეგებ ნელ-ნელა მივლიდა გარს და წრე სულ უფრო ვიწროვდებოდა? არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ახლა აშკარა იყო — ბედისწერამ ჩემთვის მოიცალა და საფუძვლიანადაც მოიცალა.

თან ამას რომ ვფიქრობდი, ერთი ექვი მიღრღნიდა გულს, ექვი კი არა, დაშვება: „ახლა, როცა მთელი ქვეყანა ზურგი შევაკრე და მხოლოდ მერცია მინდოდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოკვდა, აღარ იყო, შეუძლებელი და მიუწვდომელი გახდა. მაგრამ ცოცხალი რომ დარჩენილიყო და კარგად ვყოფილიყავით, ალბათ ბოლოს მაინც მთელ ქვეყანას გაეუწევდი ანგარიშს და ყველაზე ადვილად ისევ მერციას გავიმეტებდი, როგორც რაღაც უკანონოს, საშიშსა და ზედმეტს... მერცია რომ მოკვდა, ჩემი ცოლის მიმართ ყოველად აუტანელმა გაღიზიანებამ და ბრავზმა შემიპყრო, მაგრამ ჩემი ცოლი რომ მომკვდარიყო... ასე არა, მაგრამ ალბათ მაინც მერციას დავადანაშაულებდი და ახლა მის მიმართ გავღიზიანდებოდი... ან ეგებ ყველაფერი ისე ზღდება, როგორც უნდა მოხდეს?.. ამ ფიქრებისაგან გონება ამერია: „ღმე-

როთ, შენ გვიშველე“, — ვთქვი, ზამაღლა, აღარ მესმოდა, ვინ ვიყავი, სად ვიყავი და რა მეპარებოდა... მაგრამ რატომ მექცეოდნენ ახლა ასე ლომობერად ძილის ქვეყანაში? ნუთუ მხოლოდ ის მესიზმრებოდა, რაც მინდოდა, რომ ყოფილიყო? ზოგჯერ კი ის, რაც მინდოდა, რომ არ ყოფილიყო? და ასე, ნუთუ ყოველთვის ჩემს სურვილთან მქონდა საქმე და არასოდეს სინამდვილესთან?

მე და მამაჩემმა ჩვენი გადაქცეული ღობე წამოვაყენეთ. ვისხედით ხოლმე ჩვენი სახლის ძველ კიბეზე, ზამაღბლა ვსაუბრობდით და ვეფიცებოდით შემოდგომის ღბილ მხეს, რომლის ფასიც ალბათ ყველაზე უფრო ნაავადართ, მოხუცებსა და დაღლილებს ესმით. თბილი, კრიალა ჰაერი ზედ დაგვიდოდა. რაღაცნაირი სიჩუმე იდგა — შორიდან მოღწეული, ძლივს გასაგონი ზუზუნის ერთვოდა. ნელა ჩუმდებოდა სიყვითლესა და ძილში მიმავალი სოფელი. ზოგჯერ ჩიტი შემოაჭედებოდა ჩვენს წინ ხის ტოტზე და რაღაცას შემოგვძახებდა.

დედაჩემის საფლავეზე წავედი ერთაღ. ჰინჯარი ამოვიძარკვეთ და მერე ჩუმად ვისხედით მთელი საღამო.

— რა მოგივიდა, შვილო? — მკითხა ერთხელ მამაჩემმა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

— არაფერი, მამი, — ვუთხარი და მუხლზე ოდნავ დავკარი ხელი.

ეკ, მერცი! ერთი პატარაობისას დედაჩემი რომ მაქებდა ხოლმე, მაშინ მინდებოდა და მერე შენთან შეხვედრისას, კარგი კაცი რომ ვყოფილიყავი. სხვა დროს კი არ მინდოდა ან სულ ერთი იყო... რატომ, არ ვიცი, ეგებ იმიტომ, რომ თქვენ, ორივეს მართლა კარგი გეგონეთ და მჭეროდა თქვენი. ეგებ ამან მომანდომებინა შენთვის ბოლომდე ვყოფილიყავი, ყველაფერი მომეტანა, რადგან ცოტა ან ნახევარი ვერ ვიკალრე, ყველაფერი კი არ შემეძლო...

რა უბრალოდ ხდება ყველაფერი: ყველაფერს ხალისი სჭირდება და ყველაფერს ხალისი შეიძლება დაკარგოს კაცმა. ყველას მიმართ გულგრილი ვიყავი, სერიოზულად არავინ მაინტერესებდა, რალაც გულგარეთ ვცხოვრობდი, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ გულისხმიერებაც შემეძლო... თუკი ამისი ხალისი გამიჩნდებოდა...

შინ რომ დავბრუნდი, ჩემს ქალიშვილს ვთხოვე, დედამისის გვერდით დაწოლილიყო და მის ოთახში შეძინა ზოლმე. მერე დალი პრაქტიკაზე წავიდა...

ერთ დღით სამზარეულოში გავედღი დილაადრიაან. ჩემი ცოლი იჯდა და აუთოვებდა. მაგიდის კუთხეში სიგარეტის ნაშვით სავსე საფერფლე ყანყალებდა და ფერფლი ოდნავ ეყრებოდა თეთრეულს. თვალები შეშუპებული ჰქონდა და საფეთქლებზე საღებავგადაცლილი თმის ძირები უსიამოვნოდ მოუჩანდა... შემომხედა და საცოდავად გაიღიმა:

— წუხელ ისეთ კოშმარებს ვხედავდი... კინალამ გული გამისკდა... რამდენი წელია, სულ საშინელება მესიზმრება, ვილაც ბანჯგვლიანი კაცები მომდევდნენ და ენას მიყოფდნენ... შენთან შემოვედი, მაგრამ ისეთი ბედნიერი სახით ვეძინა, ვეღარ გაგაღვიძე... ალბათ კარგ სიზმარს ხედავდი...

მავედღი და თავზე გადავუსვი ზელი. მას სიზმარიც კი არა ჰქონდა.

P. S.

აბა ვინ დაიჯერებდა, რომ მის საოცარ სიახლოვეს ვგრძნობდი ზოლმე, განსაკუთრებით საღამოობით?

ფიქრი კი ისევ თავს მიხეთქავდა: იცოდა თუ არა? თუ იცოდა, რომ ავად იყო და მოკლე დღე ჰქონდა, რატომ ერთხელაც არ შეეცადა ჩემს შეკავებას? რატომ არ დამიძახა? მე ზომ გულში ამას ვნატრობდი, თვითონ მოსულიყო, რადგან მაშინ, ჩემი ჰკუთით,

იცოტა რამ დამბრალდებოდა: ხომ ყველთვის მზად მექნებოდა პასუხი: „მე ხომ არ მოვსულვარ...“ საერთოდ ჩემს ხანებში უშეღავათოდ ვფიქრობდი მზეზე.

ასე მოაღწია ოცდაცხრა სექტემბერმა. ჩემმა დაბადების დღემ. სამსახურში ჩვენს ოთახში ვიჯექი და ელგუჯამ დამიძახა, ვილაც ქალი გეტხბო. დერეფანში გავედი. სათვლიანი ახალგაზრდა ქალი კუშტი სახითა და სწრაფი ნაბიჯით ჩემკენ გამოემართა. არ მომსალმებია, ხელში ქალალღში გახეული რალაც ოთხკუთხა საგანი მომაჩეჩა და მომახალა:

— ეს მერციამ გამოგიგზავნათ.

კინალამ იქვე გადავედი გონს. ალბათ ჩემი სახის დანახვებზე საჭიროდ მიჩნია, დაემატებინა:

— საავადმყოფოში როცა იწვა, სიკვდილამდე სამი დღით აღრე, მთხოვა ეს სურათი ოცდაცხრა სექტემბერს თქვენთვის მომეტანა, — შებრუნდა და წავიდა.

გამოვერკვეე და გამოვეკიდე. თხუთმეტი წუთის შემდეგ პარკში ვისხედით. ის მეგობარი აღმოჩნდა, ვინც თავზე ადგა ბოლო დღეებში.

— იცოდა?

— იცოდა. რადგან არც ერთხელ არაფერი უკითხავს ექიმებისთვის. არც ჩემთან უხსენებია თავისი ავადმყოფობა. მე მგონი, შარშან პირველად რომ გახდა ცუდად, მაშინვე იცოდა. საავადმყოფოში რომ დავაწვინე, მომაგალზე აღარ ლაპარაკობდა.


— ღმერთო ჩემო, რატომ არ ვიცოდლი!

— როგორ გეცოდინებოდათ! თვითონ ხომ არ გეტყოდათ, მალე მოგვადეგები და მარტო ნუ დამტოვებთ! — სიძულვილით შემომხედა.

— მე მელოდებოდა, მაშინ, ქუჩაში?

ნაირა ვალაჴვილი

„ამბანი, უმბანი და არაბანი...“



— თქვენ გელოდებოდით. რაც ჩამოვიდა, სულ თქვენ გელოდებოდით ყველგან, ყოველთვის... ქუჩაში რომ განახათ, მესამე დღეს საავადმყოფოში დაწვა კიდევც... იქაც გელოდებოდით. სულ კარისკენ იყურებოდა.

— მე ხომ არ ვიცოდი...

— რას მეუბნებით! თქვენ ფიქრობთ, რომ მოლოდინი ასეთი ლოგიკურია? მხოლოდ მაშინ ელოდებიან, როცა შესაძლებელია მისვლა? გეტყობათ, არავის არასდროს არ ელოდებოდით... თორემ მიხვდებოდით... რომ ყველაზე მეტად მაშინ შეიძლება ელოდო ვინმეს, როცა მისი მოსვლა მართლა შეუძლებელია... თანაც ასეთ დროს, როცა კვდები.. ეს უკვე ნატურაა... თან რა ისეთი შეუძლებელი იყო თქვენი მოსვლა? არ შეიძლებოდა ერთხელაც გეკითხათ მისი აშკარა? იდა იქვე არ იყო თქვენთან? მე თქვენ გეძებდით დღე და ღამე... როცა მივხვდი, რომ საქმე ცუდად იყო, ვრეკავდი სამსახურში, თქვენს სახლში, იქაც ვიყავი, თქვენი ცოლის ნათესავთან... მის უჩუმი რად, რა ფქმა უნდა, მაგრამ ვერსად განახეთ.. მას სიცოცხლე აღარ უნდოდა... აღარ შეეძლო... აღარ ენახისებოდა.. ასე თქვა, უიმისოდ მაინც ვერ გავძლებო... აი, თუ ამ უსუ რვილობას გამოიცილებთ, ამ შეუძლებლობას, მაშინ უფლება გაქვთ, თქვათ, რომ მისი სიკვდილი გარდაუვალი იყო.. წინააღმდეგ შემთხვევაში გიკრძალავთ ამას. ვესმით? მე, მე გიკრძალავთ! მიჩვეული ხართ ყველაფერი „ობიექტურ მიზეზებს“ გადააბრალოთ! მე თქვენ სენტომენტალური და გიჟი არ გგეგონოთ! იმას არ ვამბობ, ოჯახი მიგეტოვებინათ და მერცხის ყელზე ჩამოჰკიდებოდით... მე... არ ვიცი, მე თვითონ არ ვიცი, როგორ უნდა იცხოვროს კაცმა... რა არის სწორი... მაგრამ ნუთუ არ შეიძლება რაღაცნაირად იგრძნო, რომ აღამიანს დღე დათვლილი აქვს? ნუთუ მაშინ, ქუჩაში

რომ გელოდებოდით, არაფერი, სულ არაფერი არ ეტყობოდა? შეს, ხომ შეიძლება უძლებელია! ნუთუ არ შეიძლება, მივატოვოთ ვინმე და ისე დავშორდით, რომ სიცოცხლის ხალისი არ დავუკარგოთ? მას... მას ხომ ყველაფერში ეჭვი შეეპარა... თქვენ ხომ გელვიძათ... მაშინ, იქ, კოშკში, როცა ის წამოვიდა? თვითონ წამოსცდა. მე თქვენ მძულხართ. და არასოდეს ვაპატიებთ! მაგრამ ეს მე. მე. ის თქვენზე გაბრაზებული არა ყოფილა. მას არ შეეძლო თქვენზე გაბრაზება. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის არაფერი უგრძობობინებია. ასე თქვა, სწორად იქცევა, ის სხვენს არა ჰგავს, გაორებას ვერ შეძლებს, ორ ქალთან ვერ იქნება, იმიტომ მიყვარსო. ისე ლაპარაკობდა, ბოლო დღეებში სულ თქვენზე ლაპარაკობდა... ისიც თქვა, არა, ეძინაო, ნამდვილად ეძინა, მე რომ წამოვედი, არ გაუგიაო... მაგრამ ეს ჩემთვის თქვა... ძალიან ამაყი იყო, თორემ იმას მოახერხებდა, რომ ცოტა ხანს მაინც ყოფილიყავით ერთად, სიკვდილამდე მაინც მიგეცილებინათ, თქვენი ხელიდან წასულიყო. აბა, ამაზე მაინც სომ არ ეტყოდით უარს? მისი თვალევი რომ მახსენდება, დმერთო ჩემო, ბოლოს მაინც სულ თვალეზად იქცა, სულ კარს იყო მიშტერებული, ყოველ გაღებაზე, ვიცი, გული უსკდებოდა. „რალაც მინდოდა მეთქვაო, — მითხრა. — რალაც მინდოდა მეთქვაო“. ადგები და ეტყვი, რა მოხდა, მერე-მეთქი. გაიციანა და არაფერი მიპასუხა. რალაც უნდოდა ეთქვა, ისე უნდოდა, რომ არ ვიცი... მე არ მითხრა... ბოლო წუთს, ყველანი გარეთ გავიდნენ, მე მოვეხვიე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ჩავძახე: „ნუ გეშინია, მერცხი, სინათლეში მიდიხარ-მეთქი“.

გამაყრყოლა. ისტერიულად ლაპარაკობდა. ხმა უწყდებოდა და ტიროდა. სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოცით გაწმინდა და მითხრა:



— არსოდეს არ გაბატებით! ნახეთ
 ეგ სურათი! სხვათა შორის, თქვენ არ
 იცით და ალბათ არც გაინტერესებთ:
 უნიჭიერესი მხატვარი მოკვდა.

აქ კიდევ ერთი თავზარი მიცდიდა:
 სურათზე გორა იყო გამოსახული. ბი-
 ლიკი ეშვებოდა. ზემოთ რალაც ნან-
 გრეები მოჩანდა. ბილიკზე კი ქალი
 მოვარდისფრო კაბაში. სქელში თუნ-
 ვით. ქვემოთ მდინარე. მაგრამ ეს
 ყველაფერი რძისფერ, რბილ ბურუს-
 ში იყო გახვეული, ხაზი არსად ჩანდა
 და ვერ გაიგებდი, როგორ იქმნებოდა
 მონახაზი. ნისლოვანი ფერები ერთმა-
 ნეთში გადადიოდა, ყოველი ფერი
 ორმაგი და სამმაგი დაბურთული ელ-
 ფერისაგან შედგებოდა, არსად იყო
 ერთნიშნა ტონი. საღდაც მთის ფერ-
 მერთალი ყაყაჩო თრთოდა. სწორედ
 ისე, როგორც ჩემს სიზმარში.

— რა უნდა ეთქვა? — აღმომხდა
 გაუბედურებული ხმით.

— არ ვიცი! — თითქმის დამიყვირა
 მერცხის მეგობარმა. მერე წასასვლე-
 ლად მოემხადა.

ორივე ხელი დავუჭირე.
 — თქვენ არ იფიქროთ... მე ის მიყ-
 ვარდა... მე მიყვარს... თუ შეგიძლი-
 ათ, თუ როდესმე გაგივლთ ეს სი-
 ძულვლი, გემუდარებით, მეგობრები
 ვიყოთ...

— ვნახოთ, თუ გამივლის! — რალაც
 ბავშვურად, ქედმაღლურად გამოუვი-
 და და ორივეს ნაღვლიანად ჩაგვეცი-
 ნა.

— ასე თქვა... ძალიან ჯავრიანი გა-
 მოხედვა აქვს, თან, როცა იცინის, შუბ-
 ლი ექმუნება და თვალებში ჯავრი არ
 უჭრებო. გიყვებოდა თქვენს სიცილ-
 ზე. მართლა ასე იცინით. ნახვამდის.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ისევ მო-
 ტრიალდა და ხმის ცახცახით თქვა:

— მარტო მერცხის ვუყვარდი... სხვა
 ყველა სენტიმენტალურ და ანჩხლ ში-
 ნაბერად მთვლას... ჩვენ ერთად ვცხოვ-
 რობდით ჩემს ბინაში...

— სად?

გაჩუმდა. ყოყმანობდა, ეთქვა, თუ
 არა, მერე მითხრა:

— იქ არა, საღდაც მაშინ მიიყვანეთ,
 ტყუილი გითხრათ... უნდოდა, დიდ-
 ხანს გვევლოთ... — ისე გაჩუმდა. მე-
 რე თავისი მისამართი თქვა.

— ის წიგნი თქვენ ჭკირდებოდათ,
 მერცხია რომ ეძებდა?

უხმოდ დამიქნია თავი. მერე შეუნ-
 დობლად და ბრაზით დაუმატა:

— მე მძულს ის ცხოვრება, საღდაც
 სწორედ მერცხიაა ზედმეტი.

„მეც“, — დავეთანხმე გულში.
 წავიდა.

„რა უნდა ეთქვა, ღმერთო ჩემო,
 რა უნდა ეთქვა?“

„არ იცოდა“. მაინც ჭიუტად ვებლა-
 უქებოდი ამ აზრს. არ შემეძლო იმის
 დაშვება, რომ იცოდა და არაფერი მაგ-
 რძნობინა. ეს ფიქრი მანადგურებდა.
 მისი მეგობრის არგუმენტი სარწმუ-
 ნოდ არ მივიჩნე. ერთ დღეს რალაცამ
 გამიელვა თავში. მანამდეც რამდენჯე-
 რმე ამოტივტივდა ეს აზრი, მაგრამ გა-
 დაწყვეტილებად ვერ იქცა. იმ დღეს
 კი უცხად ვეცი ტელეფონს და კინოს-
 ტუდიაში დავრეკე ერთ ამხანაგთან.
 ცხადია, ნამდვილი მიზეზი არ მითქ-
 ვამს და რალაც მივიკბო-მოვიკბე. ვი-
 ციო, მითხრა. ის ფილმი თურმე მათ
 განყოფილებას გადაეღო. დავაზუსტებ
 და დავირეკავო. სამი დღის შემდეგ
 კინოსტუდიაში მივედი. დამონტაჟებუ-
 ლი არ არის, ისე გაჩვენებო.

— მარტო შატლი? — მკითხა, რო-
 ცა ფირებს არჩევდა.

— ჰო, ძირითადად — ვუბასუხე:
 ვერ მივხვდი: ფიქრით თუ ხმამალა.

ოთახი ჩაბნელდა. გამოჩნდა შატი-
 ლი. შორიდან. გული შემეკუმშა. მე-
 რე ახლოდან. სულმოუთქმელად ველო-
 დებოდი იმ ადგილს! აი! მე და მერ-
 ცხია. ცუდად გავხდი. იცინის და პირ-


ნაირა ვალაჰვილი
 „ამბრნი, უმბრნი და არაბნი...“

დაპირ სახეში მიყურებს მე — მაყურებელს. ეკრანზე კი ჩემს გვერდით დგას. ირგვლივ ხალხია. აქა-იქ ჩვენებსაც მოგკარი თვალი. სადღაც, შორიახლო ალათოც გამოჩნდა. ღიმილით გამოიხედა ჩვენკენ და ისევ მიიბრუნა თავი. მაშინ არ შემომჩნევია. მერე მდინარე. ხიდი. ცხენები. და უცბად ის ადგილი, სადაც მაშინ მერცია დავტოვე და წავედი. იმ წვერიან ოპერატორს მერეც ვადაუღია. მერცია ზის, თხელი, მოხრილი თითები ქვედა ტუჩზე ჩაუმჭკრივებია. და ვილაცას გასცქერის დაძაბული, სახეშეცვლილი. არ იცის, რომ უღებენ. მისი ასეთი გამოხედვა არც ერთხელ, არც ერთხელ არ შემომჩნევია. შუბლი ოდნავ შექმუხენია და რა დარდიანი, რა დარდიანი თვალები აქვს, ღმერთო ჩემო, თითქმის სასოწარკვეთილი. ასე შეიძლება მხოლოდ იმას შეხედო, რაც შენია, შენი უახლოესი, მაგრამ სამუდამოდ დაკარგული, მიუწვდომელი, შეუძლებელი და აკრძალული. ობიექტივი ნელა მიჰყვება მის მზერას, რომელიც ჩემს ზურგთან შეწყდა. ეს მე ვარ. მე მიყურებს. მე მივიღივარ. ერთ მხარეს იღა გამოჩნდა, მეორე მხარეს ის ცისფერთვალეობა, ამ წუთას სახელს ვეღარ ვიხსენებ, ერთ წამს შეგჩერდი და პირდაპირ წავედი. ჩემს ზურგს უკან ელგუჯამ ხელი წაჰკრა ბონდოს და ჩემკენ გამოაზნდა. ჩემკენ წამოვიდნენ... აი, თურმე როგორ მიყურებდა, როცა ვერ ვხედავდი. ისევ კოშკებისკენ მიმავალი ბილიკი. ჭინჭარი. ჭინჭარი, ჭინჭარი. ქვითკირის კედელი. ფართო პლანი. სიბი. ვარდისფერი ყაყაჩო კედლის ძირას. სარკმელი კედელში. ცა.

— მეტი აღარ გინდა? ახლა იქნება ანატორიის აკლდამები. მერე მუტო. ის არის, რაც არის. მარტო შატლი გინდოდა? გეჩქარება? მერე მოდი, როცა დავამონტაჟებთ. ბევრი ზედმეტი ადგილია. ამოვარდება.

„იციოდა. იციოდა. იციოდა!“ — მაშრილებდა თავში. მორჩა! იციოდა და გემშვიდობებოდა. პირველი წუთიდან! ყოველ წუთს. ბოლოს და ბოლოსაა მნიშვნელობა აქვს, იციოდა თუ არა როგორც ფაქტი! ზომ გრძნობდა! ზომ აშკარაა, რომ ყველაფერს გრძნობდა. ეს რა, ცოდნა არ არის? შენც ზომ არა გრძნობდი რაიმეს? ეგებ შენც რალაცას გეუბნებოდა გული? არა? აბა კარგად დაფიქრდი! როგორ, არც ერთხელ არ გაგიელვა, რომ ასე აფეთქებული ვნება სიკვდილს ძალიან იზიდავს? თითქმის ეძახის? ან მისი წინათგრძნობაა ხოლმე? წინათგრძნობა — რომ ცოტა დროლა დარჩა? რაღა ის ლექსი უთხარი მაშინ, კოშკებში? გახსოვს? „გაიღვიძე, გესმის, გაიღვიძე...“ კარგად გაიხსენე, რა გააფიქრე, როცა ის ლექსი ჩაათავე? რა? გახსოვს, როგორ მაშინვე დაიჭერე, იდამ რომ გითხრა: მოკვდა. ცა ჩამოგექცა. მაგრამ, გაგიკვირდა? თითქოს არ გაგიკვირდა. ეგებ ცოტა გინდოდა კიდეც, ისე, რომ შენც არ იციოდი? რას გაიგებ კაცის გულს — ბნელ მორევს? არა, ღმერთო, ეს უკვე მეტისმეტია. გადაჭარბებაა. უბრალოდ, ზედმეტს ვფიქრობ. ბოლომდე ვფიქრობ. შენ რომ არ იციოდი ბოლომდე ფიქრი? რამდენი რამ არ იცი, რომ იციოდე. ისიც კი არ იცი, რომ მკვდარსაც ებრძვი. მიუხედავად ყველაფრისა. მიუხედავად იმისა, რომ გიყვარს, ან სწორედ ამის გამო. აბა რას გაძლევდა იმის დამტკიცება, რომ არ იციოდა თავისი ავადმყოფობა? ვერ აგეტანა, რამ ამდენის ატანა შეძლო? იციოდა და არ მოგძებნა, არ დაგიძახა? შენ კი დარწმუნებული იყავი, უჩემოდ ვერ გაძლებსო, სადაც უნდა ვიყო, მომძებნის და მოვაო. აქი ვერც გაძლო.

...მაშ, ასე. არაფერს გიგრძნობდა გული? არა. არა. რანაირად უნდა მეგრძნო! რომ მეგრძნო, ერთი წამით რომ ეგ მეფიქრა... რას იზამდი? ეგებ სულ გადახვეწილიყავი და ვადა-



კარგულიყავი, ჩემო კარგო... შენ ხომ არ გიყვარდა მომაკვდავები და რთული ამბები ცხოვრებაში? იმას კი ეშინოდა... გახსოვს? „ადრე არ მეშინოდა სიკვდილის, ახლა კი მეშინია. ლამაზობით“. სად იყავი ამ დროს, შე უბედურო, ვის ღამეს ათბობდი? შენს ცოლს რომ ეხვეოდი, ან იმისთვის რა მიგქონდა სიცივის მეტი? მეყოფა. ეგ ნამდვილად არ ყოფილა — მისი სიკვდილი არ დამიშვია, არ დამიშვია. კარგი. კარგი. ეგრე იყოს.

შენ მივედი. ავიღე ის წიგნი, გავედო საფოსტო განყოფილებაში და მერცხას მეგობარს გავუგზავნე იქ, იმ სახლში, სადაც მერცხას ნახატები იყო, მისი წიგნები, ნივთები და კაბები ალბათ. ჯერ კიდევ წინ მქონდა ეს სახლი. როცა იქნებოდა, იქ მივიდოდი. მაგრამ ჯერ არაა. ჯერ არ შემეძლო...

ღამით გვიან დამეძინა. მძინავს და ვხედავ: ტირის: „ისინი მეუბნებიან, მაინც მკვდარი ხარ, წყალი რაღად გინდაო და თუნგს არ მავსებინებენ“, მერე ჯდება ქვაზე და მღერის: „აა-აა-აა-ა“. „ვის აძინებ, მერცი? „აი“. ხელზე პატარა, ერთი მტკაველა ბიჭი უწევს, წითელჯვრებიანი ჩოხა აცვია და ყაყაჩოს მტვრიანები აქვს წამწამებდა. „პატარა ლაზარე“. „ოჰ, სულ დამავიწყდა“ — ძალიან შეეწუხდი. ბავშვის სახეზე დავყურებ, ყვითელი ფერი აქვს. „ჩვენი შვილი“, — ვამბობ და ხელს ვუსვამ მუცელზე. „ღმერთო, ჩემო, რა მაგარია... და იშლება...“ თიხის ტაბი ებზარება, სახეც და პატარა ხელებიც ეფშვნება. თიხისა ყოფილა... მერცხა ტირის: „ისინი ქვებს ესროდნენ“. ფუჭქვეშ მიწა გვეცლება. წყალია, ლურჯ რქესავით წყალი. მერცხას ვბან, ლაზარე კი ვაჭარ... წყალში ჩაიშალა.. ისევ მინდორი... ბალახში ვსხედვართ დაბანილები. კენჭობანას ვთამაშობთ. მერცხამ აპყარა და შვიდი თეთრი კენჭი ხელის ზურგზე გაუშწკრავდა: „ე, პატარა დათვი!“, — ვიძახით ორივენი. „ლაზარე სად არის?“ —

ვკითხულობ უცბად. — „ააგეე“, — მერცხა ცისკენ იშვრას ხელს. ცაზე პატარა თეთრი ღრუბელი მიცურავს. მისი შვის ღიდი თვალებით. „იმათ კიდევ ევონათ...“ ამჯერად ვეკითხები: „ვინ არიან „ისინი“, მერცი?“ „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ — „რ“-ებმა ჩაიგრიანეს და მე შიშისაგან გაშაქრქოლა, მაგრამ შორს თითქოს ზანზალაკების წკრიალმა აავსო მინდორი. ბავშვებით ყოფილა საესე. იცინიან ამ სიტყვებზე, კვდებიან სიცილით. ყველაზე ხმაილალა ელენე იცინის. უამრავი თეთრი, პატარა კბილი კრიალებს. ისინი იცინიან. მე კი მაყრიალებს: „ამბრნი...“ მერე შიში მიჭრება.

ვიღვიძებ. რაღაც სიხარული მომეყვება, როგორც პატარა ღრუბლის ფთილა. დამესიზმრა, თუ უბრალოდ უცნაურად ვფიქრობდი? რატომ მიმსუბუქდება გული? რად მექცევიათ ასე მოწყალედ ძილის ქვეყანაში? ან რა ქვეყანაა ეს ქვეყანა ბოლოს და ბოლოს, დახურული ქუთუთოების მიღმა რომ იწყება, სადაც ჩვენი ცხოვრების მესამედს ვატარებთ? ნუთუ არც ისეთი გადასადგები კაცი ვარ? ეგებ ჩემი ულმობელი ფიქრით დავიმსახურე ცრემლი და შვება? ეგებ თუ ტანჯვა ბოლომდე მივა, გულის ფსკერის სულ ქვედა შრემდე, და მტანჯველი ფიქრიც ბოლომდე მოიცილის, მთლიანად დაიხარჯება ტანჯვის საგნისთვის — ამის შემდეგ იწყება შვება? ნუთუ არის სადაც ღიდი, ღიდი ნათელი, რომელიც გვსჯის, გვწავს და მაინც არ ვემეტებით, ოღონდ ამ არგამეტებას ჩვენ ვეღარა ვგრძნობთ?

მერე ვფიქრობ რაღაც უაზრობას, რაც იმწუთას ძალიან ზუსტად ნაფიქრი მგონია: „რა კარგი იქნებოდა ცხოვრება, ღმერთო, ასეთი საშინელი რომ არ იყოს“.

მერე ვფიქრობ ღრმა და მშვიდი წუხილით, ნაღვლიანად შეგუებულები უბასუხობას: „რა უნდა გეთქვა, რა?“.

ვახტანგ ხარჩილავა

233

ვაშლის ხეების ხეივანში მიწეხარ გვერდით, როგორც ზაფხულის თბილი მდინარე. ცოტახანს მაინც დააყოვნე ჩემს ნაპირებთან და ნუ წახვალ, მკლავებიდან ნუ დამისხლტები.

გზად მიმავალი მახსოვხარ მუდამ; ერთხელ მშვიდი და გარინდულიც დაგიმახსოვრო.

ევა! მე ვხედავ, როგორ ეშვები ციდან და სახლში როგორ ბრუნდები, ისევე მღერიან წვიმის ექვნები, ნისლში ეხვევი და იფუთნები. სახლიდან ცამდე, ციდან სახლამდე გზას გოლგოთისას ხარ გაკიდული და გაძარცული შენი სახატე დგას მოწყენილი და დაბინდული.

სად იყავი? რომელ მინდორს არწყულებდი, ბალახებით და ფოთლებით რომ დაგსვრია ტანი.

საწოლია შენი კალაპოტი, ყოველდამ რომ თმებით მიგათრევ, ყოველდამ რომ გამწყვდევ მის არტახებში. საწოლია შენი კალაპოტი, რომ აღიდდები ხოლმე უეცრად და წასალეკად ემუქრები ქვეყნიერებას.

მზე დაწვა და მთვარე შობა...

სულ მიწისკენ რად მიიზნიქები, სულ მიწისკენ რად მიგაქვს სხეული, რომ გაიშოტო ზედ ნებივრად და დამიძახო.

სულ მიწისკენ რად მიიხრები, ეგ ხომ არ გაძლევს ძალას და ვნებას, ეგ ხომ არ გიბრძანებს, ეგ ხომ არ გავლებს მაცდუნო და ჩამკარგო შენში.

მყარია შენი სარეცელი — დედამიწის ოთხივე მხარეს ჩაყრილი აქვს მძლავრი ფესვები, და მიწისქვეშა წყაროები ასაზრდოებენ.

ევა! იმ წამებს, იმ გაღვებას მე ვერ ვიხსენებ ნათლად ვერასდროს, თითქოს იხსნება ზეცის კარები, სადაც როგორმე უნდა შევასწრო. მერე ჩვენ ვწევართ, სიზმარს უნათლესს გვიგზავნის ვილაც ჩვენს მშვედ მხარეში და იქვე, გვერდით, ჩვენს სასთუმალთან სულ ახლოს ღმერთის სუნთქვა ჩავგვისმის.

მიყვარხარ! განა რა დაგიშავე, შენ არ მიმაგდე შენს კალთასთან ერთგულ ძალღივიტ და ყმუილი რომ არ დამეწყო შენ არ მასწავლე, შენ არ შემიკოწიწე ირგვლივ გაბნეულ ბგერებისაგან ეს მტანჯველი სიტყვა „მიყვარხარ“.



რად არა გჯერა, რაც შენ თვითონ გამოიგონე.
მიყვარხარ!

უყვარს ბუტკოს ბუტკო, ყვავილს ყვავილი? გაზაფხუ-
ლისას რომ ამქვენდება ბუნება ხოლმე და დააყრის
ვნება კვირტებად, იცის რას ჰქვია სიყვარული?

რა ძალა ზნეჟს ტოტს ტოტისაკენ, რა ერეკება თვე-
ზებს აღმა, მდინარეების სათავეებისკენ, რომ იქ დაყა-
რონ ქვირითი და მოითქვან სული. ვინ არის იგი — ჩვე-
ნი ღიადი მაჰანკალი ჩვენს შორის რომ მიმოდის მულამ,
რომ ერთმანეთთან დაგვაწყვილოს და შეგვაერთოს.

მხოლოდ ორნი ვართ ამ ქვეყანაზე, მულამ ორნი ვართ
ამ უღაბნოში და მაინც ველარ მოვრიგებულვართ, ვერ
გაგვიყვია ჩვენ ეს მამული!

გაიხსენე ჩვენი წარსული! შენ არ ამიხილე პირვე-
ლად თვალი? მხოლოდ სიცოცხლე ვიცოდი მაშინ, შენ
კი სიკვდილიც მასწავლე, ევა.

უბედური ჩვენი ბავშვები, დედა რომ უყვართ და
არ იციან რა ტანჯვისათვის გაიმეტეს მაგ შენმა ღებმა,
როდესაც შობეს.

ამ ხეებს თუ ჰყავთ ნეტავ დედები, ამ ნაკადულებს თუ
ჰყავთ დედები, ეს ბალახები ვის სხეულზე ამოზიბინ-
და? რად გაუშვიათ უმეთვალყუროდ, არ ეცოდებათ
უპატრონოდ მიტოვებულნი?

მითხარ, ვინ არის დამნაშავე ჩვენი შვილები ერთ-
მანეთს მტრად რომ გადაეკიდნენ და ერთმანეთის სისხ-
ლში ამოთხვრილ ხელებით წერენ სატრფოს ბარათებს.
ევა! დავბრუნდეთ!

ნუ მოველით პასუხს იქიდან, ნურც ნუგეშს ველით,
ნურც შებრალებას, დავბრუნდეთ სახლში და ნუ ვი-
კითხავთ ვისთვის ან რისთვის ესე წვალება.

ნათდება უკვე!

გამოარიდა მზემ განთიადი ღამის გაღაფანს. მე წა-
ვალ, მაგრამ საით წავიდე, სადაც შენ არ ხარ, იქ მეც
არა ვარ.

გამოიღვიძე!

ბავშვი ატირდა გადარჩენილი ღამეს უვნებლად, ის
დედამიწის ცისფერ აკვნიდან ხელებს გიწვდის და გიჭ-
ლურტულება.

ბავშვი!

ის განსჯის, ის გვეტყვის ყოველს, ის მოგვიძიებს და
მოგვიკითხავს.

შენ დგები!

ასე ჩამოდგამს ხოლმე ფეხს განთიადი ზეცის კი-
დიდან.

მიწაზე ვცხოვრობთ, ცაში ჩანან ჩვენი ლანდები, დაგვრჩა ფრთებიც, ძირს სხეული ჩამოგვყვა მხოლოდ. ასხლექტილნი ვართ შორეული ვარსკვლავებიდან და შემთხვევით ვართ ამ სოფელში ჩამოვარდნილნი.

ტბაშია ახლა ჩაფენილი ქვეყნიერება, ხე და ღრუბელი, კლდე და ვარსკვლავი, ხიდი და მთვარე ერთად სახლობენ. მათ შუა ვზივარ და ვიხვეწები: განთიადამდე თქვენთან მამყოფეთ. ისევ გადადის შუქი შუქიდან, ფიქრი ფიქრიდან, წყევლა წყევლიდან, რაც არ იცოდნენ და რაც უკვირდათ, რაც მოგვეახლა და განგვერიდა, მოედინება რაც წარსულიდან და მერე რაიც მიდის მერმისთან.

მე ჩემი თავი ვიხილე ერთხელ შენს მხერაში და შევძრწუნდი მაშინ: ალბათ შენს თვალებში უნდა გამომეგლო, რომ დამენახა მკაცრი სიმართლე და საკუთარ თავს შერცხვენილი დაგბრუნებოდი.

მილიონ კაცში გამოვლილი სისხლი მიდგას, მილიონი კაცის ვნებით გამორეცხილი სიტყვებით გესაუბრები და მაინც თავი ერთადერთი და პირველი მგონია ხოლმე... ჩვენ რომ არ გვახსოვს, იმის იქით როგორ ვცხოვრობდით, ჩვენ რომ ვერ ვხედავთ იმის იქით რა წარმტაცი სივრცეებია გადაშლილი.

ხმიანებს ჰანგი მოსული შენგან, წკრიალა, როგორც ხმები ისხარის, ვისი რისხვია ეს მღვრიე დელგმა, რას მიგვანიშნებს ეს ქარიშხალი.

საიდან მოდის შუქის მდინარე, რომელიც მერე გაიშლება უამრავ სხივად, ქრება, ინთება და ისევ ქრება, გროვდება ერთად და კვლავ იშლება, რომ ვარსკვლავებად და ყვავილებად მოედოს მერე ცასა და ველებს.

მახსოვს, დილისკენ როცა მოვბოდი, გზას როცა ვადექ გუბეების ფოთლით მოფოთლილს, შენ მედექ თვალწინ და კიდევ ის, ვინც უკან დარჩა, ვინც დამაბარა და ვინც მთხოვა რომ წინ მეარა. თქვენ ორშუა დავდივარ ახლა, აქეთ და იქეთ დავდივარ ახლა, მივალ და ისევ უკან ვბრუნდები, ვით არეკლილი სარკიდან სხივი.

ხოლო უამი დის შეუჩერებლად, სხვა ქარავანიც მიპყვა ქარავანს, „—შვილო, ყვავილებს ფეხს ნუ დაადგამ, მათი სულია, ვინც აქ არაა“. მესმის ძახილი გზაზე მიმავალს და იმეორებს ძახილს ძახილი... გადაძახილით ივსება სივრცე, ხმებით ივსება სივრცე სახლივით. ამ სახლს არა აქვს თურმე სარკმელი, ამ სახლს არა აქვს თურმე კარები და ეჭახება ცის ჰერს ძახილი, მნათობებს შორის მოხეტიალე. ექოები ვართ ჩვენ ამ ძახილის, ექოს ექო და ექოს ნაწილი, შენ, პირველხმაო, თქვი, ასე შორს როგორ წახვედი, რომ ხმა ვერაფრით ვერ მოგაწვდინე.

გასძახის კაცი კაცს და ჩიტი ჩიტს, გასძახის ქარი ქარს და ზარი ზარს. იბრუნებს ისევ წუთისოფელი, კვლავ მობრუნდება ეს მზე გაისად. თოვლის ფთილა თუ კვნესა ქარისა, რაც ერთხელ მოხდა და რაც გაისმა, აწ არასოდეს დაიკარგება და იხშიანებს სამარადისოდ.

...როცა ჩემს ბარათს აიღებ ხელში მე არ ვიქნები ამ ქვეყანაზე. როცა ეს ჩემი სიყვარული მოვა შენამდე, მე არ ვიქნები ამ ქვეყანაზე, და შენ როდესაც შემიყვარებ, მე არ ვიქნები ამ ქვეყანაზე, მაგრამ ვილაცა ხომ იქნება სანაცვლოდ ჩემდა, ის განუგეშებს, ჩემს მაგიერ ის მოვა შენთან. ეს ისე, როგორც მე ამ წუთას ვილაცის ნაცვლად, მიყვარხარ ჩემად და გიმალავ ვინც ვარ და რაც ვარ.

...დედამიწის გაჩახჩახებულ სახლში ვდგევარ და ერთი-დაიგივეს ვიმეორებ: საიდან მოდის, საიდან მოდის, საიდან მოდის ეს ულევო შუქის შდინარე.



ლევან ფრუიძე

სახალსო დღესასწაული განასწავლი ჭირაქმისათვის

საქართველოში დღეს ყველამ იცის გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერემის სახელი და მისი მკვდრებით აღდგენის საეკიველი ამბავი.

ჭერემის სანახები კვლავ გამოცოცხლდა. ახლა იქაურობა ვებერთელა სამშენებლო მოედანს დამსგავსებია, ყვეს ძაღლი, ყვივის მამალი, რქეს საშუალო სკოლის წარი და არის სოფელი. მჭ კომლის კერა გაჩაღებულა, მალე გაასდება და გაათასდება.

ამასწინათ სახატო დავალება მივიღეთ — განახლებული ჭერემისათვის სახალსო დღესასწაული მოამზადეთო. ჭერ საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომს მივაკითხეთ, შემდეგ სოფელ ჭერემს ვესტუმრეთ. სოფელს სტუმარი არ უყვირს, თუმცა, როდესაც ჩვენი ჩამოსვლის მიზანი გაიგეს, სახეები გაუბადრათ და ცოტა არ იყოს ნიშნისმოგებით გვითხრეს:

— დაგავიანდათ, უშეცნიეროდ, უგაწეთოდ და უტელევიზოროდ გადავიხადეთოდ დღეობები. ჭერემელები აქედან გადაახალეს, მაგრამ არც ზედაზე, არც დღეობა არ მოუშლიათ. სხეული სადაც გინდ იქ იყოს, გონებით და სულით მაინც ჭერემში ვიყავითო. ღამით დაძინება იმიტომ გვიხაროდა, სიწმარში თითოეულ ჩვენგანს აქეთ მოუხაროდაო. ყოველ გვარს თავისი ზედაზე და სალოცავი აქვს: ჭაჭვამებისა კვირიკი — სოფლის თავში მცირე დარბაზული ეკლესია, სადაც საგვარეულო საზედაზე ჭვევრებია ჩაფლული, იქ თიბათვის ოცდაოთხში ჭაჭვამები უნდა შეიკრიბონ, საკლავი დაკლან, ადგილის დედას წმინდა სუფრა გაუწყონ, საზედაზე დვინით წინაპრებს შენდობა უთხრან.

წილსაუბრები გულამყარიდან მოხულან, პირიმის სახელზე ნიში გაუჩინათ და პატარა ეკლესია აუგიათ. ბარბაქაძეებმა კომანაობა იციან, ბურღულებმა — გიორგობა, გელაშვილებმა — თევდორობა...

გინდ გვაქეთ და გინდ დაგვიჩაბეთო, არცერთ ჭერემელს თავისი ზედაზე არ დაუბოლებია, ტყის ნადირთა ანაბარა არ დაუგდია, დათქული დღისათვის არ უღალატნია და აქ ამოსვლით მამაპაპური ვალი მოუხდია. ზედაზეებმა შეინახა ჭერემი, ზედაზეებმა შეინახა მთელი საქარეულო. ზედაზე ღმერთის მოგონილი როდია. ქართველმა კაცმა მოიფიქრა, რათა იმ ნიადაგს არ მოწყვეტოდა, სადაც მისი ფესვი გაღვივდა და გაიკვირტა. საზედაზე ღვინო მზის და მიწის მადლია — მეწერის ნაოფლარი. არცერთ ჭერემელს საზედაზე ჭვევრი არ გაუწირავს, ხელი არ უხლიათ, ადგილზევე დატოვენ და სწამდით, დაბრუნდებოდნენ.

თუ ზედაშეს მადლი მოიშლება, მის სამსახურს ოჯახი ვერ შესძლებს, საზედაზე ჭვევრა მოითხრება და საგვარეულო სალოცავ ტაძარში დაიდება როგორც უბედურების მრავლისმეტყველი მოწმე. მინახავს ტაძარში დადგმული ასეთი ჭვევრები და სევდა შემომწოლია. კიდევ კარგი, ჭერემელთა ზედაზეები მტკიცედ ზის მრავალჭირნახულ მიწაში.

ჭერემის თანამედროვე მოსახლეობა შედარებით ახალია (XIX ს. მეორე ნახევარი), საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან თავისთავად შემოკრებილი: დამხდურზე მეტი მოსული იყო, მაგრამ სოფელი ადგილობრივმა, „კახურმა“ ადათ-წესებმა შეკრა და ერთ სხეულად აქცია. ყველა მათგანი „გაკახელდა“. ზედაზეებმა აქაც გაღამწვევრი როლი შეასრულეს. ზედაზე გვარის ის საწმინდაოა, სადაც თავს იყრის ცხოვრებისეული მოვალეობანი — ოჯახის ღირსება-ვალდებულებიდან მოკიდებული, მამულიშვილობის ჩათვლით. მისი გაუბრალოება და წარსულის მავნე გადმონაშთად გამოცხადდება, დიხავს, დაუშვებელია. მართალია, ეს ფენომენი ნაკლებშესწავლილია, თუმცა არცერთ მკვლევარს ეჭვი არ ეპარება,



რომ ზედამე წინარეკრისტიანულ ჩვეულებათა ნაჭვარია. ქრისტიანობამ იგი იმდენად შევირდომა, რამდენადც ვერ მოსპო, მით უმეტეს, დღეს, ათეიზმის დროებით, ზედამეს არ უნდა ვებრძოლოთ. თანამედროვეობის შესაფერისად გარდასახული „ზედამეზე მისვლა“ ხომ წარმტადი დღესასწაული იქნება მათთვის, ვისაც წინაპართა ხსენება და სიყვარული შერჩინია.

დაი, მეცნიერებმა ჩამოხადონ მას რელიგიური საბურველი და ხალხის სახით, პირველქმნილობის სიწმინდით ხალხის დაუბრუნონ. დაი, ყოველი მშრომელი საქალაქო ზედამეზე მივიდეს და მამულიშვილური მოვალეობა იხე გაეღვიძოს, როგორც თანამედროვე ჰერემელებს.

— „ჩიხთვის ჩამოხვედით, ახალი დღესასწაული უნდა დაგვიწყნოთ?!“ — უღვაშებში ეცივნებათ ჰერემელებს, — წილს ყველიერში ჩვენში „ბერიკოი“ რო გენახათ, იმაზე უკეთესს რაბ მოიგონებთო და გვიამბობენ გატაცებით:

— „სოფელი რაღა იყოფა — ზემოურები და ქვემოურები, ასე იყო ძველად და ახლაც ასეა. ყველიერი რო ჩამოვდგე (მოქარავია, თებერვლის დამღევს უწევს), კვირა დღეს სტუმრებიც მოვლენ და სტუმრის სტუმრებიცა. ორ შაბათ დილით დღეობა იწყება და სწორის ორ შაბათამდე გასტანს“.

ერთი კვირა დღესასწაულოდენ, ოღონდ სულ სუფრასთან კი არ სხედან და თვრებიან, მაგორც ზოგიერთს პგონია, ისე ერთობიან, მაგასთან კინო და თეატრი რა მოსატანია. რაც მთავარია, სხვას კი არ უყურებს, თვითონ ხალხი ზეიმობს. ყველიერის ჩამოვდგომამდე საქონელებს ჩამოხამენ. „ჰო, დაგრეობენ წყნელებითა დიდროვან ხეებზედა, თოკითაცა, მამა. ქალაქში რო კარუსელდება, მაგნიარი „კარაიებიც“ დავმართეთ მუხის ბოძებზედა, ზედ მოძრავად უღელი გადავდევით, ორ-ორი საქანელა ჩამოვებით და, გიყვარდეს ცაში ფრიალი, „გზიტინი“; გოგო-ბიჭების წიოკობა და ტრეციალი, სახტრის ეზოში დახტის ჩაბმა და ჭიდაობა“.

— კაცო, რას მიედ-მოედები, მთავარი უთხარო, მთავარი“!

— „იი, რომელი? ბერიკოი?! ბერიკობასა ჰერ პატარები იწყებენ — ორშაბათ დილითა; ზემოურები ზემოთშია, აგრე საყდართან მოიყრიან თავსა, ქვემოურები ქვემოთშია, ხანახიროს რო ვეძახით, იჰა. მეორე დღეს უფრო მორადი

ბოლო ორშაბათს უფროსები დაადგამენ თავსა, ბერიკოში იქნება ჰარმაგიც გაეროს; რათა. თუ გული ერჩის, მუღლი უჭრის, რა უჭირს, არაფერი“!

— ბერიკა რამდენიაო? შვიდი ან ცხრა. სამი მესტერი და ერთი მედლოცი ახლავთ, სიკვდილსაც დავიწყებია, ერთიც მედროზე უძღვით — აღმათ ქალაქია (შინაქსოვი ახერხუმის თავსაფარი) უჭირავს“.

— „ტახი ვილას დაუტოვენი?“
 — „მაცალი, სული მომათქმენი, უტახით ბერიკობა ვის გაუგონია. ჩვენი ვით ბიჭს შეარჩევდენ — ლონიერს და ჩაქინდულს, ტახის ეშვებთან თავს მოხამდენ, მისავე ტყავს მოახამდენ. ბერიკებს თხის გადაბრუნებული ტყავები ეცვათ, რკებიც ეცთავს რავი აბა, თხა ეშმაკია და ბერიკოც მისი კერძია“.

— „წინ მედროზე მიდიოდა, ქალაქიას ფრიალითა, მერე ტახის კლაპუნით არეული ბერიკები, ბოლოს დამკვრელები მიფრატუნობდენ. წიოდენ სტიკები და ოხრავდა დოლი“.

— „ასე შემოვივლიან მთელ სოფელსა, არც ერთ სახლს არ დატოვებენ, სიმღერა შეძახილებითა და ცეკვა-ბუქითი შევლენ ეზოებშიდა. მათი არჩევია დღინო, არაუი, ნამცხვარი, ქათამი. ჭედილაც კი. ვაი მისი ბრალი, ვინც იძუნებდა მარბიელად ბედელ-მარანში შეუხტებოდენ. იტვირთებოდენ მებარგულები, ხანდახანა ურემიც დაულოდათ“.

— „ტახის დატირებია?“


— „მაცალი, კაცო, ვიტყვი. ბერიკებს ტახი არ უსვენებს, საშუელს არ აძლევს, გაბეზრდებიან ისინიცა, მისცვივდებიან ტანუნქასა და წამოაქცივენ, კვტარივით გააკრავენ მიწაზედა, ხელ-ფეხს აღარ გაანძრვივებენ. ბერიკები ჰირისუფალი ქალებივით მიუსხდებიან, ატხავენ ხმით ტირილსა, ზოგი კივის, ზოგი წივის. თაქ პირში იცემენ, ვითომ სახესაც იკაწრავენ — ეგ რა დავგებართა, რა ტახი მოვკვდილა. ერთი ბერიკო ყველას გაჩერებს და ჰკვირვის მაგორად დაუთვლის-დაუქვითინებს, იმისთანა მოუნათლავ უწმანურობა-უბერიობას გამოხოს, ხალხი სიცილით იგულდება. უიშე, არა ქა, იმას რა მათქმვივებს“.

— „დაგრჩა რამეი?“

— „ჩერე შუა ტყავებში ვარ. სოფლის შუაგულში სახტართან, ხანავარდით წახული ბერიკები ერთიმეორებს რო დალანდავენ, დაშორიშორებულად დაწყვიტდებიან: მედროზე მედროშეს მიტენებთ, ტახი ტახს, ბერიკო ბერიკოს. ტყავებს გადაყრიან და ისე ჭიდაობენ, ჭიდაობენ თავდაულოგავადა, ზურნა-დოლი ხომ ცის და დედამიწას სძრავს. ხალხი იმდენია, ჩოლოყაშვილის ცხვრის ფარა გეგონება. წამგები და მომგები სოფელში მონაგართა დამიმთვე ქვიფობენ“.

უენობა? სულ ბოლოსა. ყველიერი ჩინავლებდა და სწორის ორშაბათს თითო ჩანაან ბერიკოს ეყენად შემოსავენ, ვითომ სანფეო ტახისამოსს ჩააკვამენ, მამლის, ინდოურის და ხატის ფრთებით მორთულ ჭილას დაახურავენ. უეი-

ლემან ფრუმიძე
 სხასლსი დღესასწაული ბანახლებული
 შირემისასთისი



ნის წინ გაძლიერდა და გამახსრებია ერთხელ კიდევ შემოვივლიდნენ სოფელსა, სახოლოთა ყენი ყენის ებოდებოდა და ყენიზაც ამით დასრულდებოდა. ეს არის და ესა, ხომ ვილაპარაკებ უბების მოქცევამდინა“.

ყველერის ბერეკაობა ჭერემში ყველაზე დიდი დღეობაა. აქ მაშინ მთელი ახლო და შორეული სოფლების მოსახლეობა იყრიდა თავს. იცოდნენ კიდევ თელეთობა — ამაღლებას ემთხვეოდა, წმინდა ელიაზე იყო შეთქმული. უსათოდ ერთი თხა და ერთი ცხვარი დაიკვლებოდა, სოფელი საღმრთოზე დაქდებოდა. ხეტყვის თაობაზე ჰქონდათ შეთქმული, შვიდა მასობაც საღმრთო იყო. სრულდებოდა აგრეთვე უძველესი ჩვეულებანი: ღაზარობა, ჭერემის ზევი ქალები ჩაჩას ჩაიტანდნენ და წყალს მოხნავდნენ... ერთი სიტყვით, ნუ იფიქრებენ ეთნოგრაფები, რომ ჭერემი ახალი სოფელია და იქ საჩვენოს ვერაფერს მოვიძევოთ. ახლა მოღებებებსა და მოშინებებს აღარ იკითხავთ, ბერი და ქაბულო ოცდაათამდე მგოსანი ჩამოგვითვალენ, მოზღაპრე და მოარაკე ხომ ყველა ჭერემელია. ისეთ ფრთიან სიტყვას გესვრიან, პასუხს ვერ მოუბერებენ.

— „ი ვახუშტიმ და აღიქსაიმ ფეხით დაბლოტეს იმიერი და ამიერი, ჭერემს კი ვეღარ მოგნეს, კვლავ ნახოფლარი ზომ არ გონიათ?!“

— ამოვლენ, ამოვლენ!
— „თუ არ გვესტუმრებთან კარგად იყონ, ვინც ტელევიზორში არ გამოხსოდა, ვერ არი ცოცხალი? ეჰ, ჩემო შვილო, დროსტარებასა დიხაც მოუვლით, მაგრამა გულიგულ საწუხარი ახლა ისაა, სოფელი სოფელს რო ვავდეს. ყველა თუ გაქალაქედლა, საქმე, რომელიც მინისტრსა და მენახირეს ერთნაირად ჰირდება, ვინდამ აკეთოს?!“.

სწორი ბრძანებაა. ჭერემში ყველა გარდასული სიტყვით უნდა დაიბრუნოს, მაშაპაპურად გადავლათიანდეს და გაბარაქიანდეს. მაინც რამდენი საუნჯე ჰქონდა ამ დალოცვილ სოფელს: ხარ-ძროხა და ცხვარი ურიცხვი, ღორი ქონმანად (სახუქად გაშვებული), სულადი (ჭირნახული) იმდენი, სამამულო ომის მძიმე წლებში გარეკახეთი, მარტყოფ-სოფელი აქედან იბრუნებდა სულს. ხეილი და ვენახი ძალიან გვარობდა, ნავუფარი და ხოდაბუნი ხომ ზღვად სედებოდა. ახლა ტყის გასადევარს აღარ იკითხავთ?! გარეულ ხილს ღორის კოლტი ვერ ერეოდა, რა მოღვედა პანტას; მაქალოს, ზღმარტლს, შვინდს, რკოს, თიხლს, კაკალს... რამდენია ღანძილი, სატაცური, არჩაკელი, ჭინჭარი, სოკო...

აქაურ ჩურჩხელას და თონეში გამოყვანილ ჩამიხს რა შეედრებოდა. ჭვის ხელად გინდა თუ ხისა, ჭერემული იყო სახელგანთქმული. იქ ნაკეთები ვარცდებით, ნავეებით, ხონებით, ტაბაკებით, ჯამ-პურკლით, სახმისებით, ჭვიჩა-რ-

დინებით, ავეჯით, სვიტრ-ამბრებით, კეჩრებით, ნიჩბებით, ორთითებით, რომელიც ერთი ჩამოვთვლო, მორწყული იყო მთელი კახეთი.


ისეთი ნავი ითლდებოდა, შიგა ათი გოდორს ყურძენი დაწურებოდა, მაშა, ასე ტონასა აღაჟაფერი დააკლდებოდა“.

— „ჰმ, გოდრების, კალათების, ღასტებისა და მაგისთანეების წენაში ჩვენებურს ვინ მიუღებოდა. ზო, ზო, ტყჩითაც — აწკალითაც ვიცოდით და დაუხლენავი წნელითაცა. კალათი უფრო აწკალიხა იყო, გოდორი წნელითა. ხელკალათი მომცროა, სიმინდიკალათი მაღალია, გოდრულია ზურგზემოსაკიდებელია. ავაშენოთ ღმერთმა, რაღა არ გამახსენეთ! რაო, ჭვის ნაკეთობანიო? იმ კურთხულ ჭერმისხევეში ჩის გამოსადეგ ქვას არ ნახავდი. ჭერმული წისკვილის ქვები თბილისს უწევდა. ახლა პირასაწყობი და სალესი ჩარხები? იმითა ფხას აქლევდა გამჭრელ რინასა, ყველა მჭედელს და მუშაკის აქაური ნახელავი მიჰქონდა. ჩვენებური ჭვერსაფარებულად ხომ საწყალი რამე იყო, ღვინოს გემოს უკეთებდა, ბაზრამდე მიტანას ვინ გვაცვლიდა, ხელიდან გვტაცებდნენ. საფლავის ქვები ხომ საკუთარი თვალით ნახეთ და ქებას აღარ მოყვებო. იცოდნენ ასეთი ხუმრობა: „ვისაც გულზე ჭერემულ ქვას დაადებენ, სიკვდილი არ უწერიან“. აქაური ნახელავ-ნაოსტატარი ქვა ამკობდა შიგნი და გარე კახეთში ბევრი დამაშვრალის საფლავსა“.

— „რაო ქსოვიო? ჩვენი ქალების მოგონილი იყო, გოგო ცამეტი წლისა გახდებოდა. ხელიდან უკვე ყველაფერი გამოუდიოდა. ჭერმული ნიხი, ფარდაგი, წინდა, შალი, ხურჩინები, საცალოები (ნართის დიდრონი ტომრები) მტერს თვალს დაუყენებდა. მე უნე გიტპვი, საყურებლად არ მოვეწონებოდა. ისეთი ჭრელი, ბორჯალა, თევზიფხური და შატიშუტი მიუყვებოდა, ვარსკვლავებით მოქედლილი ცა გიგონებოდა.“

წისკვილებიო? რამდენიც გინდა; ქვა ადგილზე გვქონდა და ხე-ტყე. მოხილეებიც ხელმართი გვეყავდა, ჭერმული ხელოსანი რომ წისკვილს გააწყობდა, მის ნახვას და სმენას არაფერი ჯობდა, ხვარებილად ფქვავდა და მტრედივით ღულეულნობდა, აბრემულიწვილი ფქვილი იცოდა. ახლანდელ ელექტრონის წისკვილს კი არ გავადა, ზეთის რო უპარგავს ფქვილს და გემოს აცვლის.

შე კი ვინღო, წისკვილი რა არი, სახლები იკითხე, ვიდ დხისა და გინდ ქვისა; ისეთ ბედლებს შევკრავდით, თავი კულდს ვერ გაიტანდა. ნალია, გომი, საღორე, საქათმე რაღა სალაპარაკოა. სოფელს თავისი ზეთსახელი (ჩვენებური) მწესუმწირა ხომ საუკეთესოა, აგერ — კრამიტის ქარხანა, ხე-ტყის სახერხი ჰქონდა. ყველაფერს ჭერმის წყალი ამუშავებდა. ახლა დინი რო გამოირთვება, ვართ გულხელდაკრფილი;



თუმცა ჭრჭრობით სოფელს არცერთი საწარმო არ გააჩნია. მე თუ ვინმე მკითხავს, იმ ძველ უაღრესად აუღადგენდი უველაფერს, სასარგებლოც იქნებოდა და გვარიანი სანახავიცა. თუ განახლება, ჭერემი რაც იყო, ის უნდა გახდეს.

გაზეთებში იწერება — ჭერემში გზა გაიყვანესო, მაგრამა სანამ ჭერემის ხევზე გურჯაანისაკენ მიმავალი სამანქანო შარა არ გაიჭრება, მანამ აქაურები უგზოუკვლოდ ვთვლით თავსა. ნურავინ იტყვიან — უმადური ხალხიაო. აჭრეთუ ზე მოსავლელი გზა საჩვეო არ არი; ახლა ამბობენ შაშინიდან მთაზე გზატკეცილი უნდა გადამაიყვანონო, ვერც მაგას მივიჩნევთ დიდ შენაძენათ. ჭერემს ერთი გზა ჰქონდა — ჭერემის ხევზედა, და ის უნდა გაკეთდეს. ძველიაო, მაგ დალოცვილებმა მათთუშეთში აიყვანეს ავტომანქანა და, ერთი ნაბიჯი რა გახდა. სწორედ ამ გზის გაუყვანლობამ დალუბა თავის დროზე სოფელი და ახლა, რაც მართალი მართალია, გული არ გავვიმრთებდებო, სანამ აი ამ სახტარის წინადახა, ჭერემის ხევის გავლით, გურჯაანში ავტომუსი არ ივლის; მაშინ კი ვიტყვით, გზა-კვლი გვაქვსო. აი, მხარმოქცეულებმა ვართ კაცო, თითქო უკუღმა დავდივართო, არ გებრალბებით?

— აქაურობის ავარგი, ჩემვან რა გესწავლებაო, საკუთარი თვლით უნდა ნახოთ, დღეობებსაც დაესწროთ და მაშინ მიხვდებით, ჭერემი რა არი, მოყოლილს თვალით ნახული ჯობიაო — ხომ გაგიგონია“.

ასეთია ჭერემში მიღებული პირველი შთაბეჭდილება. სოფელი აღდა და თავისი დღესასწაულები განახლა. ფეჭკრობი, მათი შეუდარლავად შენარჩუნება უფრო სასურველი, დავიცვათ მრავალნაცად თავანკარა წესჩვეულებათა სიწმინდე და მიზანი მიღწეული იქნება. ამ მხრივ ჭერემელები მისაბაძნი არიან.

ჩვენი ღრმა რწმენით, ჭერემმა თანდათან ენდა აღიდგინოს მეურნეობის უველა ის მამაპაპური დარგი, რომელიც სოფელთან ერთად ასე უწყალოდ ანადგურდა. კვლავ მივლ კახეთს სჭირდება აქაური წიქვილის ქვეში, სალესი ჩარხები, თონებები, სასმისები, ქურჭლეული, შარაგული, მატკლის ნახელავი და სხვ. ხელახლა უნდა ანაადუღდეს „ხორცეულისა და ერბო-ყველეულის“ წყაროსთვალი.

ადგილობრივ ხალხურ დღესასწაულებზე დაკვირვებამ დაგარწმუნა, რომ ისინი თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების საუკეთესო საშუალებანია. თითოეულ მათგანს ვადა ისე აქვს შორჩეული, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე მოკიდენა გამოორცხულია. მარტო უველიერის თამაშობანი რად ღირს — ხალისიანი ბერეკაობით, ზამთრისაგან მოთენთილი ხალხი ნაადრევი გაუფხულის გარეუარეზე მთვედმარეკერბას რომ მიატოვებს და ხალადობოდ გარეთ

გამოეფინება. მაშასადამე, ჭერემს უსათუოდ უნდა ჰქონდეს თავისი სახალხო დღესასწაულები, დაბრუნებისთანავე რომ მორჩება და წარმტაცად, გატაცებით ასრულებენ. ნუ შეგვაშინებს მათი რელიგიური სამოსელი, ისინი თანდათან გარდაიხსებია; რაც მთავარია, შინაარსი ჭანაღა, დამყარებული ადგილობრივი ბუნებისა და ხალხური ხასიათების მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებაზე.

და თუ მაინც ჭერემისათვის თანამედროვე დღესასწაული აუცილებელია, რათა მკვდრეთით აღმდგარ, აღორძინებულ ამ სოფლისაკენ მივლი ქვეყანა მოვახდლოთ, რათა მსგავსი სოფლის განწირვის სურვილი აღარავის გააჩნდეს, მაშინ გვიან შემოდგომით, როცა ალო ჩაქარდება, მოსავალი დაბინავდება, სოფლის ყელთან, ჭერემის ხევის ქალაზე გაიმართოს დიდი ბაზრობა და არა მხოლოდ დღესასწაული. საშუაზაროდ, ეს ორი ერთმანეთის შემავსებელი ცნება რატომღაც დავაშორიშორეთ.

მთელი პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვაღიაროთ, ძველი ხალხური ბაზრობა-დღეობები აშგვარი ნაკლისაგან დაზღვეული იყო. იქ მოჩვენებითობისათვის არავის ცეცაო, უველაფერს თავისი დანიშნულება და აზრი ჰქონდა: ზელოსნები ხელოსნობდნენ და თვითან ნაწარმს იქვე უდიდნენ. გლტხს ნაოფლარი ჭირნაწული მოჰქონდა და როცა ხელს დაიცლიდა, პარველქმნილობის გატაცებით მიენდობოდა ბაზრობაზეიმის თილისმას. იქ უსაქმოს, მოწყენილს, დაღლილს ვერავის ნახავდით. ვისაც რა ნიჭი და შესაძლებლობა გააჩნდა, იმას ავლენდა. არც თუ ცოტა ოჯახი იქმნებოდა ასეთ ბაზრობა-დღეობებზე შედგებულ გოგონების შესხვედრა-გაცნობის შედეგად. ხალხური სპორტი. ცეცვა-თამაშ ახლავაზრდობის შესაძლებლობათა გამოვლენის საუკეთესო საშუალება იყო. თემი თემს, სოფელი სოფელს, ოჯახი ოჯახს, კაცი კაცს ეჯიბრებოდა და გამარჯვების, თავის გამორჩენის სურვილით აღტიწებულნი სასწაულებს ახდენდნენ. უველაზე დიდი ჯილდო, მარადიული სასურჯარი ერთმანეთის მოწონება გახლდათ და როცა მოგონებთა ასაკს მიღწევდნენ, დაიწყებოდა თვალზე ცრემლმორცული საუბარი: — გახსოვს?!

შვილთა, შვილიშვილთა, ბაღითა თვალწინ მომწუნსხავად, შთამბეჭდვად იზღებოდა ვარდასული ტბილ-მწარი ცხოვრების დაუწერელი წიგნის ფურცლები.

— გახსოვს?!

იქნებ ამნარი დღესასწაული-ბაზრობა უნდა მოვაწყუთ ჭერემში? მარგალიტით ჩამჭდარი ჭერემისათვის. სახალხო ზეიმი ისეთივე განსაკუთრებული, განუზღოვრებელი და ორცინალური უნდა იყოს, როგორც დღეს — თანამედროვე საქართველოში თვით სოფელი ჭერემია!



ლიტერატურას პირობები ქვინა

(კრებული „ახალგაზრდობის“ შესახებ საუბრობენ ცნობილი მწერლები: შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, მიხეილ ძაღლიშვილი, რეზო მიხეილაძე; ახალგაზრდა მწერლები: ბაბაი მინდიაშვილი და ბათუ დანელია).


ახლანდელი ლიტერატურული ახალგაზრდობა განსაკუთრებული ყურადღებითაა გარემოსილი. ახალგაზრდობაზე ანუ ერის მომავალზე ზრუნვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და ამიტომ აუცილებელზე აუცილებელი გახლავთ. ამ ზრუნვას უამრავი სიკეთე მოაქვს თვითონ ახალგაზრდობისათვის და მტერ მწერლობისა და ერისათვის. მაგრამ ყველაფერში საჭიროა ზომიერების დაცვა. ზედმეტ ყურადღებას სიკეთესთან ერთად თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც გააჩნია. ქვემოთ შევეცდებით ზოგიერთი მათგანის დასახელებას.

ლიტერატურული ტრადიციების გამოსაწვევად რესპუბლიკაში უამრავი ღონისძიება ტარდება, მათ შორის: ნორჩ შემოქმედთა საქალაქო თუ რესპუბლიკური შეკრებები, თათბირ-სემინარები. თბილისის უნივერსიტეტში, გარდა „პირველი სხვისა“, დაარსებულია სექციურის დამწყები მწერლებისათვის, რომელსაც შარშან მე და ჯანსუღ ჩარკვიანი ვხელმძღვანელობდით. საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტი, ახალგაზრდული კლუბი „ამირანი“ ძაღლიშვილის არ იშურებენ ახალგაზრდა შემოქმედთა აღმოჩენისა და დაწინაურებისათვის. ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსები, წესდება პრემიები, პრიზები. ახალგაზრდული თურნალ-გაზეთები „ცისკარი“, მისი დამატება, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ „იროშის ნახტომი“ მრავალ ახალ ავტორს ბეჭდავენ. გამოცემლობა „მერანი“ ყოველწლიურად 10-12 დამწყები ავტორის პირველ წიგნს უშვებს, ზოგჯერ სხვა გამოცემლობებიც სტამბავენ პირველ წიგნებს. ასევე რადიო და ტელევიზია დიდ ადგილს უთმობს ახალბედა ავტორების შემოქმედებას. საგანგებოდ დაარსდა შაიაკოვსკის სახელობის სახელმწიფო პრემია და შაიაკოვსკის დღეების პრემიები (ყოველწლიურად სამ-სამი). ახალგაზრდებს უხვად ბეჭდავენ არაახალგაზრდული ბეჭდვითი ორგანოებიც. საქართველოს მწერალთა

კავშირს დავალებული აქვს ოცთამახიანი აღმანახის ყოველწლიური გამოცემა. მთავარ სარედაქციო კოლეჯიაში სპეციალურად ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მთარგმნელებთან მოშუავეჭაუფი. აქ სხვადასხვა ენებზე მწოდდება ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა ბჭკარელები, რომლებიც დასაბეჭდად ეგზავნებათ საქავშირო თუ მოძმე რესპუბლიკების თურნალ-გაზეთებს, გამოქვეყნდობებს ზამთარ-ზაფხულში ბაკურიანსა და შავი ზღვისპირა კურორტებზე ახალგაზრდა შემოქმედთა სიმპოზიუმები და სხვა მრავალი.

— აბა, სხვანაირად როგორ უნდა იყოს — ალბათ გუენებაში კითხულობს მკითხველი. სწორია, ცამდე მართალია ასეთი მკითხველი! აბა სხვანაირად როგორი ზრუნვა ახალგაზრდობაზე — მწერლობისა და ერის ხვალისდელ დღეზე ჩვენი ყოველდღიური მოვალეობაა, ჩვენი საშვილობილო საქმეა. ეს უცილობელი ქეშმარიტებაა: აქვე ვიტყვი: ჩემი თაობის მწერლებისათვის, რომელთაც კარგად ახსოვთ ნაკუთარი ახალგაზრდობა, მართლაც რომ ფუფუნება ასეთი ყურადღება, ასეთი პრივილეგიები. ამიტომ ნუ ავჩქარდებით, ძვირფასო მკითხველო! ახლავე ჩამოვთვლი, რა ჩრდილოვანი მხარეები აქვს მომეტებული ყურადღების გამოჩენას. ნიჭიერები თითო-ორიდან არიან. ნიჭიერებზე არათუ ზედმეტი — მცირეოდენი ყურადღებაც კი კეთილისმყოფელად მოქმედებს. უმრავლესობა, ბუნებრივია, ვერ იქნება ნიჭიერი. და აი სწორედ ამ უმრავლესობაზე მოქმედებს უარყოფითად მომეტებული ყურადღება. იგი თვითდაჭერების მავნე განწყობილებასაც ბაღებს ახალგაზრდებს. ასეთები სპეცულიანტობენ თავიანთი ასაკით. თითქოს ახალგაზრდულა ასაკი ნიჭის გარანტია იყოს ანდა შედევთის იძლეოდეს სამწერლო მოღვაწეობისათვის.

მოტური ტრადიციების აღმოჩენის უნება ღამის არის საყოველთაო ახალბო კომპანიის ზანათი მიიღო. თითქოს პატარა სა-



ქართველი პოეტების ნაკლებობას განიცდიდენ. პოეტებს სენა დაუწყეს ხალხურ მოქმედებებშიც. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთმა მწევემსა, მწველავმა, ტრაქტორისტმა თავი დაანება თავის კეთილშობილურ პროფესიას და დედაქალაქის რედაქციებში აღმათენებს, უკვე შაირზე გულაყრებული და ვერღობრით გატაცებული. კარგა ხანია რაც უურნალ-გაზეთებში ასეულობით ავტორი იბეჭდება. არა ვარ ღრმად დარწმუნებული, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, ამდენი საექვო ნიჭის პოეტი ეროვნული ბედნიერება იყოს. იოლმა ბეჭდვამ, მწერალთა კავშირში იოლად მიღებამ შესაძლოა ლიტერატურული ობლომობებიც შევჭვინოს.

ძველი თაობის მწერლობისათვის ძვირფასი იყო რევოლუციური რომანტიკა, შრომითი პეროცია, აღმშენებლობის თემები, ჩემი თაობაც ადრინდნე ეზიარა საპატიო თემების დამუშავების ტრადიციას. ახლა ასეთი თემები, საზოგადოებრივი პრობლემატკა და საერთოდ საოქალაქო მოტივები ახალგაზრდობას ნაკლებად აღუქვს. ალბათ ზოგიერთი აპრთი, მთლად სწორი არა ვარ, საკმაოდ ბევრი იწერება აქტუალურ თემებზე ახალგაზრდობის მიერო. გიანუხებთ: დახ, იწერება, მაგრამ მაინც გავიმორკვ: ეს თემები ახალგაზრდობას ნაკლებად აღუქვს. დამატკიცებელი საბუთი მათივე ლექსებია — მხატვრულად მდარე, განუცდელი, გულს გარეშე დაწერილი. თუ შეუნიღბავად კიტვით, ეს სუროვატია, მხატვრული ხალტურაა. როცა არ გეწერება აქტუალურ თემებზე და ძაღად წერ, ეს უკვე თემით სიტულაციაა. ასეთი ნაძალადევი ლექსები მკითხველს აძულებენ არა მარტო პოეზიას (ეს კიდევ ნაკლები ბოროტებაა!), არამედ იმ საგნებსა და მოვლენებსაც, რაზედაც ეს სიყალბა შექმნილი. ასეთი ლექსებით აუო წლები მანძილზე გადატკირებული სასკოლო სახელმძღვანელოები. და როგორ შეიძლება მხატვრულ უმწიფრობაზე გაზრდილი პოეტებისაგან რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას მოვლოდეთ. სამწუხაროდა, ასეთ ნაწარმოებებში (წახალისების შიზნით?) პრემიებიც გვაქვს გაცივული. განა ეს ზედმეტი უურადლება, ზედმეტი მოთერება არაა ახალგაზრდობა უნდა შეიგნოს, რომ მწერლობის უმთავრესი ამოცანა თანამედროეობის მხატვრული ასახვაა. მხატვრული ასახვა არ კმაყოფილდება საგნებისა და მოვლენების მარტოოდენ აღწხებით. საჭიროა მათი გაანალიზება-განზოგადება. ხატკაში უნდა ირეკლებოდეს ავტორისეული საზრისი, მოქალაქეობრივი პოზიცია. ახალგაზრდობას დიახაც უნდა აინტერესებდეს თავისი დრო, უნდა უღრმავდებოდეს დროის მამოძრავებელ ტენდენციებს, უნდა ეძიებდეს, რითი სურთქავს და ცხოვრებას მისი მშოფილი ერი. უნდა აღიღებდეს თანამედროვე ყოფა შოთელი თავისი ავკარგით, სირთულეებით, სიახლეებით,

გარდაქმნებით, სასიცოცხლო იმპულსებით. შემხვედრია ახალგაზრდები, რომლებიც ძალიან ცუდად იცნობენ ცხოვრებას და, ამასთანავე, თად, ეროვნულ ლიტერატურას. ისინი გაცივრებით მსჯელობენ ეროვნულ საკითხებზე. მოითხოვენ ისტორიული და რელიგიური გმირებისათვის ძველებს დადგმას, რელიგიური დღესასწაულებს აღდგენას და სხვა. ასეთები ჩვეულებრივ მკვერმეტკველები არიან. ღამის არის, თავი მოწამებრივ ეროვნულ გმირებად წარმოგვიდგინონ. რა უფლება მაქვს, არ მჭერლობაში მაშულიშვილური სულიშკვითისა, თუშკვა მაშულიშვილური და პატრიოტიზმი მთლად სწორად არ ესმით. მაგრამ შე პირაღად მაინც ნაკლებად მჭერა მათი ეროვნული „უნებათაღდევებისა“. და იცით რატომ? იმიტომ, რომ მათ ნაწერებში არავითარი პატრიოტული და ეროვნული განცდა არ ჩანს! შემოქმედება ხომ ადამიანის სულის სარკეა, გულისწადების გამუღვენება. ვიმეორებ, რატომ არ ჩანს მათ ნაწერებში ეს პატრიოტული ტკივილები? ისინი ერთხს ღამარაკობენ, მეორეს წერენ. ენით დიხსაც პატრიოტები არიან, შემოქმედებით — არაერონულები; არაპატრიოტები (ჩვეულებრივ წერენ ნეიტრალურ ან მარადილუ თემებზე, მათი ლექსები გადაჭრელებულია უცხოელი ავტორებისაღმი მიძღვენებით, მათი ციტატებით, და მათი ინერციით შექმნილი ზოგადი აბსტრაქციებით, უსაგნო ხილვებით, მირაუებით, ყალბი ესთეტიკით. მაშ, ვინ არიან ისინი? პატრიოტულად მოქარტლდე არაპოეტები, ვინაიდან ნაწიში (მათი საქმე შემოქმედებაა!) არაერთი აკეთებენ და ეროვნული პოეზიისათვის და არც ერის კეთილდღეობისათვის.

სღმანახი „ახალგაზრდობა“ ფასდაუდებელი საწუქარია ლიტერატურული მოშავალი ახალი კარებისათვის. იგი „ციესკარი“ ერთად მოწოდებულა იყოს ახალი თაობების იდეური წრთობისა და მხატვრული დაოსტატების თავისებური სკოლა. ეს აღმანახი შედგენისა და გამოცემის მხრივ გარკვეული სირთულეების წინაშე დგას. „ციესკარი“ წელიწადში 12-ჭერ ნაწომლის. მისი დამატება მჭერ. მასანადამე, იქ დაბეჭვდის 15 შანსი, 15 იმედი არსებობს, ხოლო აღმანახში მხოლოდ ერთი. ბუნებრივია, ავტორები თავისი ნაწარმოებების შიტანას „ციესკარი“ და მის დამატებაში აჭკობნიებენ. აღმანახში კი ჩვეულებრივ ის მასალები შემოდის, რომელთა გამოქვევენებაზეც უარს იტყვის „ციესკარი“ და მისი დამატება. მეორე წელი იწურება, რაც აღმანახის მერე იმპრის მასალებიც ვარკოვება. შემოსულია დაახლოებით 80 ავტორის 55 თაბაზი პროზა და პოეზია. აქედან დაბეჭვდას იმხანურებს 300 სტრქონამდე ლექსი, თაბახანებრამდე პროზა. აკვნათ, როგორ მოვიტკეო? სულაც უარი ვთქვათ აღმანახის გამოცემაზე თუ წავიდეთ დათმობაზე და მხატვრულად უსუსური წიგნი გამოვცეთ? მას-

ლების შოვნა ისე გაგვიჭირდა, „ციხეკარს“ ვემუ-
დარებით, რაიმე გვიწილადოს თავისი სარელა-
ქციო პორტფელიდან. მაგრამ კარგ მასალას
ვინ გაიმეტებს!

დასასრულდ ორიოდ სიტყვა ახალგაზრდა მწე-
რლებთან დამოკიდებულებების თაობაზე. ლი-
ტერატურას ერთეულები ქმნიან და არა მასები.
მასები მკითხველები არიან. მწერლობაში რაოდენობრივი მაჩვენებელი არასოდეს გადაიზრდ-
ება თვისობრივ მაჩვენებელში. არ შეიძლება
ყველას ერთნაირ პირობებში ჩაუენება, ყველასა-
დმი ერთნაირი უსრულდების გამოჩენა. კეისარს
კეისარისა მწერლობისა და საზოგადოებრიობის
ვლითა მასიდან გამოარჩიოს და დააწინაუროს ის

ერთეული ავტორები, რომლებიც ნაწილობადაა
არიან მოწოდებული მწერლობისათვის. ასეთებს
ყოველგვარი პირობები უნდა შევუქმნათ
ნორმალური შემოქმედებით. ავტორებს უნდა
თვის. ნაწარმოებებს უნდა გავუწიოთ პრას-
განდა, შევუქმნათ რეკლამა. მათთვის არ უნდა
დავიშუროთ არც თაბახთა რაოდენობა, არც
დღი ტარაუი, არც მაღალი მონორაობა, შემო-
ქმედებთა მივიღინებები და სხვა დანარჩენი
სიკეთე.

მაშ, გავუწოდოთ ხელი ტალანტებს.

«არგად თქვა პოეტმა:

«Талантам нужно помогать,
Бездарности пробуются сами».

ჯანსუღ ჩარკვიანი

მხატვრული დონა მთავარი...

როცა ამ აღმანახის გამოცემას საფუძველი
ეყრებოდა, მე ვხელმძღვანელობდი მწერალთა
კავშირში რესპუბლიკის ახალგაზრდა მწერლო-


ბას.
დღი სამსახური გაგვიწია პატივცემულმა
ელდუარდ შვარცნაქმე და კიდევ ერთხელ დამ-
ტკიცა, რომ ახალგაზრდობაზე ზრუნვა მართ-
ლაც ერის მომავალზე ზრუნვაა. დაევალა „საბ-
ჭოთა საქართველოს“ მისი გამოცემა და, მწე-
რალმა გურამ ფანჯიქიძემაც სიამოვნებით მიი-
ღო ეს დავალება. ჩვენ მოვითხოვდით ოცფო-
რმინი აღმანახის გამოცემას. თუმცა, ისიც ვი-
ცოდით, რომ სხვა შემთხვევაში, შეიძლებოდა
ოც ფორმაზე უარი გვეთქვა და ვთქვათ, პირ-
ველი ნომერი ათი ფორმა ყოფილიყო: ჩემის აზ-
რით, შეცვლით, როცა ოცივე ფორმას დაეხზრბ-
დით, კარგი და უღიმღამო ერთად შეეყარეთ ამ-
ხელა კრებულში. უნდა კი განგვესაზღვრა, რომ
სწორედ პირველი წიგნი იქნებოდა განმსაზღვ-
რელი ჩვენ ახალგაზრდობის შემოქმედებითი
ნიჭისა, და რაღა თქმა უნდა, მომავალი კრებუ-
ლებისაც; ასე არ მოხდა, ვიმეორებ, დავხარ-
ბდით, თორემ რაც უფრო დაწურავ მტევანს,
მით უფრო ნაღდი მუკარი და ღვინო დგება მის.
გან. თქვენ წარმოიდგინეთ, მტევანსაც შერჩევა
უნდოდა, ჩვენ ერთად ჩაუყარეთ საწინებელი
ცული და კარგი. შესავალში წერია, ახალგაზ-
რდებმა „უფრო აქტიურად გამოხატონ მწერ-
ლის მოქალაქეობრივი პოზიცია“, მოქალაქეო-
ბრივი მრწამსისა. ახალგაზრდა მწერალი მაშინ
გამოხატავს თავის მოქალაქეობრივ პოზიციასა

და მრწამსს. როცა იგი ნიჭიერია, უნიჭოს არ
გააჩნია მოქალაქეობრივი პოზიცია და მრწამსი.
აქედან უნდა დავასკვნათ: წიგნში, ვისაც ეს პო-
ზიცია არ გააჩნია, ან უმწიფარია, ანდა უნიჭო.
როგორაა საქმე ჩვენს ახალ კრებულში. სანა-
ხევროდ კარგად. ხოლო, თუ მონაწილე ავტო-
რთა ნახევარს უკვე გააჩნია თავისი მრწამსი და
პოზიცია, რა თქმა უნდა, აღმანახის გამოცემა
გამართლებულია.

ერთი მთავარი ნაკლი ამ წიგნისა ისაა, რომ
ჩემთვის ნაცნობი გვარების გარდა, სხვა ახა-
ლმა გვარმა, ვერაფრით ვერ გამოაკვირა. ეხე
ოგი, აღმანახს არ გამოუყვანია ახალი შემოქმე-
დები; მეორე ნაკლი ამ წიგნისა ისაა, რომ ცნო-
ბილმა გვარებმაც კარგი ნაწარმოებები „ციხე-
კარში“ მიიტანეს, ხოლო აქ წარმოდგენენ მკი-
თხველის წინაშე შედარებით სუსტი ნაწარმოე-
ბებით. რას ნიშნავს ყოველივე? უპასუხისმგებ-
ლობას, ხოლო უპასუხისმგებლობა დამლუქე-
ლი ხენია ახალგაზრდა შემოქმედისათვის.

ყოველივე ამ წლისათვის უნდა გავითვალის-
წინოთ და უნდა გამოცვიტოთ ამ მოცულობის კრე-
ბულში, რა მოცულობითაც დაეკამათებოდათ
თანამედროვე მკითხველის მაღალ მოთხოვნე-
ლებას.

ნუ გამოვეციდებით რაოდენობას, მთავარი
აქაც ხარისხია, მხატვრული დონა მთავარი;
ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ვთქვათ, რომ ამ წელს
არ შეგროვდა აღმანახისათვის განკუთვნილ
ფორმათა რაოდენობის მინიმუმი. წიგნი არ უნ-
და გამოიცეს და უნდა დაველოდოთ ახალ წელს.



პოლიტი, პიკაბათოტი

1. „როგორ კამეღება ლექსი“

ასეთი სახელწოდებით მიაიკოვსკიმ თავის დროზე წერილი გამოაქვეყნა, სადაც საკუთარ გამოცდილებაზე დაუბნობით, შეეცადა აეხსნა მწრომელთა მახებისათვის ლექსის წერის „საიდუმლოება“ და ხელმისაწვდომი გახადა მათთვის რადიოგანვე მართლა საიდუმლოებით მოცული პოეტის პროფესია. მიაიკოვსკის წერილი — თავისი ეპოქის დოკუმენტია. იგი პოლემიკურ ხასიათს ატარებს და აშკარად უპირისპირდება იმთ, ვინც (მაშინაც და დღესაც) პოეტს „ლეთაბერივი ნიჭით მომადლებულ“, ღმერთთან წილნაყარ პიროვნებად თვლის და პოეზია „ჩიქულთა“ საქმიანობად მიჩნია.

რაც მართალია — მართალია, წერილი საკითხის ჩინებული ცოდნით არის დაწერილი. ლექსის „ქეთების“ პროცესი კარგად არის ახსნილი და განმარტებული. პოეზიის „ტექნიკის“ თვალსაზრისით ყველაფერი, რაც მიაიკოვსკის უწერია, სწორია. მაგრამ... სწორედ ამ „მაგრამშია“ საქმე. ლექსი მინც არ „ქეთდება“ არც იწერება იგი უფრო „ამოითქმება“, „ამომღერება“, „ამოიყვრება“, „ამოიკენება“, „ამოიციდება“... როგორც გნებავთ, ისე განსაზღვრეთ შთაგონებით შეპერობილი პოეტის მდგომარეობა, როცა მას „გულთან უპყრია ქნარი“ (გლაკტონის), ანუ კალამს აიღებს და სუფთა ქალაღის პირისპირ დარჩება.

მე ამით იმას კი არ ვამბობ, თითქოს ლექსი სულის ერთი ამოთქმით იწერებოდეს. პატარა ლექსზე მუშაობა ზოგჯერ თვეებით და წლებით გრძელდება. მაგრამ ამ მუშაობის დროს, მის ყოველ მონაკვეთში (რა ინტერვალითაც არ უნდა იყვენ ისინი დაშორებული) პოეტი ყოველთვის იმ არჩევულებრივ, განსაკუთრებულ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს, რომელსაც ძველმოდური სიტყვა „შთაგონება“ ჰქვია და სულიერი ძალთა სრულ მობილიზაციას ნიშნავს. თუმცა... ნუთუ მართო ეს არი შთაგონება? ნუთუ მისი ცაცხლი და ხურვება მხოლოდ ლექსის „გაკეთების“ უნის, თავის გამოჩინას ან სარგებლის მოტანის სურვილია? ნუთუ ყველა პატრონყვარ თუ ქველმოქმედ მოკალაქეს, ვინც ვერსილიკაციის ზერხებს დაერუფლება, ხელეწიფება ლექსის შექმნა? და განა ყოველი ლექსი ყოველთვის პოეზიაა?

განა არ არსებობს პოეტურ შთაგონებას მოკლებული ე. წ. „ლექსები“?.. თუმცა მიაიკოვსკიც არ უარყოფს „შთაგონებას“. მისი აზრით შთაგონების წყარო — „სოციალური დაკვეთა“ ანუ მოთხოვნილება, რომელსაც ეპოქა პოეტს უყენებს. და ეს სავსებით სწორია. ასე იყო მაშინაც, მიაიკოვსკის დროს, ასე ახლაც, ჩვენს სინამდვილეში, როცა არავის აზრად არ მოუვა უარყოს პოეზიის საზოგადოებრივი, სოციალური და პოლიტიკური დანიშნულება. მაგრამ შთაგონებას პოეტში არა მარტო „სოციალური დაკვეთა“ იწვევს. საკაცობრიო და ეროვნული საკითხების ვარდა, პოეტს პირადი პრობლემებიც აქვს გადასაწყვეტი, აღმართური საზრუნავიც გაჩნია, რომელიც თავის მხრივ, საზოგადოებრივ მნიშვნელობას არაა მოკლებული და მასხადამე, ისიც შთაგონების წყაროა. ორივე შემთხვევაში, რაც არ უნდა იყოს შთაგონების გამომწვევი მიზეზი, ლექსის „ქეთება“ (ისევე მიაიკოვსკის ტერმინი მოვიშველიოთ) მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც პოეტური ნიჭი გაჩნია. დიახ, ის „ლეთაბერივი“ შემოქმედებითი ნიჭი, რომლის რაობა იმდენად რთულია, რომ მის განსაზღვრას მე პირადად ვერ შევძლებ და დავმყოფილდები სხვის მიერ ოდესღაც ზუმრობით ნათქვამით: „ნიჭი — ფულივითა: იგი ან გავქს ან არა გავქს“...

მასხადამე, ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ შემოქმედების წინაპირობა — ნიჭია, და მხოლოდ ნიჭიერ აღმანას შეუძლია განიცადოს შთაგონება. ხოლო უნიჭოდ და უშთაგონებოდ ქეშმარტივი ლექსი ვერც „გაკეთდება“ და ვერც „ამოითქმება“.

ახლა მოდო და ამ თვალსაზრისით გადავხედოთ აღმანას „ახალგაზრდობაში“ დაბეჭდილ ახალგაზრდა პოეტების ლექსებს.

დავუსვავთ, რომ ყველა ავტორი ნიჭიერია ე. ი. ლექსის წერის მიდრეკილება აქვს. ეს თავისთავად გულისხმობს, რომ ლექსები შთაგონებით უნდა იყოს დაწერილი. მართლა ასეა საქმე?

ყველაფრის დაფარვა შეიძლება ლექსში — უცილობის, უსინდისობის, სილაჩრის, სიხარბის, შურიანობის... ასე განსაჩეთ, უნიჭობაც კი შეიძლება დაფაროს ინტელექტით შეიარაღებულმა კაცმა. ერთია მხოლოდ: შთაგონების მიტირება არ შეიძლება. უმაღვე გამოჩნდება —

გეშმარტი დაინტერესებით დაიწერა ლექსი, შინაგანი შოთხოვნისგან გამო, თუ ავტორი გულგრილია და ლექსი შეიძლება დაწერილიყო და არც დაწერილიყო. ისიც გამოჩნდება: გეშმარტია ავტორის შთაგონება ე. ი. საქმე გვაქვს „სულიერი ძალთა სრულ მობილნი“-სთან, თუ ავტორი ინდიფერენტულია და მხოლოდ მკითხველის მოხატვნილად თამაშობს დაინტერესებულს (გახარებული ან დაღონებული, შეეჯარბული ან სიძულვილით აღვსილი) კაცის როლს იმ სპორტსმენის მსგავსად, რომელსაც დოპინგი აქვს მიღებული:

...ოეტო, პოეტო, შენი მიზანი ისე გულისმომკველად ლამაზია, როგორც გაზაფხული პატიმირის სარკმლიდან. დალახვროს ეშმაკმა, სწორედ შენ გათოვენ თავისუფლებას თავისმონები!!!

ჯანდაბა იქით გზა ჰქონიათ! ვინც კი ამ უჩოხო ლექსში ძებნას დაუწყებს ლოგიკას, უნდა ახსოვდეს: იგი ისეთი ჯაჭუტური რეაქციაა, არ ეიცე, სად და რამდენ ატომს გამოყოფს უცებ.

ნიჭი? პო, ნიჭი ერთადერთი სწეულებაა, რომლის მორჩენაც ავადმყოფებს არ სურთ,

რადგანაც მისით გადიან ბეწვის ხილზე მთვარეულივით...

ზაზა მინდლამის ამ ცივ და აუღელვებელ მსჯელობას აშკარად აკლია შთაგონება. საში ძახილის ნიშანი მდგომარეობას ვერ შევლის. და შემთხვევითი როდია, რომ ეს ციტატა საკმაოდ გრძელი ლექსიდან არის ამოღებული („ლაშქასწაული“): ასეთი ლექსების წერა, თანაც ვერლიბრით, დაუსრულებლად შეიძლება!

უშთაგონებო ლექსის ნიმუშად ეს ნაწუვეციც გამოდგება:

...შეირა ჩემი მარადისი გრძნეული ნერვი შეშლილი ბავშვის მუსიკალურ წვილ-კვილით: მუსიკის ზღვაში ვიძირები დამხრჩვალ

გეამივით, გეამივით -- სიკვდილის მარშებისგან წალკილივით.

მინდა გავხედო ამ ცხოვრების ნახევარგზაზე

ალგიერის ლანდებივით გზააშლილები; ღამის მისტიურ ბარებიდან მოვფარფარებდეთ ოქოხეთური ორგების მთვრალი შეილები.

ინაღბოვდეს ჩვენი დროის მღელვარე ლექსი ამ ბურუსიან ვაკებში და როკ-ენ-როლებში და დამხრჩვალვით უგზო-უკვლოდ

ვიძირებოდეთ კონიაისფერ თმების მსუბუქ ალკოჰოლებში... და ა. შ.

(ზურაბ ხახია).

ამ, ასე ვთქვათ, „ლექსს“ — „პიპის სიმღერა“ ეწოდება. მასში ავტორს სურს გადმოგვცეს თანამედროვე კაპიტალიზმური კულაქების უღელური ნაშირის „პიპის“ სწრაფი განწყობილება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში უხვად არის გამოყენებული მუქი საღებავები (ისეთი გამოთქმები, როგორცაა „შეშლილი ბავშვი“, „წვილ-კვილი“, „დამხრჩვალნი გვაში“, „სიკვდილის მარშებისგან წალკილი“, „ოქოხეთური ორგები“, „ბურუსიანი ვაკები“ (?), „უგზო-უკვლოდ“ ჩამირვა „კონიაისფერ თმების ალკოჰოლებში“ (III), ნაწარმოები არც გვაფიქრებს, არც თანადევნებს, მისი ლირიკული გმირი არც გავაძრმობას იწვევს, არც შიშს, არც სიძულვილს... ავტორი გულგრილია თავის პერსონაჟის მიმართ და ჩვენც გულგრილად აღვიქვამთ გულგრილად ნათქვამს. შთაგონების იმიტირება შეუძლებელია.

საინტერესოა მაინც, რატომ წერენ ახალგაზრდები ასეთ ლექსებს? იქნებ ისინი თავიანთ ჯანმრთელობას უფროთხილდებიან? (შთაგონება ხომ „სულიერი ძალთა სრული მობილნი“-სა და დიდი ენერჯის ხარჯვას მოითხოვს)...

„იმიტირებული შთაგონებით“ დაწერილია დალილა ბედინანდის ლექსიც „როგორ შევხედოთ ახალ წელიწადს ანუ მესამე“, რომლის „შემოკლებულ“ ვარიანტს გვთავაზობს აღმანახი.

...ბევრი არ ჰქირდება ბედნიერებას. ჩვენ, აღამიანებს გვაქვს ინსტიქტები — გეშა, გეწურია, გეჰინება, გეცევა... ბედნიერებისკენ ლტოლვაც ინსტიქტია და ჩვენ არ შეგვიძლია ორმოც დღეზე მეტხანს გავძვლოთ.

ვერც მგელს მიაბარებ შესანახად ცხვარს, ვერც მწეურვალს — წყალს.

ზოგჯერ წუთი დაგვიძვდება სიცოცხლის ფასად, მაგრამ გვიღირს ამდენად.

აი, ეს წუთიც. ორი არა ვართ მანქანაში, მაგრამ ორი ვართ... საიდან მოვდივარ?

იქიდან, სადაც მატრიარქატული ეკლები მომემსხვებოდა, სადაც უწონადო და უსაქო ვიქნებოდი, სადაც საუწყებო კი არა, საგვარეულო ჰერის დამიფარავდა... და სხვ.

აბა, დაუვიკრდით აქ მყოფანილ ტექსტს: ნებისმიერი სტრიქონი რომ ამოიღოთ (ან დაუშალოთ), თითქმის არაფერი შეიცვლება. ცხადია, აქ არც შთაგონების იმპულსი იყო, არც კონტროლი, რომელიც შთაგონების უცილობელი კომპონენტია.



2. „როგორ მომრავლდა შენი მოღვაძე, დანიის პრინცი...“

ბორცობისა და ფარისევლობის ბუდის, უსამართლობის სადგომის ელსინორის სახახლას მკრძალი, ახალგაზრდა ჰამლეტი „ყოფნა-არყოფნის“ საკითხზე ფიქრობს. თავის შემოფოთებას დანიის პრინცი ისეთი გულსტიკვილითა და აღზნებით გადმოგვცემს, რომ არავის ეჭვი არ ეპარება მის გულწრფელობაში. და ჩვენ განვიცდით ჰამლეტის ტრაგედიას, მისი ბედის მონარქი ვხდებით...

ახალგაზრდა ქართველი პოეტები — აღმანახის ავტორები — რაღაცით ჰამლეტს გვანან (რაღაცით-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ასაკის მიხედვით ჰამლეტი მათთან ბავშვია). ჩვენს პოეტებსაც აწუხებთ მთავლილი პარალელმები, ისინიც ე. წ. „დაწყვეტილი საკითხების“ გადაწყვეტის ცდილობენ, მაგრამ...

მოვეუსმინოთ ზოგიერთ მათგანს:

ბათუ დანელია:

...ყოფნა! — იქნებ ყოფნაშია ღვთის საიდუმლო, ან იქნებ თვითონ ყოფნა ღმერთი და ჩვენ ამაღლ გავყურებთ ცისკენ... მაგრამ სად არის, — ცაღდ ყოფნას სად აქვს სათავე? როდის მოვედით მოკვდავებად ან იქამდე რანი ვიყავით? შენ ყველაფერი გეხსომება, თელსაწიერი, ხომ ამნაირი იყავ მაშინაც, როდესაც შენში არ იღვა ეამი და სიზმარშიც არ ხედედი მზეს, მარად ქალწულს... და არ აღებდა პირს ეს მიწა მშვიერ ბარტივით... და სხვ.

ზაზა ჭინჭლაძე:

...იმედო, შე მასხარავ, როდემდე გამართობ? შენ თუ გგონია, მე არ ვიცი, რატომ ვარ

კაცი, —

თუნდაც იმიტომ, რომ შემძლია ფიქრი არარსებულზე...
რითაც ოდესმე სამუდამოდ დავცილდი ცხოველს, (?)
(როგორც პირშო დედის საშოს)
მაგრამ ეჭ, ნეტავ, მეც მათგვარად ვსვამდე ვარსკვლავებს, ვლოკავდე მთვარეს, გეშ ვუღებდე ამოზაღლ მზეს, თუ რამე ცოდვა ადამის ძეთ გვექონია ქვეყნად,


მხოლოდ იმიტომ: გესურდა გვეგრძნო საცოდნელი და გესურდა გვეცოდნოდა ის, რაც მხოლოდ შევიგრძნოთ უნდა... და ა. შ.
თქმა არ უნდა, ამ სიტყვებს ავტარად აკლია ჰამლეტისებური ცეცხლი და ისინი მშრალი მჭედლობის შთაბეჭდილებას ტოვებენ. აქ უფრო მეტია ლიტერატურული წყაროების ცოდნა,

ვიდრე ცხოვრებისეული გამოცდილება — არც ტიკვილი იგრძნობა, არც სინანული. უკველივე ეს მხოლოდ ერთდღისაა თუ უკველივე გამოჩენის სურვილით იყოს ნაქარხისკენი.

აღბათ მართლაც ასეა. არადა, რატომ არის, რომ ჰამლეტის გვეჩერა, ჰამლეტი გვადეღვებს, ამ ახალგაზრდების კვიანური სენტენციები კი არ ეპარება გულსა და გონებას? აღბათ იმიტომ, რომ ჰამლეტის ფილოსოფიური შეხედულებები და მოქალაქეობრივი პოზიცია მისი პირადი ცხოვრების ტრაგედიით არის გაპირობებული. „ყოფნა-არყოფნის“ საკითხმა იმიტომ ააფორთავა და ჩააფიქრა უფლისწული, რომ მან თავის თავზე განიცადა ყველა ის უკუღმართობა, რაც ანგრევს და ანადგურებს, დაედუქიანენა მიაქანებს მის ქვეყანას და ეჭვის ქვეშ აყენებს ყველა ზნეობრივ ფასეულობას. დედის ღალატი, ბიძის ვერაგობა, საყვარელი მამის სიკვდილი და საერთოდ, ელსინორში გამეფებული ცინიზმი და ფარისევლობა — ყოველივე ეს უნდა ენახა, განეცადა ჰამლეტს, რომ ადამიანის ბედობაზე, მის მოწოდებასა და დანიშნულებაზე ჩაფიქრებულიყო და მახვილი ხელში უსამართლობას შებრძოლებოდა... ბუნებრივი და ლოგიკური ჰამლეტის გზა, მისი სულიერი ევოლუცია: კონკრეტულიდან — ზოგადისაკენ, პირადიდან — საზოგადოებრივისაკენ. ამიტომაც ასე ამადეღვებოდა ჟღერს ყოველი მისი ფრაზა თუ მონოლოგი. და პოეზია ხომ ეს არის, ბოლოს და ბოლოს! პოეზიაში ხომ ზოგადი იდეა, აზრი თუ ცნება ყოველთვის კონკრეტული სახით ვლინდება...

ჩვენი ქვეყანა დიდად განსხვავდება ჰამლეტისდროინდელი დანიისაგან. შექსპირის გმირებთანაც ჩვენს ახალგაზრდებს საერთო არაფერი აქვთ. და მაინც... შემთხვევითი სტრიქონები რაღაცით ჰამლეტის მონოლოგებს გვაგონებს.

რატომღა აკლია მათ დამაქრებლობა? მე ვფიქრობ იმიტომ, რომ ისინი, ასე ვთქვათ, „შაერშია გამოკიდული“. ლიტონი სიტყვებია მხოლოდ და არა გულის ამოძახილი ადამიანისა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ და ამიტომ შეგვიძლია დავუჭეროთ მის ნათქვამს. ჩვენ ვიცით რამ მიიყვანა ჰამლეტი სასოწარკვეთობამდე, ჩვენი ავტორების შესახებ კი არაფერი ვიცით. თავიანთ ლექსებში ისინი არც იმ ეპოქაზე წერენ, რომელშიც ცხოვრობენ. (მთელ აღმანახში ერთი ლექსიც არ მოიძებნება იმ საწინელი ომის თაობაზე, რომელიც ეარს მოსდგომა კაცობრიობას), არც იმაზე თუ რა სტიკვით, რა უზარიათ, ვინ უყვართ, ვინ სძულთ, როგორ ეხანებათ თავიანთი ქვეყნის აწმყო და მომავალი... მოკლედ, მათი ლექსების მიხედვით ვერც მათ ასაკს გაიგებს კაცი, ვერც სოციალურ ვითარებას და ადგილს საზოგადოებრივ იერარქიაში. ასე განსაჯეთ, ზოგიერთი ავტორის ეროვნე-



ბის დადგენაც გაგვიჭირდება, ქართულად რომ არ იყოს დაწერილი ლექსი! სამაგიეროდ, განუცნებელი მსჭელობა სიცოცხლის წარმავალობაზე, სიკვდილის გზადღუვალობაზე, წუთისოფლქმ ამაოებაზე, უკვდავებაზე, უსასრულობაზე, სულზე, მატერიაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე (გაგონილა ასეთი რამ, მეგობრობაზე და სიყვარულზე გაანუცნებულად მსჭელობდეს ახალგაზრდა კაცია) — უყოველივე ეს ქარბად არის მათ ლექსებში... სწორედ ამით გვანან ისინი ერთმანეთს და კიდევ იმით, რომ მათი უმრავლესობა იმ „მარტოხელა ადამიანის“ პოზიციაში (თუ პოზაში?) დგას, რომლის გულისთქმა არავის ესმის და ისეთი შთაბეჭდილება გვჩვენებს, თითქოს პოეტის უპაერო სივრცეში მოქმედებდეს, თანამედროვე ცხოვრების რეალურ საქმეებსა და ინტერესებს მოწყვეტილი.

მით უფრო დასანანია ეს, რომ ჩვენ გვწამს ბათუ დანელიას და ზაზა ქინქალაძის ნიჭიერება. წინამდებარე კრებულში ისინი ვერ გამოჩნდნენ თავიანთი შესაძლებლობების შესაფერისად.

მ. „რწმენა დიდი სიკამითის“

აღმანახის ავტორი თბმთა ცნცბამ შესაშური პირდაპირობით გამოთქვამს თავის ნატვრას: მერნდეს ძალა, სიწმინდე — ვით წყალს ქვიშის წმენდისას, რწმენა დიდი სიკეთის ავთან შევიდებისას. გამაწვალოს სინდელემ საკუთარი ნებისად, ოლონდ მომცა უნარი სხვისი გაზარებისა. ბედს ვეწიო, სათქმელი მათქმევიწნოს დღეისა...

(ზაზი ჩემია, მ. ქ.)

აქ კარგად ჩანს ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც ახასიათებს გიმი სულაკაძურის, ელემ კპირტიას, მანანა ჩიტოშვილის, ირაპლი ზედიას, ნესტან ველთაურის და ზუმარუდ გომდარძიშვილის ლექსებს. ეს არის წეობრივი სიწმინდე, მოყვასის სიყვარული, შეურიგებლობა უსამართლობის მიმართ და ის „მართლის თქმის“ სურვილი, რომლის ტრადიცია ქართულ პოეზიაში არჩილ მეფესთან და დავით გურამიშვილთან იღებს დასაბამს.

სევდიანია, მაგალითად, ზუმარუდ გომდარძიშვილის ლექსი „ზიგაგები“, მაგრამ ავტორის უშუალოდამ, არ შეიძლება არ ააღვლევოს მკითხველი და მასში თანაგრძნობა არ გამოიწვიოს:

ხან ერთ თვის,
ხანაც ერთ წელიწადს
ვაშენებ, ვრანდავ,
ვთლი, ვაჩუქრთმებ,

ვეზიდები აგურს აგურზე,
რომ დავამსგავსო სახლი ჩემი
უმშვენეს ტაძარს,

რომელსაც მერე დრო და ქაბი დისაკუთრებს და რომ მგონია, მივინიჭე საკუთრებას...
და რომ მგონია, სული ჩემი

მისაც შთაბებრე,
ამოვარდება ქარიშხალი,
დამატებს თავზარს
და ჩემს ოცნებებს სულ ერთიან

გააცამტვრევებს...

გაცრუებული იმედით გამოწვეულმა სინანულმა არ უნდა შეაშინოს მკითხველი. ლექსი მათემატიკური ამოცანა როდია, რომ დასმულ კითხვაზე ერთი ამომწურავი პასუხი არსებობდეს. პოეტური ნაწარმოები მრავალი მნიშვნელობის მომცველია და მისი ზემოქმედება შეიძლება ყოველმა მოულოდნელი აღმოჩნდეს. როგორც არ უნდა იყოს ლექსი, — მხიარული თუ ნაღვლიანი, მოწოდებითი ხასიათის, დიდაქტიკური თუ უბრალოდ ადამიანის აზრს გამოხატავდეს, — იგი იმისთვის კი არ იწერება, რომ მკითხველმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგოს და იმავე წუთს, უყოყმანოდ და დაუფიქრებლად პოეტის მაგალითს მიზამოს. ლექსი ბიძგია, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მკითხველის გული და გონება, ხოლო რა დასკვნას გამოიტანს მკითხველი ლექსის წაკითხვის შემდეგ, რა ასოციაციებს აღძრავს მასში ნაწარმოები, ეს უკვე მეტწილად დროსა და ვითარებაზე დამოკიდებული, იმ ობიექტურ სინამდვილეზე, — ისტორიულ, სოციალურ და გეოგრაფიულ გარემოზე, — სადაც ჩამოყალიბდა მკითხველის პიროვნება...


ჩემში, მაგალითად, არავითარ „პესიმიზტურ განწყობილებას“ არ იწვევს ნესტან ველთაურის მინიატურა, სადაც „წმინდა-ქალური“, უმწველური სამღერავია გამოთქმული:

ვთამაშობ, თორემ
მეგობრობა სად არის ნაღდი?
ვთამაშობ, თორემ
სიყვარული სად არის წმინდა?
შენ გეკითხები,
სხვას ვის ვკითხო, უფალო ღმერთო,
ამ თამაშისთვის
ჩემი მოსვლა ამქვეყნად ღირდა?

მშვენიერი ლექსია.. სხვათა შორის, ამავე ავტორს მოქალაქეობრივი ფიქრიც აწუხებს ჩვენი მიტოვებული სოფლებისა და არაჩვეულებრივად გაზრდილი ქალაქების გაო.

მასვე შეუძლია გრძნეულივით განიცადოს ბუნების სიმშვენიერე:

უყურებ, ხეა,
ეს გაბრეყვდე, საოცრება!
სახელისდება
მხოლოდ ფიქრი და ოცნება.
შენად არა სთქვა
სხივთა თოვთა, ნამის პკურება,
ეს რალაც სულ სხვას,



ღრმას და დიადს, ემსახურება.
 მოყვანის სიყვარულით, ცხოვრებისეული სი-
 მართლით გამოირჩევიან ედემ კვიციანი ლექ-
 სებიც. განსაკუთრებით „მე და ღამე“ და „ორი
 ფრაგმენტი პოემიდან“, სადაც თანამედროვე ქა-
 ლაქის მკვიდრის, შემოქმედელი კაცის ყოფა ასა-
 ხული. ეს ლექსები ორიგინალური ფორმითაც
 იქცევენ ყურადღებას — ათმარცვლიანი გართო-
 მული და გაურთიბავი სტრიქონების შენაცვლე-
 ბით საინტერესო მუსიკალური ეფექტი იქმნება.

გიმი სულბაბურის „სიმწიფის ატისტატაც“
 გამოირჩევა უშუალოებითა და სიახლოთ, და
 თუმცა ამ ვერლიბრში იგრძნობა წინა თაობის
 პოეტების კეთილმწყობრივ გავლენა (ბესიკ
 ხარაიული), რაიმე მიზანძავე შედეგითა ლაპა-
 რაკი, რადგან შთაგონების „ხესხება“ არ შეიძ-
 ლება, ლექსი კი აშკარად „სულიერ ძალთა სრუ-
 ლი მობილიზაციით“ არის დაწერილი.

მტკივნეულია ეს განთიადი, —
 თითქო სხეულში
 ბასრი და ცივი
 უცხო საგანი შემოიტანეს.
 ჭერ ისევ ბნელა,
 გარღუეულია თუმცა გათენება
 და რომ შემეძლოს,
 ამ დღეს დაეშლიდი
 და მერე,
 როგორც ძველ საათს
 შევკეთებდი, ან ავწყობდი.
 სიკეთე და უშუალოა ახსიათებს მანანა

**ჩინტიშვილის ლექსებს, ჩვენი წარმტაცი ბუნე-
 ბის სიყვარულით გამოთარს:**

... ქსანზე რომ ბალახს ხელს გადაუსვამ,
 მთელ საქართველოს ვეფერებო.

**მაგრამ პოეტ-ქალს აღმაინის სულში ღრმა ფსი-
 ქოლოგიური წვდომის და თანაგრძნობის უნა-
 რიც გააჩნია:**

ო, ამ ქალს ძნელი წარსული ჰქონდა —
 ათვალწუნებით შეხედავს ბევრი...

ო, ამ ქალს ცული წარსული ჰქონდა, —
 ხელმოფარებით იტყვიან მერე.

ქალი კი მიდის, ნამდვილი ქალი
 და ბევრისათვის საოცრად შორი,
 და ტალღებით ასდება მკერდზე
 ფანტასტიური ათასი კორი.

რომ უკეთესად გაიკონ გვიან,
 აძლევენ სალამს მდაბალი რიდიით...

ქალი არავის უბრუნებს პასუხს,
 ქალი თავისთვის, ქუჩაში მიდის.

წედან ჩვენ თამთა ცეცაძის ლექსი მოვიყვა-
 ნეთ, სადაც ავტორი ნატრობს: „ბედს ვეწიო.
 სათქმელი მათქმევინოს დღეისაო“. სწორედ ეს
 „სათქმელი დღეისაო“ რომ ყველაზე მეტად აღუ-

ღვებს და აფიქრებს მკითხველს. „ღრო, ღრო
 აღნიშნე“, — მოგვიწოდებდა გალკატონი, ამას-
 ვე გვახწავლიდნენ გურამიშვილი, ილია, რაჭვე-
 ბარათაშვილი... და ეს ყველასთვის ცნობილი
 ანბანური ტექსტებიცაა, მაგრამ გამოერება იმი-
 ტომ გვიხდება, რომ ახალგაზრდების შემოქმე-
 დებაში აბსტრაქტულმა, ზოგადად მსჯელობამ,
 განყენებული ცნებებით თამაშმა უკვე მიუღე-
 ბელი ფორმები შიღო და საყმაწვილო სახადს
 მოყოლილ მოურჩენელ გართულებას დაემსგავ-
 სა. ამიტომაც მისხალღებელია აღმანახში გამო-
 ქვეყნებული ირაკლი შიღის პუბლიცისტუ-
 რი ლექსის „კინტო ლუმენი“-ს აქტუალური,
 მოქალაქეობრივი შემართება. ეს ლექსი სწო-
 რედ დღევანდელობას ეხება და იმდენად ესალ-
 ბუნება ყველა ქართველი პატრიოტის, თბილი-
 სელის გულს, რომ საქიროდ მიგვანჩა მთლია-
 ნად მოვიყვანოთ:

თბილისურ ელფერს მიეტმასნა უცხო
 ნილაბო
 (პრეტენზიები — ჩვენი მოდგმის შტოსა და
 ფესვზე),
 ილიაც იჩემებს ქართველობას, ცილობს
 სიხარბით
 ლამის დამკვიდრდეს თავებულურად ქალაქის
 ლერბზე.
 სიმბოლოდ, თითქოს ძველებური ეშის და
 შექის,
 გერია კინტო — უთვისტომო არლანის
 მსგავსად,
 ქცევით, სამოსით, უბადრუკი სიტყვა-
 პასუხით
 მოჰკიდებია ჟამთა სრბოლას ობად და
 ხაკსად.

ბილწიტყვაობა, ნაძირალას ღიმილის ვესლო,
 უგერგილობა ჭკუასუსტის — ავ ხუმრობაში,
 პარამხანების საჭურისთა სისხლის და
 თესლის
 უზნეო როკვა და ნამუსის გაცეკვა
 ყოპარში.

საკვირველია, იმოსება გვირგვინით ხშარად
 კინტოს აჩრდილი — პაპა დღეის
 ნაძირალების,
 ის გადაბმული ღრეობების ცხადდება გვირად,
 ოდეს ძველ ქალაქს ადღერძებლებს გუნდი
 მთვრალების.

წარსული თუკი გენატრება, ჩემო მოყვარევ,
 ახსენე ტფილისის სრა-სასახლე თამარ მეფისა,
 განა სუფრაზე — ეგ ცრემლები ასპინძას
 ღვარე,
 ვარამი გკლავდეს რიცხობრივი ჩვენი
 კლებისა.

4. „მე ვარ ხალხი, თორემ სისხლი
ძველისძველი მაქვს...“

გიგი სულაქაურის ამ სტრაქონთან დაკავშირებით ნოვატორობისა და ტრადიციის საკითხსაც მინდა გაკვირით შევხეხო.

ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიცია საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. მისი საწყისი ხალხური პოეზიაშია, ხოლო ჩამოყალიბებას და განვითარებას ხელი შეუწყო როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური პოეზიის საუკუნეთის ნიმუშების შემოქმედებითა ათვისებამ და გამოყენებამ.


დღესაც, ჩვენს თანამედროვე ქართულ პოეზიაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში, გარკვევით შეინიშნება თანამედროვე მსოფლიო პოეზიის მონაპოვრების ათვისების ცდა. ეს პროცესი ახლა უფრო ინტენსიური გახდა, რადგან წარსულთან შედარებით განუწოვლად გაიზარდა ინფორმაცია და კავშირი გაჩნდა სამყაროსთან.

მაგრამ ამ „ათვისების“ ნაყოფიერ საქმეში სიფრთხილეა საჭირო, რათა არ ვუღალატოთ ტრადიციას, არ დავკარგოთ ჩვენი ეროვნული სახე და როგორც იტყვიან, „წუალს ბავშვიც არ გადავაყოლოთ“. ამის საშიშროება კი ზოგიერთ ჩვენს ახალგაზრდა (და არა მარტო ახალგაზრდა) პოეტს აშკარად ემუქრება...

დავიწყეთ შორიდან.

იყო პერიოდი, როცა ჩვენში უპირატესად ზედაპირული, განუწყველი ოპტიმიზმით გამსჭვალული უფიქრო ლექსები იწერებოდა. რიტორიკა და დეკლარაცია ჩემალავდა ცოცხალ, ადამიანურ ფაქტებს და განცდებს; პოეზიიდან თითქმის გადევნილი იყო სევდა, იქვი, კრიტიკული და მოკიდებულება სამყაროსთან და საკუთარ თავთან; პირადი და საზოგადოებრივი ყრუ კედლით იყო გამოქვნილი და ზოგადი აზრი უფრო დიდ პატივში იყო, ვიდრე კერძო შემთხვევა, რომელიც ზშირად ეწინააღმდეგებოდა იმ „ზოგად აზრს“ და საგანგაშო მდგომარეობაზე მიუთითებდა, რომელიც სასწრაფოდ უნდა გამოსწორებულიყო.

სამოციან და მომდევნო წლებში მოსული პოეტები გაემიჯნენ ზედაპირულ, პარადულ პოეზიას. დაიწყეს ახალი ეტაპი ქართული პოეზიისა, სადაც წინა პლანზე გამოვიდა ადამიანი თავისი სინარულითა და ტკივილით, მისწრაფებებითა და ოცნებებით; ყურადღების ცენტრში მოექცა ალბინანი — პირიქნება, როგორც საზოგადოების ცოცხალი მონადეი, რომლის სულიერი მდგომარეობით იზომება ყველა უსუსეულობა, მათ შორის, პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემის სიკვარვე და სიცოცხლისუნარიანობა...



პოეტების ეს თაობა დღესაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით. მათთვის ერთ-ერთად მოღვაწეობენ ჩვენი ალბინანები, ახალგაზრდა ავტორებიც. ისინი არ მოსწრებიან იმ პერიოდს, ზემოთ რომ ვახსენეთ, და თუ მათი წინამორბედებისთვის („სამოციანელებისთვის“) ახლის დაწყება ნაწილობრივ ძველის უარყოფას ნიშნავდა, ესენი, ახალგაზრდები, აგრძელებენ და ავითარებენ იმას, რაც უკვე მოპოვებულია მათი უშუალო წინამორბედების მიერ. მაგრამ ახალგაზრდების მეცადინეობასა და ძიებას ერთი თავისებურება ახასიათებს: ისინი შესაშური მონღომებით ცდილობენ აითვისონ და გაათავისონ თანამედროვე მსოფლიო პოეზიის მონაპოვარი, ყოველივე ის, რაც თარგმანების სახით შემოღის ჩვენში. ამის მაგალითია უკვე ხსენებული დალილა ბედიანიძის, ზაზა ქინქლაძის და ბათუ დანელიას ვერლიბრით დაწერილი ლექსები. თუმცა ვერლიბრი არაფერ შუაშია, რადგან ლექსის ფორმაზე როდია ლაპარაკი. ვერლიბრით გიგი სულაქაურიც წერს, მაგრამ ის არ ღალატობს ჩვენს კლასიკურ პოეტურ ტრადიციას, რომელიც ლექსის ხალხურობაში, მის დემოკრატიულ ხასიათში მტკიცედ დგება, წინააღმდეგ იმ „ელიტარიზმისა“, რომლის ხელშეწყობა დაგმონერგვას ცდილობენ ქართულ ლექსში შემოღებულნი ავტორები.

ისიც უნდა ითქვას, რომ უცხოური პოეზია ჩვენში ყოველთვის სრულფასოვნად არ არის წარმოდგენილი: ზშირად იმეჭლება საშუალო ხარისხის, ცუდად თარგმნილი ნაწარმოებები. გარდა ამისა, ლექსის თარგმანი (როგორც არ უნდა იყოს იგი) შემოქმედებითი ათვისების, და მით უმეტეს, მიზანების საგნად ითვ გამოდგება. ყველაზე სავალალო შედეგი კი იმას მოყვება, როცა ახალგაზრდა პოეტი თავის ლექსებში მეოცე საუკუნის მსოფლიო პოეზიის მეტაფორულ, ინტელექტუალურ ატმოსფეროს შექმნას ცდილობს, მაგრამ ამისთვის არც ძალა და არც სათანადო უნივერსალური განათლება არ ყოფნის. შედეგად უხეირო ახლს ვიღებთ, რომელიც ლექსის ცუდ თარგმანს მოგვაკონებს...

მუშაზარული (თანაც უცხოური!) ლიტერატურული ნიმუშების მიხედვით ლექსის „კეთება“, — ფორმალურად, უსულგულოდ, ერთადერთი მიზნით: რაც შეიძლება ორიგინალური გამოჩნდეთ და არავის დავემსავსოთ, — უნაყოფო საქმეა. მხოლოდ ეროვნული ტრადიციასთან კავშირი, მხოლოდ მშობელი ხალხის სულიერი ცხოვრების ცოდნა — აი ის „პრიალეს ძაფი“, რომელიც უშეცდომოდ გაატარებს პოეტს მსოფლიო კულტურის ათვისებისა და გაათვისების, ცდუნებებით აღსავსე დაბირინთში.

მინაზე... მინაზე...

„ახალგაზრდობა“ სწორედ ისეთი გახლავთ, როგორც მოველოდი. კარგად მოქცეულა რედკოლეგია, რომ ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედება იმ ნიშნით შეურჩევია, რა სიმპტომებიც საერთოდ ახასიათებს ჩვენს ახალგაზრდულ მწერლობას.

შევე მინდებოდა ჩვენს კრიტიკაში კამათი ვერლიბრისა და კანონიკური ლექსის შესახებ. ქართულმა ვერლიბრმა თავისი სიტყვა თქვა და, მე მგონი, ყველაზე ჩიუტი სექტაციონებიც კი დაარწმუნა თავის შესაძლებლობებში. ამ სტრიქონების ავტორი „არცერთ კილოს არ წუნობს“, მაგრამ „ახალგაზრდობაში“ დაბეჭდილმა თავისუფალმა ლექსებმა კინალამ მიაბრუნა იგი ძველი კამათისკენ და კინალამ უოყმანი დააწყებინა. მომეჩვენა, რომ ლექსის განთავისუფლებას წოგი ახალგაზრდა პოეტი გარდა რითმისა და რიტმისა, აზრისგან, ლოგიკურობისგან და, პირდაპირ რომ ვთქვათ, საერთოდ პოეტურობისგანაც ცდილობს.

მადლობა ჩემზე ღუმლისათვის, არამც და არამც დაეიწყებინათვის.

ამ სტრიქონებით იხსენება ალმანახი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კობა არაბულის ეს სტრიქონები გამართული ქართულით ვერაა დაწერილი და თუ ჰქვამთ გრამატიკის კანონები არ ირღვევა, სამაგიეროდ აზრი, მე ვფიქრობ, არც თუ მთლად ნათელია.

ვერ გიტირებენ ჩემი მწუხრის

პასტორალები,

ჩემი გმირთა შესანდობრები,

მისტერები ჩემ მიერ ქმნილი ჩვენი

მკვდრებისთვის!

მე ვერა ვარ ცოცხლებისათვის შენდობის მთქმელი...

შენ სამშობლოსთვის არ იქნები უცხო

სტუმარი,

არც ჩემდამი — შენი ღუმელი არ იქნება...

აბა მე რალა კაპიტანი ვარ —

თუკი ისეა ყველაფერი, როგორც წყლის

ფსკერზე, —

ჩემი ყური სილით საესევა ნიჟარასავით

და არა სხვიით ხევისბერის მცხრალი

ყურივით!

(„უცნობი ბარათი“)

მე არას ვამბობ კომპოზიციაზე, მოკლედ და ლამაზად თქმის ხელოვნებაზე, კომპაქტურობაზე, მხატვრულ სახეთა ფერწერულობაზე და გა-

მკვირვალობაზე. უმძიმეს დღეში აღმოვჩნდი, ჩემი თავი ლიტერატორი მეგონა და ისე ჩამოვჩი თურმე, რომ ქართულად დაწერილ სიტყვებში აზრის ნაპერწყალის პოვნაც კი მიუძღირს. როგორ მიყვარდა დალილა ბედნიანის ალალი, სუფთა, ხალასი პოეტური სტრიქონები და როგორ მიძიმეს მისი გრძელი ლექსიდან ამ ყაღბი სტრიქონების ამოწერა:

თუ მოგონებია, მოდი, მომავალს მოვიგონებ, ასე იყო შარშან —

ერთად ვისხელით ყავახანაში, სადაც არ ვყოფილართ.

მდღიარე ყავა გადმოდიოდა და ცხელ ქვიშაზე მიშინებდა, ჩვენგანაც გადმოდიოდა მდღიარე მარტი და სიტყვებში მიშინებდა.

ერთად ვისხელით თეატრში, სადაც არ

ვყოფილართ...

ასე იყო შარშან, როცა ერთმანეთს არ

ვიცნობდით.

ასეა ახლაც, როცა ერთმანეთს ისევ არ

ვიცნობთ,

მაგრამ ისე გვიყვარს, არ შეიძლება არ

გავიცნოთ.

მანქანა მიჭრის.

ლალიძის წყლები, ვეკე... ვერა...

ერთად ჩავყარეთ ერთნაირი ხუთკაპიკანები.

იმან ბელნიერი ბილეთი მოხია, მე — ვერა.


ბათუ დანელიამ სრულიად ტრივიალური აზრი სამყაროს ცვალებადობისა ლექსის ფინალში რაღაც უზილავს, მისტიურს დაუკავშირა და თავისივე ფსევდოფილოსოფიური ლაბირინთიდან გზა თვითონვე ვეღარ გამოიგნა:

„... უზილავისგან ჩათქმული და გამოთვლილია ეს ყოველივე. ო, ყველაფერი ისე ხდება, როგორც ზეციდან ნაბრძანებია. ძეხორციელიც მოდის და მიდის და რაღა არის აქ ცვალებადი? და ჟამიც, ჟამიც რომ იცვლება მითაჟამიდან, ისიც კი ერთხელ, როდესმე ერთხელ თავის გაჩენის დღეს შიადგება და ისევ ამ გზით წამოვა, გაიმეორებს თავის თავს ჟამიც“.

(„უცნობი მავალი მდინარე“).

დღდააზრს ამ ლექსისას კიდევ რომ ჩავწვდომოდი, იმას მაინც ვერ მივხვდებოდი, თუ რატომაა იგი ასე უცნაურად, მარჯვნიდან მარცხნივ დაბეჭდილი. ესეც ორიგინალურობაა? ესეც ძიება?

აღმანახში დაბეჭდილი თეთრი ლექსისა და



ვერლიზირის ავტორები თითქოსდა ერთმანეთს შეეხიზრებინან იმაში, თუ როგორ აპილონ მხატვრულ სახეს ის, რისი ტარებაც მას ხაერთოდ არ ძალუძს, თუ როგორ გაეცნენ ხელეწიფების ძველთაძველ, ათასგვარ ამოხსნილ საიდუმლოს — დემოკრატიულობას. იშვიათზე იშვიათია ამ ლექსებში აშკვარი, ჭეშმარიტად პოეტური სტრიქონები. მაგალითად:

ერთხელ წარმოვიდგინე
ყველა მიზანი და ოცნება ამსრულებოდა...
ცრემლი მომადგა — როგორც ბავშვობაში
სიყვლილზე ფიქრისას.
მერე დავშედიდი, გამახსენდა რომ
მიზანი იმდენია, რამდენი ტყვიაცაა“.

(*წაწა ჭინქლაძე — „ღამეხსანწაული“*).

„მე არა ვწვები,
დავეცემი ხოლმე საწოლზე
და სიზმრებს ვფერთხობ.“

(*გივი სულუაჯური — „სიმწიფის ატეტატი“*).

ნუ მიწყენენ ჩემი ვერლიზირების შეგობრები,
თუ მე კონსერვატორი კაცი ვარ და; თუ ვერ-
ლიზირი აუცილებლად იმპულსური, ქაოტური,
მხატვრულ ლოჯიკას და ზომიერებას მოკლე-
ბული პოეტური აზროვნება, მე მას ასეთ ტრა-
დიციულ, ნედლ და ცინცხალ სტრიქონებს
ვაშქობინებ:

— ამ ლელის პირზე, — ყვება ბებია, —
გოგოობაში დავსდევდი ბატებს.
ერთი შეხედვით არაფერია,
გულში კი ცინცხალ განწყობას ბადებს.

ჩაუვარცხნია სიმინდს ულვაში,
გაკრფელია ზვარი ენალო.
გადივებდავ მერჭეულაში:

— რა მხრებმა ზიდეს ამოდენა დრო?
(*შადიმან შამანაძე — „ამ ლელის პირზე“*).

„ახალგაზრდობის“ პროზა გაცილებით უფრო
საინტერესოა, ვიდრე პოეზია, მაგრამ ერთი
უმთავრესი შენიშვნა მაინც უნდა ვთქვა, რად-
განაც ეს შენიშვნა შეტანაკლებად ყველა ახალ-
გაზრდა პროზაიკოსს შეეხება: წერა უპირო-
ჩვენს ახალგაზრდა ხელეტრისტებს, ქართული
კარგად არ იციან. უფრო ხავალალო ის გახ-
ლავთ, რომ უკეთეს მოთხრობათა ავტორებსაც
ვერ შევატყვე ლექსიკის გამდიდრებისკენ, სი-
ტყვეერი მასალის გამრავალფეროვნებისკენ.
ნაწარმოების ენობრივი დახვეწისკენ სწრაფვა.
არ მუშაობენ ფრაზაზე. უმეტეს შემთხვევაში
ისე წერენ, როგორც პირველადვე მოუვთ თა-
ში. არ ეტყობათ, რომ ჩვენს ამოუწურავი ლექ-
სიკური მარაგიდან მოვლენის გამოსახატავად

ათასი შესაძლებლიდან ეძებდნენ იმ ერთს —
ყველაზე ზუსტსა და უტყუარს. სამას ვერცა-
დღე პროზა გულდამსით წვაკითხვად შევსა-
წაყვდი ასეთ სიტყვას ან *მეწიფე* *მეწიფე*
შეგერებულყოფავი, კიდევ ერთხელ წამეკითხა
შეხმარებისა და კეთილი შეხარბებით, მეტყვა
ნეტავ სად გაიგონა, სად ჩაიწერა ეს მშვენიერი
სიტყვა-მთქვი. სამაგიეროდ, ბევრგან წაყვდი
სიტყვაყაზმული (ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას, რ. მ.)
მწერლობის თვალსაზრისით უხერხულ კონსტ-
რუქციებს და ენობრივად აშკარად დაუშვებავ
ასეთ ადგილებს:


„სულხანმა ახალა მიაქცია ყურადღება სახ-
ლის უფარვებს მომდგარ სახეებს და გააოცა
იმ ქვეტექსტურმა კონფლიქტმა, მხატვრის საქ-
მიანობასა და უცნობთა მყუდრო ცხოვრებას
შორის რომ ამტყუდარიყო“.

(*ლალი ბრეგვაძე — „ღაჯარული ქრიწანთემა“*)
„შინიდან წამოღებული საქმლისთვის სასმე-
ლი გამოეყოლებინა“.

(*ირაკლი შენგელია — „მარინაი“*).

მე მგონი, მტკიცება არ უნდა იმ ფაქტს,
რომ მწერლობაში „საქმლისთვის სასმელი“
არაფერს არ ნიშნავს, ისე როგორც „სახრლი
ესრლია“. უნდა უთხრა მკითხველს, რომ ნაწუ-
ქების და მრგვალად მოზარშული დედლისთვის
არაყვი გამოეყოლებინა, თორემ კონკრეტულო-
ბის გარეშე ლიტერატურა საერთოდ, და მითა-
უმეტეს პროზა, ჰერში გამოკიდებული გახლავთ.

ლერი ბარათელის მოთხრობა „სტუმარი“ ასე
უპრეტენზიოდ იწყება: „იანვრის თოვლიან დღეს
შოთა ჭინჭველაშვილს თბილისიდან თანაკურ-
სელ გოგონასთან ერთად ქალიშვილი ეწვია.
იგი წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვიდოდა სო-
ფელში მშობლების მოსახალხურებლად. სხვა
დროს ან ლექციები მქონდა, ან გამოცდები.
უმადლესში საკუთარი ცოდნით მოწყობილიყო
და ახლა ცდასა და მონდომებას არ აკლებდა
წარმატებით გადასულიყო კურსიდან კურსზე“.
ერთი შეხედვით აქ ყველაფერი რიგზეა, მაგ-
რამ სინამდვილეში შეტად მძიმე დასაწყისია მო-
თხრობისათვის. იმდენი ინფორმაციაა ჩადებუ-
ლი ამ პატარა აბზაცში, რომ მკითხველი ილღება
და კითხვის გაგრძელების ხალისი ეკარგება.
მაგრამ მე დაბეჯითებით ვთხოვ, ამ დასაწყისი
შეშინებულ მკითხველს, განაგრძოს კითხვა,
„სტუმარი“ ხინტერესო, შთამბეჭდავი მოთხ-
რობა პროვიციაში სტუმრად ჩასულ ქალაქელ
ქალიშვილზე, მის სრულიად ბუნებრივ შეხვედ-
რაზე უჩვეულო სეველასთან და, ვინ იცის, იქნებ
ნამდვილ სიყვარულთანაც.



მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აღმანახში დაბეჭდილია სამი ბრწყინვალე მოთხრობა: თენგიზ ჩალაუროს „ლომი, ალკოჰოლი, მანეთიანი და კლუბტომანი“, ვია ლომაძის „თავი“ და ირაკლი შენგელიას „მარინა“. მე ახლაც თვალწინ მდევას ოსტატურად დახატული სცენა; მოვლემარტ ლომის გალიაში ხორცის მოსამარავად შედის კატა, გურგენ შიქაშვიდის რეჟისორული დღეების დამატევი-დამანგრეველი თავი და მთის სოფელში თავის ქობთან მღვარი მარტოხელა მარინა. სწორედ რომ ამ სამად სამი მოთხრობის დაბეჭედა საქართველო იყო ახალგაზრდული აღმანახისთვის, რათა მისი არსებობა გამოიყოფოდა მიგვეჩინა და სწორედ ეს სამი მოთხრობა მაძლევს გარანტიას ჩემთვის უადრესად სასიამოვნო დასკვნა ვაუწყო შეითხველეს: ძალიან კარგი პროზაიკოები გამოჩნდნენ ჩვენი ლიტერატურის მორიგონტზე.

ახლა კი ისევ ნაკლს უნდა მივუბრუნდე. რადგანაც, მე მგონს, ამით უფრო შევეწვიო ჩვენს ახლად ფეხადგმულ აღმანახს.


გოდერძი ჩოხელზე დაწერილ წერილებსა თუ ანოტაციებში კრიტიკოსები ერთბაშად აღნიშნავენ, რომ ავტორი კარგად იცნობს საქართველოს მთის და განსაკუთრებით გულაშაურის ხეობის ცხოვრებას. მე კი ამ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის ბოლოდროინდელი თხზულებები მაძლევებენ საწინააღმდეგო ვამტიკო: გოდერძი ჩოხელი მთიელთა უოფა-ცხოვრებას სუსტად იცნობს და სწორედ ამის გამოცაა, რომ ისეთ უაღბ სიტუაციებში აუენებს, ისეთ თითიდან გამოწვილ პრობლემებს აბრალებს თავის მეზობლებს ხშირად, რომ იცვი მესარება იმ ჩანსალმა და უადრესად მიწერმა მეზობლებმა, თუ ასე გაგრძელდა, გოდერძი ჩოხელი გულაშაურის ხეობის მწერალ-მემბტიანედ მიიჩნის.

„თევზის წერილებში“ ასეთი ამბავია მოსახრობილი. გამიხარდაის ბრივადირმა თივა წაართვა. გამიხარდაიმ პროტესტის ნიშნად ტანთ გაიხადა, ცივ არავგვი შეტოპა და უელამდე წუალში ჩაქდა. ადამიანად უოფნა მომწყინდა, თევზად უნდა ვიქციო. ხევრს ეცადნენ თავშელომარე, ბრივადირი, მილიციელი, ცოლ-შვილი, მაგრამ ადამიანობაზე გაწყურალ გამიხარდაის პირი ამ ქვეყნისკენ ვერა და ვერ აქნევიენს. ბოლოს წერაღს უხმეს. მწერალმა, არც აცია, არც აცხელა, წერილი გაუგზავნა (?) ცივ მორევი ეელამდე ჩოტად მქდარს: — „ლოღუვილა მიინდ არ გენანება? გამაგებინე რაშია საქეო“, პა-

სუხად მორევილან (?) შავით თერთზე დაწერილი ბარათი მიიღო: „მე თევზი ვარ, აღმეწენებთან აღარაფერი აღარ მინდა მქონდეს საჭერთო“. გადიოდა დღეები. გამიხარდაი უნდა წუალში იქდა. მიმოწერა მწერალსა და ადამიანობას-წურგშეკეულ კაცს შორის თანდათანობით უფრო „რთული“ და „ფილოსოფიური“ ხდებოდა. „შეიძლება სულს მართლა არა აქვს დასაწყისი და დასასრული, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ადამიანში მღვარი სული თევზის სული ვერ იქნება, სხეული მატერია არის, მატერიას ფორმა აქვს, ფორმა დროს ემორჩილება. სულმა, შეიძლება, სხვადასხვა სხეული გამოიაროს ღონედ ამ სხეულებმა, წყნის მიხედვით, და სულში თავიანთი გარკვეული ფორმა უნდა დასრულდეს...“ — წერდა მწერალი. „სულს უფლება აქვს აირჩიოს ის, რაც მას უნდა, ამაზე ხომ უარს ვერ მიტყვიო. ჩემ სულს არ უნდა ადამიანებთან უოფნა და სრული უფლება მაქვს, ვიყვ თევზი“ — პასუხობდა გამიხარდაი. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ არავგი მოდიოდა და თევზობაჩემებული კაცი წუალმა დააბრჩო. მე, შეითხველ რევაზ მიშველაძეს, ეს მოთხრობა არ მომეწონა.

გულუბრყვილო შეითხველად ნუ ჩამოვლით. ვანა არ ვიცი, რომ ლიტერატურაში პრობოითობა დასაშვებია და ყველაფერს რეალისტის პოზიციიდან ვერ შევხედავთ. ვანა არ გამხხნებია ამ მოთხრობის კითხვისას აზიზ ნისინის მშვენიერი „გიგი სახურავზე“, ვანა არ ვიცი, რომ ლიტერატურაში კაცი შეიძლება ხოლოდ იქცეს (კაფკა) და ადამიანს ვარის უურები გაპოებას მე ვანა იმას ვუთქვიენებ ავტორს, ერთ კვირას ცივ წუალში ჭლომა რომ შეუძლებელია ან არავის ტალღები ცოტა უბერხული პოზიცია ფილოსოფიური მიმოწერის გასაჩაღებლად. არა, დიდ ლიტერატურაში ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია: დამდელია ის რებუსურობა. გამიხარდაის ტრაგედიამ იმით ვერ ამაღლევა, რომ მთელი ეს ამავი მხატვრული ლოგოსის რკინის ქავით არაა შეკრული. მოთხრობის ქვეტექსტში საექვოდ ღრმად ჩამარხული პრობლემა კი მველითაქველია და გაცვეთილი.

მწეუმში მაქსინაი ბატონის მოსატაციებლად მოტრენილ არწივს შეება. მწეუმსისა და ფრინველთა მეფის ორთაბრძოლა იმით დამთავრდა, რომ არწივმა „ორივე ზღისგულში ჩაუყარა ბრჭყალები და მაქსინაიმ დინახა, რომ ზღის მეროე მხარეს გამოეონა სისხლმა და მერე არწივის ხასრი ბრჭყალებიც გამოჩნდა“. მაქსინის ყვირილი ამო აღმოჩნდა, არწივმა ივი მად-



ლა ახტაცა და თან დაატარებს. მოთხრობასაც „არწივთან ფრენა“ ჰქვია. უნებლიედ არწივის-გამომშული კაცი ღამეს არწივის ბუდეში ათქვს. დედა არწივი კვერცხებზე წი და მისი უცნაური ტვირთიც თანა აქვს. ბოლოს მაქსინაიმ დანა იშოვა და არწივის ორივე ფეხი დააჭრა იმ უბრალო მიწის ნაწილს, რომ არწივის ქვეანტი-ბინჯან თავის დასხნის სხვა გზა არ გაჩნდა — უარეს შემთხვევაში თავისი ხელით უნდა გადაეჭრა მაჯებში და არწივისთვის შეეტკოვებინა.

თუ პირველ მოთხრობაში ავტორი არ დაუქარებულა იმაზე, როგორ ძლებდა უხმელ-უშემულად ცვა წყალში გამობრძლი, ამ მეორე მოთხრობაში სინამდვილის მიგვაჩვენებელი მოთხრობების მოყვარული აბეჯარა მკითხველისთვის დათმო და ნაწარმოებში ნატურალიზმის ელემენტები შემოუშვა. მაქსინაის ძალიან რომ მოსწუწურდებო, მამალი არწივის მიერ თავისი ერთ-გული მუღლისთვის მოყვანილ განწირული კურდღლის თბილ სისხლს სვამს და ძალიან რომ მოშივდება კვერცხიდან ნახევრად გამორკეილ არწივის მართებაც მშვენიერად მიირობევს. სანამ არწივი ჭიუხების თავზე დააპორწიან-ლებს თავის უცნაურ ტვირთს, ამასობაში ქვემოთ, გულამყარის ხეობაში (და მგონი სხვა ადგილებშიც) დულს და გაღმოდულს ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი სიყვარულით, ნამდვილი მტრობით, ნამდვილი შურით და ნამდვილი შეცდომებით სავსე ცხოვრება — გოდერძი ჩოხელის მიერ რატომღაც შეუმჩნეველი.

იქნებ მესამე მოთხრობაში მაინც დავიშვას მიწაზე ავტორმა და „აღმა ფრენით“ დალილ-დაწყურალი გონება მისთვის ჩვეული სრულით დაგვიამოს? თქვენც არ მომიკვდეთ, „კომბოსტოს ჭიის განსამართლება“ ჰქვია ნოველას. ალბათ ალტერორული სათაურია (ჩვენ ხომ ალტერორებს ძალიან მივეჩვიეთ ამ ბოლო დროს), თორემ კომბოსტოს ჭიის რაღა განსამართლება სჭირდება-მეთქი, გაიფიქრეთ. თხუთმეტობედ წუთში გამიქარწყულდა იმედი (მოთხრობა საბედნიეროდ მცირე მოცულობისაა); არც მტერი, არც ნაკლები, კომბოსტოს ჭიის ასამართლებენ, რა დაშავა? როგორ რა დაშავა — კომბოსტოს ჭიის, მოსავლას ანადგურებს ასე მარტივად არ გვიგონოთ საქმე. კომბოსტოს ჭია ობობას ქსელში გაება და ობობას ქსელი კი, მოგხსენებთ, კომბოსტოს ჭიისთვის სულ-თაბარძლის დასაწყისია. მაგრამ კომბოსტოს ჭიასაც გამოუჩნდნენ დამცველები. რა უფლებით აპირებს ობობა კომბოსტოს ჭიის შექმნას? მოკლედ, სხამართლო გარდაუვალია და სარჩი-საყულს მომედარმა გულამყარებებმა სხამართლო გამართეს. მოსამართლედ სოფლის თავ-კაცს უნმეს. იცით, როგორ დამთავრდა სხა-

მართლო? „სხამართლომ დაადგინა, რომ ღმერთს მოეთხოვოს პასუხი ასეთი საპასუხისმგებლო პუ-რისებმა რომ დაუწესა ამ საწყალ არსებებს? არ გაგვიდომოთ, ეს იუმორისტული ნოველია და გასლავთ.

თუ გახსოვთ, გოდერძი ჩოხელის მისამართით მე ზემოთ ვახსენე „ნიუბერი“ და „მისათვის ჩვეული“. ეს სიტყვები აწ ჩემზე განაწყენებულნი ახალგაზრდა მწერლის მოსაფერებლად არ მისმარია. მე მას მართლაც ნიუბერი კაცად ვთვლი. ამის უფლებებს მამძლევს არაერთი საინტერესო მოთხრობა, მისი ხელმოწერით რომ წამიკითხავს. იხე კარგად დაიწყო გოდერძი ჩოხელმა, რომ პირველ რიგში ვკითხულობდა ხოლმე უურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ მის ნაწარმოებებს. მერე თანდათან (ოჰ, ეს უსახგლო ბიბები!) გადაუხვია ჩემმა ახალგაზრდა კლდე-გამ მწერლობის მაგისტრალური გზიდან. მიძულა, გამწელებლად ინტერესი მისი შემოქმედების მიმართ და „ახალგაზრდობაში“ დაბეჭდილი ამ სამი ნოველით კი პირდაპირ გული და მწყეტი. ბევრი ვიფიქრე, იქნებ ნაადრევი იყოს-მეთქი „მისი“ შეძახილი, მაგრამ დავასკვნე. რომ „თავს სინანული სჭობიან“ და მაინც თქმა სჭობს. მიუხედავად ამისა, მთლიანად როდი მოახერხა ავტორმა „დაემალა“ ჩვენთვის მისი ნიჭის კარგი მხარეები. უმაღურობა იქნებოდა, არ აღმეწინა ის, რაც მომეწონა ამ ნოველებში. კერძოდ: გულამომჭდარი გლოვობენ გამიხარდაის სწორედ ისინი, ვინც თევზ-კაცი ამ მღვდმართობამდე მიიყვანა („თევზის წერილები“). მიწაზე დაბრუნებულ მაქსინაის შეცოლა ბეიბარი არწივი, დანა გადაადგო და კვდე მას დაუბრუნდა („არწივთან ფრენა“), სანამ მოსამართლემ ღმერთს განაჩენი გამოუტანა, ობობამ თავისი საქმე მოათავა, კომბოსტოს ჭიას სისხლი ბლომდე გამოსწოვა („კომბოსტოს ჭიის განსამართლება“). და მაინც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გოდერძი ჩოხელის ეს სამი ექსპერიმენტი უშედეგოდ, უიღბლოდ და-მთავრდა.

ცოტა არ იყოს, ცხარე საუბარი გამომივიდა ჩემს ახალგაზრდა კოლეგებთან, მაგრამ სწორად უნდა გამოვიჩინე. რა უფლებმა მქონდა, ამ ნიუბერი უმწველებთან მიკებ-მოკიბვით და რევერანსებით მელაპარაკა, ესეც არ იყოს, მე თავის ძალეში დარწმუნებულ ლიტერატორებს ველაპარაკებოდი და მათთვის გულის გატეხვა (ამის უცნაური სურვილი რომც მქონდა) ჩემს შესაძლებლობებს აღემატება, ხოლო კრატეული სიტყვა, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ იმას სჭირდება, ვისაც ძალუძს ხვალ-წეგ უკეთესი შექმნას და დღევანდელი მცირეოდენი შეცდომები მხოლოდდამხოლოდ ახალგაზრდული ლიტერატურულ ცდუნებათა სრულიად ბუნებრივი (ავიღლად დახამდვი) შედეგი გახლავთ.


ზ ლ უ რ ბ ლ ზ ე

უცნაურია, თითქოს სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში მოსულ თაობას, რომელთა მხრებზეც არასოდეს გადაუღვია ომის ქარიშხალს, თაობას, რომელსაც დედებმა და მამებმა დიდი წვალბებითა და რულუნებით, გამუდმებული ზრუნვით დახვებდნენ ე. წ. მატერიალური დოვლათი, მზამზარეული კომფორტული ანტურაჟები, თაობას, რომელსაც ფიზიკურად იმის შესამედი ტკივილიც კი არ განუცდია, რაც წინა თაობებმა განიცადეს და ვისაც ამდენი და ამდენნაირი დღესასწაული შეუქმნეს, როგორც არავის, ისე ენატრება დიდი სიხარულისა და დღესასწაულის განცდა. იქნებ მკრთელობადაც ჩამითვალოთ ამის თქმა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემთვის ცნობილ არცერთ თაობას არ ჰქონია ისეთი მტკივნეული და თითქმის ავადმყოფური მოთხოვნილება სიხარულის, სიღამაზის, მშვენიერებისა და უბიწობის, როგორც ახლანდელ თაობას. თვის ომის შემდგომი პერიოდის თაობაც კი არ დასწავებია ასეთი სიხარბითა და ვნებით ამ სიხარულს, სიღამაზეს, სითბოს, სათნოებას. დღევანდელ ბავშვებს თანდაყოლილი განცდა და მოთხოვნილება აქვთ იდილიისა, მაშინ როცა ეს მოთხოვნილება, როგორც წესი, ადრე ასაკთან ერთად ჩნდებოდა. ეს იდილია, დღეს უკვე სხვა არაფერია, თუ არა ურთიერთნდობისაკენ, ადამიანური სითბოსა და ჰარმონიისაკენ სწრაფვა, საკუთარი სრულფასოვნებისა და ფუნქციის შეგნებისა და შეგრძნებისაკენ ღტოლვა. ამ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ლირიკული გმირები თუ პერსონაჟები, რომელთაც აღმანახ „ახალგაზრდობის“ ფურცლებზე ვხვდებით, განუწყვეტლევ სწორედ ამის ძიებასა და მოპოვებაში არიან. მათს ზნეობრივ და სულიერ სფეროში — ადამიანური სითბო, სიუვარული და ერთგულება სასიცოცხლო ენერჯის უმთავრესი ბიძგი და სტიმულია.

ასოციალურობასთან, მოწყენილობასთან, კავშირთან, სულიერ მარტოობასთან ბრძოლისა და დამარცხების საშუალებად ახალგაზრდა მწერლების ერთი ნაწილისათვის სწორედ სიუვარული გამოდის (ლ. ბარათელი, „სტუმარი“, ბ. ჭობონელიძე, „ძველი სახლი“...) ზოგიერთისათვის სიუვარულის, მეგობრობის, ერთგულების გრძნობები იმედგაცრუების, სული-

ერი ტანჯვისა და გამოუვალი მარტოობის საფუძველად გადაიქცევა (ლ. ბრეგაძე, „დაკარგული ქრისანთემა“, დ. ბედიაშიძე, „როგორ შევხვდეთ ახალ წელიწადს ანუ მესამე“, ნ. ველთაური, „მარგარიტა გოტიეს“; „ვერ ვუერთგულე, ვერ ვიერთგულე ქვეყნად ვერავინ“). როდესაც ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებას ეცნობით, შეუძლებელია არ შეიგრძნოთ ის ტკივილი, რითაც ისინი გამოხატავენ თანამედროვე ადამიანის წინააღმდეგობებს, მარტოობასა და სულიერ დრამას, „გულის პოეზიასა და ცხოვრების პროზას შორის“ (პეტელი) დაუძლეველ, გადაუღებავ კონფლიქტს, შეუძლებელია, არ თანუგრძნოთ მათ სურვილს, მოიძიონ, მიაკვლიონ იმ ძაღს, რომელიც შემუსრავდა უველა ამ ცხოვრებისეულ წინააღმდეგობასა და კონფლიქტს და მათ მძიებელ სულს ამაღლებული, ნამდვილი ადამიანური არსებობის ახალ შესაძლებლობებს გადაუშლიდა. სწორედ ეს მუშანისტური პათოსი (ამასთან ეს ვახლავთ არა აბსტრაქტულ იდეათა, არამედ სინამდვილისა და საკუთარი თავისადმი ცოცხალი, ფიზიკური, აქტიური დამოკიდებულების ზუმანისტური პათოსი) განსაზღვრავს აღმანახ „ახალგაზრდობაში“ წარმოდგენილ ავტორთა შემოქმედებას...


ადამიანისათვის ოდითგანვე იდგა ცხოვრებაში თავისი ადგილის მოპოვების, თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრების პრობლემა. ახალგაზრდა მწერლებიც ბევრს ფიქრობენ საკუთარი ადგილის პოვნაზე, თავისი ინდივიდუალობის თვითდამკვიდრების ფორმებსა და გზებზე, ფიქრობენ, რომ ამ პრობლემას ადამიანი უნდა წყვეტდეს არა საკუთარი თვითდან და სინამდვილიდან (საზოგადოებრივ) გაქცევის გზით, არა სულიერი იზოლაციით, არამედ თვით საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მოპოვებით (კ. არაბული, „ცოცხალ კაც ხედავს შიეს“, გ. ჩოხელი, „თევზის წერილები“...), ასოციალური, ეული, საზოგადოებისგან გამოცალკეებული ადამიანი, მათი მრწამსით, უაზრო, არაადამიანური არსება; ადამიანს ადამიანობას სოციალურობა ანიჭებს. ამ თვალსაზრისის მხატვრულ ხორცშესხმას წარმოადგენს გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „არწივთან ფრენა“. ამ მოთხრობაში პროზაიკოსის მიერ პირობითი, სტალიზებული სამყაროს



შექმა თვითმიზანი არ არის. იგი მხოლოდ საშუალებაა იმ ზოგადადამიანური პრობლემების მხატვრული ხორცშენახისათვის, რომლებიც მას მოცემულ შემთხვევაში აინტერესებს: რას წარმოადგენს ადამიანი საზოგადოების გარეშე, როგორია ადამიანისა და ბუნების „მორალური სახე“ და მისთ. მწერალს აინტერესებს, როგორ გამოდგენება ადამიანის ადამიანური არის განსაკუთრებული, არასტანდარტული, არატაბიურ სიტუაციაში: იგი ამ მიზნით მორალურ ექსპერიმენტს „უწყობს“ ადამიანს (მწვენი მუქინაის არწივი მოიტაცებს და მწვერვალზე, თავის „საუფლოში“ აიყვანს. მუქინაი, საზოგადოებისაგან, ადამიანებისაგან სრულიად მოწყვეტილი, უჩვეულო, მთაწარმულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში აღმოჩნდება). მწერალი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენებს, მუქინაი, რომელიც საკუთარი თავის, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვის, მსხვერპლიდან როგორ გადაიქცევა ქალათად, ადამიანებისაგან იზოლირებული, ასოციალური, ეული მუქინაისათვის ადამიანთა მოდგმა როგორ ქარგავს მთელ თავის რეალობას, ყოვლისშემძლეობასა და ძლევაშისილებას, მუქინაი, „შეშვალად აღებული“, ე. ი. მთლიანად განთავისუფლებული სოციალური, ოჯახური-სამსახურებრივი და სხვა საზოგადოებრივი კავშირებისაგან როგორ უმწყო, მიუსაფარ, შემარჯუნ, ცხოველზე უფრო დაბლა მდგომ, არაჰუმანურ, არაადამიანურ, აბსურდულ არსებად გადაიქცევა. ჩვენის აზრით, „არწივთან ფრენის“ იდეა ისაა, რომ ადამიანს ადამიანობას სოციალურობა, საზოგადოებრიობა ანიჭებს და რომ ადამიანის ძალა მეორე ადამიანში, დანარჩენ ადამიანებში, ზოგადად, საზოგადოებაშია. ამ მოთხრობაში გოდერძი ჩოხელი მიზანი იყო მხატვრული გამოხატვის, „სიკრუსის“ მეშვეობით თავისი ინდივიდუალური, სუბიექტური გამოცდილებიდან „მიღებული“ სიბრძნე ეთქვა ადამიანის შესახებ და მისდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ მხატვრულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი, რასაც ვერ ვიტყვი აღმანახში წარმოადგენილ მის დანარჩენ ორ მოთხრობაზე — „თევზის წერილები“, „კომპოსტოს ჰიის გასამართლება“, — ორივე მათგანი მხატვრული თვალსაზრისით სუსტი, ხელოვნური, სქემატური, ნაწარმოებია. ახალგაზრდების შემოქმედებაში ადამიანის მარტოობა უკვე ისეთი მოვლენა კი არ არის, რომელიც შეიძლება შეამჩნიო, ან არ შეამჩნიო, არამედ რომლის შეუმჩნევლობაც უკვე შეუძლებელია. მათთან მტკივნეული სულიერი და სოციალური მარტოობის განცდას კიდევ უფრო აძლიერებს და ამძაფრებს ქალაქური ყოფა („დიდი ქალაქი — დიდი მარტოობა“, — ასე გამოხატავდნენ თავიანთ ტიპიურ ჭერ კიდევ ძველი რომაელები). ახალ-

გაზრდა შემოქმედნი გამუდმებით უსჯობენ ქალაქის დებუნიზირებელ ზეგავლენაზე, რასაც ის ახდენს ადამიანის შინაგან სამყაროსა და პრაქტიკული ცხოვრების წესის, მისი შემოქმედებაში ქალაქი გარკვეული სულიერი და სოციალური „ატმოსფერო“ და არა — ადმინისტრაციული, ინდუსტრიული, გეოგრაფიული. თუ უფროსი, წინა თაობის შემოქმედებაში იგი ადამიანის ნების, ენერჯის, ვნებების ხორცშენახის, რეალობის ასაბრუნს წარმოადგენდა, ახალგაზრდებთან სიყვარულის ნაცვლად ვხვდებით ქალაქის მიმართ მკვეთრად გამოხატულ ინდიფერენტობას. ახალგაზრდა ავტორების ღირსება ის, რომ ისინი თავს არ იტყუებენ რატომისტური იდეებით, სამყაროში არსებულ სიბარულსაც ხედავენ და სიმწარესაც, სიკეთესაც და ბოროტებასაც, კეთილშობილებასაც და სიმდაბლებით დაქსელილ სულსაც... (ზ. კლანდია, „ამბავი მოხეტიალე წელიწადისა“ (პიესა); ი. შენგელია, „მარინა“, მ. ჩიტოშვილის, ი. კეღელის, ზ. ხახაიას, ზ. კვანტალიანის, ზ. გოდერძიშვილის, ა. გოგოჭურის და სხვა ნაწარმოებები).

აღმანახის ახალგაზრდა ავტორები სწუხან იმის გამო, რომ მათთვის შორეული, მიუწვდომელი, უკანდაუბრუნებელი ხდება ბავშვობა, ის ნეტარი ხანა, როდესაც ჭერ კიდევ არ გამოჰყოფდნენ, არ გამოიქნავდნენ თავის თავს, თავის სიცოცხლეს გარემომცველი ბუნებისა და დანარჩენი ადამიანებისაგან, როცა ჭერ კიდევ არ იყო დარღვეული ორგანული კავშირი მათ სულსა და საერთო-უნივერსალურ ყოფიერებას შორის, როცა ჭერ კიდევ არ იყო გამჭრალი სულისა და სამყაროს (ბუნების) ის მარმონა, რომელიც მათი ბავშვური სულის მშვენიერებას ელო საფუძვლად (ბ. სულაკაური „სიმწიფის ატესტატი“, ბ. დანელია, „ცისკენ ამავალი მიდინარე“, ზ. ჭინჭაძე, „ღამესასწაული“, თ. ცუცაძე, „ბავშვობა მიდის“...). ასეთივე შორეული და მიუწვდომელი ხდება მათთვის ბუნება. სწუხან, რომ ევლარ შეიგარძონებ თავს ბუნების, ამ უსასრულო და მშვენიერი მთელის განუყოფელ ნაწილად, რომ აღარ ძალუთმ კვლავ განიცადონ ბუნება, კვლავ მიეხლონ და ეზიარონ მას, კვლავ შეიგარძნონ ოდინდელი, „სისხლისმიერი“ ნათესაობა ბუნებასთან, როგორც თავის ნამდვილ და პირველ „სამშობლოსთან“. ადამიანის მორალური დაცემის, სულიერი დაკინების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს სწორედ ადამიანის ბუნებისაგან ამ საბედისწერო გათიშვლობაში ხედავენ. ადამიანის ბუნებასთან ერთიანობაშივე ხედავენ ისინი ადამიანის ზენობრივ-მორალური აღორძინების წყაროს) „...გულისსურთი უსურებდა უსასრულო, მარადიული



სამყაროს წრებრუნვას და შვება იგრძნო. დარწმუნდა: მხოლოდ ეს ველური პირველყოფილი ბუნება იხსნიდა ადამიანს ამოებისაგან — თ. კუბლაშვილი, „ვერისხული“).

სოფლიდან ქალაქში გაღმოსახლებული ღრმად, მძაფრად, მტკივნეულად განიცდიდა სოფლის მიტოვებას, რაც შესაბამის გამოხატულებას პოულობდა მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ, პოეზიაში. იწერებოდა გულწრფელი ტკივილით გამსჭვალული უამრავი ლექსი სოფლის ნოსტალგიის მოტივებზე. მათი რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მკითხველთა უკურეპეციასაც კი იწვევდა. რაც დრო გადის, „ნოსტალგიური ლექსები“ სულ უფრო და უფრო იზვიათად გვხვდება პრესის ფურცლებზე, რის ნათელ ილუსტრაციას აღმანახი „ახალგაზრდობაც“ წარმოადგენს. საგულისხმო, დამაფიქრებელი ფაქტია, მაგრამ რით შეიძლება აიხსნას იგი? სხვა გარკვეულ მიზეზებთან ერთად ალბათ იმითაც, რომ დღეს, შესაძლოა მშობლიურ სოფელთან განშორება ისეთი ღრმა ტკივილით, სიმძაფრითა და ინტენსივობით აღარ განიცდება, როგორც წინათ (აღმანახში გვხვდება ორიოდ „ნოსტალგიური“ ლექსი — ი. ჭეილა, „არგვეთა“, ნ. ველთაური, „მევიყვით ქუჩებს“; „მიეყვებით ქუჩებს, ვერ ვაგვიკა, ვინა ვარ, ან აქ რა მინდა? აქ უჩემობას ვერაფერს ვაჩნევ, იქ კი სოფელი გაიშუამირდა“).


აღმანახი „ახალგაზრდობა“ იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ აქ კვლავ თვალნათელი გახდა ის პროცესი, რაც თანამედროვე ახალგაზრდულ ქართულ ლიტერატურაში მიმდინარეობს: პოეზია ხდება პროზაული (და პროზა — პოეტური). ვერლიბრის შესაცვლელად მოდის პროზაული ლექსი, რომელიც, არსებითად, ლექსის სახით მოწოდებული პროზის „ნაწევრებს“ წარმოადგენს. ამ მოვლენის მიზეზი ის კი არ გახლავთ, როგორც კულისებში უყვართ თქმა: „ნიჭი არა აქვთ და რითმთან ლექსს ვერ წერანო“. თავად სინამდვილე მოითხოვს გამოხატვის ასეთ „პროზაულ“ ფორმებს; ახალგაზრდა პოეტები, საუკეთესო შემთხვევაში, შეგნებულად, პრინციპულად ამობიენ უარს ლექსის რითმზე, რიტმზე, მუსიკალობაზე, ინტონაციის პოეტურობაზე. ცდომლებენ საკუთარი პოეტური მეთვლელების სასაუბრო მეტყველებასთან ზედმიწევნით მაქსიმალურ დაახლოებას (სხვა საქმეა, რამდენად წარმატებით, როგორც „ნიჭიერებით“ ართმევენ თავს ამ რთულ მხატვრულ ამოცანას) — ურველივც

ეს, ამავე დროს, პროცესის, უფრო მაკცრად თუ ვიტყვით, ერთგვარი „რეპეციის“ გამოხატულებაა ე. წ. აკადემიური პოეზიისადმი, რომელიც თავისი წმინდა პოეტური, რაფინირებული, განსაზღვრული ფორმებით, რიტმულიობით, მუსიკალობით, ფორმათა პარმონიუ-

ლობით, ხშირ შემთხვევაში აღწევს რად ველარ გამოხატავს, როგორც ადამიანის სულიერი სამყაროს, მისი კანონებების, ფსიქიკის, ისე თანამედროვე სინამდვილის არაპოეტურობას, პროზაულურად, ქალაქურობას, დანაწევრებულობას, ამორფულობას, არამუსიკალობას, ფრაგმენტულობასა და არიტმიულობას... ახალგაზრდა პოეტები მიისწრაფვიან გამონათქვამის თავისუფლებისა და ძალდაუტანებლობისაკენ, პოეტური სინტაქსის „შიშველი უბრალოებისაკენ“, ტრადიციული ფორმებისა და თემების დაძლევათ — პოეტის განახლებისაკენ, მაგრამ ამ მხრივ ჭრჭერობით მხოლოდ ეიზოლდურ წარმატებებს აღწევენ. ახალგაზრდა მწერლები მიმართავენ რიგითი, ჩვეულებრივი, არაფრთი გაბრწყინული ადამიანის ცხოვრებასაც, ვინც ყოველდღიური არსებობის ერთფეროვან დინებაშია ჩართული (თ. ჩალაური, „ლოში, ადკოლოში, მანეთიანი და კლემტომინი“, გ. ლომაძე, „თავიკი“) და ცდილობენ, საინტერესო სიუჟეტო ააგონ, „არასაინტერესო“ ადამიანზე. გ. ლომაძის მოთხრობაში ვხვდებით „სასაცილო“, ე. წ. „პატარა ადამიანს“, თანამედროვე ბელიკოს, თანამედროვე უნრატს (მოთხრობის კითხვისას შეიძლება ვაგასწინდეთ ჩემსოვის „ადამიანი ფუტლარში“ და მ. მანის „მასწავლებელი უნრატის“), მაგრამ „თავის“ მთავარი პერსონაჟი, გურგენ მიქაშვიდი, ეს „სასაცილო“, პატარა ადამიანი სულაც არ არის სასაცილო, პირიქით, მისი გაცნობა, მისი ხილვა მელანქოლიის, სევდის მომგვრელია, რადგან გურგენ მიქაშვიდიც, ისევე როგორც საერთოდ ყველა „სასაცილო“, ყველა „პატარა ადამიანი“ სინამდვილეში ღიადის, ადამიანურის გადაგვარებაა...

აღმანახ „ახალგაზრდობის“ ნაწარმოებებში გვხვდება იან ბელს შერიგებული, მაღალ მიზნებსა და იდეალებს მოკლებული, ყოველდღიური, ერთფეროვან რუტინას შეგუებული ის ადამიანებიც, რომლებიც უკვე აღარ იბრძვიან საკუთარი სინამდვილის, საკუთარი ცხოვრების გარდასაქმნელად. მაგრამ შეგუებული ადამიანი ჭრ კიდევ არ ნიშნავს ვნებათა უქონელ, უგრძნობელ და გულგრილ არსებას, — ის შინაგანად, სულიერად ჭრ არ მშობივდება, მასში ჭრ ისევ ცოცხლობს მრავალი დეპარტაკვი, განუზოციელებელი ადამიანური ძალა, შესაძლებლობა (სიუყარულის, მეგობრობის, მოყვასზე ზრუნვის, და ა. შ.).

ახალგაზრდების მხატვრული გამოსახვის საგნად ქცეულან ადამიანები, ვინც თავიანთ სიცოცხლეს იმაზე ხარჭავენ, რაც მათ არავითარ სიამოვნებასა და ნეტარებას არ ანიჭებთ, ვინც ველარ განიცდიან ამ ერთფეროვან სამყაროში საკუთარ ცხოვრებას, როგორც თავდადასავალს. ამ ადამიანთა ურთიერთობა, სამსახურში, ოჯახში, მეგობრულბთან... ფაქტურად ფუნ-



ქციების, ანტრაქციების ურთიერთობაა და არა ნამდვილი ადამიანებისა, ურთიერთობა, მოკლებული ყოველგვარ გულწრფელ, ინტიმურ შინაარსს (გულწრფელობა აქ უკვე შეედრება და რუდინენტიად აღიქმება ადამიანთა ურთიერთობის პროცესში). მათი გარგანი კეთილშინსურნეობის მიღმა ხშირად გულგრილობა და გაუცხოება, ზოგჯერ კი ნამდვილი სიძულვილიც კი იმალება (გ. ლომაძე, „თაგვი“, ლ. ბრეგვაძე, „დაკარგული ქრისანთემა“). აქვე შეენიშნავ, რომ ამ ორი პროზაიკოსის თვალში-საცემი ნაკლია შედმეტი, ხაზგასმული ლტოლვა ტექნიკური სრულყოფილებისაკენ, „პროფესიონალიზმისაკენ“. რა თქმა უნდა, სეროი-შული ნაკლია, როცა მწერალი სუსტად ფლობს ტექნიკას, მაგრამ ასევე სეროიშული ნაკლია, როცა ნაწარმოების სულზე ბატონობს ტექნიკა და თვითმიწანად არის ქცეული. გვახსოვდეს, რომ „ჰემარტიი ხელოვანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს ინარჩუნებდეს მოყვარულის ზოგირით თვისებას“ (ლიონარდო და ვინჩი).

სიკვდილის შემზარაობის პათოსი, რომელიც ფილოსოფოსის თქმით, უდიადესია ადამიანისათვის ცნობილ პათოსთა შორის და სიკვდილის შიში შეადგენს ახალგაზრდა შემოქმედთა ერთ-ერთ „შთამაგონებელს“. ვინმეს დადარა-ჩებული გონება ამოდ დაიწყებს აქ რაიმე-გვარი „უესიმიზმის“, „უიმიდობისა“ და „ამა-ობის“ გამოჩენას. პირიქით, ის ვინც არ ფიქრობს სიკვდილზე, მოსალოდნელია, ვარ-დულები არყოფნის სახედისწერო შესაძლებ-ლობაზე და ისე ცხოვრობს, ისე არსებობს, თითქოს ათასი წლის სიცოცხლე ედოს წინ, განსაკვირებელია თავისი შეზღუდულობით. (მ. ალექსიძე, „ბაბუში“).


მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდების შემოქმედე-ბაში ტრაგიკული მოტივი მინც შერბილებულია.

ხაველისხმო ფაქტია, რომ არცერთი პრო-ზაიკოსი, არც პოეტები (გამონაკლისს წარ-მოადგენს ლ. მაღრაძე, რომლის პოეზიის წამ-ყვან მოტივს პატრიოტული მოტივი წარმოად-გენს) არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებს ის-ტორიული თემატიკის, ისტორიული წარსუ-ლის მიმართ. ყოველ შემთხვევაში, ეს დანი-ტერესება მათ შემოქმედებაში არ ჩანს. ცნო-ბილია, რა მისია ჰქონდა ისტორიული თემა-ტიკის გამოყენებას ქართულ მხატვრულ ლიტე-რატურაში, რა როლს თამაშობდა იგი ეროვ-ნულ ცხოვრებაში, ჩვენა ხალხის ეროვნული იდეალების, ცნობიერებისა და ეროვნული

ფსიქოლოგიის ფორმირების საქმეში. ახალგა-ზრდა მწერლების ამგვარი დამოკიდებუ-ლება თავის ერის ისტორიისადმი, ცხოვრუ-სადმი, იმის დამადასტურებელია, რომ მათს ყოველდღიურ ცხოვრებაში, შემოქმედე-ბით საქმიანობაში აქტიურად აღარ მონაწილეობს და უშინშენილო როლს თამაშობს. სასურ-ველი იქნება, თუ ახალგაზრდა მწერლე-ბი აქტიურად მოჰყიდებენ ხელს ისტორიულ თემატიკას და გააგრძელებენ იმ ტრადიციებს (თანამედროვე ესთეტიკური მოთხოვნების შე-საბამისად გათავისებულს), რითაც ესოდენ მდი-დარი და ძლიერი იყო ქართული ლიტერა-ტურა.

აღმანახ „ახალგაზრდობის“ გაცნობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ხდება თანამედროვე ლიტერატურის ინტერვერტიზა-ცია. 70-80-იან წლებში მოსულ მწერალთა მხატვრული „ეკლესიის“ საგანს უპირატესად წარმოადგენს არა ობიექტური, სოციალური სინამდვილე (რომელიც აქტიურად, მასშტა-ბურად, ფართოდ აისახებოდა წინა თაობის მწერალთა შემოქმედებაში), არამედ ადა-მიანის შინაგანი, სულიერი სამყარო, მი-ის ფსიქიკური ცხოვრება, ზოგჯერ გავ-რებული ავადმყოფური ცნობიერება და ამ ცნობიერებაში აღქმული, ტრანსფორმირე-ბული სინამდვილე (ეს ადამიანი ძირითად ინ-ტელიგენტია, იმ ფუნის წარმომადგენელია, რომელსაც თავად ახალგაზრდა მწერლები ეკუთვნიან და რომლის მხატვრულ სახეშიც ბევრი რამ შეაქვთ თავისი, პიროვნული, ავ-ტობიოგრაფიული). ახალგაზრდა პროზაიკოსების მნიშვნელოვანი ნაწილი პირველი პირით თხო-ბას (მთხრობელი გამოდის სუბიექტური „მე“-ს ფორმით), მიმართავს, რაც განსაზღვრავს კი-დეც თხრობის, გადმოცემის ე. წ. „საღმსა-რებლო“, მონოლოგიურ ხასიათს. ამრიგად იქმ-ნება მოთხრობა-მონოლოგი, ლექსი-მონოლო-გი, სადაც გვაქვს ავტორ-მთხრობელის, პერ-სონაჟ-მთხრობელისა თუ ლირიკული გმირის აღსარება მკითხველის წინაშე (მ. ალექსიძე „ბაბუში“, გ. ჩოხელი, „თევზის წერტილები“, ბ. ჭოხონელიძე, „ძველა სახლი“, ლ. ბრეგვაძე „დაკარგული ქრისანთემა“...). ამ ნაწარმოებე-ბის საერთო დამახასიათებელი თვისებაა მკით-ხველზე ორიენტაცია, — ავტორები გამუდმე-ბით შეიგარბნებენ იმას, ვისაც მიმართავენ. მათი მიზანია მკითხველი ძალდაუტანებლად შეიყვანოს საკუთარ სულიერ სამყაროში, გულ-წრფელი „დიდლოგი“ გამართონ და უშუალო კონტაქტი დამყარონ მასთან.

აღმანახში წარმოდგენილი პროზაიკოსების



უმრავლესობა არ გამოდის საკუთარი „მე“-ს საზღვრებს გარეთ და არ ეხება სხვათა ცხოვრებას. მათ ნაწარმოებებში ძნელად შეგხვდებით პერსონაჟი, რომელიც გარკვეული ხარისხით არ იქნებოდა თავად ავტორი. ისინი ძირითად იმ წრეს, იმ სფეროს ხატავენ, რომელთაც თავი-თავს ეკუთვნის, ხატავენ იმ ადამიანებს, ვინც მათთანაა ახლოს სულიერი წყობით, ცხოვრების წესით. საერთოდ ხატავენ ინტელიგენტს, თანამედროვე ინტელიგენტს, ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ჩვეული ლოკალური, სოციალური „სამოქმედო“ გარემოთი. ამდენად, მათი პროზა კამერული, სუბიექტური პროზაა. შევნიშნავთ, რომ ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების შემოქმედებაში რამდენადმე შესუსტებულია ფანტაზიის, შექმნილებითი გარდასახვის, მხატვრული გამოხატვის როლი, რაც არც თუ იშვიათად ქმნის რეალურ საშიშროებას, მათი ნაწარმოებები პირადი საქმეების, ცხოვრებისეული წვრილმანების, პიროვნული, ოჯახური და ა. შ. კონფლიქტების ფართო იდეურ და ინტელექტუალურ, პერსპექტივებს, მხატვრულ განვითარებას მოკლებულ, როგორც აკაკი იტყვოდა მოცემულ შემთხვევაში, „პროტოკოლურ ჩანაწერებად“ იქცევა...

ახალგაზრდების შემოქმედების გაცნობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურისადმი (ასევე კლასიკის, მათ შორის, ქართული კლასიკისადმი) მათი დამოკიდებულება უპირატესად იმპრესიონისტული, ინტუიტურია. როგორც ჩანს, მათ მიერ თანამედროვე და კლასიკოსი მწერლებისა და მოაზროვნეების უშუალო აღქმას არ ახლავს ღრმა შემოქმედებითი გადამუშავება, მათი მეგვიდრეობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ორგანულ, „ბუნებრივ“ ელემენტად გარდაქმნა, მათი შემოქმედებითი „ლაბორატორიით“ დაინტერესება, ოსტატობის, „ტექნოლოგიის“ საფუძვლიანი შესწავლა (ცდება ის ახალგაზრდა მწერალი, ვინც მხოლოდ თავის თავში და თავის გარშემო ტრიალებს, ვისაც „ეთაჟილება“, სწავლობდეს, დავალებული იყოს, როგორც თანამედროვე, ისე კლასიკოსი მწერლებისა და მოაზროვნეებისაგან, — ყველაზე დიდი მწერალი, პირველ რიგში, ყველაზე დიდი მკითხველი). ალბათ, ამითაც უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აღმანახში წარმოდგენილი ახალგაზრდების შემოქმედება ძირითადად ტრადიციული, რეა-

ლისტური ხელოვნების ჩარჩოებში მიედინება, თავსდება, — მათ შემოქმედებას ატყუებენ ბის სული“...

გოეთეს აქვს ლირიკული ლექსი: „ნექტრის წვეთები“: მინერვას თავისი საყვარელი პრომეთესათვის ნექტრით სავსე ფიალა მიაქვს, მის მიერ შექმნილი ადამიანები რომ გააძლიეროს და მათი გულები მშვენიერებისადმი სიყვარულით ადავსოს. დემეტრიუს ემინია, იუპიტერმა არ შენიშნოს. ამიტომ ჩქარობს. მაგრამ ამ სიჩქარეში ჭურჭელი შეირხვეა და ნექტრის რამდენიმე წვეთი ბალახზე ღაცემა, წვეთებს მწერები — ეპელები, ფუტურები, მისცვივდებიან. თვით ობობაც კი გასინჯავს ამ ღვთაებრივ სასმელს... როდესაც შემოქმედებაზე, მწერლებზე ვფიქრობ, მაგონდება ეს უცნაური ლეგენდა მწერებზე. ბუნება, როგორც ჩანს, არა მარტო ჭეშმარიტი გენიისათვის, ყველასათვის იმეტებს გარკვეულ მხატვრულ წყალობას. აღმანახ ახალგაზრდობაში წარმოდგენილი ავტორებიც მეტნაკლები ნიჭიერებით გამოირჩევიან (შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს ჭერ არც უგემნია ღვთაებრივი ნექტრის წვეთი, ყოველ შემთხვევაში, მისი კეთილსურნელება მაინც „ესმით“ შორიდან, — ისინი მაინც ახლოს არიან პოეზიასთან, შემოქმედებასთან), მაგრამ ჩვენ მათ ვსახებდებით არა ნიჭიერების, არა მათი ნაწარმოებების მხატვრულობის, არამედ პრობლემატკის მიხედვით, მათი მხატვრული გამოხატვის საგნად, რომ ქცეულა. ახალგაზრდა მწერლების ცალკეული ნაწარმოებების მხატვრულ-ესთეტიკურ და კრიტიკულ ანალიზს, რაც შეუძლებელი იქნებოდა მათი რაოდენობისა და საკურნალო სტატის განსაზღვრული მოცულობის გამო, შეგნებულად ვარჩიეთ სოციალოგოური ანალიზი (განურჩევლად ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრული ღირებულებისა), — იმ პრობლემებზე საუბარი, რომლებიც მხატვრულ ასახვას ჰპოვენ ახალგაზრდების შემოქმედებაში და რომლებიც გარკვეულწილად გამოხატავენ და განსაზღვრავენ მათ სულიერ და ინტელექტუალურ ფიციონომიას.

სტატის საზღვრები გვაძლევს აქ დავსვათ წერტილი. აღმანახში წარმოდგენილი ავტორებისა და ნაწარმოებებს დეტალურად ვერ შევიხეთ, მაგრამ თავს იმით დავიმშვიდებთ, რომ მომავალი ახალგაზრდებისა, რომ მომავალში კვლავაც შევხვდებით მათ, კვლავაც ვინილაჟთ მათ ახალ ნაწარმოებებს, ახალ პუბლიკაციებს...



მე პატი მჯერა

ლიტერატურული აღმანახის გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა. მკითხველისთვის სახელწოდებებიდანაა ნათელია, რომ ახალგაზრდების შემოქმედებას უნდა გავცოხს. აღმანახის ავტორთა უმრავლესობას ასე თუ ისე იცნობს უკვე ლიტერატურული სწოვადობა. ზოგი მთგანის დებიუტი ამ ათიოდე წლის წინ შედგა.

გულახდილად უნდა ვთქვა: აღმანახში წარმოდგენილი პოეზიის მხატვრული დონე მთლიანობაში სასურველ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. თუ რა არის ამის მიზეზი, არ არის ძნელი სათქმელი... მაგრამ მე, უმჯობესია, მათი წაკითხვის შემდეგ გავჩინილი მოსაზრებანი გამოვთქვა, და საერთოდ — ახალგაზრდული პოეზიის ზოგიერთ საქირბორტო საკითხზე ვილაპარაკო.


როგორი ლექსი გირჩენია, რითმინი თუ ურითმო? ამ კითხვაზე, ყველა შემართ ლიტერატურაზე შეუვარებული კაცი ანე უპასუხებდა: „რომელშიც პოეზიაა“, ან უბრალოდ „კარგი ლექსი“. და მე „ახალგაზრდობაში“ დაბეჭდილ ლექსებთან ურითმო ლექსების მხარება ვარ. არავინ იფიქროს, ამის იმტომ ვამბობ, რომ ჩემი ლექსი ურითმოა. ჩემს ლექსზე მე რა მეტყვის. იქნებ ის სხვა ლექსებთან შედარებით ყველაზე სუსტია. და მაინც მე „ახალგაზრდობის“ ურითმო ლექსებს ვამჯობინებ.

აღმანახში დაბეჭდილი რითმინი ლექსები როდი არიან მოკლებულნი მხატვრულობას. აქ ყველაფერი თავის ადგილზეა: რითმიც და მეტაფორაც, რიტმიც და მუსიკალობაც. მათი ავტორები ლექსის ტექნიკასაც ფლობენ, უდავოდ ნიჭიერებიც არიან. საქმე სულ სხვა რამეც იქნება: ზემოთჩამოთვლილი, რითმინი ლექსის ყველა კომპონენტი მოკლებულია თავისთავადობას. მათ ლექსებში არ იგრძნობა საკუთარი ზღაპრების დამკვიდრების სურვილი. ვერც იმას იტყვი, ისინი კონკრეტულად, წინა თაობების რომელი პოეტის გავლენას განიცდიან. მაგალითისთვის მოვიყვან თითო სტროფს ზოგიერთი რითმინი ლექსიდან: „შენდა არა თქვეა სხვდა თოვა, ნამის პკურება, ეს რაღაც ზულ სხვის, ღრმას და დიავს ემსახურება.“ „არმანის ციხე, მითხარ შენდობა! მტკვარო, ზედ გულზე გადაშიარე, მუხლზე დაცემულს თუ არ მენდობა თვალები ღურჯი და მგლოვიარე.“

„არ დამილოდე, ჩემო დედიკო, ფიქრი მიანდე ნიავს. სეველიან იერს და შთებს შევერცხლობი განა სიბერე ჰქვია“. „წვიმს. აგვისტოს დაღება ფხიზლდებიან თქუთო და აიკრიფა ეხოლან ფერწახული კილობი. მიმქრალია ზაფხული. ხნულში, ჩემო მწყურჩიტავ, აღსრულდები საჯანტის დაცხრილული ტრილობით.“ „კოლხური მითების ზვეულში ვვარდები. ვით დამის ნაფლეთი, მოცურავეს წურბელა, ყვითლად შრიაღებენ სიკვდილის ვარდები — ოქროს მალარია, ქლექი და დურბელა.“ ამ სტიქონების ავტორებს მხატვრულად უფრო ძლიერი სტროფიც რომ მოუხანო, არაფერს შეცვლის. თუმცა, როგორც ვხედავთ, საგანგაშო არაფერია. დამწყები პოეტი ვერ გაქცევა გავლენას.

აღმანახში დაბეჭდილია შადიმან შამანძის რამდენიმე რითმინი და ერთი ურითმო ლექსი. რითმინი ლექსებზე მე იგვივს ვიტყვი, რაც ზემოთმოყვანილ სტიქონებზე ვთქვი. ხოლო რაც შეეხება ურითმო ლექსს, მე მან მაგრძნობინა ახალგაზრდა პოეტის ხალახი ნიჭი და თუ შეიძლება ითქვას, საკუთარი იტონაცია. ავტორმა სულ სხვა კუთხით დაინახა სავალალო მდგომარეობაში მყოფი სიყვარული. მოვიყვან ამ ლექსს მთლიანად: „ჩემი სიყვარულის თავხასთუმაღთან ვვივარ, ჩემი მომაკვადვი სიყვარულის გამმმარ თითებს ვეაღერსები... გრაბ-შეყრილი ბავშვობის სურნელია ირგვითი. ოფლის და კალცის, ზურგსუან და მალული ნემსის სურნელი. ნათესავის მოსანახულებლად ხომ მისულხარ საავდემუოფში? სამქერ, ოთხქერ გადაგიდვია წახვლა. ბოლოს — უქანსკელ დღეშიაო და გამოგინახავ დრო ვალის მოსახდელად. შესულხარ; მოუნერხებულად ჩამომქდარხარ საწოლის კიდეზე; როგორ გაკითხო? ნუ გეშინოაო! სხვა რაღა უთხრა, — რომ აღარ იცი? ვვივარ ჩემი სიყვარულის თავხასთუმაღთან, ჩემი მომაკვადვი სიყვარულის გამმმარ თითებს ვეაღერსები.“ იგვივე შემოძლია ვთქვა ამ სტიქონების ავტორის კიდევ ერთ ურითმო ლექსზე „ჩოგბურთი“ რომელიც 1982 წელს, „ციცისკის“ ბიბლიოთეკის 1-2 ნომერში დაიბეჭდა. რა თქმა უნდა, ეს ლექსები „სამოცდაათიანელებიდან“ იღებენ სათავეს, მაგრამ იმდღე მაქვს, ისინი „ზღვისკენ“ საკუთარი გზით წავლენ.

ახლა კი მოვიყვან სტიქონებს აღმანახში



შესული ურთიშო ლექსებიდან, რომლებიც მე უფრო მომწონს, ვინემ მათ გვერდით დაბეჭდილი რითმიანი ლექსები:

„მადლობა ჩემზე ღუმლისათვის, არამც და არამც დავიწყებისთვის. ახლა ფსკერზე ვარ — ბურთულისფერი მდინარის დაბლა, აქედან მრუდი მოჩანს სამყარო; ჩემი მთავარ თევზებისგან გამოხარულია, ჩემი საყვარი გადატეხილი. მე ვიცი შენი ყვითელი თვალი და ყური... შორიდან იტერს ჩემს სიმღერებს — თეთრფრთიან ყორნებს... და ჩუმად ხარ, თავზე ტანჯვის გვირგვინი გადგას! „რითმა ლექსის ხანდაზმული პატარძალია, მალე სასიძოვები მთლიანად მიატრევიან მას“, — ფიქრობ შენთვის და ფიქროს დაჯობ ლექსზე და ჩემზე, ჩემი სოფლის საფლავებზე იფის ნებთანი“ (კობა არაბული).

„იმ აივანზე ალბათ ისევ ფრიალებს კაბა, კაბა, რომელიც ვერც ჩამოხსნა. დავხუჭვე თვალებს და თვლებით მოვიპარავ, რაც დავინახე და ამის შემდეგ სულ შენს გვერდით ვიქნები ხლომე. მიყვარს ფაქჩაო... კაბინტშიც... ავტობუსშიც... შეგიძლია, ჩუმად იტროს ყველას ეგონება, რომ ფანჯრიდან იყურები.“ „ისე უბრალოდ ხდება ყველაფერი, ვითომც — არაფერი.“ (დალიდა ბედიანიძე).

„მე ვარ ახალი, თორემ სისხლი ძველისძველი მაქვს. მტკივნეულია ეს განთიადი, — თითქოს სხელში ბასრი და ცივი უცხო საგანი შემოიტანეს. ჭერ ისევ უნელია, გარდუვალია თუმცა გათენება და რომ შემეძლოს, ამ დღეს დავშლიდი და მეგრე, როგორც ძველ საათს შევკეითებდი, ან ავაწყობდი... სამწუხაროდ ჩიტი არა ვარ, თბილ ქვეყნებისკენ რომ გავფრინდებ გაზაფხულამდე. მე გამოვდივარ ისევ სახლიდან, ეტოვებს ჩემს ბინას როგორც მწერი საკუთარ მუხარს დატოვებს ხლომე. და სანამ წვაღ, გაოკებელი ცოტა ხანს კიდევ შევიცდი, რათა მოვიხედო და კიდევ ერთხელ ვირწუნო ჩვენი ერთარსება.“ (გივი სულაკაური).

„რაოდენი გენია ჰყავს ღუმლის და რამდენი შარახვეტიანი სიტყვას. უფრო მაწუხებს რეალობა — თითქმის მართალი... პოეტო, პოეტო, შენი მიზანი ისე გულმომკვლევად ლამაზია, როგორც გაზაფხული პატინირის სარკმელიდან.“ „ღმერთო, მიზანი ისე შორსაა, როგორც მკვდარისთვის სამარის ია.“ (ზაზა ქინწლაძე).

რამდენიც უნდა მიმტკიცონ, რომ ამ სტრიქონების ავტორებს საერთო აქვთ წინათობის ურთიშო ლექსების ავტორებთან, კმათს ნამდვილად არ დავიწყებ, მაგრამ მაინც ვიტყვი: ამ სტრიქონების ავტორებს უფადოდ განსხვავებულ მსოფლგანცდა განჩიათ. აქვთ საკუთარი ინტონაცია. მეჩვენება, რომ ზოგ რამეში ისინი უფრო თამამები არიან, უფრო თამამად გამოხატავენ ტკივილს. ზოგ რამეში ისინი უფრო გაულწრფელიც არიან და ირრინულიც. რაც მთავარია, სხვა რომ არაფერი, მათი ლექ-

სები ორიგინალობისა და სიახლისკენ შეიძლება გარეგნულად არა, მაგრამ შინაგანი უმბურთულტოლვით არიან გარემოცულნი. ამიტომ მომწონს ისინი უფრო, ვინემ მათ გვერდით დასხვადილი რითმიანი ლექსები. რადიკალურ განსხვავებაზე კი ჭერჭერობით ფიქრიც უდემტია, მაგრამ რაღაც განსხვავება მაინც არის. რადიკალური განსხვავება ქართულ პოეზიაში დღეისდღემობით რითმიან და ურთიშო ლექსებს შორის არსებობს მხოლოდ. მხედველობაში მაქვს ის, რომ ისინი გარეგნულად არ გვანან ერთმანეთს. შინაგანი საერთო შეხების წერტილები მათში უთუოდ არის. „სამოცდაათიანელთა“ ურთიშო ლექსის ავტორებს, რითმიანი ლექსი რომ ეწერათ, „ისესკრელებთან“ არავითარი რადიკალური განსხვავება ან იქნებოდათ. მაგალითისათვის შეიძლება მათი თითო-ორილი რითმიანი ლექსის მოყვანა, რომლებიც მათ წინაგნებშია შესული, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. მაგალითისათვის შეიძლება მოგვეყვანა მათთვის თაობის ტრადიციული ლექსის მიმდევართა ნებისმიერი ლექსიც. ზოგი მათგანი, არათუ „ისესკრელებთან“, არამედ ოციან და ოცდაათიანი წლების პოეტთა გავლენას განიცდის დღესაც.

„ახალგაზრდობაში“ შეხედვით ისეთ ურთიშო ლექსებსაც, რომლებიც, შემოშოყვანილ რითმიანი ლექსებისა არ იყოს, კონკრეტულად არავისი გავლენა არ იტანს. ისინი თანამედროვე ურთიშო ქართული ლექსის საერთო გავლენაზე გავაფორმებენ. აქაც ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ სიახლის რაიმე ნიშანწყალი მათში არ არის. რას გვაძლევს ისეთი ლექსი, რომელსაც გარეგნულად არაფერი აქლია, მაგრამ შიგ ერთი პატარა ფოთლის ოდნავი გავაჩუნებაც არ ისმის. ხშირად იხეულებია ასეთი ლექსები. მათი ავტორები, როგორც ახალგაზრდები, ისევე უფროსი თაობის პოეტებაც არიან. პირდაპირ მე შირჩვენია ლექსმა წაკითხვის დროს თავისი ხორკლიანობით. თავისი გარეგნული და ზოგჯერ შინაგანი დარღვეული რითმიო და პროპორციებით, სმენისთვის არაკეთილშოვანი მუსიკალობით, ძნელად აღსაქმელი მეტაფორითა და შედარებით გაშანრვიულოს და გამაღიზიანოს. უფრო მეტიც, შეიძლება ეს რა ლექსიოა საქმევიწინოს, მაგრამ დამაფიქროს და ცოტა ხნის შემდეგ მაგრძინონის ოკოეზია, პროელიც იდღებს რაღაც ახლისკენ, ახალ სამყაროსკენ. სადაც სხვანაირად ანათებენ მზე და მთვარე, სხვანაირად დელავს ზღვა, სხვანაირად ჰყვავის ვარდი, სხვანაირად უყვართ ქალი... რაც დღემდე არავის ეუშმინებია.

ზემოთ, სადაც „ვერდიბრი“ ან „თავისუფალი ლექსი“ უნდა მეთქვა ზოგიერთის თვალსაზრისით, ყველგან „ურთიშო ლექსი“ ვახსენე. ეს ბევრში გაკვირვებას გამოიწვევს ალბათ, მაგ-



რამ ამას ჩემთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ორიოდ სიტყვა „მოქალაქეობრივ პოეზიაზე“ და „აქტუალურ თემებზე“:

ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი დღეს საგულდაგულოდ წერს ისეთ ლექსს, რომელსაც მერე მოქალაქეობრივ პოეზიას დაარქმევენ. ჩემის აზრით, ლექსი, რომელიც მკითხველს დააფიქრებს რაღაცაზე ან ვიღაცაზე, ან საერთოდ ცხოვრებაზე თავისთავად მოქალაქეობრივია. ზოგს მიაჩნია, რომ ლექსი მაშინაა მოქალაქეობრივი, თუ ის ამაღლებული პათოსით არის დაწერილი. ეს აზრი მცდარია. თუ ლექსი თავის მისიას არ ასრულებს, პოეზია არ არის და მის მოქალაქეობრიობაზე ფიქრიც ზედმეტია, ხოლო თუ ლექსი პოეზიაა, მაშინ ის... ერთი სიტყვით, ყოველი ქეშმარიტი ლექსი პოეზიაა. პოეზია, კი როგორც არ უნდა იყოს ის, მოქალაქეობრივია და ჩემის აზრით, ცალკე გამოყოფილი მოქალაქეობრივი პოეზიის არსებობა მოგონილია.

სულ სხვაა აქტუალური თემები. უნდა დაიწეროს ლექსი საჭირობორტო საკითხებზე. ეს აუცილებელია თანამედროვეობისათვის. მაგრამ რა აზრი აქვს კომპანიზე და ჩარხზე, ქარხანაზე და მშენებლობაზე, ან დღესასწაულზე დაწერილ ლექსს, თუ ის პოეზია არ იქნება. გალაკტიონის ერთ ლექსს „ქარხალი“ ჰქვია. რა უნდა ეთქვა პოეტს ქარხალზე, ის რომ კარგი ბოსტნეულია? ის რომ ვიტამინებს შეიცავს? ეს ხომ ადამიანებმაც კარგად იციან. „უცებ მოჰყვება ჭარხალი ხარხარს“, აი, რა არ იცოდნენ ადამიან-

ნებმა, ვინ იფიქრებდა, რომ ქარხანის ხარხარს შეეძლო, უფრო სწორად ქარხანის ხარხარს ჰგავდა.

აქტუალურ თემებზე ბევრად ძნელია წერა. ასეთი ლექსის პოეზიად ქცევა ერთუღების ზვედრია. აი. გალაკტიონის სტრიქონები აქტუალურ თემზე დაწერილი ლექსიდან: „რკინა, ფოლადები, რკინა, ქვანახშირი, ქურჩის ხერხემალი, ქარხნის საფეთქელი, შრომით იბურება სუნთქვა განახშირი, როგორც მასალები ასაფეთქებელი.“ ხომ არის აქ პოეზია? ყველა დამერწმუნება, რომ არის და მისი დაწერა ამიტომაცაა გამართლებული. ასეთი ხასიათის ლექსში უპირველესად, თუ პოეზია არ იქნება, ბელთ შეგვრჩება სიტყვებით სპეკულაცია, სიცრუე, სიყალბე.

პოეტის მუზა ვიტრინაში მდგარ მანეკენს არ უნდა დაემსგავსოს, რომელსაც სენონის მიხედვით თუ საჭიროებისამებრ უცვლიან სამოსელს. პოეტის მუზას ყოველთვის, ყოველ დროში ერთი სამოსელი — სიმართლე უნდა ეცვას, რომელიც მოქსოვილი იქნება სიკეთისა და სილამაზის, სიყვარულისა და ერთგულების, წინააღმდეგობისა და ამბოხების, შიტეებისა და მოთმინების, იმედის, ტკივილის, აღტაცებისა და სხვა პოეტურ თვისებათა მრავალფეროვანობით.

დასაწყისში აღვნიშნე, „ახალგაზრდობაში“ წარმოდგენილი პოეზიის მხატვრული დონე მთლიანობაში არ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას-მეთქი. მართლაც რომ ასეა, მაგრამ საგანგაშო არაფერია, ჩემს თაობაში არიან იმედისმომცემი პოეტები, რომლებიც თავიანთ სიტყვას იტყვიან. მე მათი მჭერა.



ლადო გრიგოლია

დაბადების 80 წლისთავის გამო

სახელსოში მდგარ მოღებრტზე ნეცერხ-ლის გამხმარის ტოტი და მხატვრის დიდი ფოტოპორტრეტია დამაგრებული... მას ხელში ქალადის ფართო თეთრი ფურცელი უჭირავს და დაიწვინებთ შიგ ჩასტყერის, პირველ ესკიზურ ჩანაფიქრს ამოწმებს, თვალთ ზომავს...

შეატირ შინაგანი მომთხოვნელობით, შინაგანად დაუძღვევლი სტრესისით დაჰყურებს იგი ჩანახატს. სინჯავს, თითქოს კიდევ სჭერა და არც სჭერა, რომ მიავნო იმ ყველაზე საუკეთესოს, რასაც ეტებდა, რის ვადმოცემაც სურდა! არავითარი ხელოვნური დაძაბულობა, პოზიონობის არავითარი ნიშან-წყალი. სახეზე მხოლოდ ქართული ხასიათის კლასიკური სანდომიანობა, სისადავე და უბრალოება აღბეჭდილი! გარშემო ისევ ის სამუშაო მაგიდა, წიგნები, სურათები და ქანდაკებები ალაგია, როგორც უწინ, ოღონდ დღეს აქ მხოლოდ მხატვრის მოღებრტია გაუქმებული!

დიდი ხანი არ არის, რაც სამუდამოდ განგეშორდა ლადო გრიგოლია, მისი ცხოვრება და შემოქმედება კი უკვე დიდი ხანია ქართული (და არა მარტო ქართული) სახეობა ხელოვნების განუყოფელ ნაწილად იქცა, მის ერთ-ერთ დიდ მიღწევად და მოწაფურად იქნა აღიარებული, ხოლო მისი შემოქმედება სამუდამოდ შევიდა თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი სწორუპოვარი ოსტატი და ახალი შემოქმედებითი პრინციპების დამაშვიდრებელი.

გიორგი ჩუბინაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, პენრიკ გრინეცკის, ევგენი ლანსერეხა და იოსებ შარდემანის უსაყვარლესი მოწაფე და მიმდევარი, თავად მოგვევლინა ახალი საკუთარი სკოლის ფუძემდებლად, რომელსაც მოწაფეებიც და მიმდევრებიც მთელი პლანადა გამოუჩინდა.

ლადო გრიგოლიამ შემოქმედებითი ცხოვრების გზა ქანდაკებით დაიწყო, ქართული შრიფტის ხელოვნების შესახებ მოძღვრების შექმნით დააგრძელა და დაზგური და წიგნის გრაფიკით გააგრძელა!

ჩვენ არ ვიცით, რა სიმაღლეებს მიაღწევდა ლადო გრიგოლია მოქანდაკეობას რომ გაჰყოლიდა (თუმცა, ჩვენამდე მოღწეული მისი ახალგაზრდობისდროინდელი ნამუშევრები გვარწ-

მუნებენ, რომ ლადო გრიგოლია ისევე დიდი მოქანდაკე იქნებოდა, როგორც გრაფიკოსი), მაგრამ ის კი ნამდვილად უტყველია, რომ ქართულმა გრაფიკულმა ხელოვნებამ, განსაკუთრებით კი წიგნის გრაფიკამ და მხატვრულმა შრიფტმა არც მანამდე და არც მის შემდეგ დღემდე არ იცის ლადო გრიგოლიაზე უფრო დიდი ოსტატის სახელი! თუ არ ლადო გრიგოლია, ქართული წიგნის გრაფიკა და ქართული მხატვრული შრიფტი, ალბათ, ვერასოდეს ავიდოდა იმ სიმაღლეზე, რომელსაც მან დღეს მიაღწია ლადო გრიგოლიას ელვარე ნიჭისა და ნახევარსაუკუნოვანი დაძაბული შემოქმედებითი შრომის წყალობით.

ლადო გრიგოლია დაიბადა 1903 წლის 24 აგვისტოს დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ სეფიეთში (ახანათან ახლოს), მოსამსახურე რკინიგზელის ოჯახში.

მამა — დავით გრიგოლია ამიერკავკასიის რკინიგზაზე მუშაობდა ქ. ბაქოში. მას ცოლად ჰყოლია მავი თოფურაძე.

სეფიეთში დაბადებულა მათი ექვსივე შვილი (ხუთი ვაჟი და ერთი ქალი). სამ უფროს მშახ უმაღლესი განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული: სიბი რკინიგზელი იყო, ნიკოლოზი ექიმი, ალექსი მათემატიკოსი. ყველაზე უმცროსი მშახ მსხიელი ფილოლოგი იყო, პოეტობდა და 20-იანი წლების ქართულ სალიტერატურო პრესაში კონსტანტინე გამსახურდიას, იოსებ გრაშაშვილის, კოტე მუჟაშვილის, დუტუ მეგრელის, ლეო ქიაჩელიის, შალვა დადიანის და სხვათა გვერდით მიშეღვ გალოარის ფსევდონიმით მას ლექსებუ ჰქონდა გამოქვეყნებული, რომელთა მხატვრული განწყობილება ენათესავებოდა გალაკტიონის პოეტურ სამყაროს. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ უფროსი მშახ — სიბი საქმოდ კარგად ზატავდა და მშეხსაც აწიარებდა ხატვის ხელოვნების საიდუმლოებას. ასევე ხატვით ყოფილა გატაცებული მეორე მშახ ალექსიც.

ასეთ ტრადიციულ ქართულ ოჯახსა და ინტელიჯენტურ გარემოში აღიზარდა ლადო გრიგოლია. სეფიეთში პირველდაწყებითი განათლების



მიღების შემდეგ იგი მამამ ბაქოში წაიყვანა და იქაურ ქართულ სკოლაში მიაბარა, სადაც 1913-1918 წლებში სწავლობდა, ხოლო მამის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ, ლაღოს ჭერ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ვხედავთ, ხოლო 1921 წელს ბათუმის პუბლიცისტურ ტექნიკუმში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1924 წელს გახდა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი, მაგრამ მალე მას თავი მიანება და 1925 წელს გადავიდა გიორგი ჩუბინაშვილის მეთავეობით ახლად-გახსნილ თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტზე პროფესორ იაკობ ნიკოლაძის კლასში, 1926 წლიდან კი პარალელურად სწავლობდა გრაფიკის ფაკულტეტზეც გამოჩენილ მხატვრებსა და პედაგოგებთან, პროფესორებთან — იოსებ შარლემანთან და ივანე ლანსერეტთან, აგრეთვე, მენრიკ გრინევსკისთან.

ჭერ კიდევ სტუდენტი იყო ლაღო გრიგოლია, 1928 წელს „ქართულ მხატვართა საზოგადოების“ წევრი რომ გახდა. 1929 წელს „ქართულ მხატვართა საზოგადოებას“ გამოეთქვა „საქართველოს რევოლუციონერ მხატვართა ასოციაცია“ („სარმა“), რომელიც მალე საკუთარი დეკლარაციით გამოვიდა საბჭოთა პრესის ფურცლებზე. ამ დეკლარაციას ლაღო გრიგოლიაც აწერდა ხელს ისეთ უკვე სახელმწიფოებელ ქართველ მხატვრებთან ერთად, როგორებიც იყვნენ მოსე თოიძე, დავით კაკაბაძე, ლაღო გუდიაშვილი და სხვები. აღსანიშნავია, რომ „სარმა“ არის დღევანდელი საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის წინამორბედი. ასე რომ, ლაღო გრიგოლია სხვა გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მხატვრებთან ერთად გვევლინება მის ერთერთ დამაარსებლად.

1930 წელს ლაღო გრიგოლია თითქმის ერთდროულად ამთავრებს თბილისის სამხატვრო აკადემიის ორ ფაკულტეტს — ქანდაკებისა, პროფ. ი. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით და გრაფიკისა — პროფ. ი. შარლემანის ხელმძღვანელობით. აქედან მოყოლებული იწყება ლაღო გრიგოლიას ფართო და შრავალმხრივი შემოქმედებითი თუ პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის გრძელი გზა.

ცოტა ხნით საქართველოს მარშალირების წარმოებაში მოქანდაკე-კონსტრუქტორად პუშკინის შემდეგ 1932 წელს ლაღო გრიგოლია პავლე ინგაროვსა მიწვევით სამუშაოდ გადადის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული პალეოგრაფიის განყოფილებაში (ამ დროს მუზეუმში მუშაობდა დიდი ივანე ჭავჭავიძელიც, სადაც მას მიეცა შემთხვევა მთლიანად ვაცსობოდა ქართული დამწერლობის ძეგლების საუკეთესო ნიმუშებს: დამწერლობას, ორნამენტს (ხელნაწერულს, ოქრომჭედურს, ქანდაკურს, ფრესკულს), ქართული ხელნაწერი წიგნის კ-

მარებს, მინიატურებს ძველ ქართულ წერო-მოდერულ ფორმებს.

1933 წლის სექტემბრიდან, ახალგაზრდა იოსებ შარლემანის მიწვევით, ლაღო გრიგოლია თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის ასისტენტი ხდება, სადაც შეუდგა ქართული შრიფტის კურსის სწავლებას.


ლაღო გრიგოლიამ ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ საქართველოს მუზეუმში კარგად მქონდა გაცნობილი და საკმაოდ შესწავლილი ქართული დამწერლობის ძეგლები და დაიწყო სახელმძღვანელოდ ქართული თანამედროვე აკადემიური ხასიათის ორი პარალელის სისტემის შრიფტის შედგენის კანონების გამოანხვა გეომეტრიული ხელოვნების მიყენებით, რომელიც დაასრულა 1934 წლის დეკემბერში, გრაფიკის კათედრამ იგი შეუსწორებლად მოიწონა და მიიღო სახელმძღვანელოდ. ეს შრიფტი თბილისის სამხატვრო აკადემიაში დღემდე ისწავლება და ალბათ კიდევ დიდხანს გაუძლებს დროის გამოცდას!

მავე პერიოდში მხატვარმა რამდენიმე შემოქმედებითი გამარჯვება იწიგნა: ჭერ იყო და „სარმას“ გამოფენებზე წარმოდგენილ გრაფიკისეულ ქანდაკებებს მოწონებით შეხვდა იმდროინდელი პრესა (იხ. „ლიტ. ვაჭეთი“, 23. V. 1933; „ტექსტი“, მაისი, 1932), ხოლო 1934 წლის მაისში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ლოს-ანჯელესში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე მის ექსპონატობას — ერთადერთს საბჭოთა კავშირიდან, — მიენიჭა საპატიო დიპლომი, რაც იმავე დროს ქართული საბჭოთა ხელოვნების დიდ საერთაშორისო აღიარებას მოასწავებდა; იმავე წლის აგვისტოში კი გრაფიკისა და ნახაბის დარგში მიღწეული მაღალი ოსტატობისთვის ამერიკისკაცის ხალხთა ხელოვნების პირველ ოლიმპიადაზე იგი დაჯილდოვდა საგანგებო სიგელით.

სამხატვრო აკადემიაში* ლაღო გრიგოლიამ გაიარა ახალგაზრდობის გულსხმიერი აღმზრდელისა და დიდი ავტორიტეტის მქონე პედაგოგის გზა ასისტენტობიდან პროფესორობამდე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაღო გრიგოლიას დღევანელი თბილისის სამხატვრო აკადემიაში მხატვრული შრიფტის კაბინეტის დასაარსებლად, რომლის პირველი ხელმძღვანელი თვითონ გახლდათ. აქ მან ი. შარლემანთან, ლ. ქუთათელაძესთან, დ. ციციშვილთან და თავის მოწაფეებთან ერთად გაშალა ფართო მუშაობა ქართული მხატვრული შრიფტის (საბიტლო შრიფტი, სახათურო შრიფტი, სარეკლამო-საპლაკატო შრიფტი, სალოუზნეო შრიფტი) შემდგომი სრულყოფისა და ახალ სინამდღეზე ასაყვანად.

ლაღო გრიგოლია ფართო მხატვრული და მიცნიერული ინტერესებით ცოცხლობდა და ეროვნული კულტურის თავდაუზოგავი სახმანობის



მაღალი შეგნებით სულდგმულობდა. მას ღრმა მეგობრობა და სულიერი სიახლოვე აკავშირებდა თანამედროვე ქართული ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ბევრ შესანიშნავ წარმომადგენელთან, განსაკუთრებით კი, გლატიონ ტაბიძესთან, დავით კაკაბაძესა და პავლე ინგოროყვასთან, ხოლო ზედნიერად თვლიდა თავს, რომ 80-იან წლებში, საქართველოს მუზეუმში მუშაობისას, საშუალება ჰქონდა ყოველდღე ემზირა ივანე ჭავჭავაძევილისათვის!

ქართული ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის 1948 წელს ლადო გრიგოლიას მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1967 წელს — საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება, 1978 წელს კი მას მიეკუთვნა უმაღლესი ეროვნული ჭილღო — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ლადო გრიგოლია გარდაიცვალა 1977 წლის 11 იანვარს, 74 წლის ასაკში. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ლადო გრიგოლია ქართველი საბჭოთა მხატვრების იმ პირველ თაობას ეკუთვნის, რომელმაც უმაღლესი განათლება თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიიღო და უფროსი თაობის რამდენიმე სახელმწიფოელ წარმომადგენელთან ერთად ვახდა ახალი თანამედროვე ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

იშვითად მოიძებნება ხელოვანი, რომელსაც ასეთი წარმატებით ემუშავოს ქანდაკებაში, გრაფიკასა და მხატვრულ შრიფტში.

1925 წელს, როგორც ვთქვით, ლადო გრიგოლია ახლადგახსნილ თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტზე ჩაირიცხა გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის, პროფესორ იაკობ ნიკოლაძის კლასში (მასთან ერთად სწავლობდნენ თამარ ახაქელია, შოთა მიქაბაძე, ვალენტინ თოფურაძე, სილოვან კაკაბაძე, კოტე იერაბიშვილი...). სულ მალე ლ. გრიგოლია იაკობ ნიკოლაძის ერთ-ერთ უნიჭიერეს და უსაყვარლეს მოწაფეთა რიცხვში მოექცა.

თანამედროვეთა მოწმობით, იაკობ ნიკოლაძე განსაკუთრებით მაღალი აზრის ყოფილა ლადო გრიგოლიაზე, როგორც მოქანდაკეზე. მისკან თურმე არაერთხელ მოუსმენიათ სინანული ამის გამო, რომ ამ უღარესად ნიჭიერმა ხელოვანმა უღალატა ქანდაკებას და გრაფიკას მოჰკიდა ხელი (შდრ. „ღეროა“, 1978, № 6, გვ. 14).

ლადო გრიგოლია, როგორც მოქანდაკე, სტუდენტობის წლებშივე იღებდა მონაწილეობას გამოფენებში. სამწუხაროდ, ლადო გრიგოლიას

ქანდაკებებს ჩვენამდე სრულად არ მოუღწევია: ზოგი დაიკარგა, ზოგიც განადგურდა. მხოლოდ რამდენიმე ვადაჩა, უმთავრესად, ფორმის კერამიკული ქანდაკებანი, რომელთა მეთი ნაწილი მხატვრის სახელობის მუზეუმი („სამშობლო“, „მოსუცი რუსთაველის თავი“, „მწუხარება“, „ქალის თავი“, „პაანინი“). ლ. გრიგოლიას დანარჩენ სკულპტურულ ნამუშევრებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ოღონდ ძველ ფოტოებზე შემორჩენილია რამდენიმე მათგანი, მათ შორის, კარიატიდისებრი ქალის ფიგურა, რომლის ტორსი, ერთი შეხედვით, მოუხეშავი, ტლანჩი და თითქოს ბოლომდე დაუმუშავებელია, მაგრამ ძერწვის ორიგინალური ტექნიკითა და გამომსახველობითი ფორმით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. აქვეი ფოტოებზე სხვა ნამუშევრებიც, რომელთა გვერდით თვით შთი ავტორია გამოსახული. მათ შორის, კერძოდ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით 1936 წელს შოთა მიქაბაძესთან ერთად ლადო გრიგოლიას მიერ საკონსტრუქციოდ წარდგენილი შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტი, რომლის ფოტოსურათი „ლიტერატურულ გაზეთში“ არის გამოქვეყნებული და ხარედაქციო წერილში მაღალი შეფასება აქვს მიცემული. სამწუხაროდ, ეს ძეგლი მაშინ არ დადგმულა.

სანამ გრიგოლიასეული წიგნის გრაფიკისა და მხატვრული შრიფტის განხილვას შევუდგებოდით, საჭიროდ მიგვაჩნია შევხებით მცირე ფორმის გრაფიკულ ნამუშევრებს — ექსლიბრისს, გერბს და იმბლემას, რომელთაც გამორჩეულად ადგილი უკავიათ ლადო გრიგოლიას შემოქმედებით შემკვიდრებაში.

ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნის მდიდარი ტრადიციისა და მასობრივი გავრცელების, აგრეთვე, რევოლუციამდელი ქართული ექსლიბრისის ზოგიერთი ნიმუშის (მაგალითად, შურნალ „პრომეთეს“ ექსლიბრისი) არსებობის მიუხედავად, ქართული ექსლიბრისის მაღალ მხატვრულ პროფესიულ დონეზე ყუვაა მარც უკავშირდება თბილისის სამხატვრო აკადემიას, სადაც სახელმწიფოელ მხატვარ-გრაფიკოსებმა — ივანე ლანსერტმა და იოსებ შარლემანის ხელმძღვანელობით 1920-იან წლებში გამოიწარდა მაღალნიჭიერ ახალგაზრდა ქართველ გრაფიკოსთა მთელი თაობა (ვ. წილოსანი, ლ. გრიგოლია, უ. ჭავჭავაძე, ლ. ქუთათიძე, დ. ციციშვილი, ს. კეცხოველი და სხვ.), რომლებმაც პარიზიდან მაშინ ახალდაბრუნებულ ლ. გუდიაშვილთან ერთად დიდი ამაგი დასდეს ქართული ექსლიბრისის ხელოვნებას.

მათ შორის გამორჩევა ლადო გრიგოლიას

გურამ შარაძე
ლადო გრიგოლია

ექსლიბრისები (საკუთარი ექსლიბრისი, აკაკი ფაღავა, უჩა ჯაფარიძის, სოსო გაბაშვილის, სევერიან კეცხოველის, გრიგოლ მიქელაძის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა ექსლიბრისები), რომელთაგან ზოგიერთი მხოლოდ ესკიზის სახით არის შესრულებული.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მკაცრ სიმეტრიულ კომპოზიციასზე აგებული ლადო გრიგოლის საკუთარი ექსლიბრისი, რომელმაც, როგორც ვთქვით, დიდი აღიარება ჰპოვა ლოს-ანჯელესში (აშშ) 1934 წლის მაისში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც საპატიო დიპლომი დაიმსახურა.

სავაგებო აღნიშვნის ღირსია ლადო გრიგოლის მიერ გაწეული მუშაობა ქართული საკომპოზიციო გერბების („საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა“, „საბჭოთა მწერალი“, „საბჭოთა საქართველო“, „განათლება“, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ და სხვ.) შესაქმნელად.

ბევრი ენერჯია შეაღია მხატვარმა ქართულ ემბლემათა აღსანიშნავია მისი „ცოდნა ხალხს“ (საზოგადოება „ცოდნის“ საქართველოს განყოფილებისათვის), „წიგნის პალატა“, „თბილისის სახმატრო აკადემია“, „საქართველოს არქიტექტურული ძეგლები“, „ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი“, „თბილისის თოჯინების თეატრი“, „ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მსკოვში 1958 წელს“, „საქართველოს სსრ 40 წელი“, „საქართველოს სსრ 50 წელი“ და სხვ.

რაც შეეხება ლადო გრიგოლის დამსახურებას ქართული პლაკატის დარგში, აქ დავკმაყოფილებდეთ მისი მხოლოდ ზოგიერთი შესანიშნავი ნამუშევრის ჩამოთვლით (ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მსკოვში 1958 წელს, ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავის საიუბილეო პლაკატი (1968 წ.), ნალკეთონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას პავლე ინგოროვას თხზულებათა მრავალტომულტომზე ხელმოწერის სარეკლამო პლაკატები და სხვ.). აქვე დავძენთ, რომ თბილისის სახმატრო აკადემიაში ლადო გრიგოლა წლებლის მანძილზე ასწავლიდა სხვადასხვა დისციპლინებს (წიგნის გრაფიკა, სასწავლო შრიფტი, ლითოგრაფია, კომპოზიცია, პლაკატის ხელოვნება) და მისი გამოწერდელია დღეს უკვე სახელგანთქმულ ქართველ ხელოვანთა მთელი თაობა (დ. გაბაშვილი, თ. ყუბანეიშვილი, ნ. ფაღავანიშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, დ. ერისთავი, ქ. ლოლუა, ლ. ცუცქერიძე, დ. დუნდუა, ნ. მაღალიანი, ო. ჭიშკარიანი, დ. ნოღია, ი. დივოგორცევა-გრიგოლია, ო. გორალევიჩი, ლ. შენგელა, ზ. ფორჩხიძე, გ. წერეთელი და სხვ.).


შეიძლება ითქვას, რომ ლადო გრიგოლი, როგორც მხატვარი, კერძოდ, მისი დაზგური გრაფიკა, თითქმის შეუსწავლელია. შედარებით

უკეთ არის ცნობილი გრიგოლისეული გრაფიკული პორტრეტების სერია („გიორგი სააკაძე“, „გრიგოლ ორბელიანი“, „გიორგი ერისთავი“, „აკაკი წერეთელი“, „ლადო მესხიშვილი“, „სააკაორგი ავალიშვილი“, რომლებიც 40-იან წლებში არის შექმნილი, ასევე, უფრო გვიან შესრულებული „შოთა რუსთაველი“, „ილია ჭავჭავაძე“, „ვაჟა-ფშაველა“ და სხვ.). ენებ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი იბეჭდებოდა ლადო გრიგოლის მიერ გაფორმებულ წიგნებში და ამ წიგნთა მხატვრული შემკულობის ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო კომპონენტს შეადგენს.

ოდნოდ აქ ერთ მომენტს უნდა გავხვას ხაზით: თუ 1949 წლამდე ლადო გრიგოლის მიერ შექმნილი გიორგი სააკაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი ერისთავის, გრიგოლ ორბელიანისა და ლადო მესხიშვილის გრაფიკული პორტრეტები მინც ასე თუ ისე ისტორიულად ჩვენთვის ცნობილ მათ იკონოგრაფიულ გამოსახულებათა პორტრეტულ მსგავსებაზე იყო დამყარებული, უკვე 1949 წელს შესრულებული მე-18-19 ს-ის ქართული მწერლის, პოლიტიკური მოღვაწისა და მოგზაურის გიორგი ავალიშვილის (1744-1850) პორტრეტი უკვე საკუთრივ მხატვრის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა და ლ. გრიგოლის ფუნჯის წყალობით ისე ბუნებრივად შეერწყა ჩვენს წარმოსახვას, რომ გიორგი ავალიშვილის სხვაწარის პორტრეტი დღეს ვერც კი წარმოგვიდგინა.

პორტრეტულ მსგავსების გამოდევნება ლადო გრიგოლისათვის თვითმიწანს რომ არ შეადგენდა, ეს მან ცხადყო შოთა რუსთაველის პორტრეტის შექმნითაც. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ ცნობილი იყო შოთა რუსთაველის ტრადიციული პორტრეტი და წინამორბედ მხატვართა არაერთი თაობები სწორედ მის მიხედვით ქმნიდნენ გენაალური პოეტის სურათს, ლადო გრიგოლია არ გაჰყვა ტრადიციულ გზას და შოთა რუსთაველის პორტრეტის სრულიად ახლებური გააზრება შემოგვთავაზა. მან პროფილში წარმოდგინილი პლაკატი პოეტის ბერწერის ვარიანტი შექმნა და ახლა თითქმის აუხსნელია, დამკვიდრებული იკონოგრაფიისაგან სრულიად განსხვავებული ხაზისა და ჩაცმულობის მიუხედავად, როგორ ახერხებულა მხატვარი ყოველ მათგანში ერთბაშად შოთა რუსთაველი ამოეცნოთ. განსაკუთრებით შეამბეჭდავია რენესანსული სულისკვეთებით აღბეჭდილი პოეტის ემოციური სახე და დაფნის აყვავებული ტოტით შემკული მისი თავი, რაც რუსთაველზე მინიშნების ერთგვარ სიმბოლოდაც აღიქმება.

გრიგოლისეული გრაფიკულ პორტრეტებზე ცხადად იგრძნობა გამოცილი მოქანდაკის ხე. ზოგი მისი გრაფიკული ნამუშევარი, მაგალითად, აკაკის პორტრეტი ქანდაკება-ბიუსტს მოგაგონებთ, ხოლო გიორგი ერისთავისა და



ვუა-ფშველას პორტრეტები ნიღბის მხატვრული მოდელირების ხერხით არის გადაწყვეტილი. ნიღბიან შვე ფონზე გამოხატული მოხუცი გრიგოლ ორბელიანის თავი კი სკულპტურულადაა ახერხებული...

1988 წელს გამოცემული „ქართული მოთხრობის“ ორტომეულისათვის ლ. გრიგოლიამ შექმნა ქართველ მწერალთა პორტრეტების ახალი სერია (გუაში, ქაღალდი), რომელშიც შესულია ეპატორინე ვაბაშვილის, დეკანოზ ნინოშვილის, ლალიონის (არსენ მამულაშვილის), დავით კლდიაშვილის, შიო არაკვიციანი, ვახოლ ბარნოვის, ანასტასია ერისთავი-ბოშტარაძის, ვოლა ლომთათიძის, უიარაღს (კონდრატე თათაროშვილის), მიხეილ ჭავჭავაძის, ნიკო ლორთქიფანიძის, შალვა დადიანის, იაკობ გავგუაშვილის, დანიელ ჯიქაძის, ლავრენტი არდაზიანის, გრიგოლ რჩეულიშვილის, ანტონ ფურცელაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილის, გიორგი წერეთლის გრაფიკული გამოსახულებანი. უფრო გვიან (1988-88 წწ.) ამ მიმართულებით შესრულებულ ნამუშევრებს შორის დავასახელებდით ვლადიმერ გუნიას, კლდე ნადირაძის, კარლო კალაძის, შოთა ნიშნაძისა და ვახტანგ ჭავჭავაძის პორტრეტებს.

აქვე აღსანიშნავია გუაშითა და კალმით შესრულებული მხატვრის ორი ადრინდელი ავტოპორტრეტი (1988 წ.) და დოლორეს იბარუჩის პორტრეტი (შედგებილი ლინოგრაფიურა, 1935 წ.). მხატვარი ბერის მუშაობდა შვეი აკვარელით („ქაღალდიის თავი“ — 1988 წ.; „ნიკო ფიროსმანაშვილი“ — 1988 წ., პეიზაჟები და სხვ.), ხოლო ლითოგრაფიული ფანქარით, ნახშირითა და აგრეთვე სანდინით შესრულებულ ნამუშევრებს შორის გამოვარჩევდით „ჩიარდ II“-ს, „ვახტანგ VI“-ს, „მუხან“, „ხედიეთის ტყეებს“ და სხვ.

მაგრამ რაც უნდა იყოს, ლადო გრიგოლიას, როგორც შემოქმედის ნამდვილი სტიქია მიანც წიგნის გრაფიკა და მხატვრული შრიფტია. სწორედ მათში გამოივლინდა ყველაზე მეტი სისრულით მხატვრის ბრწყინვალე ბუნებრივი ნიჭი, უდიდესი შრომისმოყვარეობა და სრულიად ახალი ნოვატორული პრინციპები, რომელთაც საზღვარგარეთ უკავდავებენ მისი სახელი ქართული ხელოვნების ისტორიაში.

ქართული ხელნაწერის წიგნის მხატვრულ გაფორმებას, როგორც კალიგრაფიული სილამაზის, ისე დეკორატიული შემკულობის თვალსაზრისით, დიდი ხნის ტრადიცია აქვს. აღიშნის, გილათისა, ალავერდის, ჭრუჭის, ლაყვალდის, მოკვირისა და სხვა ძველ ქართულ ხელნაწერთა ორნამენტული შემკულობა და მინიატურები ქართველი კაცის მაღალი გემოვნებისა და მხატვრული კულტურის დადასტურების უკუდავი ნიშნები. ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთათვის დამახა-

სიათებელი სილამაზის გრძობა გადაედო ძველ ქართულ ნახევრ წიგნებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ VI-ის მფრთხილადარსებულ თბილისის სტამბიდან 1709-1710 წლებში გამოსული ქართული წიგნების მხატვრული კაშხლობა, რომელიც ჩვენი ეროვნული სახტამო კულტურის ორიგინალობის უბრწყინვალესი გამოვლენებაა!

თანამედროვე ქართული გრაფიკის, კერძოდ, ქართული საბჭოთა წიგნის მხატვრული გაფორმების ერთ-ერთი ფუძემდებლის, თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის კათედრის დამაარსებლისა და სიკვდილამდე (1957 წ.) მისი უცვლელი ხელმძღვანელის პროფესორ იოსებ შარღემანის სახელთან არის დავსორებული თანამედროვე ქართული წიგნის გრაფიკოსთა შეხანიშნავი ოსტატების გამოწრდა, რომელთა შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ლადო გრიგოლია.

ქვე კიდევ სტუდენტ იყო ლადო გრიგოლია, როდესაც ხელი მოჰკიდა ქართული შრიფტის მეცნიერულ შესწავლას (1928 წ.), ხოლო მშ-იანი წლებიდან მოყოლებული იგი წიგნის მხატვრულმა გაფორმებამ გაატაცა, მაგრამ აქაც შრიფტის პრობლემა მისი მუდმივი ყურადღების საგანად დარჩა.


პლაკატური და კონსტრუირებული შრიფტის შემდეგ ლადო გრიგოლიამ შექმნა ტრაქტატი: „ქართული აკადემიური შრიფტი და მის ვარიაციათა სისტემა“, რომლის ხელნაწერი მხატვრის არქივშია შემონახული და ლადო გრიგოლის სხვა ნამუშევრებთან ერთად მალე გამოსცემს „ხელოვნება“.

გრიგოლიანეული აკადემიური შრიფტის ვარიაციათა სისტემა ამოწურავ მხატვრულ შესაძლებლობებს მოიცავს. აგების უბრალოება და სისადავე მრავალგვარი ხასიათისა და ზომის შრიფტის შექმნის საშუალებას იძლევა, რაც მხატვარ-გრაფიკოსს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მისთვის სასურველი შრიფტის ვარიანტს თავაზობს.

ლ. გრიგოლია ერიდება ილუსტრაციებს და უმთავრესად აფორმებს წიგნის გარეკანს, უდას, ფორზაცს, ტიტულს, კონტრატიულს და შმუკტიტულს, ქმნის თავსაქაულებს და ბოლისაქაულებს, არაიშვითად მიმართავს სასათაურო ასოებისა და დასაწყისი სტრიქონის პირველი ასოს ორნამენტულ შემკობას, ამასთან, წიგნის საერთო გაფორმების ერთ-ერთ აუცილებელ მხარეს დიდი გემოვნებითა და ეროვნული ხასიათის შენარჩუნებით შესრულებული გრიგოლიანეული მხატვრული შრიფტი შეადგენს.

წიგნის გრაფიკაში ლ. გრიგოლიას პირველ

გშარბ შარბში
ლალო ბრიგოლია



და უნდა ითქვას შესანიშნავ ნამუშევრად ითვლება 1984 წელს ალ. ხარამიძისა და გ. ჯაკობის რედაქციით გამოცემული მეფე — პოეტ თეიმურაზ I-ის თხზულებათა ერთტომეულის მხატვრული გაფორმება. ამ ეტაპის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს ლ. გრიგოლიას მიერ ამავე პერიოდში გაფორმებული ი. შვედლიშვილის „ლაღვიანადრე ბატონაშვილი“ (1985 წ.). დ. გამახარდიას „მთვარის მოტაცება“ (1986), ა. გაწერელიას რედაქციით გამოცემული გრიგოლ ორბელიანის წერილების ორი ტომი (ლ. ქუთათელაძესთან ერთად, 1986-87 წწ.) და სხვ.

ლ. გრიგოლიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის საიუბილეო გამოცემისათვის გაფორმებაში. ჯერ იყო და, „შინძემ იგი მიიწვია „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის ვანტანგისეული პირველი ბეჭდური გამოცემის აღდგენით სამუშაოებში, ექრძოდ. ლ. გრიგოლიამ ბრწყინვალედ აღადგინა ვანტანგისეული მხედრული შრიფტი. აღნიშნული გამოცემა გამოვიდა 1987 წელს. ამის პარალელურად ლადო გრიგოლიამ ლადო ქუთათელაძესთან ერთად შესანიშნავად გააფორმა „ვეფხისტყაოსნის“ ორი საიუბილეო გამოცემა, რომელიც 1987 წელს განხორციელდა მოსკოვ-ლენინგრადსა და თბილისში. ამთგან პირველი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ნ. ზაბლოციისეულ რუსულ თვისუფალ თარგმანს გადაშუშვებულს ახალ-გაზრდობისათვის, ხოლო მეორე — „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეოდ დადგენილ ტექსტს, რომელიც თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა.

40-იანი წლებიდან მოყოლებული გრიგოლიასეულ წიგნის გრაფიკაში იწყება ახალი შემოქმედებითი ეტაპი. ამ პერიოდში ლ. გრიგოლიას მიერ მხატვრულად გაფორმებული წიგნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკი წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულის საიუბილეო გამოცემა, „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია“, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა საიუბილეო გამოცემა, ვერონის კიქოძის „იერემე მეორე“, გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკა“, აგრეთვე შექსპირის, შილერის, ლენინგის თხზულებათა ქართული თარგმანება (1946-49 წწ.) და „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (ინგლ. ენაზე, 1948 წ.). 1950 წელს კი ლადო გრიგოლიას გაფორმებით გამოვიდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის I ტომი, რომლის გამოცემა დასრულდა 1984 წელს.

ლადო გრიგოლიამ სხვადასხვა დროს (1937, 1939, 1954, 1957, 1959, 1976-77 წწ.) ილია ჭავჭავაძის თხზულებათა არაერთი გამოცემა, საიუბილეო კრებული თუ ფოტოალბომი გააფორმა (ყდა, ტიტული, კონტრტიტული, შმუტიტიუ-

ლი და სხვ.) და თან იხე, რომ უკვე კლასიკულ გამოცემას შეუნარჩუნა თავისი რიგი ნალური და ერთმანეთისაგან განსხვავებული სახე. ამასთან, თითოეულ მანერით დასაწყისის საერთო გამართიანებელთა მათი, რასაც ილია ჭავჭავაძის დიდებული ცხოვრება და შემოქმედება ჰქვია.

მხატვრის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ორ საიუბილეო — 1945 და 1965 წლების გამოცემათა იშვიათი ოსტატობით და თან დამეტრადლურად განსხვავებული მანერით შესრულებულ გაფორმებებს.

ეს ევოლუცია, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, შემოქმედებითი ძიებების ახალი ეტაპი განსაკუთრებით ძალით გამოვლენდა აგრეთვე კონსტანტინე გამახარდიას რვატომეულის (1955-67 წწ.), ვაჟა-ფშაველას ერთტომეულის (1960, 1961 წწ.), „ჩვენი საუნჯის“ (20 ტომად) აღ. მუსუკის „ივეგენი ონგინის“ (1962 წ.). პ. ინგოროყვას რედაქციით 1970 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“, გალაკტიონ ტაბიძის თორმეტტომეულის (1966-71 წწ.), მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის ოთხმოცტომეულის და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შრავალტომეულის ლადო გრიგოლიასეულ მხატვრულ გაფორმებებში, რომლებიც 70-იან წლებში, მხატვრის შემოქმედებით ცხოვრების დასიწე განხორციელდა.

ლადო გრიგოლიას დეაწლი ქართული ხელოვნების ისტორიაში განუზომელია. მისი უკუდავი შემოქმედება თაობათა შემდგომ გაღრმავებულ კვლევა-ძიებასა და ათვისებას მოითხოვს. მაშინ კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალეობით წარმოჩნდება ლადო გრიგოლიას მიერ გაწეული ბეშმარტიად ტიტანური შრომათა შედეგები, მისი მხატვრული მიმკვიდრეობის შედეგები.

ლადო გრიგოლიას პიროვნებასა და შემოქმედებით პრინციპებს მშვენივრად გვისურათებს მისი უბის ივენაკის ერთი ჩანაწერი:

„შემოქმედი ხომ ბუნების ასლს არ გადმოგვიცემს. იგი სურათს იხე გვიხატავს და გვაძლევს, როგორც ეს მის არსებაში გადადის და სახეს იღებს. არა სახე ბუნებისა, არამედ ვანცდა ამ სახით გამოწვეული, —ი, შემოქმედების საქმე. რამდენადაც რთული და ღრმავა ვანცდა, იმდენადვე ძლიერა სურათი; რამდენადაც ცხოველია მხატვრის ტემპერამენტი, იმდენად ცხოველია სურათიც... ფლეგმატიკოს მხატვრის სურათი სიწანტინა და უსიცივტლობის სახეს ატარებს... რაც გარეწნობით თვალს კრის, ის შიგნით გამოხრულია!“



„როგორც ერთი ქვეყანა მთელი“

1.

ცნობილია, რომ სიტყვის სრული ზემოქმედება შეიძლება არა მარტო მის კონტექსტზე, არამედ ადამიანის ფსიქიკურ გარემოზეც იყოს დამოკიდებული; და აქ პოეტურ სიტყვას კი არა, ჩვეულებრივ სიტყვას გულისხმობენ.

თქმა არ უნდა, პოეტური სიტყვა რთულზე რთულია, რადგან პოეტური ნაწარმოები, ვთქვათ. ლექსი უბრალო ემოციებს კი არა, ურთულეს გრძნობებს გვაძენს. ამ გრძნობების გათავიება კი ასე ხდება — „ლექსის კითხვის პროცესში ჩვენ სადღაც ვიყავით? სად ვიყავით? არც ეს ვიცით. ეს იყო რაღაც ნეტარი ბურანი, რომლიდანაც თავის დაღწევა არც ახლა გვსურს. ამასთან, ვერც კი ვიგარქნით, ისე აღმოვჩნდით ამ მდგომარეობაში. რომელსაღე სიტყვას, ფრაზას, შედარებას, სახეს, აზრს რომ მოეცა ბიძგი, ამას უმალ შევნიშნავდით... ჩვენ მოგვეხალა რაღაც მთლიანი, დაუნაწევრებელი რამ, რაღაც ნათლისმავარი, მოგვეხალა და ისე შემოგვებლარდნა, ისე მოგვეცვა აგრეთვე მთლიანად, რომ ვერაფერი შევიტყვეთ. მერე „სადღაც“ ვიყავით. სად ვიყავით? სად არის ხოლმე შეღვივებული კაცი? „აჰისი არცა თქმა, არცა მოგონება შესაძლებელ არს“ (რ. თვარაძე).

სწორედ ასე მოგვეხალბება გალაკტიონის ლექსი, ანუ ის, რასაც, როგორც ვიცით, ლიტერატურისმცოდნეობაში შინაარსიან ფორმას უწოდებენ, ჩვენ კი ამას ამჟღად ასეთი ცნება — „გრძნობა-შინაარსი“ დავანათლოთ. მაშინ შეუძლებელი იქნება იმისი იგნორირება, რაც ამ ცნებაში იგულისხმება, აზროკლებული შეიქნებოდა პოეზიის კვლევა და იმიტომ. ხსენებული „იგნორირება“ მხოლოდ ლიტერატურისმცოდნეთა შრომებში არ ვხვდებით — გალაკტიონის ლექსის თარგმანებზეც ამ ნიშნითაა ცხებული.

ყოველი დიდი შემოქმედება უორიგინაღეს იმპულსზეა დაფუძნებული და ეს იმპულსზე-

ბი ისეა დანთქმული, ისეა ჩანადღუმლოებული პიროვნული ცხოვრების ბურუსში, რომ მათზე მსჯელობა ისევ და ისევ ნაწარმოებების მეშვეობითაა შეიძლება.


გალაკტიონის ლექსების ძირისძირის მიკვლევა მხოლოდ ერთი ორიენტირითაა შესაძლებელი — ეს ორიენტირია ადამიანის ყოფიერება. და ეს მოსაზრება იმდენად ფუნდამენტური უნდა იყოს, რომ ლიტერატურისმცოდნეთა მიერ მისი უარყოფა, იგნორირება, შეცვლა გალაკტიონის ლექსის წარმომავლობის საკითხს გაუკუღმართებულად წარმოგვიჩენს საბოლოოდ.

ცხადია, თუ გალაკტიონის ლექსის ძირისძირს ადამიანის ყოფიერებას დავუკავშირებთ, მაშინ სხვა ყოველივე შეორებასისხოვანი გამოჩნდება.

ამ გარემოების დაკონკრეტება აუცილებელია. ცნობილია გალაკტიონის გამოხატულებაში — „ასტრალურ ქვეყნებზე დაფრთხილ „ლურჯა ცხენები“. ისიცაა ცნობილი, თუ რა ცხოვრებისეულმა ფაქტმა დააწერინა მას „სილამფარედ ანუ ვარძი სილაში“ და ა. შ. ნათელია, რომ ყოველივე ეს შეორებასისხოვანი საკითხებია, შთავარი ის არის, თუ რისი მეშვეობით ზემოქმედებს ასე ძალუმად მკითხველზე გალაკტიონის ლექსი. თავისთავად „ასტრალური ქვეყნები“ და მუხლმოყრილი მლოცველი ქალის ხილვა შესაბამის ლექსებში შეორებასისხოვანა ამბავია, პირველხარისხოვანი კი ის უნდა იყოს, რაც ადამიანის ყოფიერების ძირისძირთანაა დაკავშირებული.

აი სწორედ ეს არის შთავარი, და ვიმეორებთ. თუ ამ მნიშვნელოვან გარემოებას გავითვალისწინებთ, გალაკტიონის შემოქმედების კვლევა სულ სხვა, უფრო რეალურ საფუძველზე იქნება დამყარებული.

გალაკტიონის ლექსის მკვლევართათვის (და რაც უფრო მიუტკეველია — შთარგმნელთათვისაც) ძალზე ძნელია სუბიექტურობის ბარიერის დაძლევა. როგორც ჩანს, ხსენებული გარე-



მოება არის ის მიწეწი, პესიმის საფუძველი რომ ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით.

მაგრამ თუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის ყოფიერებას ავიღებთ გალაკტიონის ლექსის შინაარსის ორიენტირად, იქნებ სუბიექტურმა მაშინ უკუვადალო.

ამ მიზნის მიღწევა ასე შეიძლება — გალაკტიონის ლექსებში კონკრეტული შინაარსის დანახვა შეუძლებელია; შეუძლებელია იმიტომ, რომ 1) გალაკტიონის ლექსები „ზოგადი ადამიანის“ სულთანაა წილნაყარი; გალაკტიონის ლექსში ჩაწურული გრძობის დასრულება შეუძლებელია, რადგან ყოველი მკითხველი ამ გრძობას თავისი „შეობის“ მიხედვით აღიქვამს. ყველა თავისებურად ჩააქოვს ან უკვე მისთვის გარკვეულ შინაარსს; 2) გალაკტიონის ლექსის გრძობა-შინაარსი (გარკვეული მთლიანობა) არ შეიძლება იყოს ერთმნიშვნელოვანი. ასე მაგალითად, ვთქვათ სიხარული მხოლოდ სიხარულზე, სიყვარული მხოლოდ სიყვარულზე, წამება მხოლოდ წამებაზე არ დაიყვანება და ა. შ. და ა. შ. გალაკტიონის ლექსი ანტირომანტიკული ბუნებისაა. ვთქვათ, ამა თუ იმ ლექსში მოხსენიებული სიკვდილი „მთლად“ სიკვდილი არაა, ეს ცნება „სიცოცხლესაც“ გაუღისხმობს (რეალურადც ხომ ასე); სიშორე „მთლად“ სიშორე არაა, იგი სიახლოვეცაა, და სიახლოვე „მთლად“ სიახლოვეც არ არის, სიშორე ჩანს ამ სიახლოვეში...

სიშორის შენის სიახლოვე, მარადის მძაფრი

აბრუებს ყნოსვა, ვარდო ტყურო.
ესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი
შეპრტიურა.

და სიახლოვის სიშორეში, კვლავ უფრო შორი

მისვლა ყელამდე, მიწვდომა ყელის...
არის ნანატრი იდეებები, სიკვდილის სწორა —

მზე, მთა და ველის.

ო, იგი წამი, მშვენიერო, ო, იგი ბაგე!

ო, ეს წყეული სისხლის დუღილი!

ძეგლთა სიმღლით, სივრცეებში! მე იქ აღვაგე

სულის წუხილი.

გალაკტიონის ლექსების „ღვთაებური“ შინაარსის წარმოჩენაში გარკვეული კანონზომიერება ჩანს. და იმდენად მნიშვნელოვანია ამ კანონზომიერების დადგენა, რამდენადაც მნიშვნელოვანია თავის მხრით ის გარემოება, რომ უცხო არ აღმოჩნდეს ჩვენთვის გალაკტიონის ლექსების შინაარსი.



ლიტერატურისმცოდნეთათვის გალაკტიონის ლექსის „გაუცხოვების“ პრობლემა შეიძლება ასე აიხსნას.

როგორც ვთქვით, გალაკტიონის ლექსი ურთულეს გრძობებს აღვცირავს — სწორედ ამის მიხედვით ლექსების მარადიული, სუბიექტური შენელობა. და თუ ჩვენთვის ამოხავალი სწორედ ეს დებულება იქნება, მაშინ ხსენებული გარემოება შეიძლება ასეთი მსჭელობის საფუძველი გახდეს.


გალაკტიონის ზემოთ მოყვანილი ლექსიდან ორივე სიტყვა გავიხსენოთ — „სიშორე შენის სიახლოვე“ და „სიახლოვის სიშორეში“; თავისთავად ეს სიტყვები ცალ-ცალკე აღებული მარტივ შინაარსიანია, მაგრამ მათი დაწვევლების შედეგად უკვე რთულდება ამ სიტყვათა შინაარსი, რთულდება იმიტომ, რომ ადამიანის სულის სიღრმეში მომხდარ ამბავს წარმოგვიჩენს — ესე იგი, ამ სიტყვების ობიექტი ადამიანის სულია მხოლოდ და მხოლოდ.

თუმცა ეს აზრი შეიძლება ბევრს ტრუნიზად მოეჩვენოს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, ტრუნიზად მიჩნევა ამ აზრისა შესაძლებელია შემდეგ გარემოების საფუძველი გახდეს — გალაკტიონის ლექსის კვლევისას მათემატიკური მეთოდების საკითხობას დავინახავთ, და მაშინ; როგორც ვიტყვით, ამ მეთოდის მიმდევარია — სტრუქტურალისტების აზრით, ლექსისეული შინაარსის წარმოჩენა მისი უღიმღამო გადამღერებაა მხოლოდ და მეთი არაფერი, რაც ერთობ პრიმიტიული, მარტივი ამბავია და არც შეიძლება იყოს ლიტერატურისმცოდნეობის საგანი, და ამიტომ შეცნობება უფრო „რთული საკითხებით“, მხატვრული ნაწარმოების ტექსტით უნდა დაინტერესდეს...

მაგრამ ხომ შეუძლებელია იმისი იგნორირება, რომ გალაკტიონის ლექსი ადამიანის ურთულეს რეალობას გავამცნობს და აუცილებელია ამ რეალობის გაგება-გათავისება.

ადამიანისათვის ცნობილია ის გრძობა, რასაც შეიძლება „სიშორის სიახლოვე“ და „სიახლოვის სიშორე“ დავარქვათ. მარტივად რომ ვთქვათ, შეიძლება ეს იყოს სატრფოს სიშორით გამოწვეული სიახლოვე, რომელიც შემდგომ, დაახლოებისდა კვლავ იქნება „სიახლოვის სიშორედ“ იქცეს. მთელი ეს ლექსი ამ ურთულეს რეალობაზეა აგებული, და გალაკტიონის მიერ წარმოჩენილი ხსენებული რეალობა უკვე ისეთია, რომ თუნდაც ერთი ყალბი სიტყვა არარაობად აქცევს მას.

ზემოთ ნახსენები გალაკტიონის ლექსის ყოველი სიტყვა ადამიანის სულიერ ტანჯვას აკვირობს, მაგრამ ეს „ტანჯვა“ განმარტებას მოითხოვს — ეს არის ტანჯვა და სიამოვნება. ეს არის წამებაც და ტკობაც, ეს არის ლოცვა და წყევლაც. ოღონდ ამ გრძობის დანაწევრება. გახლენა, ნაწილ-ნაწილ წარმოჩენა ვახაოცარ მთლიან სურათს დაგვანახებებს და ამ მნობისდა კვლავ ლექსის ყოველი სიტყვა ისე



რთულდება, რომ მისი შეცვლა ან გაძიარტელება ამ მთლიანობის დანგრევის გამოიწვევს.

საქმე ისაა, რომ, როგორც ვიცით, ყოველი ნიშანი (სიტყვა) საგნისაგან დამოუკიდებელია, ნებისმიერია. მაგრამ ეს თვისება მხოლოდ ცალკეულ ნიშნებს ახასიათებს, ნიშანთა ერთობლიობა, შერწყუმული სისტემაღ უკვე არ შეიძლება ნებისმიერი, დამოუკიდებელი იყოს, ის უფოოდ დამოკიდებული ხდება და ამ შე- რწყუმის წესებსა და მის ორგანიზაციაში სრული კანონზომიერება ჩანს, რაკილა ეს სისტემა ობი- ექტურ სინამდვილისაა დააკვირებულთ.

ამიტომ ნამდვილი ხელოვნება არ შეიძლება სუბიექტური იყოს, იგი რეალობის შემეცნე- ბის საშუალებაა ყოველთვის (მ. მარტინენკო). ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა არის ეს რეა- ლობა და როგორ, რა ბერბით გვამცნობს მას ხელოვნება, ამ შემთხვევაში კი ვალაკტობისა ლექსი, სულმოდამ უნდა გვახსოვდეს, ვალაკ- ტობის ლექსი ისეთი ფენომენია, რასაც გრძ- ნობა, უფრო სწორად, ურთულესი გრძნობები ესაძირკვლება და, ცხადია, მისი შინაარსის სა- ფუძელი ამ ფენომენია საიხებელი და ისიცა ნათელი, რომ მის ლექსებს ის კანონზომიე- რება აქვს, რაც აღმნიანის რთული გრძნობები- სთვისაა დამახასიათებელი და ამ გარემოებას ვერსად წავუვალთ.

2.

იმ შეიძველისათვის, ვინც სრულიად იცის ორიგინალისა და თარგმანის ენა, ვისაც შეუძ- ლია კარგი და სუსტი ლექსის გარჩევა, ცხადი ხდება ხოლმე ორიგინალისა და თარგმანის ასე- თი მიმართება — 1) ორიგინალის ლექსი კარ- გია და თარგმანი — ცუდი; 2) ორიგინალის ლე- ქსი სუსტია და თარგმანი გაცილებით უკეთე- სი ჩანს; 3) ორიგინალი და მისი თარგმანი სრუ- ლიად სხვადასხვა ლექსებია და ორიგინალისა და თარგმანის სიკარგება და სიცუდეზე არც შეიძლება საუბარი.

შემოდანშენული სამივე მიმართების არსე- ბობა დღევანდელი ლიტერატურისმცოდნეობი- სათვის ცნობილია და შეიძლება აღარაფერი გვეთქვა ამის შესახებ, მაგრამ აქ ჩვენთვის მნი- შენელოვანია მთარგმნელის პიროვნების გაგე- ბა, ანუ დახასიათება იმ იდეალური მთარგმნე- ლისა, ვინც კარგ ლექსს კარგად თარგმნის და ამივე დროს არ ხელყოფს ორიგინალის შინა- არსს და სრულყოფილად გადაიტანს თარგმან- ში. ვინც სუსტი ლექსის თარგმანს ხელს არ მო- კიდებს თუნდაც იმ მიზნით, რათა იგი თარგმან- ში გააუმჯობესოს; ვინც თარგმანისას საქუთარ ახალ ლექსს არ დაწერს...

ვინ იცის, იქნებ არც იყოს სწორი შემოკ- მელი ნახლის (მთარგმნელთა უმეტესობა ხომ პოეტებია) არტაბეზში მოქცევა, მათთვის რა-

დაც რჩევა-დარჩების გაცევა. და, ამიტომ, მათ შეიძლება ცხოვრებაზე მიმდინარეობს, რომ ლოს და ხოლოს ხომ ცნობილია, საუბრის სის თარგმნა ზოგჯერ მშვენიერ ლექსს გვაძ- ლევს და ასე მდიდრდება თარგმანის ენა და ლიტერატურა, რაკილა შეიქმნება ახალი, მნიშ- ნელოვანი ნაწარმოები — პოეზიის განვითარე- ბაში ასეთი თარგმანები ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის პოეტური კულტურის განვითარების ერთ-ერთი საფუძველია.

ზემოთქმულისდა კვალად შეიძლება არც იყოს მართებული რაიმეს შემოსაზღვრა „მეცნიერუ- ლი სიტყვით“, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, რომლის ერთმნიშვნელოვანი ინ- ტერპრეტაცია შეუძლებელია.

მაგრამ პოეზიაში ისეთ ნაწარმოებებს ვხვდე- ბით, კლასიკის სახელით რომა ცნობილია და ისეთი სინამდვილია და ისეთი სირთულით გამო- ირჩევა, რომ ამ რეალობის სხვაგვარად, ანუ სუ- ბიექტურად წარმოჩენა ცოდევა — ასეთი პოე- ტური ნაწარმოების თარგმანი მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური უნდა იყოს, ასეთი პოე- ტური ნაწარმოების მთარგმნელს მარადღეე უნდა ახსოვდეს ეს წარუვალი, ფუძემდებლური გარემოება.

მთარგმნელმა, როგორც ჩანს, სრულად უნდა აღიქვას ლექსის ორიგინალის ელემენტები (რა- და თქმა უნდა, ლექსის მთლიან, დანაწევრე- ბელ განცდასთან მიმართებით) და ასევე სრუ- ლად მოუწახოს შესატყვისი თავის ენაზე.

საქმე ისაა, სწორედ ამ ელემენტების რაგვა- რობა, დადგენა არის ძნელი, კირს იმისი მკე- ლევა, თუ რა განცდის საფუძველზე შეიქმნა სხენებული ელემენტები.


ზემოთქმული ასე უნდა დაწესებდეს. ვთქვათ და მთარგმნელი არ შეედა იმ გრძ- ნობის რაობის დადგენაში, მთლიან სახით რამ მიეახლა მას, და შაშინ საარაკო სიწუსებით უნდა მიაკვილოს ამ მთლიანობის შესაფერისს ელე- მენტებს. ესე იგი, ჩვენ ნათლად ვიხილავთ ასეთ პროცესს — მთლიანობის „გახლეჩა“, დანაწე- რება და მერე, თარგმნისას, ამ ნაწილების გა- მთლიანება.

პირდაპირ რომ ვთქვათ, ნათელი და უდავოა, მთარგმნელთა უმეტესობა გარკვეულ, თავის სუ- ბიექტურ მთლიან განცდას მიენდობა ხოლმე — სწორედ ასე აღიქმება ბუკარედი, და ასეთი აღქმის შემდეგ, როგორც ცნობილია, საქუთარი ლექსი იწერება და არა თარგმანი.

თარგმნა, როგორც ვხედავთ, მთარგმნელის უდიდეს კომპეტენტურობას მოითხოვს.

ლექსის კარგად თარგმნის ერთი ობიექტური

ზაშურ კილაძე
„როზმორც ერთი კვიყანა მთელი“



საღმრთლოთაგანია ორიგინალის ენის ისეთი ცოდნა, როგორც მისთვის მშობლიური, ბავშვობაში შესისხლსორცხული ენა; სხვაგვარად ლექსში ჩაუდგული გრძნობის მიკვლევა და მისი მთლიანობის ობიექტური, ანუ არანებნსმიერა განხილვა, შემდეგ კი სხვა ენაზე ამ მთლიანობის შექმნა შეუძლებელი რამედ უნდა მივიჩნიოთ.

დიდი შემოქმედის ლექსის თარგმნისას ხშირად თარგმანის ენაზე სულ სხვა ლექსს ვიღებთ. და რაკილა კლასიკის ლექსის თარგმანი კერძოდ ორიგინალზე უფროსი (რაც მისი თარგმნის საკითხს ახსურდამდე დაიყვანდა), ამიტომ ამ ლექსის თარგმანი ვერ გვაძინებს იმ რეალობას, რაც ორიგინალში არსებობს. ცხადია, კლასიკური პოეტური ქმნილების თარგმნისას უნდა უკუვაგდოთ ყოველგვარი სუბიექტურობა და მთარგმნელმა მხოლოდ ობიექტურობა უნდა დაიღოს საფუძვლად.

თქმა არ უნდა, ამ მხრივ საგულისხმოა გალაკტიონის ლექსების თარგმანის განხილვა. სხედნული თარგმანები, და ეს ერთი შეხედვითაცაა ცხადი, შედეგია ზემოთ მოხსენიებული არამართებული „გახილვისა“, და შემდეგ ამ არამართებულად „გახილვილი“ ნაწილებს ასევე არამართებული სინთეზისა, რაც ახალი, ორიგინალის შეუსაბამო მთლიანობის შექმნა საბოლოოდ.

დიდი პოეტის ლექსის თარგმნისას სტრუქტურალისტების სიზუსტე დიასაც გასათვალისწინებელია, მაგრამ ისე არა, როგორც ისინი აცთებენ, სულსა და გულს რომ უგულვებელყოფენ ლექსისას. ლექსის სული და გული უნდა იყოს მისი თარგმნისას უპირველესი საკითხი, ხოლო მისმა სტრუქტურამ და სტრუქტურის ელემენტებმა მაქსიმალური სიზუსტით უნდა წარმოგვიჩინოს ლექსის „გრძნობა-შინაარსი“.

და აქ კიდევ ერთი საკითხი უნდა განვიხილოთ; რასაც სუბიექტური კი არა, ობიექტური მიზეზები ესაბიძგებდა. ეს არის თარგმანის ენის „თავიებურება“ და ამ ენაზე ლექსის სიზუსტის ტრადიციები. ამას შეიძლება დავემატოთ ერთგვარი თვითმოყვარობა და სპეციფიკა, რომლის სრულად გადატანა თარგმანის ენაზე შეუძლებელი ჩანს. ეს განსაკუთრებით ცხადივე მაშინ გამოჩნდება, როდესაც ლირიკულ ლექსს ვთარგმნით.

გალაკტიონმა დიასაც შეისისხლსორცა ქართული ეროვნული პოეზიის მდიდარი ტრადიციები, მაგრამ ეს გარემოება ამ დიდ შემოქმედთან, რაღა თქმა უნდა, ეპოეონობას არ ნიშნავს, მან ეს ტრადიციები მხოლოდო პოეზიის დონეზე აიყვანა. ყოველი ცივილიზებული ერის ენას შეუძლია მისი პოეზიის გათავისება, და

თუ ეს დღესდღეობით არ ხერხდება, გალაკტიონის პოეზიის სიბრტულია და გარკვეულ მთარგმნელთა ბრალია.

გალაკტიონის პოეზიისადმი მიძღვნილი ლექსი. ჩხენკელი განიხილავს ე. წ. „ეპროპიუმის“ მოკლენას ქართულ პოეზიაში (იხ. მისი „წერილები“, თბ., 1972, გვ. 3-13), და ხაზგასმით აღნიშნავს — „ევროპეუმი, როგორც ლიტერატურული მოძრაობა, ერთი მხრივ, ქართული პოეზიის ეროვნულ საწყისებთან დაბრუნებას, ხოლო მეორე მხრივ, დროის ახალ სულთან შესაბამისად მის უნივერსალიზაციას ან „მსოფლიო რადიუსით გამართვას“ (ტ. ტაბიძე) გულისხმობდა“.

ჩვენს ეპოქაში მოხდა „ეროვნულ საწყისებთან დაბრუნება“. ეს საწყისები კი, როგორც ცნობილია, თავის დროზე „მხოლოდო რადიუსით“ იყო გამართული. ქართველი ერის ისტორიულმა ძნელებილმა მოწყვეტა ქართული პოეზია „მსოფლიო რადიუსს“ და რადესაც ოდინდელი კავშირი აღდგა თ. ჩხენკელის მიერ ზემოთ ნახსენები უნივერსალიზაციის პროცესის სრულიად შეეხო გალაკტიონის პოეზიას, ენე იგი, მის პოეზიაში ერთი მხრივ „ევროპეუმი“ შედღაღდა და, მეორე მხრივ, ეროვნული სული. და რაკი გალაკტიონის პოეზია მსოფლიო რადიუსითაა გამართული, მთარგმნელებს, ძირითადად, ლექსის მთლიანობასთან უნდა ჰქონდეთ საქმე — ამ შემთხვევაში სწორედ ეს არის მთავარი სიძნედე.

ყოველი ლექსის „გრძნობა-შინაარსი“ რატომ იკვლება? ლექსიკა, ინტონაცია, მიმართება, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — გარკვეული გრძნობა-შინაარსი ლექსიკის ინტონაციისა და მიმართების მეშვეობით წარმოგვიდგება. ინტონაციას შეიძლება მუსიკაც დეარქვას, რასაც რიტმი განსაზღვრავს; და აქ უნდა დავხილოთ, რითმაზე უფრო ინტონაციას, მუსიკას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რითმა რიტმის (ინტონაციის, მუსიკის) შექმნას უნდა ემსახურებოდეს და არა პირიქით.

ხოლო მიმართებას რაც შეეხება — სწორედ ესაა გარკვეული მთლიანობა, რაც შეძლებისდაგვარად სრულად უნდა იყოს ორიგინალის შესატყვისი.

მკითხველი ალბათ შენიშნავდა, სამივე ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული და მათი ასეთი დანაწევრება, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ თეორიულ მსჯელობაში შეიძლება.

სხედნული დაკავშირება კი იმას მოწმობს, რომ თარგმანში ორიგინალის თუნდაც ერთი ინდეგრიენტის ნებისმიერად წარმოჩენა ორიგინალის მთლიანობას სხვაგვარად გვაძინებს.



ზემოთქმული კარგად დასტურდება გალაკტიონის „ლურჯა ცხენების“ რუსული თარგმანის მიხედვითაც.

ლექსის ზემოქმედების შესახებ ჩვენ რ. თვარაძის სიტყვები მოვიყვანეთ. მართლაც, შიოთხელზე გალაკტიონის უშუალო ზემოქმედება ასეთია დაახლოებით. მაგრამ ნათელია, მთარგმნელს ეს მთლიანი, დაუნაწევრებელი სახის განცდა ლექსის სათარგმნელად არ გამოადგება, რადგან თარგმნა თარგმნას უნდა ნიშნავდეს და არა ახალი ლექსის თხზვას, და რაკილა ასეთი, იგი ვერ უარყოფს იმას, რასაც შეიძლება აქ მეცნიერული ახსნა დავარკვეთ. ხსენებული აღქმა კი ამა თუ იმ მთლიანობის ძირისძირზე დაუყვანს გულისხმობს. თქმა არ უნდა, მაშინ ეს ძირისძირი რამდენადმე მარტივად წარმოგვიდგება და მას, ცხადია, არც ექნება იმ გრძნობა-შინაარსის წარმორჩენის პრეტენზია, გალაკტიონის ლექსს რომ აქვს. და თუკი ეს ძირისძირი სწორად იქნება მიგნებული, რაც არც თუ იოლი საქმეა, მაშინ მთარგმნელმა ხსენებული ძირისძირი თავისი თარგმანის საფუძვლად უნდა გაიხადოს.

ლექსის ძირისძირის მიკვლევის კარგ მაგალითად იღვარ პოს „ყორანი“ გამოგვადგება: ამ ლექსის დაწერის პროცესი აღწუსებულია პოეტის წერილში „ზემოქმედების ფილოსოფია“.

თქმა არ უნდა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, იღვარ პოს „ყორანის“ დაწერის დროს ყოველივე ისე ჰქონდა გაცნობიერებული, როგორც მის წერილშია გადმოცემული. მაგრამ, ცხადია, თავად ლექსი აძლევს მას ამ გაცნობიერების საშუალებას და ის, რაც თითქმის მიხტკური, იდეალური ბურჟუაზია მოცული, სინამდვილეში ნათელი და გასაგები ყოფილა თურმე.

მართლაც ხსენებულ ლექსში ჩაწურული ურთულესი გრძნობა-შინაარსი კარგადაა ახსნილი და ეს ახსნა ნდობის ღირსია, რადგან იგი ექვეთვის ისეთ დიდ ზემოქმედს, როგორცაა იღვარ პო.

„ჩემი მიზანია, — წერდა იღვარ პო, — შეუცდომლად დავამტკიცო, რომ „ყორანის“ შექმნის ერთი მომენტოც კი არ მიეწერება შემთხვევითობასა და ინტუიციას, მთელი ეს შრომა მათემატიკური ამოცანის დარად ნაბიჯ-ნაბიჯ. სიზუსტითა და მტკიცე თანამიმდევრულობით გასრულდა“.

მთელი მისი წერილი ამ დებულების მტკიცება და ცხადი ხდება, გამორიცხული იყო ყოველგვარი შემთხვევითობა ამ ლექსის შექმნისას. ცნება „ინტუიციაც“ ამ კონტექსტის მიხედვით უნდა გავიგოთ.

შემთხვევითობა იმიტომ უნდა ყოფილიყო გამორიცხული, რათა არ დარღვეულიყო ის,

რასაც იღვარ პო „შთაბეჭდილების მთლიანობას“ უწოდებდა.

გალაკტიონის „ლურჯა ცხენების“ ზემოქმედებით, როგორც ჩანს, არასწორადაა გაგებული ამ ლექსის ძირისძირი და საბოლოოდ ხელყოფილს ვხედვით მის „გრძნობა-შინაარსს“.

ზემოთ აღინიშნა, რომ იოლი არ არის ხსენებული ძირისძირის მიკვლევა, მით უმეტეს, ისეთი ლექსისა, როგორცაა „ლურჯა ცხენები“.

მაგრამ, ცხადია, სინდელე შეუძლებლობას არ ნიშნავს, და ამ ლექსის ჩემთვის ინტერპრტირება პრეტენზიული და სუბიექტური რომ არ გამოჩნდეს, უნდა აღვნიშნოთ, ნიშუშად და გზის მაჩვენებლად იღვარ პოს ზემოთ ნახსენები ანალიზი გვაქვს.

თანამიმდევრული რომ ვიყო ჩვენს მსჯელობაში, პოსეული „ინტონაციის“ მაგვრად ცნება „გრძნობა“ უნდა მოვიშველიოთ, სწორედ ამ ტენორენს გულისხმობდა იღვარ პო; იქვე იმავე აზრად იგი ასე წერდა, ეს ინტონაცია სევდიანიაო.

იღვარ პოს „ყორანის“ ყოველი სიტყვა, შოული გრძნობა-შინაარსი სევდიანია, და თუკი მავანი და მავანი მითხველი ამ ლექსს რაიმე სხვა შემარაწუნებელი გრძნობით აღიქვამს, ეს უკვე ამ მითხველის ინტელექტის ბრალია მხოლოდ. საერთოდ მითხველისათვის კი ეს ლექსი, როგორც იღვარ პო აღნიშნავდა, მართლაც სევდის მომგვრელია.


ზემოთქმულია მიხედვით შეიძლება კვლავ ითქვას, რომ ყოველი კარგი ლექსი იმით, რასაც მთლიანობას უწოდებენ, გარკვეულ გრძნობას მოგვაცვებს. მაგრამ ამ გრძნობის გათავისებობას მსჯელობა სჭირდება — თავად იღვარ პოს წერილი მოწმობს ამ გარემოებას.

ლექსის მთარგმნელი ორიგინალის ამღავარი წვედომის შემდგომ უნდა შეუდგეს თარგმნას, ლექსის ყოველი ნიუანსი უნდა მქონდეს დაწურბული მას, რათა თარგმანი ორიგინალის გრძნობა-შინაარსს შეუსატყვისოს.

გალაკტიონის „ლურჯა ცხენების“ „გრძნობა“, ის, რასაც იღვარ პო ინტონაციას უწოდებდა — სევდიანია, მაგრამ ეს გრძნობა, თქმა არ უნდა, „ყორანის“ სევდიანი ინტონაციისგან მტად განსხვავებულია, და იმიტომ აღვნიშნავთ ამას, რომ გვახსოვდეს ის ცნობილი ამბავი, რომ ჭრ არ შექმნილა ორი სხვადასხვა კარგი ლექსი, სადაც თუნდაც ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში „სევდის“ ცნებით დასახელებული გრძნობა-შინაარსი სრულიად აღიქვატური იქოს ერთმანეთისა.

გალაკტიონის ამ დიდებულ ლექსში სიკვდილ-სიცოცხლის მოტეხობა ერთმანეთში ჩაქლებული იხე, რომ ჩვენ, მითხველებს ერთიანი შთაბეჭ-

საშრ კილაძე
„როზმირე ერთია ძველად მთელი“



დიდობა მოგვეხატება. ამის შესახებხად ამ ლექსის ყოველი სიტყვა უდიდეს შინაარსს გვაქმნობს — სიკვდილ-სიცოცხლის საოცრებას, „საოცრების უბეს“. შერთლაცდა, საოცრებაა: რაც უფრო უნუგეშო სიტყვებს იწვევლებს გა-
ლაქტიონი, მით უფრო დიდებულმა საბით წარ-
მოგვიდგება სიცოცხლე: ყოფიერება — „უსუ-
ლადგმულ დღეობა“, ახვეი, „შეშლილი სახე-
ბის ჩონჩხიანი ტყეები“, „მხოლოდ ნისლის თა-
რეშში, საშუალო მხარეში“ და ძლიერ „ბუნელ
ხვეულებში გამოუცნობ ქიშკრებისა“ ეს არის
ცხადლევი წარმოჩენილი სიცოცხლის შვენიერ-
ება, სიკვდილმა რომ წარმოცა და დაახვა თა-
ვისი სახედისწერა წერტილი.

შ. ბოდღერის ნათქვამი გავიხსენოთ: „საყო-
დავო გულო, სად არის შენი სამშობლო? სადმე.
სამყაროს მიღმა — ქვეყნად, სადაც არ არის
ქმედობა, ზრდა, ბრძოლა, დამაბულობა, და-
შორჩილება, ძლიერის გამარჯვება სუბტრე, შე-
რისხიება და სამართალი, სადაც არც ადამი-
ანებია, არც ცხოველები, არც მცენარეები —
არავინ, ვინც ოცნებობს, ვისაც აშფოთებს სიყ-
არულე...“ (მოგვეყავს მ. კვიციანიანის მიხედ-
ვით).

როგორც ვხედავთ, შ. ბოდღერის სიტყვებ-
შიც ჩანს სიკვდილის ანტიპოდის სიცოცხლის
არსებობა, მაგრამ საქმე ისაა, თუ როგორ ჩანს
ჩვენ ამ შემთხვევაში სიცოცხლე ცალმხრივად
წარმოგვიდგება — უღიმღამო, ბედარული, ყო-
ველგვარ სიხარულს მოკლებული და ასე და
ამდაგვარად, ასეთი კატეგორიული მტკიცებისაა
შეითხველში გარკვეული შთაბეჭდილება ისაღ-
გურებს — ძალიანაც კარგია იქ, „სადაც არ
არის ქმედობა, ზრდა, ბრძოლა“ და ა. შ.

გალაქტიონმა ერთხელ აღნიშნა, თუ რისი
თქმა უნდოდა ამ ლექსით — ახტარალურ ქვე-
ნებზე ვწერდით (იხ. უფრო „მნათობი“, 1975,
№ 2, გვ. 185).

თქმა არ უნდა, შეიძლება ასეთი შინაარსიც
ჩააქსოვოს შეითხველმა (ხსენებულ შემთხვევა-
შიც გალაქტიონიც შეითხველია). ამ გარემოების
საფუძვლის მიკვლევა გვიჩვენებს, რომ შეითხ-
ველს რაღაც დიდებული გრძნობა ატყუვებს
და, რაკილა ასეა, გასათვალისწინებელია უამრავი
ფაქტორი. ასე, მაგალითად, ვისი იყო ეს
შეითხვა, რა მომენტი იყო მაშინ და ა. შ. და
ა. შ. ცხადია, ამ ფაქტორთა ჩამოთვლა და ში-
სი განხილვა ძალზე შორს წავაყვანდა.

აქ ერთი ფრიალ საყურადღებო გარემოებაც
უნდა აღვნიშნოთ, სახელდობრ რომ დაუწერია
გალაქტიონს ეს მშვენიერი ლექსი, ადამიანის
ყოფიერების რომელი რეალობა ესაპირკვლება
ამ ნაწარმოებს. სულით ხორცამდ დიდ ადა-
მიანს და პოეტს, გალაქტიონს კარგად ესმოდა
ეს რეალობა.

რაკი ზოგადკაცობრიული მასშტაბებისა ლე-
ქსში ასახული რეალობა, სწორედ ეს ამბავი

გვაიძულებს მხოლოდ ერთ, ადამიანის ყოფი-
ერების არსთან დაკავშირებულ უმეტესწილად
რება ავიყვანოთ უმაღლეს საფეხურზე, რადგან
ვიშველიოთ კიდევაც.

შერთლაცდა, თუ ჩვეულებრივო საუბრის
დროს ჩვენი სუბიექტურობის გამო შესაძლოა
სხვადასხვა კონკრეტული შინაარსი ჩავაქსოვო-
ლექსში. თარგმნისას კი ეს სუბიექტურობა უნდა
დავამლოთ და მხოლოდ უმაღლესი საფეხურის
შინაარსი გავიხადოთ შეკვლედ და გზის მიჩე-
ნებლად.

ცხადია, ზემოაღნიშნული ღრმა შინაარსითაა
გალაქტიონის ლექსი ღირსშესანიშნავი და თა-
რგმანის დროს ამ შინაარსის სიღრმის ხელყო-
ფა უკვე სხვა, სუბტ ლექსს წარმოგვიდგენს.

„ლურჯა ცხენების“ რუსულ თარგმანში შერთ-
ლაც ასეა.

საქმე მხოლოდ ნიუანსებს კი არა, მთლიანი
გრძნობა შინაარსის ხელყოფაა, რაღა თქმა უნდა,
და ეს ხელყოფა შეიძლება მოახდინოს ყოველმა
შეცდომით თარგმნელმა, შეცდომით გადატანი-
ლმა სიტყვამ, სტროფმა, სტრიქონმა, რიტმმა
და რითმამ და ა. შ., უფრო სწორად, ერთმანე-
თის ადექვატური უნდა იყოს (ობიექტურ მი-
წეებს აქ აღარ მოვიხსენიებთ) ორიგინალისა
და თარგმანის ურთიერთმიმართება.

მაგრამ სიმწიფე ერთია და არასწორად გა-
გებული ლექსის არსი მერჯიდ და, რაღა დასა-
შალია, გადაკტიონის პოეზიის თანამედროვე
თარგმანები (რამდენიმე ბედნიერი გამოაკლი-
ნის გარდა) სწორედ ამ არაწესბად გაგებულ
არსის შედეგადაა შექმნილი.

„ლურჯა ცხენების“ რუსული თარგმანი (შთა-
რგმნელი პ. ანტოკოლსკი) ლექსიკის, რიტმისა
და რითმის მხრივ გარკვეულწილად შეესატყუ-
ნება ორიგინალს, მაგრამ არასწორად თარგმნი-
ლი, ანუ თავად მთარგმნელის მიერ შეთხზული
ერთი სტრიქონი ლექსის სხვაგვარ გაგებას გვა-
ძლებს საბოლოოდ.

ჩვენ იმისი თქმა არ გვინდა, რომ მხოლოდ
და მხოლოდ ამ ერთი სტრიქონით ამოიწურება
მთელი თარგმანის ღირსება, მაგრამ ეს ერთი
სტრიქონი გვინდა საგულხისხო აღმოჩნდება
თარგმანის შეფასებისას.

მოგვეყავს თარგმანის პირველი რვა სტრიქონი.
«На туманные поляны лет лучи
закат багряный,
Край посмертный, берег странный,
неживая кромка льда,
Не сбылся обещанья, не исполнились
мечтанья,
Бесприютное молчанье воцарилось
навсегда.
Тут сама пурга застынет и над всей
пучиной водной
Кверху крылья запрокинет и
останется такой.»

Свет в твоих очах потухнет. Крепко спи в земле холодной, Крепко спи в земле холодной, непробуден твой покой...»

მეიხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს ამ სტრიქონს — «Не сбылись обещанья, не исполнились мечтанья».

ჩვენ ზემოთ ვთქვით, გალაკტიონის ამ ლექსში ჩაუღწეული გრძნობა-შინაარსი უოველი ადამიანის (სულერითა — „ბედნიერი“ იყო ეს ადამიანი ცხოვრებაში თუ „უბედური“) სიკვდილ-სიცოცხლის ნიშნითაა ცხებულნი. და აქ ამ თარგმანში გარკვეული შინაარსითა ჩაქსოვილი — სიცოცხლეში ადამიანის იმედის ვაცრუება, აუბედნიელი ოცნება ნაგლისხმები.

ცხადია, ამ თარგმანში ზოგადი კერძოზე და უყვანილი, რადგან აქ ლექსის გმირი თურმე ამ ქვეყნად არ ყოფილა ბედნიერი და ახლა კი «Не сбылись обещанья, не исполнились мечтанья».

მართლაცა, მიწა ხარ და მიწად იქცეო. ოღონდ ეს თარგმანის მიხედვითაა ასე, ორიგინალში ამას ვერ ვხედავთ. ორიგინალში ასე რომ იყო, მაშინ გალაკტიონის ლექსი კი არა, ვინმე სხვა, „მოკვდავი“ პოეტის ერთმნიშვნელოვანი, პესივისტური ლექსი გეჭვენოდა.

სავარაუდებელია, ორიგინალის შემდეგმა სტრიქონებმა ან ამ სტრიქონების ბჭკარედმა შეუცდინა მთარგმნელი:

ტრემლით არ ინამება სამუდამო ბაღში;
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის

ზმანება,

ვით სულის ხმოვანება ლოცვის

სიმხურვალეში.

ამ ლექსის თარგმანის გამო ჩვენს მთავარ ხატულას სწორედ აქ მოვატანეთ.

უოველი სიტყვა ამ ლექსის ორიგინალისა არაა ერთმნიშვნელოვანი, ისეთი, როგორცაა, ვთქვათ, ზემოთ ხსენებული თარგმანის მესამე სტრიქონი — «Не сбылись обещанья, не исполнились мечтанья».

ბრძენთა ხმობა არ სჭირდება იმას, რომ ორიგინალის ზემოთ მოყვანილ სტრიქონებში — „ტრემლი“; „ვნება-წამება“; „ღამის ზმანება“; ადამიანის ოცნების შეუსრულებლობის მაცნე არ არის. ზოგადი ადამიანისთვის ხსენებული ტრემლი“, „ვნება-წამება“, „ღამის ზმანება“ სიცოცხლის სისხვის და, ამისდა კვალად, ბედნიერების ნიშანიცაა.

საერთოდ კი, ხანამ ამ მოსაზრების დასტურად კიდევ ვიტყვოდეთ ორიოდ სიტყვას, ამ ლექსის რამდენიმე სტრიქონი გავიხსენოთ:

სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა.

ცეცხლი არ კრთის თვალებში, წვეხარ სიკვდილში

წვეხარ ცივ სამარეში და არც სულს უსრულებს.
შემოილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჭქარიან.
სიზმარიან ჩვენებით — ჩემი ლურჯა

ცხენებით

ჩემთან მოესვენებით, ყველანი აქ არიანი
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება,
ტრემლით არ ინამება სამუდამო ბაღში,
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის

სიმხურვალეში.

ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის

ტრიალი,

ჩქარი გრგვინვა-გრილით ქრიან ლურჯა

ცხენები.

ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარი,
ებლა კი სამარეა შენი განსასვენები.

რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის
შენს სახელს?

ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ
დაიჭერებს?

იარგად დაფუკვირდეთ ამ სიტყვებს, რომე-
ლიც, თითქოსდა რაღაც ჭაღოლი, გარკვეულ
შინაარსს გვამცნობს და მერე იმასაც, რაც
უშუალოდ არ არის ნათქვამი და რაც იგულისხ-
მება, ანუ, რაც ამ სიტყვების საპირისპირო ში-
ნაარსით აფერადება ჩვენს გულში, და ეს ხდება
ანტინომიური პრინციპით, კერძოდ ან ასე —
სამუდამო მხარე და მხოლოდ სიმწუხარე სხვა
რამის არხეობასაც მოწმობს, იმის არხეო-
ბას, რაც არცაა სამუდამო და სადაც არაა მხო-
ლოდ სიმწუხარე. ასეთივე ანტინომიურ შინა-
არსს გვამცნობს ის ამბავი, რომ ცეცხლი არ
კრთის თვალებში — იყო დრო და ცეცხლი
კრთოდა თვალებში, არც უსულდგმულო დღე-
ები რბოდნენ ასე გამალებით და ა. შ. აგრეთვე
იყო ისეთი დღეებიც, როდესაც ცეცხლდენენ შენს
სახეს და ამბობდნენ შენს სახელს...

ცხადია, ყოფიერების უმნიშვნელოვანესი რეა-
ლობა — ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის აშა-
ვია წარმოჩენილი ამ ლექსში.

ამ ლექსის მთლიანობას ქმნის სიცოცხლის
მშენიერებისა და სიკვდილის გარდუვალობის
გრძნობა-შინაარსი, ლურჯა ცხენები კი ხილია ამ
ორი სამყაროს დამაკავშირებელი:

როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის

ტრიალი,

ჩქარი გრგვინვა-გრილით ქრიან ლურჯა

ცხენები.





მრავლობითის იშვიათი ფორმები საშუალ ქართულში

ორმაგი და სამმაგი მრავლობითობა, იშვიათი ენობრივი მოვლენა, სალიტერატურო ენაში ხალხური მეტყველების წიაღიდან გადმოვიდა და აღრიღანვე გავრცელდა როგორც საშუალ, ისე ახალ ქართულში. ამით დაილექტური ფორმები გვერდში ამოუდგა სალიტერატურო ენის ნორმებს. მოვლენა დამკვიდრდა როგორც მხატვრულ (ორიგინალურსა და ნათარგმნ), ისე საისტორიო მწერლობაში. მრავლობითობის -ნ-, -თ და -ებ სუფიქსები, რომლებიც ცალკეც დამოუკიდებლად აწარმოებდნენ სახელთა მრავლობით რიცხვს, წყვილ-წყვილად გაერთიანდნენ და მივიღეთ -ებ-, -ნებ-, -ებ-, -თ- ეპოზიციები. მათი პარალელურად შეზღუდულია, მაგრამ მაინც ხშირია. მოვლენის გათვალისწინებას მნიშვნელობა აქვს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით და ჩვენი დაკვირვებანი ერთ-ჯერად ზღვს შეუწყობს მის შემდგომ შესწავლას.

მრავლობითობის წარმოების თვალსაზრისით გამოირჩევა XVIII ს. ძველი, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ვიმოწმებთ ძველი 1873 წ. გამოცემას). ეს საისტორიო თხზულება ჩვენს ყურადღებას იმით იქცევს, რომ ის არის მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ მასში ნახმარ ფორმებს სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით უასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ ჩვენი მცირე ნარკვევი პირველ რიგში ემყარება სწორედ ხსენებულ თხზულებას, აგრეთვე XVII-XVIII სს. მწერალთა (ნ. ციციშვილი, ფ. გორგაჯანიძე, ს. ს. ორბელიანი, ი. ტლაშაძე, გ. გელოვანი, ვ. ვ. ორბელიანი, დ. გურამიშვილი, ბესიკი, ა. ნერხუშლიძე, ა. ბაგრატიონი, პ. ორბელიანი...) მხატვრულ და საისტორიო თხზულებათა ჩვენებას. ვახუშტის თხზულებაში სახელთა მრავლობითობის საწარმოებლად თითქმის მთლიანად -ნ და -თ სუფიქსებია გამოყენებული და ძალზე შეზღუდულია -ებ ელემენტისა და ორმაგი მრავლობითის აღმნიშვნელი სუფიქსების ხმარების შემთხვევები. აქა-იქ გაიკიფებს სამმაგი მრავლობითის ფორმებიც, რომლებიც -ნ-ებ-თ-ა და -ებ-ნ-თ-ა სუფიქსებითაა ნაწარმოები.

ორმაგი და სამმაგი მრავლობითის ფორმებს იშვიათად დაერთვის თანდებულებიც. ცალ-

კალკე განვიხილოთ ჭერ -ებ-იანი, შემდეგ კი ორმაგი და სამმაგი მრავლობითის წარმოება.

ა) -ებ-იანი მრავლობითი. ძველში -ებ-ით ნაწარმოები სახელი გვხვდება შემასმენელთან სინტაქსურ ურთიერთობაში. მაგალითად, სახელბოთ ბრუნვაში დასმული ქვემდებარე ითანხმებს შემასმენელს: რომელთაცა სახელები ესენი არიან (117,6); ფაშები მიმიედ დაიკოდნენ (728,25)... ასევე მოთხრობით ბრუნვაში დასმული ქვემდებარეც ითანხმებს შემასმენელს: რომლისა კატარღებმან მოსტყუვენ ეს ზღვს პირნი (285,1).


ცნობილია, რომ -ებ-ით ნაწარმოები პირდაპირი დამატება ვერ ითანხმებდა და ვერც ითანხმებს შემასმენელს მრავლობით რიცხვში. ამასვე ადასტურებს ვახუშტის თხზულების ენაც. აქ სახელბოთში დასმული -ებ-იანი პირდაპირი დამატების მ მავალითი დასტურდება „ზარბაზნები წარგაჴვა იმერთს ბაგრატ“ (812,18) ტიპისა.

მიცემით ბრუნვაში დასმული -ებ-იანი პირდაპირი დამატებისა შემასმენლის შეუთანხმებლობის 12 შემთხვევა გამოვლინდა: „მარადის აოქრებდნენ სანახებსა ყარდაარისასა“ (479,1) ტიპისა.

ძველი ქართულის მტკიცე წესი -ებ-იანი პირდაპირი დამატების მიერ შემასმენლის შეუთანხმებლობის თხზულებაში დარღვეულია. აქ მხოლოდ სამ შემთხვევაში ითანხმებს პირდაპირი დამატება შემასმენელს რიცხვში. ვიმოწმებთ სამივე მაგალითს: მოსწყუდნეს ბოლნისები (617,2); მოსტყუენეს ბოლნისები (625,14), გააგარბული კოშკები შემუსრნეს (629,1).

სამი შემთხვევა აგრეთვე -ებ-იანი ნაწარმოები ირიბი დამატების და შემასმენლის ურთიერთობისა: და მათა ქორნიკონებსაცა წინააღუდგების (294,2), ამ მთებს უძეს აღმოსავლით ისრალის კვი (862,18)... სხვა მაგალითი არ გვხვდება.

ძველში სახელის წარმოება -ებ-იანი მრავლობითით სხვადასხვა ბრუნვაშია დადასტურებული: მოთხრობითში (მხოლოდ ერთჯერ); შემდგომად დასხნეს ელნი ამა ადგილთა აწინდელთა მეპატრონეთა, ვითარცა ბატონან თეიმურაზ და ხანებმან (528,8). მიცემითში



(ხუთჯერ): ამ შთებულებით არს ბაიბურდი (688,18)... ნათესაობითში (15-ქერ, შთ შორის ოთხჯერ ემფატურად ზმონი): და ამ ბაიბურდის წყლები სთავილამ გარდავალს გზა კასრის ზევი (649,21)... შეიმოსა ჩოკა მონაწონებისა (149,8)... მოქმედებითში (89-ქერ, შთ შორის 81-ქერ ემფატურად ზმონი): ხლო თიშორაწ და უმეტესნი კანნი დედაწულით და ეკისკა მსგებთ მივიდნენ ანანურს (621,18)... გამოილაშკრა ძალითა დიდითა, წარბაწნებითა და აღწამულობითა სპათათა (822,8). ვითარებითში (ხლოდ ერთჯერ): ამთ უწოდებენ კლდეკრის სოფლებად (825,14).

ე-ბ-იანი მრავლობითის ფორმას ერთვის თანდებულებიც. შთ შორის: თან (ერთჯერ): ამის ზეით, კორკებთან, ერთვის რეხულას კევი უსისტუისა (865,7); ზეიწეიწეიდა (ოთხჯერ): არამედ ამ გზებზე წაფულობით ცხენით ვლინან (650,11); ამ კეცხა და კეცებზედ გარდავლინან გზანი რაჭას (760,9); შამინ ნინო შეხო ჯუარი თავსა, ფერქსა და მკრებსა ზედა (84,16); ში (ორჯერ): ბაღურის მოქმეული კრძალი მოხუდა ცხენს უკანას გაზებში (445,22); თვის (ერთჯერ): არამედ ეგრისწყალს — იქითი შილო კეისარამ ბერძენთა საზღვრებისათს (108,15); ზან (ორჯერ): ამან განწმიდა გიორგია ურწმუნოებისა გან (117,27); დამ (ცხრაჯერ): ამ ისპირის მდინარეს შორეთიან ამიერ-იმიერით კეცნი ისპირისვე მთებშიდამ (685,17); დან (ორჯერ): კუმისისა და შანდისის მდინარე მთებთან გამოშინარე (883,25); მდე (ერთჯერ): გომარეთს ზეით ჭვარებაშდე არს კეობა გუჯარეთისა (346,20); ურთ (14-ქერ): ამას ზეით არს ვარძიას მონასტერი, კლდესა შინა გამოუყოფილი, სენაკ-პალატებითურთ (667,24)...

მხოლოდ ერთჯერ და ისიც სახელობითი ბრუნვის ფორმით დასტურდება -იანი სუფიქსიანი წარმოება: დედ შენი და პალატე-იანი, ზღუდე — გილოიანი (778,17); შუა (ერთჯერ): გამოსდის საწალაქე კეცებს შუა მთას (760,8).

ბ) ორმაგი მრავლობითის ფორმები. 1. გაორმაგებული ე-ბ: საშუალი ქართლის ძეგლებში ორმაგი მრავლობითი სხვადასხვა ფორმით წარმოვდივება. „უარამანანში“ (XVIII ს. 80-70-იანი წლები) ასეთ მრავლობითს გაორმაგებული ე-ბ აწარმოებს: ყველასა რკინის კარებებში ება (849,4); თუცა ვვარაუდობთ, რომ „უარებები ება“ დამლეტური გამოთქმა, რასაც სუბიექტთან შემასმენლის მხოლოდით რიცხვი შეწყობაც აღასტურებს.

ორმაგი მრავლობითი ვახუშტის თხზულება-

ში სამ ვარიანტად იწარმოება. ერთ შემთხვევაში სახელის ფუძეს ე-ბ-ნ ერთვის, მეორე შემთხვევაში ე-ბ-თ-ა, მესამეში კი ე-ბ-ნ.

2. ე-ბ-ნ კომბინაცია: ძეგლებში ამის ნაშთების მხოლოდ ერთი მაგალითი აღმოჩნდა, ისიც პირდაპირი დამატების მიერ შემასმენლის შთანხმებისა, სადაც ე-ბ-ნ ელემენტებით ორმაგი მრავლობითია გამოხატული: მოაოკრენეს სანახებნი მისნი (598,19).

ამ სუფიქსებით გამოხატულია ქვემდებარის მრავლობითობა: ქვეშ თავადნი და მათნი ძმანი და შვილებნი შეუხსდეს (გორგიჯ., 810,23), ზოგჯერ პირმომართი დამატებისადაც.

ე-ბ-ნ სუფიქსებით ნაწარმოები მრავლობითი ხშირად შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია: თქვენ გაბაშვილთაგან ნაშვილებნი იყუნით (საქ. სიძვ., II, 21,15); ჩემის უმის შვილებნი არიანო (გორგიჯ., 374,9). ასეთი მრავლობითები სხვა საინტერესო ძეგლებშიც დასტურდება (მაგ., ნაწილებნი და სხვ.), მაგრამ სინტაქსურ კონსტრუქციას ვერ ქმნის.

3. ე-ბ-თ-ა კომბინაცია უფრო ხშირია: შექმნეს სხვათა აღრიბუანის ხანებთაცა შიშნეულება მხედრობისა-გამორუსეთისა (ო. ბერბეულიძე, 274,17); თუმცა ამ ელემენტებით გადმოცემული პირდაპირი დამატება შემასმენლის ვერ თანხმებს მრავლობით რიცხვში. ტექსტში ამის 7 მაგალითი აღირიცხა: ვითარცა მოიქსენებს მუწავე ხახელებთა (6,9); რამეთუ მისცემდა მთავარა კერძოთა თუსთა ადგილებთა სახასოთა მეფისათა და მონასტერ-ეკლესიათა (706,8)...

ე-ბ-თ-ა სუფიქსიანი მრავლობითით ირიბი დამატებისა და შემასმენლის ურთიერთობის 10 მაგალითი გვაქვს: მერმე უცნობლად ბიძებთა თუსთა ეწრაზა ქაიხოსრო (474,9); და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი (857,4)...

ასეთივე მრავლობითები სხვა ბრუნვებშიც გვხვდება. მაგალითად, ნათესაობითში ამის 20 შემთხვევა გამოვლინდა; რომელსა ზედა ვიწრომეთ კინლა წელნი სამნი მარადის წერი-თა, გამოძიებითა, მათიანეებთა და ცხორებათა ძიებითა (11,27); ვითარცა ნაკლულუვან არს მეფის ვახტანგისა და ბექას-მეგრის თურქთა ზედა ძლევანი და ყვედებითა შეუსრულებლობანი (291,13) და მისთ. მოქმედებითში მხოლოდ ერთი: აწინდელთა სულტნებითა სტანბოლისათა (12,4).

ორმაგი მრავლობითის შემცველ ფორმებს ხშირად დაერთვის თანდებულებიც. მართლ ვა-

იწოდლა რუსქამ
მრავლობითის იშვიათი ფორმები
საშუალო კართულში

ხუშტის თხზულებაში -ებ-თ-ა სუფიქსებიან მრავლობითზე თანდებულის დართვის 96 შემთხვევა დადასტურდა. საილუსტრაციოდ არამდენიმე ნიმუში: ზედა (გვაქვს ხუთი შემთხვევა): და გარდავლენ/ან გზანი ქისტ-აჟურაძე-კილამ ამ კავკასებთა ზედა ქევს (65მ,7)... 25 მაგალითია შინა თანდებულის სახელზე დართვის: არამედ კოლის ადგილებზე შინა შინა შორეთიან მტკუარს მდინარეთს უარსისა და უაღნუს მთიდან (67კ,22)... საგულისმზა, რომ ერთი ასეთი შემთხვევა ახალი ქართლის ცხოვრების I ტექსტშიაც გამოვლინდა: მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან ადგწირია (826,10).

გან თანდებულის ორმაგი მრავლობითის შემთხვევა გვაქვს: გარნა რაოდენ შესაძლებელ არის გუჭრებთა, სივლებთა და ქორონიკონებთა გან წარმოვარინოთ (566,4)... გამო თანდებულისა — არამედ უამიცა აქუნელთა განსუენებისა ხანებთა გამოქცეულებისათვის ეგრეთისა (609,17)... შორის თანდებულისა — მხოლოდ ერთი: მთებთა შორის მდგომი (349,20).

გარდა ზემოხსენებული შემთხვევებისა -ებ-თ-ა მრავლობითის ფორმა ში თანდებულის მნიშვნელობით გვხვდება მ-ჭერ: ამ უამებთა წარუვლინა ყენისა ბატონმან თეიმურაზ ძლუენი დიდი (595,23) და მისთ.

საინტერესოა, რომ მრავლობითის ორმაგ ფორმას ორ შემთხვევაში აღმოჩნდა ვე ნაწილაკი, რაც ნაკლებმოსალოდნელი იყო: ამ უამებთა ვე თაობდენ კახეთს ჩოლაყა-შვილი რევაზ, მოურავი ქისიუსისა აბელ, მოურავი ელისენისა მერაბ და სხუანიცა (608,1)...

3. -ებ-თ-ა კომბინაცია ასევე ხშირია. ვახუშტის თხზულებაში ამ სუფიქსებით ნაწარმოები ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმების 19 შემთხვევა აღმოჩნდა: და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავლი (374,8). ანალოგიურია ამავე ტექსტის დანარჩენი მაგალითებიც. ორი შემთხვევა კიდევ ი. ტლაშაძის „კათალიკოსბატარიანი“ გამოვლინდა: მიუღგენენ დიად ერთგულად ორნივე ტბილი მძანები (25,29). ვახუშტის ნაწარმოებში ასეთი ქვემდებარის მიერ შემასმენლის შეთანხმებლობის 8 შემთხვევა გვაქვს: და აღშენდებოდა მრავალი უშენნი დაბნები და აგარაკები (609,10). ანალოგიური მაგალითი დადასტურდა ნათარგმნ ძეგლშიაც: ყუელა ყუაოდა ხევებო (სამიანი, 186,4). ეგვენ: კმას სცემს სალხინოდ მთა, ბორცვი, ქევენები, ბარნი, ტყე, ველნი (ციციშვილი, 21,24).

ძეგლში ორმაგი მრავლობითით პირდაპირი დამატებისა და შემასმენლის შეთანხმებლობის 17 შემთხვევაა. მათგან 10 ისეთია, როცა მრავლობითის საწარმოებლად გამოყენებულია -

-ებ: ამისთვის მიიტაცეს მთაურთა უფსუნო შკარენო, ქუეყანა-ციხე-სიმაგრენი ნაწიფოთანი და დაბნები (473,24)... ერთი ანალოგიური მაგალითი „დვიმინისძე“ შოჩნდა: ში რენენან სისხლქმ — ნაწილქმ ხევენები სულ ამოლამა (268,21).

ვახუშტის თხზულებაში -ნ-ებ-ით ნაწარმოები პირდაპირი დამატება მ-ჭერ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში. ვიზომებთ ერთ-ერთ მაგალითს: და წარმოსტყუენენა ქევნები კლდოანი (168,9).

-ნ-ებ სუფიქსებით სახელთა წარმოება ძეგლის ტექსტში გარდა ზემოთდასახელებული შემთხვევებისა, დადასტურდა კიდევ 22-ჯერ. მათგან სახელობით ბრუნვანი მ-ჭერ, ამ ქევსივე სახელია დაბნები; მოქმედებითი — ერთჯერ: და დაბნებით შენე არს (311,16). 15 შემთხვევაში კი ასეთი მრავლობითი ირთავს -იან სუფიქსს: კუალად ამის სამჭირთ, ქისტეთს ზეით, არს ძურძუკი, შენობიანი, დაბნებიანი, კოშკოვანი ორნივე (652,1)...


ს.-ს. ობელიანის „მოგზაურობის“ ტექსტში, კერძოდ, გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა -ნ-ებ-იანი მრავლობითი ში თანდებულს ირთავს: ვიარეთ ხევენებში (188,84), რაც იშვიათ გამოცდისხად უნდა მივიჩნიოთ.

საინტერესოა, რომ მრავლობითის ასეთი ფორმით ნაწარმოები სახელი ზოგჯერ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილადაა გამოყენებული. ვახუშტის თხზულებაში ამის მხოლოდ ორი მაგალითი გვაქვს: ხოლო კრამის კიდესა ზედა რომელნი დაბნები არიან (323,24)... თუმცა მსგავსი შემთხვევა სხვა საისტორიო დოკუმენტებშიცაა დადასტურებული: ნიკოლოვო მამულაი შვილი, ხუციან შვილი და ჩენი კაცი იესე აბაშიძე მძანები იყვენენ (დოკ. I, 471,1).

გ) სამმაგი მრავლობითის ფორმები. სამმაგი მრავლობითი -ნ-ებ-თ-ა და -ებ-თ-ა-თ-ა კომბინაციებითა მიღებული და ვახუშტის თხზულებაში სპორადულად დასტურდება. -ნ-ებ-თ-ა კომბინაცია მხოლოდ ოთხ მაგალითში ჩანს. მათგან ორში უთანდებულად: ხოლო ქუეყანასა კლარჯეთისასა უწოდენენ სახელნი იგინი დაბნებთა და ქალაქებთაგან; მუნ მყოფებთა, ანუ მის მეთაგან მათისათა (658,14)...

ერთ შემთხვევაში ასეთ მრავლობითის ერთ-ვის თანდებულო ში: ხოლო აღექსანდრე იყო დეღით თვისით შუაშთას დაბნებთა შინა (576,2).

სამმაგი მრავლობითის ფორმასთან გან თანდებულის გამოყენებაც დადასტურებული ფაქტია: რომელმან მოიგო სახელი დაბნებთაგან მის გარემოსთა მყოფთა (349,18).



ამ ფუძის აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია კაცს შეიძლება სადაოდ მოეჩვენოს, რადგან დაბნეობთა ფორმაში ჩვენ მრავლობითი რიცხვის სამ ნიშანს ვხედავთ. ფუძეა დაბა, შემდეგ მრავლობითი დაბან-, რომელიც კვლავ არის ნაწარმოები -ებ-ით (დაბან-ებ-ი| დაბანში) და ბოლოს თანით (დაბან-ებ-თ-ა). ბუნებრივია, რომ ეს ფორმა მრავლობითი რიცხვის სამ ნიშანს (-ნ, -ებ, -თა) გულისხმობს.

-ებ-თა-თ-ა კომბინაცია ვახუშტის თხზულებაში ორი მაგალითითაა დადასტურებული: გარნა უამთა ხანებთათა შემოვლა უმეტეს პირველისა ქცევა და ზენეი ყოწილბაშთა (609,11); არამედ ეთისკაოხსნი და მონასტერნი წინათვე შლილობათა ამთ შინა ათაბაგებთათა (726,8).

ორმაგი და იშვიათად სამმაგი მრავლობითობის ფორმები ცოცხალ ქართულ მეტყველებაში დღესაც იხმარება, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში იშვიათად თუ წვაწულებით. პრაქტიკამ ამისთანა მრავლობითობის განვითარებას გზა შეუწუღა. შემორჩა მხოლოდ ზოგიერთ დიალექტს, სალიტერატურო ენაში კი არ გავრცელდა. თანამედროვე ეპოქამაც მის ხმარებას საწყევია არ მისცა და ვერ აღასაზნა ჩვენი პერიოდის ვერც მხატვრულ პროდუქციაში, ვერც საისტორიო მწერლობაში.

საინტერესოა, საიდან გაჩნდა ვახუშტის თხზულებაში მრავლობითი რიცხვის ამგვარი ნარევი ფორმები?

სახელთა ორმაგი მრავლობითობის შემთხვევები ქართულ დიალექტებში ქერ კიდევ 1936 წ. განხილული აქვს ალ. ლლონტს. ის ფიქრობდა, რომ „ასეთი ფორმებით, ირკვევა, ენის განვითარება, ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლით გამოწვეული შეჭახება ძველსა და ახალ ფორმებს შორის. ერთი მხრით, უწინდელი სულიერი ჭგუფის ენობრივი თავისებურება და, მეორეს მხრით, ახალი ფენის შედარებით განვითარებული თავისებურება ეჭახება ერთი მეორეს. ამ შეჭახებამ თანამედროვე ქართულში უკვე თითქმის გააბატონა -ებ სუფიქსით ნაწარმოები მრავლობითობა“.

იქნებ ორმაგი მრავლობითი აღნიშნულ პერიოდში -ებ სუფიქსის ქერ კიდევ სუსტი მორფოლოგიური ძალით აიხსნება? (როგორც დავინახებთ, -ებ-იანი მრავლობითის ფორმებიც თხზულებაში ნაკლები რაოდენობით დასტურდება); საგულეებელია ისიც, რომ იქნებ მრავლობითის ეს ფორმები გარდამავალი საფეხურია -ნ და -თ სუფიქსებიანი მრავლობითიდან -ებ-იანისაკენ?

მაგრამ არა! ვახუშტი ხომ XVIII ს-ის I ნახევრის მოღვაწეა. ცნობილია, რომ ეს შრომა

ვახუშტის დაუწვია 1742 და დაუსრულებია 1745 წელს. ამ დროისათვის კი უკვე გარდამავალი საფეხური დამთავრებული იყო იგულისხმება -ნ და -თ სუფიქსების სუფიქსის მიერ მრავლობითის წარმოების საკითხი). ჩვენ ვიცით, რომ XVIII ს-ის I ნახევრისათვის უკვე ნათარგმნ თხზულებებშიაოკი, ხლო ქართულ ორიგინალურ ლიტერატურასა და საისტორიო დოკუმენტებში ხომ ამგვარი პროცესი კარგა ხნის დამთავრებული იყო.

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ორმაგ-სამმაგი მრავლობითობა ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლის გავლენითაა განვითარებულიო; მაგრამ არც ამ აზრის გაზიარება შეიძლება, რადგანაც ანტონ I და მისი სკოლა XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან გაბატონდა. მართალია, ამ პერიოდის ქართული ენისათვის დამახასიათებელია გრამატიკული ნორმების აღტრევა, მაგრამ თვით ანტონის შრომებში ორმაგი მრავლობითის წარმოების მხოლოდ რამდენიმე ნიმუში გვხვდება (მაგალითად, „წულობილსტევაბაში“ 25 მაგალითია). ასეთ მოსაზრებას რამდენადმე ამართლებს ბესიკის ლექსები.

მაშ, რამ გამოიწვია ასეთი ფორმების გაჩენა ვახუშტის თხზულებაში?

ხომ არ გვეძებნა ამგვარი ნარევი მრავლობითობის წარმოება ხალხურ მეტყველებაში?

მართლაცდა, მიწვევი ისევ და ისევ ცოცხალ მეტყველებაში უნდა ვეძიოთ. შესაძლებელია საფუძველიც მისი თხზულებაში გამოყენებისა იყო, რადგანაც ასეთი ფორმები მეტ-ნაკლებად გამოყენებულია ვახუშტის თანამედროვეთა (ს-ს. ორბელიანი, ი. ტლაშაძე, ვ. ვ. ორბელიანი, გ. გელოვანი, ო. ხერხეულიძე...) ენაშიაც, თუმცა უკუაა ავტორთან გარდა ო. ხერხეულიძისა და ი. ტლაშაძისა ორმაგი მრავლობითი ნაწარმოებია -ებ-თ-ა სუფიქსებით და ასეთ შემთხვევებშიაოკი არასად რიცხვში შეთანხმების ნორმები არ გამოვლენილა. ასეთივე მოვლენა გვაქვს „დღლარიანში“, „ბარამგულიჩანიანში“, ნ. ციციშვილის „ბარამგულიანში“, ფ. გორგჯანიძისა და პ. ორბელიანის საისტორიო თხზულებებში. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ ორმაგი და სამმაგი მრავლობითობა ვახუშტის სტილით, ცოცხალი მეტყველების გავლენით არის გამოწვეული.

ვიმეორებთ, მხოლოდ ზალხური მეტყველების ზეგავლენით, მწერლის ენის თავისებურებით, მისი ნიშან-თვისებებით უნდა ავხსნათ ორმაგი და სამმაგი მრავლობითობის ფორმების გაჩენა XVIII საუკუნეთა თხზულებებში, სხვა ახსნა მას, ჩვენი აზრით, არა აქვს.

ბაბო მჭედლიძე

შიორ გლვიელი, ილია სისხარულიძე

ბავშვით, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ ასაკს სამი წლიდან შვიდ წლამდე. ეს ასაკი აღამიანის გონებრივი და ზნეობრივი ზრდის სათავეა. სიამოვნებით უსმენენ ბავშვები ღამაში ენით დაწერილ პატარა მოთხრობებს, ლექსებს, აღიქვამენ აქ აღწერილ ცხოვრებისეულ სურათებს, სახეებს. საბავშვო მწერლებს მეტ წილად მოქმედება გადააქვთ ბუნებაში, — ამოქმედებენ და აღაპარაკებენ უხელო საგნებს, — ახეთ ანალოგიებში ვლინდება ბავშვის შემეცნებაში ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი და ეს ისე, რომ მისი გონება არ იღლებს, არ შიმიდება, — ბავშვი ბუნებახალისიანია და არც არის მიზანშეწონილი, ცხოვრების გარეუარეულ დაუფულოს მას სევდა. თვითონაც ცდილობენ, თავიდან აიცილონ სამწუხარო ამბები: ცუდი არ წაგვიკითხოო, წინასწარ გვაფრთხილებენ და ეს ერთგვარი თვითდაცვის გრძნობა სულ პატარასაც გააჩნია. მაგრამ ადვილი არ არის, პოეზიის ენით გამოთქვა საკუთარი გულისთქმა სურვილი — აღზარდო ბავშვის შეგნებაში მისწრაფება კაცთმოყვარეობისა და სათნოებისაკენ, საითაც გზად და ხილად არ გამოდგება თეორიული ხასიათის შეგონებაში — ტკუის დარიგებაო. როგორც იტყვიან ხოლმე, — საჭიროა ბუნებისაგან ბოძებული ნიჭი, შესაძლებლობანი, რომ ბავშვმა სურათებისა და სახეების შეშვეობით აღიქვას მწერლის კეთილი ჩანაფიქრი; ტიპიურია ამ მხრივ ილია სისხარულიძის ლექსი — „ჩირი-კამა“. მოვიტან ამ ლექსს მთლიანად, რადგან შეუძლებელია მაღალპოეტური კმნილობა გადმოსცე ივრეთოდებული „შენი ენით“ — თითქოს უკეთ გაგებისათვის.. არსებითად — ეს ხელყოფაა სიმშვენიერის: ირღვევა, იშლება, სახეს იცვლის ლექსი ისე, რომ სრულიად კარგავს თავისი დიდი ზემოქმედების ძალას. კარგი ლექსი კი გვაფიქრებს, გვაღელვებს კიდევ.


თითქოს სული განწმენდას ითხოვს და ეს ერთგვარი ვალდებულება ბავშვის შეგრძნებაში უშუალოდ მკვიდრდება!

რა უნდა, რას ჩამაცვიდა, — რას ჩამძახის ეს ბელურა,
ჩირი-კამა, ჩირი-კამა, — მართლა თქვა
თუ მომეყურა?!
აქმა! აქმა! მოვიდა ქვა, დაგიყენებ
ორთავ თვალბს!
ჩირსა ეკამ თუ ფლავს მივირთმევე, — შენ
ვინ გკითხავს, ვინ გავალბებს.

კვლავ მოფრინდა! „ჩირი-კამას“ კვლავ
ჩამძახის, დავილტუქე!
აღბად, ხედავს, რომ საესე მაქვს ატმის,
ლელვის ჩირით უბე,
მერე რაა, რა იქნება, რომ ჩავიტკბო
კოტა პირი?!
რომ იცოდე, რა ტბილია ატმისა და
ლელვის ჩირი!

აქმა, აქმა! მოვიდა ქვა, შენ გაგიჩნდეს
ჩინკა, სურდო!
ჩირსა ეკამ თუ ფლავს მივირთმევე, — შენ
ვინ გკითხავს, თვითონ ქურდო!
რა ვენა, უყივე-უყივეს იძახოდა აქამომდე
ეს ბელურა;
ეხლა ჩირი-კამას მღერის, — მართლა
თქვა, თუ მომეყურა?

ამ ლექსში ცოცხლად არის წარმოდგენილი მოზარდი, რომელიც საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში უტევს იღუმალ ხმას, უტრში რომ ჩასძახის: „ჩირი-კამაო“, მაგრამ ამ შეტევას სინანულიც თან ახლავს და სინანული ხომ ყოველ



სახელს აღემატება! თუმცა აქ განსხვავებულად არის: სინანულით შვიდრდება სურვილი ცუდის განუმორგებლობისა.

ილია სიხარულიძის სამწერლო სტილის ნათელმოყოფილია ორი ლექსი: „შინის წერილი ფისოსადმი“ და „ფისოს პასუხი“: პატარა შვიტბევლის წინაშე აქ ორი სახე წარმოჩინდება: მწრფეველი, გულშემატკივარი, გულმართალი ადამიანი პატარა მშინის სახით და ფისო, რომელიც მუდამ თავის თავზე წრუნავს, ეს სიტუაცია მსმენელში ყოველთვის ირონიულ დიმილს იწვევს.

გავიხსენოთ ორი პატარა პოემა: „შინა, ბუწი და წიწილა“, „ნათელას ფისო“, პოემას იმიტომ ვუწოდებთ ამ ორ ნაწარმოებს, — ყველა დამახასიათებელი ნიშანი ამ ეპიკურაში და ეს ისე. რომ სტილური, ენობრივი სისადავე, დახვეწილობა, შინაარსი ადვილად მიღის პატარა მსმენელამდის. — კიდევ წამოიკითხოთ — ჩუბუბი და მოგვარაოვან ხოლმე ბავშვები, და ახე მრავალჭერ წაგაიკოტებენ ერთსა და იმავეს. იღვლები, მაგრამ სიამოვნებასაც გრძნობ, როდესაც სრულიად მოულოდნელად ზეპირად „ჩაგობულბულბულენ“ ამ მრავალჭერ წაიკითხულს! აი, რას ნიშნავს თურმე საამისოდ მოწოდებული მწერლის შემოქმედებითი ნიჭი, შინის შალონი დანიშნულება, მაგრამ ეს პატარა მსმენელი ზოგჯერ სასტიკ სიმკაცრესაც იჩენს: კითხვის დროს უცებ მიგატოვებს და, როგორც იტყვიან, „თავკუდმოგლეჯილა“ გარბის, — ეს მაშინ ხდება, როდესაც მწერალს სამწერლო ენა დალატობს, — საამისო ნიჭი, ძალა არა აქვს.

ილია სიხარულიძის საბავშვო ლექსებში შრომისა და გარჯის ყოველსშემოქმედების მარჯვენებელი საქარად ბევრი ნიშნული გვხვდება. ანეთი ლექსებია: „ბურო“, „პატარა მებავდეები“, „მეოცნებე ქეთიონ“ და ბევრი სხვა, ეს ლექსები მარჯვენებელია იმისა, თუ როგორ ვითარდება ბავშვიმ მოვალეობის გრძნობა, ჩვევა შრომისადმი სიყვარულისა და ამ გზით საწაღლის მიღწევა.

სხვადასხვა თემატიკის შემცველ შის მრავალ ლექსს ახასიათებს შეხაფერი რიტმი, მელოდოურობა და ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, შესანიშნავია ლექსი „ამ პატარას, იმ პატარას“, არსლის წყობა ვასაკვირველად ეხმარება ცეკვის რიტმს და ეს ისე, რომ ლექსი და ცეკვა ერთ მარშონის ქმნის.

ჩვენი საუკუნის საბავშვო მწერლების პლეადას სათავეში უდგას შოი მღვიმელი.

„შოი მღვიმელის დღესასწაულმა სახაწინო თეატრში იზვიათის ზეიმით ჩაიარა, მთელი ამ დღესასწაულის შნოსა და ლაზოს შეადგენდა მონაწილეობა ბავშვებისა, რომლებმაც თავიანთი გულწრფელი ტიტინით — შისალოცი ლექსების კითხვით, სიმღერით, დაკრით მოხიბულეს, მოაჯადოვეს მსმენელი და განაკუთრებ-

ბით თვით იუბილარი — „შინა შოი“, — რომელიც, რაღაც ნეტარებით ცრემლმორცეული ბავშვების ხელში იტაცებდა და გულში მსურველი იტრავდა“, — აღმოგვიცემენ მაშინდელს გავსებობა. — ეს იყო 1916 წელი, 1926 წელს კი საბჭოთა საქართველომ გადასწავდა მას ხალიტერატურა მოღვაწეობის 40 წლის იუბილე, რის შემდეგაც დამახასიათებელი მწერლის სახელწოდება მიენიჭა და პერსონალური პენსიაც დაენიშნა. მე ბედნიერება მჭონდა დაავსებლობი ორივე იუბილეს, განმეცადა დიდი სიხარული მგონის ასეთი დაფასების გამო. ეს იყო ზეიმი მშობლებისა, აღმზრდელებისა, მოზარდებისა. შოი მღვიმელი ხომ პირველი მწერალი იყო, საბავშვო მგონის სახელი რომ დამოკვიდრა.

ცარიელ მინდაღზე არ აღმოცენებულა მისი შემოქმედება. მისი ბავშვობისა და ყრმობის პერიოდში იბეჭდებოდა რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“, „მერცხალი“, „ჩერ შრომა, მერე ზღომა“, „ღამის მებრეს“; გიორგი ჭალაიძის „მოგონება“, „მასხვის პირველად“, „ფაცხა“; ნიკო ლომოურის „ვედრება პატარა გლობისა“, „სუნვა და პატარა მოწაფე“, იოსებ დავითაშვილის „ჩარად მწვანე ქეჩილო“, დუტუ მერკურის „საყვარელი სამშობლო“, „პატარა ქართველი“; იაკობ გავგაბაშვილის „დღეა-ენა“, „ბუნების კარი“, და სხვა ასეთი უბიწყო, მაღლიანი შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები...

შოიმ ბავშვობის წლები სოფელში გაატარა. შემდეგ უფროსი ძმის მეშვეობით მოიარა ჭავის ხეობა, იხილა სვანეთის მთების სილიადე, ნახა გომბორის აღმართი, — სწორი დაბურული ტყეები, ყოველივე ეს ღრმად აღიბეჭდა ქვაბულის შეგნებაში. სამწუხაროდ, მწერალი საკუთარი ნაწარმოებების სრული კრებულის გამოცემას ვერ მოესწრო, გამოიცა იგი 1936 წელს. ამ წიგნში ყურადღებით არის განლაგებული მწერლის მხატვრული ნაწარმოებები — თემატიკად, ხადაც სამყარო მისი შემოქმედებისა არის სოფელი თავის მშვენიერებით, სიმხნევით, სიწმინდით, სიფაქოთი ხავზე. ვრცელია ეს საშარო — ეს შრომისა და გარჯის დიდი სამეფო: „ზენათხვა“, „იტყე-ველი“, „წვივა“, „თოვლი“ და ბევრი, ძალიან ბევრი ასეთი ლექსი შეთხველს უშუალოდ განცდევინებს ბუნების ყოველის შემოქმედებას, შის ძალას, კეთლი შემოქმედებას.

მასხვის, პირველი კლასის მოსწავლენი ვიყავით, მე და ჩემს ამხანაგს დაგვეცალა შოი მღვიმელის ლექსის — „მკურანდლის“ წაიკითხა სკოლაში გამართულ შოი მღვიმელისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე. სკოლამ დიდხანს გვაშადა ამ კეთილი მოწინასთვის და აი, საზოგადოების წინაშე გამოვედით სტენაზე, მე

ბაბო მვადლიძე

„შოი მღვიმელი, ილია სიხარულიძე“

„ავადმყოფოთ“, ე. ი. დიდი დედოფალათი ხელში და ჩემი პარტნიორი — მეურნალის როლში, რომლისთვისაც უნდა შემეჩივლა ჩემი გაპირვება. ლექსი იწყებოდა ასე: „მეურნალო, ჩემი ტრინა უცხად გამიხბა ავად, შეხედე, როგორ გაყვითლდა...“ და ფრაზა არ შექონდა დამთავრებული, მოკრთე ვულგაროზდარი ტირილი, — ნამდვილი ტირილი, ცრემლები ღაპღუპით წამომცვივდა და იძულებული გახდნენ სცენიდან ხელში ატაცებული გავეყვანე. „ეჰიმი“ — კი, საბტად დარჩა სცენაზე... შემდეგ: 1967 წელი — თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ სოლომონ ზუციშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო შოი მღვიმელისადმი მიძღვნილი ხალაშო, სადაც წილად მხვდა ბედნიერება გამოვსულიყავი მოგონებებით მწერლის შეხახებ. ამ გარემოებამ გამახსენა ჩემი წერილი, დაბეჭდილი 1916 წელს ქუთაისის გაზეთში. წერლის სათაურია „ძია შიოს“. მინდა მოვიყვანო აქედან ერთი ადგილი:

„შიოს არ უნდა ბავშვის მგრძობიარე გული საშინელი წარმოდგენებით აღავსოს, ვინაიდან გრძობს, რომ ცხოვრების ოხვრა-კენება შორსაა მათგან. მოწარდებს ჭერ კიდევ ხანგრძლივი

სიცოცხლე უდევთ წინ, რომ სავხებით შეიძლება სონ და შეიგნონ თვით, თუ როგორია ადამიანი, თა უშადური, ყველაფრის მდომარე ხელე და თუ კი ხანდახან ცხოვრების ნიადაგს ვაჭრობებს მათაც ცხოვრების ზღვაზე, ისე მალე, მალე ააყოლებს მათ ნაპირებზე, რომ მალაღ, მსუბუქ მათს შეუერთოს...

... ის კიდევ ბევრს ეტყვის მათ, ბევრს, ჩვეულებრივ ღამაზად, მოზიზველიად. ისე, როგორც სიო ეუბნება ხოლმე ჩიტუნებს წყნარად... ნელა... და მოშორდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ზღაპრებისაგან ტკბილად ჩაძინებულთ გამოვიღვიძებთ და გამოვიძებნისას სრულიად არ ეუცხოვებათ ცხოვრების ლოდი, მათ წინაშე აღმართული“..

წლების სიმრავლე ხელს არ უშლის, თურმე, მართალ აზრს..

შოი მღვიმელის სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შემცველი უამრავი ლექსი ბუნების მრავალფეროვანი სურათებით არის მოხატული, — გონებისა და ზნეობის ქეშმარიტი აღმწარდელიც არის, რის გარეშეც მწერლის „ნაპირვები“, საერთოდ, „ამაო ძაბილია“ და...

ამოდ ყოფნას ზომ არყოფნა სჭობს..



ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დავითაძის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. შო. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-77, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პრაზის — 72-26-39, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადეცა ასაწყობად 2.12.84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.01.84 წ., ქალაქის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, საღარ-საგთაბახი 15.85. შეკე. № 2747 უე C7816 ტირაჟი 57.800

3560 60 353.

1-11105



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ